

*Sergo Thourmoua*



*Les ecrivains  
français  
du XX siècle*



*Tbilissi*

*1 9 6 2*

სეზგო თუბნაჲ



მეოცე საუკუნის  
ერთნი მწიგნობი



საბჭოთა მწიგნობი  
19 თბილისი 62



## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ზ ა

წინამდებარე ნაშრომში ავტორი მიზნად ისახავს მკითხველს ზოგადად გააცნოს პროგრესული ფრანგული ლიტერატურის წარმომადგენლების: ლუი არაგონის, ელზა ტრიოლეს, პოლ ვაიან-კუტიურიეს, ჟან ლაფიტისა და როჟე ვაიანის ცხოვრება-შემოქმედება. წიგნს თანამედროვე ფრანგული პროგრესული ლიტერატურის სახელმძღვანელოს პრეტენზია არა აქვს. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს ხსენებული მწერლების გაცნობაში, მით უფრო, მეოცე საუკუნის ფრანგულ პროგრესულ ლიტერატურაზე ქართულად თითქმის არაფერი დაწერილა, არ არსებობს არც ამ ლიტერატურის ნიმუშების თარგმანები.

წიგნი ზოგ ავტორს, მართალია, ყოველმხრივ არ აშუქებს, მაგრამ ამ სახითაც, ჩვენი აზრით, თავის მნიშვნელობას არ იქნება მოკლებული.

ავტორი.



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

კაცობრიობის ისტორიაში პირველად ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა ნამდვილი დემოკრატია მასებისათვის. მან მსოფლიოს მშრომელთ უჩვენა გზა თავისუფლებისაკენ, სოციალური იდეალის განხორციელებისაკენ და განამტკიცა მათში რწმენა უკეთესი მომავლისადმი.

ვ. ი. ლენინის იდეები უდიდეს გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოში პროგრესული ლიტერატურის განვითარებაზე. ვ. ი. ლენინმა დიდი ამაგი დასდო ლიტერატურასა და ხელოვნებას. მან მეცნიერულად გაარკვია ლიტერატურის კლასობრივი არსი და პირველმა შეიმუშავა ხელოვნების პარტიულობის პრინციპი. ვ. ი. ლენინი მწერლებს მიზნად უსახავდა ხალხისადმი სამსახურს, ასწავლიდა, რომ მათ ხელი შეეწყობთ საზოგადოებაში არსებული პროგრესული ტენდენციების განვითარებისათვის, მშრომელთა უკეთესი მომავლის დამკვიდრებისათვის. ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი საფუძვლად დაედო სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ჩამოყალიბებას.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა დიდი საბჭოთა მწერლის

მ. გორკის გავლენა მსოფლიო ლიტერატურაზე. ანრი ბარბიუსი წერს: „გორკი მარტო თანადროულობის უდიდესი მწერალი როდია, მისი სახით მივესალმები ჩვენი თანამედროვე კულტურის მეთაურსა და მასწავლებელს“.

„გორკიმ,—წერს ჰაინრიხ მანი,—გააფართოვა ლიტერატურული შემოქმედების არე, აღმოაჩინა ახალი გზა და პერსპექტივები მსოფლიო ლიტერატურისათვის“. ასეთსავე გავლენას ახდენს საზღვარგარეთის ლიტერატურაზე ვლ. მაიაკოვსკის მებრძოლი პოეზია.

30-იან წლებში ფრანგული პროგრესული ლიტერატურა ითვისებს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებით მეთოდს—სოციალისტურ რეალიზმს. საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა, საბჭოთა ლიტერატურის ესთეტიკური პროგრამა დიდ გავლენას ახდენს მთელი მსოფლიოს პროგრესულ ლიტერატურაზე.

ლუი არაგონი საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის ტრიბუნიდან აცხადებს: „ჩვენი ასოციაცია საფრანგეთის კულტურის ეროვნულ პირობებში შეძლებს გამოხატოს სოციალისტური რეალიზმის ლოზუნგი, რომელიც წამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირში“.

ამრიგად, პირველი ყრილობის გადაწყვეტილებანი ერთხმად მიიღეს მთელი მსოფლიოს მოწინავე მწერლებმა. სოციალისტური რეალიზმის პროგრამამ, რომელიც ყრილობაზე შემუშავდა, გაიტაცა მსოფლიოს მოწინავე მწერლები.

არაგონი თავის ნაშრომში „სოციალისტური რეალიზმი და ფრანგული რეალიზმი“ ამტკიცებს, რომ სწორედ სოციალისტურ რეალიზმს შესწევს უნარი გამოამჟღავ-

ნოს ფრანგული ლიტერატურის ყველა ეროვნული თავისებურება, მწერალი უარყოფს თავის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებს: სადაც სოციალისტური სინამდვილე არ არის, იქ არ შეიძლება იყოს სოციალისტური რეალიზმიო.

სოციალისტური რეალიზმის თეორიას საფრანგეთში მყარ ~~საფუძველი~~ აქვს. ახალი ესთეტიკის საკითხებს საფრანგეთის პროგრესული მწერლები ფართოდ არჩევენ. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანია ანდრე სტილის შრომა „სოციალისტური რეალიზმისათვის“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1952 წელს პარიზში. მწერალი ბევრ საყურადღებო საკითხს აყენებს კომუნისტური პარტიის როლის შესახებ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის ბრძოლაში. ავტორის აზრით, პროგრესული ფრანგი მწერლების ნაწარმოებებში ღრმად და სწორად უნდა აისახოს მუშათა კლასის ცხოვრება და ბრძოლა, რადგან ეს კლასია საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობის დამცველი.

ლიტერატურული გაზეთის „ლე ლეტრ ფრანსეზისა“ და აგრეთვე ჟურნალების „პანსეს“, „ლანუველ კრიტიკისა“ და „ეროპის“ ფურცლებზე უშუქდება თანამედროვე ლიტერატურის საკითხები მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე. მოწინავე ფრანგული კრიტიკა ყურადღებით სწავლობს საბჭოთა ესთეტიკას, ლენინის შეხედულებებს ლიტერატურაზე, საკ. კ. პ. ცეკას დადგენილებას იდეოლოგიის საკითხებზე.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, რომელსაც სათავეში ამხანაგი მორის ტორეზი უდგას, დიდ ყურად-

ღებას აქცევს თანამედროვე პროგრესული ფრანგული ლიტერატურის განვითარებას, ზრდის ფრანგ მწერლებს მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით. კომპარტიის რიგებში აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორც იყვნენ ანრი ბარბიუსი, პოლ ვაიან-კუტიურიე, რაიმონდ ლეფევი, გაბრიელ პერი, ჟან რიშარ-ბლოკი, პოლ ელუარი და ბევრი სხვა. მათ გზას აგრძელებენ დღეს მოწინავე ფრანგი მწერლები: ლუი არაგონი, ელზა ტრიოლე, ანდრე სტილი, ჟორჟ კონიო, ჟან ლაფიტე, ჟან ფრევილი, როჟე გაროდი, კლოდ მორგანი, პიერ კურტადი, პოლ ტიიარი, ლეონ მუსინიაკი, პიერ დეჟისი, პიერ აბრაჰამი, პიერ გამარა, ჟან-პიერ შაბროლი და სხვები.

კომუნისტურ პარტიას თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ გამოჩენილი ფრანგი მწერლები რომენ როლანი და ანატოლ ფრანსი. 1936 წელს რომენ როლანი მორის ტორეზს სწერდა: „ლუმანიტეს“ ფურცლებზე ყურადღებით ვადევნებ თვალყურს დებატებს და კომპარტიის ბრძნულ და მტკიცე პოლიტიკას სავსებით ვიწონებ... ძვირფასო ტორეზ! ვსარგებლობ შემთხვევით და უნდა გითხრათ, რომ თქვენმა სტატიებმა და მოხსენებებმა გული ამიჩვილა, რადგან თქვენ ჩემ მიმართ სიმპათიას გამოხატავთ. მერწმუნეთ, რომ ჩემი სიმპათია თქვენ გეკუთვნით და ბედნიერი ვარ თქვენთან ერთად ვიბრძოლო საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი საქმისათვის, მშვიდობის დასაცავად მთელ მსოფლიოში“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> „L' Humanite“, 15 VI, 1936 წ.

ამ უკანასკნელ წლებში საფრანგეთში მოეწყო მასობრივი კამპანია „ბრძოლა წიგნისათვის“. მოწინავე ფრანგი მწერლები ამხვრევენ იმ კედელს, რომელიც კაპიტალიზმმა აღმართა ხალხსა და ხელოვნებას შორის, მიდიან ქალაქებსა და სოფლებში, ხვდებიან მკითხველებს, მუშებს, გლეხებს, აწყობენ წიგნის ბაზრობას, კონფერენციებს, ბიბლიოთეკებს. პროგრესული ლიტერატურა განუწყვეტლივ ვითარდება, ვითარდება კრიტიკული აზროვნებაც. კრიტიკოსთა და თეორეტიკოსთა როლში გამოდიან თვით მწერლები და პოეტები. მოწინავე მწერლები თავიანთ სტატიებში ამხელენ რეაქციის ძალებს, აბუშავენ თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების პრობლემებს. პროგრესული კრიტიკა სწავლობს ლიტერატურულ მემკვიდრეობას, იცავს მას ბურჟუაზიული მწერლების ცილისწამებისაგან.

პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურას საფუძველი ჩაუყარა ანრი ბარბიუსმა. მისი „ცეცხლის“ გამოქვეყნებით იწყება ახალი ერა დასავლეთ ევროპის პროგრესული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. თავის წიგნში: „მებრძოლის სიტყვები“ მწერალი წარმოგვიდგება როგორც მებრძოლი მშვიდობისა და პროგრესის ძალების შესამკვიდრებლად სოციალიზმის ქვეყნის გარშემო. „ბარბიუსი აღაშფოთა ომმა, — წერს პოლ ვაიანკუტიურიე, — რომელშიც იგი მონაწილეობდა. პაციფისტი რევოლუციონერი გახდა. სანგრებში მოხდა მისი გადამწყვეტი გარდატეხა და ამ გარდატეხამ ბარბიუსი სოციალისტურ ანტიმილიტარიზმამდე მიიყვანა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „Monde“, 12 IX, 1935 წ., 83. 5.

ბარბიუსის შემოქმედების შემდგომ განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს საბჭოთა ცხოვრების უშუალო გავლენა. იგი რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში. სიტყვები, ნარკვევები, სტატიები, წიგნები, რომლებიც მწერალმა საბჭოთა კავშირს მიუძღვნა, შესანიშნავია არა მარტო აზრის სიცხადით, არამედ პოეტური გამომსახველობის ძალითაც. მწერალი ყველგან აღნიშნავს, სიმართლე საბჭოთა კავშირზე უნდა გაიგონ დასავლეთ ევროპის ადამიანებმაო. ბარბიუსი იწყებს ბრძოლას საუკეთესო ფრანგი მწერლების გასაერთიანებლად მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკში, იგი ხელმძღვანელობს საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-შემოქმედებითი გამოცდილებით, გადაჭრით ამხელს ოპორტუნისტულ განწყობილებებს ლიტერატურის ფრონტზე. იგი ფრანგ მწერლებს მიმართავს იბრძოლონ რეალიზმისათვის, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ცრუ პროპაგანდის წინააღმდეგ.

მეოცე საუკუნის ფრანგი პროგრესული მწერლები ავითარებენ კლასიკური ფრანგული ლიტერატურის ტრადიციებს. მშვიდობისათვის ერთიან ბრძოლაში მტკიცდება სხვადასხვა შეხედულების მწერალთა თანამეგობრობა. საფრანგეთის მწერალთა კომიტეტში (რომლის ბეჭდვითი ორგანოა „ლე ლეტრ ფრანსეზი“) კომუნისტ მწერლებთან ერთად თანამშრომლობენ სხვადასხვა რწმენის დემოკრატები. ფრანგი პროგრესული მწერლები ისევ უბრუნდებიან გმირული წინააღმდეგობის თემას, ეს თემა დღესაც აქტუალურია, ფრანგი ხალხი კვლავ იბრძვის ფაშიზმის, შიმოტევის წინააღმდეგ.

1950 წელს პარიზში გამოდის ახალგაზრდა მწერლის პიერ დექსის მოთხრობა: „უკანასკნელი ციხე-სიმაგრე“, რომლის გმირები—კომუნისტი ანდრე, მისი უფროსი ამხანაგი პიერი და ფრანგული წინააღმდეგობის სხვა აქტივისტები მოქმედებენ მაუტპაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში. წიგნში რელიეფურად არის ნაჩვენები ჰიტლერელების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლის საერთაშორისო მნიშვნელობა, წიგნის ბევრი ეპიზოდი ადასტურებს, თუ როგორ ამხნევებდა ფრანგ პატრიოტებს საბჭოთა ჯარების გამარჯვებები.

1951 წელს ქვეყნდება პიერ დექსის მეორე რომანი: „1942 წლის მოწოდება“, რომელშიც მწერალი მოგვითხრობს ახალგაზრდობის ბრძოლის ამბებს მეორე მსოფლიო ომის შავბნელ წლებში. მოქმედება იშლება 1940 წლის მაის-ივლისში, საფრანგეთის დამარცხების შემდეგ.

რომანის მთავარი პერსონაჟია სტუდენტი ჟან ჟაკ-მენი. ჟანი და მისი ტოლი ამხანაგები სწორედ 1942 წელს უნდა გაეწვიათ ჯარში. საფრანგეთის ეროვნული კატასტროფა აჩქარებს მათს ჩამოყალიბებას პოლიტიკურ მოღვაწეებად, განადგურების საოცარი შთაბეჭდილების გავლენით იწრთობა მათი ხასიათი. მწერალმა შეძლო ფართო რეალისტურ ფონზე ეჩვენებინა მთავარი გმირების ბედი, დამაჯერებლად აღეწერა პანიკა, ქაოსი, რომელიც საფრანგეთის დამარცხების დღეებში მეფობდა.

მწერალი გვაგრძნობინებს, რომ ამ პერიოდში საოცრად იზრდებოდა აღშფოთება მთავრობის გამცემლური პოლიტიკის გამო. რომანში წამყვან როლს კომუნისტე-

ბი ასრულებენ, ისინი სათავეში უდგანან წინააღმდეგობის მოძრაობას. დიდი სითბოთია დახატული ქულიენ რუსელი, პარტიული მუშაკი, რომელმაც კომუნისტურ მოძრაობაში ჩააბა ჟან ჟაკენი. პიერ დექსის რომანები სხვა ნაწარმოებთა შორის საპატიო ადგილს დაიჭერენ, რადგან სიმართლით ასახავენ ფრანგ პატრიოტთა ქეთილშობილ სახეს.

თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა პიერ კურტადი. იგი არის ნიჭიერი კომუნისტი მწერალი, „ლუმანიტეს“ თანამშრომელი, წერს მოთხრობებს, რომანებს, ნარკვევებსა და თეორიული ხასიათის სტატიებს.

1946 წლის იანვარში კურტადი აქვეყნებს მოთხრობების წიგნს „ვითარებას“, რომელშიც შევიდა „ოკუპაცია“, „სალამანდრა“, „კარგი ცხვარი“, „პიროვნება“, „სოფლელი ექიმი“, „წყობილება“, „სამაჯური“ და „ოთხად გაყოფილი თმა“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნარკვევები საბჭოეთზე და ახალ ჩინეთზე.

პიერ კურტადი თავის პუბლიცისტურ სტატიებში, მოთხრობებსა და ნარკვევებში ნიღაბს ჰგლეჯს ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ იმპერიალისტებს, ამავე დროს ფრანგ ხალხს მოუთხრობს მშვიდობის უძლეველი ბურჯის, საბჭოთა კავშირის ამბავს.

1951 წელს გამოდის პიერ კურტადის შესანიშნავი რომანი „ჯიმი“, რომელიც მიძღვნილია თანადროულობის მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი. აქ ლაპარაკია საშუალო ამერიკელის ბედზე ფაშისტური რეაქციის თარეშის პირობებში. რომანის გმირები უმთავრესად აშე-



რიკისა და საფრანგეთის სინამდვილეში მოქმედებენ. მასში დამაჯერებელი მხატვრული საღებავებით ნაჩვენებია ამერიკელი აგრესორების მიერ ოკუპირებული საფრანგეთი, მოწინავე ფრანგი და ამერიკელი ხალხების ბრძოლა დემოკრატიისა და მშვიდობისათვის. მთავარი გმირია ნიუ-იორკის ერთ-ერთი ფირმის მოსამსახურე ჯიმი რიძი, რომელსაც „ასპროცენტთან“ ამერიკელად თვლიან. იგი ამერიკის პრესას ამერიკული ცხოვრების განსახიერებად მიაჩნია. ჯიმი თავისი ოჯახის ვიწრო წრეშია ჩაკეტილი, არ აინტერესებს მსოფლიოს ამბები. მისთვის უცხოა აზრები, რომელსაც გამოთქვამს მისი ერთ-ერთი პროგრესულად განწყობილი თანამემამულე, რომ დღევანდელ ამერიკაში „თუ პატიოსანი ადამიანი ხარ, რამდენადაც შესაძლებელია თავი იდიოტად უნდა გაასაღო, რომ ხალხს მოეწონო“.

ჯიმი გარდაიქმნება საფრანგეთში, მტკიცედ დარწმუნებული მიემგზავრება ამერიკაში, სადაც ამბობს: „ჩვენ ევროპაში ხალხებს ვეზიზღებით, მათ ვერაფერს ვასწავლით... მათთვის მხოლოდ უბედურება მოგვაქვს“.

პიერ კურტადის რომანი „ჯიმი“ გაბედული გამოსვლაა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ევროპაში.

ლეონ მუსინაკი მეოცე საუკუნის ფრანგი პროგრესული მწერალია. იგი სამწერლო ასპარეზს პირველი იმპერიალისტური ომის სუსხიან დღეებში ევლინება, პოლვანიან-კუტიურიესთან და ანრი ბარბიუსთან ერთად ილაშქრებს ომის წინააღმდეგ, ებრძვის შოვინისტურ ელემენტებს. ლეონ მუსინაკი, როგორც ნამდვილი მწერალი, სახელს გაითქვამს ნიჭიერად დაწერილი რომან-

ნებით, მოთხრობებით, პიესებით, ნარკვევებით, ლექსებითა და პუბლიცისტური ხასიათის შრომებით. ამის გარდა, იგი კინოხელოვნების დიდი მცოდნეც არის. ლეონ მუსინაკის რომანებიდან აღსანიშნავია: „ჯერ თავი და თავი“, „აკრძალული მანიფესტაცია“, „ქირანბულის მინდვრები“, „მედუზას ტივი“, (პოლიტიკური პატიმრის დღიური, 1940-1941 წ.). მოთხრობებიდან: „მუშები თავიანთ ქარხანაში“, „ვბრუნდები უკრაინიდან“, „ტურნე საბჭოთა კომედიატებთან“, „მარილის ქანდაკებები“, პიესებიდან: „ეპისკოპოსი“, „ზეციური ადამიანები“, „მამა ივლისი“, (დაწერილია პოლ ვაიანკუტიურიესთან ერთად), ლექსების წიგნები: „ბედნიერების ანარეკლი“, „უკანასკნელი საათი“, „საიდუმლო განთიადი“, „განათებული სახე“, „მანკიერი პოემები“ (1933—1941 წწ.).

ლეონ მუსინაკს დაწერილი აქვს შრომები თეატრსა და კინოხელოვნებაზეც.

„აკრძალული მანიფესტაცია“ შეიქმნა 1932-1933 წლებში, იგი მიძღვნილია მუშათა მოძრაობისადმი საფრანგეთში. მწერალი ამხელს ომისა და რეაქციის ძალებს, საფრანგეთისა და ამერიკის პლუტოკრატებს.

ლეონ მუსინაკი საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარია, ხშირად ჩამოდის მოსკოვში, ეცნობა ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს და საფრანგეთში დაბრუნებისას საბჭოთა კავშირზე წერს ნარკვევების მთელ სერიას.

პოლ ელუარი სამწერლო სარბიელზე გამოდის 1917 წელს, წერს ლექსებს, პოემებსა და თეორიული ხასია-

თის სტატიებს. ამავე წელს ქვეყნდება მისი ლექსების პირველი წიგნი: „მოვალეობა და წუხილი“, ერთი წლის შემდეგ კი პოემების კრებული; „პოემები მშვიდობაზე“. ამ ლექსებსა და პოემებში პოეტი ამხელს ომის საშინელებას, მოითხოვს ხალხთა შორის მშვიდობას, მაგრამ არ ძალუძს მარქსისტულად შეათასოს ომის გამომწვევი მიზეზები და გამოიტანოს საკუთარი დასკვნები. პოეტი ვერ ახერხებს გვერდში ამოუდგეს პოლ ვაიან-კუჭიურიეს, რომენ როლანს, ანრი ბარბიუსს, რაიმონდ ლეფერს, რომლებიც უკვე მაშინ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. 1936 წელს იგი თავისუფლდება დადაისტებისა და სურეალისტების გავლენისაგან, რასაც ხელი შეუწყო საფრანგეთში 1934 წელს სახალხო ფრონტის გამარჯვებამ, ამის გარდა პოეტის შემოქმედებაზე გავლენა მოახდინა ესპანეთის ამბებმა, ესპანელი ხალხის გამირულმა ბრძოლამ. იგი ანტიფაშისტი ხდება, მასში იღვიძებს გრძნობა პოეტი-მოქალაქისა, მრავალ ლექსს უძღვნის ესპანელი ხალხის გამირულ ბრძოლებს, ამავე დროს ფრანგულ ენაზე თარგმნის გამოჩენილი ესპანელი რევოლუციონერი პოეტების ლექსებსა და პოემებს.

1942 წელი. საფრანგეთის კომუნისტური პარტია მორის ტორეზის ხელმძღვანელობით საფრანგეთის ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში აყალიბებს ფრანტირერთა და პარტიზანთა მებრძოლ რაზმებს, ამ რაზმებმა მრავალი ათასი ოკუპანტი გაელიტეს. ფრანგი ხალხი კიდევ უფრო გაამხნევა საბჭოთა ჯარების გამარჯვებებმა სამამულო ომის ფრონტებზე. პოლ ელუარი

1942 წლის მაისში შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. ეს იყო მისი შემოქმედების შესაბამე პერიოდის დასაწყისი. ამ პერიოდმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მთელ პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურაზე. „შევდივარ კომუნისტურ პარტიაში, — წერს პოლ ელუარი, — რადგან იგი საფრანგეთის პარტიაა. მას სამუდამოდ შეეწირე ჩემი ძალა და ცხოვრება, მინდოდა ვყოფილიყავი ჩემი ქვეყნის ხალხთან ერთად, რომელიც მშვიდობის, ბედნიერებისა და ნამდვილი ცხოვრებისაკენ მიისწრაფის“.

ამ პერიოდიდან დაწყებული, ფრანგი ხალხის ბრძოლა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ პოეტის შემოქმედებაში მთავარი თემა ხდება. მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული მწერალი 1942 წელს აქვეყნებს ლექსების წიგნს „პოეზია და სინამდვილე“, რომელშიც ფრანგ ხალხს თავისუფლების ჰიმნს უმღერის.

1942 წლიდან პოეტი მუშაობას იწყებს არალეგალური გაზეთის „ლე ლეტრ ფრანსეზის“ რედაქციაში. იგი ამ გაზეთის ფურცლებზე ბეჭდავს პუბლიცისტური ხასიათის სტატიებს, ლექსებისა და პოემების მთელ ციკლს, სადაც ფრანგ ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. პოლ ელუარი აარსებს ჟურნალ „ეტერნელ რევიუს“, რომელშიც ნიღაბს ჰგლეჯს ჰიტლერის ჯალათებსა და პეტენის გამცემლურ მთავრობას.

1944 წელს პოლ ელუარის ლექსები უკვე მთელ საფრანგეთშია გავრცელებული, მათ მღერიან პარტიზანთა რაზმებში. ეს ის პერიოდია, როდესაც წინააღმდეგობის

მოდკაობამ მის სამშობლოში უმაღლეს წერტილს მიაღწია.

პოლ ელუარი იყო საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი, მას ასულდგმულეებდა საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები, საბჭოთა კავშირში ხედავდა იმ იდეალების განხორციელებას, რომელთა გულისათვის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იბრძოდა. პოლ ელუარმა ინახულა საბჭოთა კავშირი, იყო საქართველოშიც. 1950 წლის მაისში ესწრებოდა მოსკოვში ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას, სადაც მხურვალე სიტყვა წარმოთქვა. თავის სიტყვაში საბჭოთა მწერლებთან შეხვედრისას აღნიშნა: „პროგრესული ფრანგული ლიტერატურა გაცილებით გაიზარდა იმ გამოცდის შემდეგ, რომელიც განვლო საფრანგეთმა ომისა და ოკუპაციის დროს. პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურაში განმტკიცდა პატრიოტიზმის გრძნობა, ლიტერატურა ახლოს მივიდა ხალხის მწუხარებასთან. ეს პროგრესული ლიტერატურა ეწეოდა ბრძოლას ომისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მან კოლექტიური ხმის მოძებნა შეძლო“.

საბჭოთა კავშირში ყოფნამ პოეტზე დიდი გავლენა მოახდინა, იგი საბჭოთა კავშირზე წერს ლექსებისა და პოემების მთელ ციკლს. მათ შორის შესანიშნავია ლექსები: „სსრ კავშირი დიდი იმედია“, „თავისუფლება“, „ვადიდებ პოეტს“ და სხვა. ლექსში „საბჭოთა კავშირი დიდი იმედია“ პოეტი ამბობს:

დიდ საბჭოეთის ქვეყანას, ძმებო,  
მთელ ქვეყანაში მშვიდობა უნდა,

..-

ძიგყვეთ მომავლის გზას საიზედოს  
და მხარში ვედგეთ მშვიდობას მუდამ.  
ბედნიერების დიდ შარას მიგყვეთ  
იქითკენ, სადაც მთავრდება ბნელი,  
სადაც ელვარებს თავისუფლება  
და სპეტაკ დილის ბრწყინავს ნათელი.

(თარგმანი გ. კალანდაძისა).

1952 წლის 18 ნოემბერს პოლ ელუარი გარდაიცვალა პარიზში.

ჟან დეკური დანიელ დეკურდემანშის ლიტერატურული ფსევდონიმია. იგი მეორე იმპერიალისტური ომის სუსხიან დღეებში ებმება წინააღმდეგობის მოძრაობაში. ჟაკ დეკური, მწერალი, პუბლიცისტი და გერმანული ფილოლოგიის მასწავლებელი, 1940 წელს გერმანიიდან სამშობლოში ბრუნდება და ომის დაწყებამდე შედის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1940 წლის შემოდგომაზე ჟაკ დეკური თავის მეგობარ ჟორჟ პოლიცერთან ერთად პარიზში უშვებს არალეგალურ ჟურნალ „ლუნივერსიტე ლიბრს“, რომელშიც ამხელს კოლაბორაციონისტებს. იგი აარსებს აგრეთვე ფრანგ მწერალთა მეგობრობის ორგანო „ლე ლეტრ ფრანსეზს“, რომლის პირველი ნომერი 1942 წლის 20 ივლისს გამოვიდა. მასში გამოქვეყნდა ჟაკ დეკურის მიერ დაწერილი „ფრანგი მწერლების მანიფესტი“.

1942 წლის 30 მაისს გერმანელმა ფაშისტებმა ჟაკ დეკური დახვრიტეს.

კლოდ მორგანი წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. იგი არის გამოჩენილი მწე-

რალი და საზოგადო მოღვაწე. სახელი გაითქვა ნიჭიერად დაწერილი რომანებითა და ფილოსოფიური შრომებით. მისი რომანებიდან აღსანიშნავია: „მხეცის მოდგმა“, „შიშით მთვრალი“, „ძალადობა“, „თავისუფლება“, „ადამიანის ფასი“, „უკომპასოდ მოგზაური“.

„ადამიანის ფასი“ მიძღვნილია პოლ ელუარისადმი. მწერალი დამაჯერებლად გვიხატავს ფაშისტური ოკუპაციის პირველ დღეებს, კერძოდ იმ პერიოდს, როცა ფრანგი ინტელიგენტი ბრძოლაში ჩაება. რომანის პირველ ნაწილში აღწერილია ფრანგი სამხედრო ტყვეების ბანაკი. აქ ვხვდებით დამარცხებული საფრანგეთის ღრმის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. რომანის მთავარი პერსონაჟები არიან ჟან ბერმონი, მისი ცოლი კლერი და მეგობარი ჟაკ ფონტანიე. ამ გმირთა მაგალითზე მწერალი გვიჩვენებს, თუ რა დახლართული გზებით უხდებოდათ ინტელიგენტებს ბრძოლაში ჩაბმა.

ჟორჟ სორიას საპატიო ადგილი უჭირავს მეოცე საუკუნის პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურაში. იგი არის ნიჭიერი კომუნისტი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მის კალამს ეკუთვნის ლექსები, პოემები, პიესები, მოთხრობები, ნარკვევები. 1945 წელს მოსკოვში ფრანგულ ენაზე გამოდის ჟორჟ სორიას პოემების კრებული: „მკაცრი დროის პოემები“. დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი პუბლიცისტური ნაშრომები: „როგორ ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში“, „გახდება თუ არა საფრანგეთი ამერიკის კოლონია?“, „მაროკო—ალჟირი—ტუნისი“.

როგორც კი დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, მწერა-

ლი მაშინვე ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. იგი ფრანგი ხალხის ბრძოლას ბევრ ნაშრომს უძღვნის. 1943 წელს ბეკდავს შესანიშნავ ლექსს „კრემლს“, რომელშიც ფრანგ ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. „წინ, წინ, კვლავ შეევუტიოთ ბასტილიას, სამი მეტრილა დაგვრჩა“, — წერს პოეტი.

1955 წელს ჟორჟ სორია აქვეყნებს პიესა „შიშს“. მასში ილაშქრებს ამერიკელ ხელისუფალთა წინააღმდეგ, რომელთაც ელექტრონის სკამზე სიკვდილით დასაჯეს ცოლ-ქმარი როზენბერგები.

მწერალმა სახელი გაითქვა მეორე პიესით „ქედმაღლობა და ღრუბელი“, რომელიც 1956 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა პარიზში. პიესა მიძღვნილია თანადროულობის საჭირბოროტო საკითხისადმი, მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემისადმი. მწერალი მოსალოდნელი ატომური ომის წინააღმდეგ ილაშქრებს. პიესის მთავარი გმირია ახალგაზრდა ამერიკელი მეცნიერი ფრენკ გარდინგი, რომელიც თავის ნიჭსა და ძალას ახმარს ხალხთა მასობრივი მოსპობის იარაღის, წყალბადის ბომბის შექმნას. ახალგაზრდა მეცნიერი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მშვიდობის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ ერთ მუჭა რჩეულ ადამიანებს, მაგრამ ცხოვრება მალე თავისი მოსაზრებების სიყალბეში არწმუნებს. აღმოჩნდა, რომ წყალბადის ბომბის აფეთქება ძლიერი ყოფილა, ვიდრე იგი ფიქრობდა. ამ ბომბის აფეთქების შედეგად ილუპებიან ამერიკელი მეზღვაურები, იაპონელი მეთევზეები და დასახიჩრდება თვით ფრენკის ცოლიც. ამის გარდა, ამ ბომბით დაზარალდება ლოს-ანჯელოსის ერთ მილიონამდე მცხოვრები.



როცა საკუთარ ოჯახს უბედურება ეწვია, მხოლოდ მაშინ მიხვდა ახალგაზრდა მეცნიერი, რომ მისი მასწავლებელი თომას მილერი სწორი იყო, როდესაც წყალბადის ბომბის წარმოების წინააღმდეგ ილაშქრებდა.

მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს ამ ახალგაზრდა მეცნიერის შეხედულებათა ევოლუციას, მასზე გავლენას ახდენენ მშვიდობის ძალები და მშვიდობის დამცველთა რიგებში დგება. იგი დარწმუნდება, რომ მეცნიერება მშვიდობის საქმეს უნდა ემსახურებოდეს, ატომური ენერგია მშვიდობის მიზნებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული.

საფრანგეთის პროგრესულმა პრესამ და საბჭოთა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცეს ჟორჟ სორიას პიესას.

ჟ. ვერკორი პროგრესული ფრანგი მწერალია. სამწერლო ასპარეზზე მეორე მსოფლიო ომის სუსხიან დღეებში გამოდის. მწერალი აქტიურად იბრძვის გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, 1941—1944 წლებში მუშაობს არალეგალურ სტამბაში მბეჭდავად, სადაც ლუი არაგონთან ერთად ხელმძღვანელობს გამომცემლობა „შუალამეს“.

გერმანელი ფაშისტები აპატიმრებენ ჟან ვერკორს და ათავსებენ ოსვენციმის (პოლონეთი) სიკვდილის ბანაკში. იგი მხოლოდ 1944 წელს გაანთავისუფლეს საბჭოთა ჯარებმა.

1956 წელს ვერკორი აქვეყნებს მოთხრობებს „უგუნური“, „სიტყვა“ და „ფრანგის თავგადასავალი ჩინეთში“.

„ფრანგის თავგადასავალი ჩინეთში“ — ეს არის მწერლის მოგზაურობის დღიური, რომელიც საკუთარი ნახატებითა და ფოტოსურათებით აქვს გამდიდრებული. ავტორი დამაჯერებლად მოგვითხრობს ჩინელი ხალხის გმირულ შრომას, თუ როგორ იბრძვის იგი ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

1955 წლის ივლისში ე. ვერკორი მოემგზავრება საბჭოთა კავშირში, ხვდება საბჭოთა მწერლებს, ეცნობა საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, მის აქტიურ ბრძოლას მშვიდობისათვის. მწერალი ესტუმრა საქართველოსაც. ჩვენი დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობასთან ერთად მან ინახულა ავლაბრის ყოფილი არალეგალური სტამბა და შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი შთამაგონებელი სტრიქონები ჩაწერა: „მე, როგორც არალეგალური ფრანგული გამომცემლობა „შუალამის“ (1941—1944 წ.) დამაარსებელი და არალეგალური მბეჭდავი, ამ სტამბის ნახვამ ძლიერ ამალეღვა. ეს იმიტომ, რომ თვითონ შემიძლია შევაფასო, თუ რამდენ ფიქრსა და თავდადებას მოითხოვდა იგი. ბუნებრივია ვამაყობ იმით, რომ ამ შემთხვევაში ვგრძნობ ძმურ სიახლოვეს რევოლუციონერ მუშებთან, რომელთა ხსოვნით ამ ისტორიული სარდაფის კედლებია გაქლენთილი“.

ვერკორი ამავე დროს არის დიდი მხატვარი და გრაფიკოსი. 1957 წ. თებერვალში ჩამოდის მოსკოვში და აწყობს ფრანგული რეპროდუქციის გამოფენას. ამ გამოფენას საბჭოთა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა.

ქორე კონიო ცნობილია საზღვარგარეთ როგორც ქურნალისტი, ფილოსოფოსი, მწერალი და კარგი ორატორი. იგი არის აგრეთვე საფრანგეთის კომპარტიის მოღვაწე, „ლუმანიტეს“ ერთ-ერთი რედაქტორი. სამწერლო ასპარეზზე გამოდის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, წერს მოთხრობებსა და ნოველებს. თავის მოთხრობებში დამაჯერებლად გვიხატავს ფრანგი კომუნისტების ბრძოლას საკონცენტრაციო ბანაკებში და იატაკქვეშ.

საფრანგეთის ოკუპაციის წლებში ქორე კონიოს წილად ხვდა საკუთარ თავზე გამოეცადა ფაშისტური რეპრესიების მთელი სიმძიმე. იგი გესტაპომ დააპატიმრა და საკონცენტრაციო ბანაკში ჩასვა, რომელიც, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „ჯოჯოხეთის გიგანტურ წინაკარს, ოსვენციმისა და დახაუსათვის შესაკრებ პუნქტს წარმოადგენდა“.

მწერალი მოთხრობებში აგვიწერს სიმართლეს, რაც თავისი თვალით ნახა და განიცადა. იგი ბანაკში სათავეში უდგება არალეგალურ მუშაობას, აწყობს დემონსტრაციებს, ხელმძღვანელობს ბანაკიდან მასობრივ გაქცევას, საშუალებას აძლევს პატრიოტებს კვლავ მოძებნონ თავიანთი ადგილი მეზობლთა რიგებში.

მართლაც, 1941 წლის ზაფხულში შატობრიანის ბანაკიდან ბევრი პარტიული მუშაკი გაიქცა, ხოლო 1942 წლის 22 ივნისის დამით ქორე კონიოს ხელმძღვანელობით როიალიეს ბანაკიდან 17 პატიმარმა უშველა თავს. მათ რიცხვში იყო მორის ტორეზის ძმა ლუი ტორეზი, რომელიც შემდეგ შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ეორე კონიოს მოთხოვნებში და, საერთოდ, სხვა პროგრესულ მწერალთა ნაწარმოებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა თემას, კარგად არის აღწერილი საბჭოთა ხალხის როლი საფრანგეთის განთავისუფლების საქმეში.

მწერალი გვიჩვენებს, რომ ომის მძიმე წლებში კომუნისტები გამოხატავდნენ ხალხის იმედებს. კონიოს ცოცხალ მოთხოვნებში ვხედავთ საფრანგეთის საუკეთესო ადამიანების ნათელ სახეებს.

პროგრესული ლიტერატურა უმეტესად იატაკქვეშ, საკონცენტრაციო ბანაკებსა და ფაშისტურ ჯურღმულებში იქმნებოდა. ეს ლიტერატურა ზრდიდა ფრანგ ხალხს, მოუთხოვდა, თუ როგორ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის საფრანგეთის საუკეთესო შვილები, ასწავლიდა მამაცობას ხალხის ნეტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მწერალი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად მოთხოვას ირჩევს. როცა მისი მოთხოვნების კრებულს ხურავთ, არ იტყვიოთ, რომ საქმე მხატვრული პროზის დამწყებ მწერალთან გაქვთ. მისი მოთხოვნები მხატვრული მანერით ახლოს დგას ფრანგული რეალიზმის კლასიკურ ტრადიციასთან.

ეორე კონიოსთან ერთად როჟე გაროდის საპატიო ადგილი უჭირავს XX საუკუნის ფრანგულ პროგრესულ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის რომანები, ნარკვევები, ფილოსოფიური შრომები და ცალკეული სტატიები. როჟე გაროდი ამავე დროს არის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, ფილო-

სოფიის პროფესორი, კითხულობს ლექციებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში.

მისი მეცნიერული შრომებიდინ აღსანიშნავია: „კომუნიზმი და მორალი“, „მესაფლავეების ლიტერატურა“, „ექლესია, კომუნიზმი და ქრისტიანობა“, „მეცნიერული სოციალიზმის ფრანგული წყაროები“, „შემეცნების მატერიალისტური თეორია“ და სხვა. ყველა ეს შრომა თარგმნილია ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, პოლონურ, ჩეხურ, უნგრულ ენებზე და მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში საპატიო ადგილი უჭირავს.

1947 წელს პარიზში გამოდის როფე გაროდის დიდ-ტანიანი რომანი: „ადამიანის დაბადების მერვე დღე“, რომელიც ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება. რომანის მოქმედება იშლება საფრანგეთის ფონზე, მთავარი გმირი სერჟი, კომუნისტი მუშა, ენერგიულად იბრძვის ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

ლეო ფიგერმა თავის მგზნებარე სტატიებსა და ნარკვევებში ფრანგ ხალხს გააცნო ის გმირული ბრძოლები, რომლებსაც აწარმოებდნენ ვიეტნამის მშრომელები ფრანგ იმპერიალისტებთან.

საფრანგეთის ბურჟუაზიას არ მოეწონა ლეო ფიგერის სამართლიანი გამოსვლა. ძწერალი პასუხისგებაში მისცეს, ბრალად დასდეს ვიეტნამზე სიმართლის დაწერა, ამ ქვეყანაში 1951 წელს მოგზაურობის შთაბეჭდილებათა და პრეზიდენტ ხო ში მინის ინტერვიუს გამოქვეყნება. მთელი ფრანგი ხალხი გამოვიდა მშვიდობისათვის ამ ახალგაზრდა მებრძოლის დასაცავად. მრისხანე შეძახილმა—„ხელი არ ახლოთ ლეო ფიგერს“—საფრანგეთის მმართველებს უკან დაახევინა.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის სესიამ ახალი ამოცანა დაუსახა პროგრესულ მწერლებს, რითაც ომისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ძალა შემატა.

ფრანგი პროგრესული მწერლები იმყოფებიან მშვიდობის მომხრეთა პირველ რიგებში, ყოველდღიურად ცდილობენ აიმაღლონ ლიტერატურული ოსტატობა, თანადროულობის აქტუალურ თემაზე ქმნიან მაღალი დეურ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. უდავოა, რომ ისინი მომავალშიც იბრძობენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა და ფრანგ ხალხებს მეგობრობის დიდი ტრადიციები აქვთ. ამ მეგობრობას ისინი დღესაც ავითარებენ და განამტკიცებენ, ერთად იბრძვიან ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

თან ჟორესმა თავის დროზე იწინასწარმეტყველა, რუსეთის რევოლუციის გამარჯვება შექმნის წინამძღვარს საფრანგეთ-რუსეთის ნამდვილი კავშირისათვის, რომელიც ევროპაში მშვიდობის მძლავრი ფაქტორი გახდება.

საბჭოთა ხალხი მაღალ შეფასებას აძლევს ფრანგი ხალხის ლიტერატურასა და ხელოვნებას.

შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთისა და საფრანგეთის მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა მჭიდრო, ნაყოფიერი თანამშრომლობის ბევრი მაგალითი. საკმარისია გავიხსენოთ პასტერისა და მეჩნიკოვის, ფლობერისა და ტურგენევის, როლანისა და გორკის მეგობრობა.

საბჭოთა ხალხი დიდ პატივს სცემს ფრანგული კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მიღწევებს. შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა მუზეუმებში არის ნსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექცია ფრანგული ხელოვნებისა. საზღვარგარეთულ მწერლობაში, რომელიც ჩვენში გამოდის, ყველაზე დიდი ხვედრითი წონა აქვს ფრანგულ მხატვრულ ლიტერატურას. რად ღირს, მაგალითად, მარტო ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სსრ კავშირში ფრანგ ავტორთა 122 მილიონი ცალი წიგნია გამოცემული!

## ლუი არაგონი

ლუი არაგონი XX საუკუნის პროგრესული ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ფრანგი ხალხის ბელადმა მორის ტორეზმა მას „სამშობლოს პოეტი“ უწოდა. ამ საპატიო სახელწოდებას პოეტი კეთილსინდისიერად ამართლებს თავისი შემოქმედებით.

ლუი არაგონი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა პირველი იმპერიალისტური ომის დროს, მაშინ იგი მიემხრო „დადაისტებს“. ეს იყო ინდივიდუალისტურად განწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც მალე დაიშალა. დადაისტების შემდეგ ლუი არაგონი ფორმალისტურ სკოლას უთანაგრძნობს. გადის დრო. პოეტი თანდათანობით წყვეტს კავშირს სურეალიზმთან, ცდილობს განთავისუფლდეს ფორმალისტური პოეზიის გავლენისაგან. ამ პერიოდში წერს ლექსების ციკლს, რომელშიც ეძებს ახალ პოეტურ ფორმებს. არაგონის შემოქმედებაში განსაკუთრებული გარდატეხა ხდება მას შემდეგ, რაც იგი საბჭოთა კავშირს ინახულებს და გაეცნობა საბჭოთა სინამდვილეს. მისი საბრძოლო ლოზუნგი ხდება „დაბრუნება რეალობისაკენ“.



1927 წელს არაგონი პირადად გაეცნო გამოჩენილ საბჭოთა პოეტს ვლ. მაიაკოვსკის, რომლის შემოქმედებამაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა. „პოეტმა მაიაკოვსკიმ მასებისადმი მიმართვა მასწავლა, იმ მასებისადმი, რომლებსაც სამყაროს შეცვლა უნდათ“, — წერდა შემდეგ იგი.

პოეტი კავშირს წყვეტს ძველ ფორმალისტურ სკოლასთან, 1930 წელს ხარკოვში ესწრება რევოლუციონერი მწერლების კონფერენციას. საფრანგეთში უაბრუნების შემდეგ პოეტი აქტიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა, კომუნისტური იდეის გამტარებელი ხდება, ფრანგ მწერლებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენებისაკენ მოუწოდებს. ამის თაობაზე არაგონი წერდა: „საფრანგეთში დაგბრუნდი და მთლად შევიცვალე—უკვე აღარ ვიყავი „პარიზელი გლეხის“ ავტორი, პოემა „წითელი ფრონტის“ ავტორი გახდი“.

მართლაც, პოეტი 1931 წელს აქვეყნებს პოემას „წითელი ფრონტი“, რომელიც გულწრფელ სიყვარულს ამჟღავნებს ოქტომბრის რევოლუციისადმი, გამარჯვებული საბჭოთა ხალხისადმი. ამ პოემის დაწერისათვის ლუი არაგონს სამართალში აძლევენ, მწერალი ხალხს საბოჭალაქო ომისაკენ მოუწოდებსო. 1934 წელს ქვეყნდება არაგონის მეორე პოემა „ვაშა ურალს“, რომელშიც პოეტმა სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას უმღერა.

1935 წელს პარიზში არაგონი გამოდის კულტურის დაცვის მწერალთა საერთაშორისო კონგრესზე, წარმოთქვამს სიტყვას აგრეთვე ამერიკელი მწერლების კონგრესზე ნიუ-იორკში, ხდება საფრანგეთის რევოლუციუ

რი მწერლების ასოციაციის მდივანი, ემხრობა სახალხო ფრონტს, მონაწილეობს ესპანეთის რესპუბლიკის დაცვაში. 1936 წელს შედის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში. 1950 წლის აპრილში საფრანგეთის კომპარტიის XII ყრილობაზე ტეკას წევრად ირჩევენ.

ლუი არაგონი დაიბადა 1897 წლის 3 ოქტომბერს ქ. პარიზში. სამწერლო მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო, შემდეგ კი ხელს ჰკიდებს რომანების, ნარკვევებისა და ცალკეული თეორიული ხასიათის სტატიების წერას, თანამშრომლობს გაზეთ „ლუმანიტეში“, ბეკდავს წერილებსა და ნარკვევებს. გადის დრო და გაზეთ „სე სუარის“ რედაქტორი ხდება. 1948 წლის 11 ნოემბერს პოლიციელები დემონსტრანტებს მხეცურად უსწორდებიან, ლუი არაგონი „სე სუარის“ ფურცლებზე აქვეყნებს მამხილებელ მასალებს, რისთვისაც სამართალში აძლევენ. ხალხის პროტესტმა პოეტს პატიმრობა ააცდინა.

ლუი არაგონი პროგრესული ლიტერატურული გაზეთის „ლე ლეტრ ფრანსეზისა“ და „საფრანგეთის გაერთიანებული გამომცემლობის“ დირექტორია. მისი ხელმძღვანელობით ბევრი საბჭოთა მწერლის ნაწარმოები გამოიცა, კერძოდ, 1956 წელს არაგონმა ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ცისკარი“.

ლუი არაგონის შემოქმედება შეიძლება ოთხ პერიოდად გავეყოთ. პირველ პერიოდში (1917—1930 წწ.) პოეტი განიცდის ფრანგული ფორმალისტური სკოლის გავლენას. ამ პერიოდის შრომებია: „თავისუფალი აზროვნება“ (1924 წ.), „პარიზელი გლეხი“ (რომანი, 1936 წ.),

„ტრაქტატი სტილის შესახებ“ (1928 წ.), „სიხარულის ცეცხლი“ (პოემები, 1920 წ.), „დიდი სიხარული“ (ლექსების წიგნი, 1926 წ.), „ტელემაკის თავგადასავალი“ (პოემები) და „განუწყვეტელი მოძრაობა“ (პოემები).

იმის მიუხედავად, რომ პირველ პერიოდში ფორმალისტური სკოლის გავლენას განიცდის, იგი მაინც განირჩევა სხვა ფორმალისტებისაგან. ამ პერიოდის ნაწარმოებებშიც აშკარად იგრძნობა პოეტის უკმაყოფილება კაპიტალისტური სინამდვილით. იგი ეძებს ახალ გზას, ახალ საშუალებას ამ სინამდვილისაგან თავის დასაღწევად. 1928 წელს წერს თეორიულ შრომას „ტრაქტატი სტილის შესახებ“. მასში სამართლიანად აკრიტიკებს ბურჟუაზიული ხელოვნების თეორეტიკოსებს, რომლებიც ქადაგებდნენ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“. პოეტი ამ დებულებას ექვის ~~წვლით~~ უცქერის, არ აკმაყოფილებს, რომ ხელოვნება ხელოვნებას ემსახურებოდეს, ხელოვნების დანიშნულებას ხალხისადმი სამსახურში ხედავს.

თავის შემოქმედების მეორე პერიოდში (1930—1940 წწ.) არაგონი სამუდამოდ წყვეტს კავშირს წარსულთან, სულ სხვა მსოფლმხედველობის ადამიანი ხდება. ამ გარემოებას ხელი შეუწყო 1930 წელს პოეტის საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ, საბჭოთა სინამდვილის გაცნობამ. მასზე დიდი გავლენა მოახდინეს მაქსიმ გორკიმ და მიაკოვსკიმ. პარიზში დაბრუნებისას იწყებს თავის თავზე ენერგიულ მუშაობას, გატაცებით/კითხულობს) ვლ. მიაკოვსკის, მაქსიმ გორკის, ლევ ტოლსტოისა და დოსტოევსკის ნაწარმოებებს, (პოლიტიკურ ლი-

ტერატურას. ეცნობა მარქსის, ენგელსის, ლენინის გენიალურ შრომებს) მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ-მა თეორიამ ლუი არაგონის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა.

ამ პერიოდის ნაწარმოებებს ეკუთვნის: „კომუნისტები მართალი არიან“ (პოემები, 1933 წ.), „სამყარო როგორიც არის“ (რომანი), „ბაზელის ზარები“ (რომანი), „მდიდარი კვარტალები“ (რომანი), „სოციალისტური რეალიზმისაკენ“ (თეორიული შრომა) და ბევრი სხვა.

შემდგომ მუშაობაში ლუი არაგონი კომუნისტური იდეის აქტიური გამტარებელია საფრანგეთში, თავის შრომებსა და გამოსვლებში ფრანგ მწერლებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლებისაკენ მოუწოდებს.

მესამე პერიოდი მოიცავს 1940—1945 წლებს. ამ დროს ფრანგი ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებს გერმანელი ოკუპანტებისა და საკუთარი გამცემლების წინააღმდეგ. პოეტი არალეგალურ მდგომარეობაზე გადადის, სხვადასხვა ფსევდონიმით წერს მებრძოლ ლექსებს, სტატიებს, მოთხრობებს, ფურცლებს, რომლებშიც მშრომელ ხალხს ბრძოლისაკენ მოუხმობს, თავის ირგვლივ იკრებს რევოლუციონერ მწერლებს და მათთან ერთად იბრძვის ფრანგი ხალხის თავისუფლებისათვის. 1942 წელს მისი ხელმძღვანელობით არალეგალურად გამოდის ეურნალები: „ფრანგული ლიტერატურა“ (რედაქტორი ჟაკ დეკური). „შუალამის გამოცემა“ (რედაქტორი კლოდ მორგანი), „მუზარადიანი პოეტები“ და სხვა.

არაგონის ამ პერიოდის ნაწარმოებებია: „დანა გულში“ (1941 წ.), „პან ოპტიკუმი“ (ლექსების წიგნი, 1943 წ.), „ელზას თვალები“ (ლექსების წიგნი, 1942 წ.), „საფრანგეთის განთიადი“ (ლექსების წიგნი, 1945 წ.), „ფრანგების დაცემა და სილიადე“ (მოთხრობების წიგნი, 1945 წ.), „ორელენი“ (რომანი, 1944 წ.), „რომის სამართალი უკვე აღარ არის“ (მოთხრობა), „გრევენის მუზეუმი“ (ლექსების წიგნი).

პოეტის შემოქმედების მეოთხე პერიოდი იწყება 1945 წლიდან, როდესაც მეორე მსოფლიო ომი უკვე დამთავრდა. ამ პერიოდში არაგონი ნაყოფიერად მუშაობს, მშვიდობის თემაზე წერს ლექსების, რომანების, მოთხრობებისა და ნარკვევების მთელ ციკლს. თავის ნაწარმოებებში გაბედულად ამხელს ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ ომის გამჩალებლებს. ამ პერიოდის ნაწარმოებებია: „კაცი — კომუნისტი“ (რომანი, 1946 წ.), „იმპერიალზე მოგზაურნი“ (რომანი, 1947 წ.), „კულტურა და ადამიანები“ (ნარკვევი, 1947 წ.), „რჩეული ლექსები“ (1946 წ.), „კომუნისტები“ (რომანი, 1949 წ.).

(ლუი არაგონის პოეზიას ახასიათებს სისადავე, ხალხურობა. პოეტი აგრძელებს ვიქტორ ჰიუგოს პოლიტიკური პოეზიის ტრადიციას) და დღესაც იღვწის საფრანგეთში მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის დანერგვისათვის, ებრძვის რეაქციონერი მწერლების უიდეობასა და აპოლიტიკურობას, ყოველი მწერლისაგან მოითხოვს ხალხისადმი სამსახურს.

ლუი არაგონი გააზრების პოეტია და არა უბრალო ემოციებისა. იგი დროულად ეხმაურება ფრანგი ხალხის

ცხოვრებაში მომხდარ ძვრებს, უმღერის მშრომელი ერის ბრძოლას თავისუფლებისათვის. არაგონის პოეზიას ახასიათებს არა მშრალი რიტორიკა და გაზვიადებული ხოტბა, არა ზერელე ქვრეტა, არამედ თემისადმი უშუალო დამოკიდებულება. მის ლექსებსა და რომანებში ასახულია უშიშარი ფრანგი პატრიოტების საგმირო საქმეები, მათ არ ეშინიათ სიკვდილისა, მზად არიან დაიხოცონ, ოლონდ კი საფრანგეთმა იცოცხლოს.

თავის შესანიშნავ(პოემაში „წითელი ფრონტი“ პოეტი აგვიწერს პირველი იმპერიალისტური ომის ამბებს, ჟან ჟორესის მუხანათურ მკვლელობას, ამერიკელი იმპერიალისტების მიერ საკო და ვანკეტის სიკვდილით დასჯის შემადრწუნებელ სურათებს. | არაგონი წმინდართავს საფრანგეთის პროლეტარიატს დაამსხვრიოს ბურჟუაზიის სახელმწიფო მანქანა! და მის ნანგრევებზე ააშენოს ახალი — პროლეტარიატის დიქტატურა. მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი პოემიდან:

განადგურებს მათ ხალხის რისხვა,—  
აჯანყებულნი ასწევენ დროშას.

ცეცხლი გამცემლებს: ბონკურს და დეას,  
ლეონ ბლიუმს და მუხანათ ფროსარს!  
მე მესმის—მათი სიკვდილი მოდის,  
და გულს იმედის ნათელი მოსავს.

ცეცხლი მათ, ფრანგო კომუნისტებო,  
დე, გადამწყვეტი გაჩაღდეს ბრძოლა!  
ჩვენ შემართული თოფებით ხელში  
უნდა ვაგემოთ მტარვალებს ძრწოლა.  
დიდმა ლენინმა იცოდა უკეთ  
ხალხის დარაზმვა და წინ გაძლოლა.

(თარგმანი გ. კალანდაძისა).

პოეტი ამათრახებს პუანკარეს, ხოტბას ასხამს მატერიალისტურ დიალექტიკას. არაგონი ბუდიონის ჯარისკაცებს ასე მიმართავს:

დიდება მამაც ბუდიონელებს,  
ვაშა მარქსისტულ დიალექტიკას.  
დიდება დიად წითელ არმიას,  
ძმებო, ბრძოლების გზები ერთი გვაქვს.

წინ, ბუდიონის ჯარისკაცებო,  
ბრძოლა—ომსა და უამინდობას!  
ყოველ თქვენ სუნთქვას, ყოველ თქვენ ნაბიჯს  
მთელ მსოფლიოში მოაქვს მშვიდობა.

(თარგმანი გ. კალანდაძისა).

პოემა მთავრდება იმით რომ რუსეთში იმარჯვებს ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც რუსეთის ხალხებს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა. ამიერიდან,— დაასკვნის პოეტი,— საბჭოთა კავშირი მშვიდობის დიდი ბურჯი ხდება. ეს იყო ლუი არაგონის პირველი სააგიტაციო პოემა, რომელიც მან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ დაწერა. ამ პოემაში პოეტი წარსულს გამოეთხოვა.

შემდეგ გამოდის მისი პოემების წიგნი „კომუნისტები მართალი არიან“, რომელშიც უმღერის მუშათა კლასის მოწინავე რაზმს, კომუნისტებს, მათ მართალ საქმეს. ამ დროიდან იგი ყალიბდება როგორც რევოლუციონერი მწერალი. მისი პოეზია გაელენთილია სამშობლოს, მართალი ხალხის სიყვარულით, მოიცავს რევოლუციურ სულიანკვეთებას, სატირისა და პათეტიკის ელემენტებს, რაც პოეტს მასებთან ლაპარაკის საშუალებას აძლევს.

—1934 წელს მწერალი აქვეყნებს შესანიშნავ რომანს: „ბაზელის ზარები“, რომელმაც მთელ საფრანგეთში დიდი გამოცხილი ჰპოვა. (მოქმედება წარმოებს პირველი იმპერიის ისტორიის ომის წინა ხანებში. ბაზელის ზარები რეკავენ სწორედ ომის წინა დღეს. რომანის თემა ეხება მერყევი ინტელიგენტის ცხოვრებას.) ასეთი ინტელიგენტი ბევრი იყო საფრანგეთში და დღესაც ცოტა როდია. ამ სახის ინტელიგენტებს ეშინოდათ რევოლუციისა, მერყეობდნენ, ეჭვობდნენ, არ იყვნენ დარწმუნებული რევოლუციის გამარჯვებაში. ეს რომანი პირველი ნაწარმოებია, რომელიც სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზეა აგებული. რომანის გმირს — მაღამ დიანა ბრიუნელს ღმერთები ოქროთი დაფარავენ. რომანში ვიგებთ, თუ ვინ არის პატარა სამოთხის ღმერთი. ეს არის საავტომობილო ქარხნის მფლობელი — ვისნერი, დიანას საყვარელი და მფარველი. ვისნერი აგრეთვე დიანას ქმრის, მევახშის მფარველია.

მაგრამ სად არის ვისნერის სიმდიდრის წყარო? ამაზე მოგვითხრობს რომანის მეორე გმირი — ეკატერინე სიმონიძე. ამ უკანასკნელს აღაშფოთებს ის საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობს. ეკატერინე ხედავს თავისი ცხოვრების უმაქნისობას. იგი ერთ დროს ანარქისტების წრეში დადიოდა და იმ დროიდან დაწყებული, გაურკვეველი მიზნები ჩაესახა. ინტელიგენტს, რომელმაც ცხოვრებაში ბევრი კრიტიკული მომენტი გადაიტანა, სიცოცხლე მობეზრდა, სურს ცხოვრებისაგან თავის დაღწევა. რომანში მოცემულია ავტობიოგრაფიული მომენტებიც. ეკატერინე სიმონიძის გზა ბევრ რამეში თვით



არაგონის გზას გვაგონებს. ჯერ კიდევ 1924 წ. არაგონმა და მისმა ამხანაგმა სურეალისტებმა დასვეს კითხვა—„არის თუ არა გამოსავალი გზა თვითმკვლელობაში?“ ერთი წლის შემდეგ მათ გაიგეს, რომ გამოსავალი თვითმკვლელობაში როდია, არამედ კლასთა ბრძოლაში, რომელსაც შეუძლია დასმული პრობლემების გადაჭრა. წელში მოხრილ ეკატერინესთან კაცი მიდის. ეს არის ტაქსის შოფერი, რომელიც გამოესაუბრება საჭირბოროტო საკითხებზე. ეკატერინეს შეხვედრა პარიზის პროლეტარიატთან ცვლის მის ცხოვრებას. იმავე დღეს პარიზის ტაქსის 9.000 შოფერი გაფიცვას აცხადებს, რაც 44 დღეს გასტანს. ეკატერინე მონაწილეობს მუშათა გაფიცვაში, უბრუნდება ცხოვრებას, მასში დიდი გარდატეხა ხდება.

როგორც ნათქვამი იყო, ვისნერი უბრალო კაცი როდია—ავტოქარხნის მფლობელია. იგი უშვებს სხვადასხვა სახის მანქანებს პოლიციელებისა და ქორვაჭრებისათვის, დაკავშირებულია ნიუ-იორკთან. ვისნერი ხელმძღვანელობს შტრაიკბრეხერების ძირგამომთხრელ მუშაობას, ებრძვის გაფიცულ მუშებს. იგი ერთი მხრივ პოლიციის დახმარებით მოქმედებს, მეორე მხრივ კი „თავისი ხალხის“ მეშვეობით, პროფკავშირებში რომ ჰყავს შენიღბული.

წლუი არაგონი ამავე დროს ხოტბას ასხამს ქართველთა მოდგმას და გვაცნობს მადამ სიმონიძის ვინაობას.

„1912 წელს ეკატერინეს 26 წელი შეუსრულდა. ლარუსის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ნათქვამია, ქართველები ყველაზე მშვენიერი ადამიანური რასაა დედამიწაზეო, ეკატერინე კი ამის ცოცხალი მაგალითია“.

ბოლოსჯავტორი აგვიწერს ბაზელში გამართული ომის საწინააღმდეგო კონგრესის მიმდინარეობას, /კონგრესზე ჟან ჟორესისა და კლარა ცეტკინის მგზნებარე გამოსვლებს /ომის წინააღმდეგ, მათ ენერგიულ ბრძოლას მშვიდობისათვის.

პირველი მსოფლიო ომიდან დაწყებული, არაგონი იბრძვის ფრანგული ლიტერატურის განთავისუფლებისათვის დემორალიზატორების ძალადობისაგან, ხელოვნების ხალხის სამსახურში ჩასაყენებლად. მან ჯერ კიდევ მაშინ გადაჭრით მოითხოვა რეალიზმისაკენ დაბრუნება.

მეორე მსოფლიო ომის წლებში პოეტი სხვადასხვა ფსევდონიმით წერდა მოთხრობებსაც. ეს მოთხრობები მწერალმა ომის დამთავრების შემდეგ გამოსცა სათაურით: „დაცემა და დიდება ფრანგებისა“. მათში ასახულია ფრანგი ხალხის ცხოვრება 1940-დან 1944 წლამდე. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში საფრანგეთი ერთიანი როდი ყოფილა, ერთნი გამცემლობას ეწეოდნენ, მეორენი კი იარაღით ხელში იცავდნენ სამშობლოს. მწერალი გამცემლებს „ფრანგების დაცემას“ უწოდებს, ხოლო ვინც ომობდა, მას „ფრანგების დიდებას“.

ამ წიგნში კარგად არიან დახატული იატაკქვეშ მომუშავე ფრანგი გმირები, რომლებიც მამაცურად ებრძოდნენ გერმანელ დამპყრობლებსა და ფრანგ ვიშისტებს.

მოთხრობაში „შეხვედრა“, რომელიც ამ კრებულშია შეტანილი, აღწერილია ოკუპაციის წლები საფრანგეთში. მოთხრობის გმირი მუშა ემილი ახერხებს საპყრობილედან 80 პატიმრის გაქცევის მოწყობას.

მოთხოვნაში გამოყვანილია აგრეთვე სტენოგრაფისტი ქალი ივონა, რომელიც უშიშრად ებრძვის ჰიტლერულ ჯალათებს, ავრცელებს პროკლამაციებს. ერთ დღეს, ივონასა და ემილს საფრანგეთის პოლიციის ინსპექტორის თანდასწრებით გესტაპო აპატიმრებს. დამაჯერებლად არის აღწერილი დაკითხვის დროს მათი გმირული საქციელი.

მოთხოვნაში „რომის სამართალი უკვე აღარ არის“ გამოყვანილია ერთ-ერთი გერმანელი სამხედრო მოსამართლე, ნაციტური პარტიის წევრი 1933 წლის 30 იანვრიდან. ეს იყო „სახელგანთქმული“ ოფიცერი ლუტვიც რანდუ. მაიორ რანდუს ფრანგი პარტიზანები ტყვედ ჩაიგდებენ ხელში. ამ ჯალათ მოსამართლეს პატრიოტები დახვრეტენ.<sup>1</sup>

არაგონის კალამს ეკუთვნის ბროშურა: „კათოლიკური ეკლესია და ომისათვის მზადება“, რომელშიც ავტორი ნიღაბს ჰგლეჯს რეგორც კათოლიკურ ეკლესიას,<sup>2</sup> ისე სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც პაციფისტური ფრაზებით ატყუებენ მშრომელებს, სინამდვილეში კი ომის ნამდვილი გამჩალებლები არიან. ავტორი მუშათა კლასს ასწავლის, რომ ეკლესიები პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ იბრძვიან.

ბროშურაში (მხილებულია ეკლესიის კონტრრევოლუციური ბუნება და, )<sup>3</sup>კერძოდ, საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის (ვერაგი ზრახვები—ანტისაბჭოთა ომის მომზადება.)<sup>4</sup>წიგნში კარგად არის ნაჩვენები ის ფაქტი, რომ ეკლესია კაპიტალიზმს გზას უკაფავს, ეხმარება ბურჟუაზიას დაიმონოს პროლეტარიატი, კოლონიური ხალხები.

ავტორი მშრომელებს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ახვე დროს მწერალი ფრანგ ხალხს ურჩევს მხარი დაუქროს საბჭოთა კავშირს.

(1940 წელს)ლუი არაგონი არალეგალურ მდგომარეობაზე გადადის, აჩალებს ბრძოლას გერმანელი ოკუპანტებისა და ვიშის გამცემლური მთავრობის წინააღმდეგ. აქტიურად ებმება ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. (რიგი ელხა ტრიოლესთან ერთად აარსებს არალეგალურ ჟურნალს „საფრანგეთის ლიტერატურა“. ) ამის გარდა, მათ გამოსცეს ლექსების ორი კრებული: „პოეტების პატიოსნება“ და „განთავისუფლების რვეულები“.

ამ ლექსებში პოეტები ფრანგ ხალხს ეროვნული პატიოსნების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ ნათელი გახდა, რომ/ლუი არაგონი ოკუპაციის მიიმე წლებში წერდა სხვადასხვა ფსევდონიმით: „ფრანსუა და კოლერი“, „ჟაკ დესტენი“, „ჟარნო დე“ და „სენ-რომანი“...

(1941 წლის აგვისტოში მწერალი აქვეყნებს შესანიშნავ ლექსს „რადიო-მოსკოვი“, რომელშიც ფრანგ ხალხს მიმართავს: ყური დაუგდეთ მოსკოვის რადიოგადმოცემებს, რადგან კაცობრიობის მონობისაგან ერთადერთი მხსნელი მოსკოვიაო.)

გატენებამდე სოფელ ვალმში ცოტა დრო დარჩა,  
გამოიღვიძე, საფრანგეთო, მშობელო მხარე,  
დაე. რუსული გამხნეებდეს გმირობა, გარჯა,  
კარს მტერი გადგეს, მტერს დახვედრა არ უნდა განა?  
მაშ, საფრანგეთო, მოამხადე ზამთრისთვის დანა!

(თარგმანი გ. კალანდაძისა).

მეორე ლექსში „იასამანი და ვარდები“ პოეტი გვიხატავს იმ შემადრწუნებელ სურათებს, რაც შედეგად მოჰყვა საფრანგეთის მთავრობის გამცემლობას.) ლექსში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, (თუ როგორ ჭაჩრულად ჩააბარეს საფრანგეთის სატახტო ქალაქი პარიზი ჰიტლერელ ბანდიტებს: )

პარიზში ახლა ულმობელი მტერი ისვენებს;  
პარიზი მტრისთვის დაუთმიათ უომრად ჩვენებს.

შესანიშნავია „ბალადა იმ კაცისა, ვინც წამების დროს შლეროდა“. ბალადა გაბრიელ პერისადმი არის მიძღვნილი, გადმოგვცემს ფრანგი ხალხის რევოლუციურ განწყობილებას, მის გმირულ საქმეებს. აქ აღწერილია ოკუპაციის წლების საფრანგეთი. ჰიტლერელების საპყრობილეთა ჯურღმულებში იტანჯებიან ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილები, მათ აწამებენ, რათა გასცენ საიდუმლოება, მაგრამ ამაოდ, ვერ გატეხეს ფრანგი პატრიოტების ნებისყოფა, ისინი გმირულად კვდებიან.

არა, არ გავცემ მე ქვეყნად არვის,  
დაე, ჯალათმა მაწამოს, მტანჯოს,  
მებრძოლ საფრანგეთს, მშობლიურ პარიზს  
და მის ხვალინდელ დღეს გაუმარჯოს.

(თარგმანი გ. კალანდაძისა).

(გაბრიელ პერის მამაცობას ეხება აგრეთვე არაგონის პოემა „გაბრიელ პერის ლეგენდა“, რომელიც არალეგალურად გამოაქვეყნეს გაბრიელ პერის დახვრეტიდან ორი წლისთავზე. პოემა დაწერილია ხალხის თქმულების

მიხედვით, პოეტმა მაშინ ზუსტად არ იცოდა როგორ აწამეს გაბრიელ პერი და სად დაასაფლავეს. შემდეგ გამოიჩინა, რომ გაბრიელ პერი დასაფლავებულია არა ივრის სასაფლაოზე, არამედ სურეზში.

პოეტი მიმართავს ტირანებს:

ივრის ცოდვიან სასაფლაოზე  
გაბრიელ პერი დღეს ისევ მღერის,  
გამობრწყინდება სხვა განთიადი,  
მოვა მეორე გაბრიელ პერი.

. . .

ივრის ცოდვიან სასაფლაოზე  
ცივ სამარეში მიტოვებული,  
კვლავ სცემს მშობლიურ საფრანგეთისთვის  
გაბრიელ პერის მგზნებარე გული.

(თარგმანი გ. კალანდაძისა).

შესანიშნავია ლექსი „დიდება“, რომელშიც პოეტი უმღერის ფრანგ პარტიზანებს:

ვინა თქვა, თითქოს რომ ჩვენ დავმარცხდით?!  
ვინ ლაყბობს ასე თავგამოდებით?  
გმირებს მტრის ტყვიის არ ეშინიათ,  
არ შედრკებიან პატრიოტები.  
დიდება მამაც ჩვენს პარტიზანებს,  
მტერს რომ უტევენ თავგამოდებით.

(თარგმანი გ. კალანდაძისა).

(1942 წლის ბოლოს შვეიცარიაში გამოდის არაგონის ლექსების წიგნი „ელზას თვალები“, რომელმაც დიდი გამოძახილი ჰპოვა საფრანგეთში.) კრებულში მოთავსებულია ბევრი ლირიკული ლექსი. | პოეტი უმღერის

უახლოეს მეგობარს ელზას, უზიარებს მას თავის აზრებს სამშობლოზე. აქ ნახავთ ლექსებს სიყვარულზე, მისი ლირიზმი მთის ტბასავით წმინდაა. (კრებულში ყველაზე ძლიერია სამშობლოს სიყვარული, არაგონი აგვიწერს საფრანგეთის სილამაზეს, პარიზის ქვაფენილებს, ლუარის მიდამოებს, არაგონის ტყესა და ვერსალის ბალებს. ამავე დროს (გადმოგვცემს საფრანგეთის წარსულს, თაყვანს სცემს სტენდალსა და რასინს. ზამ ლექსების წიგნიდან აღსანიშნავია პოემა „ის, რაც ცრემლზე უმშვენიერესია“. მთელი პოემა ოპტიმიზმით არის გაყვანილი. პოეტი ხედავს, რომ სამშობლო დაცემულია, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, უცდის საათს, როდესაც აღდგება მშობელი მხარე.

თავის ლექსებსა და მოწოდებებში არაგონი ხშირად იხსენიებს საბჭოთა კავშირს, მის უძლეველ არმიას, რომელმაც ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ფრანგ ხალხს. არაგონის ლექსები დაწერილია უბრალო, გასაგები, ხალხური ენით, რაც დიდ ძალას მატებს მის პოეზიას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე იმპერიალისტური ომის დასაწყისში ლუი არაგონი ქმნის შესანიშნავ ლირიკულ ლექსებს. ეს ის პერიოდია, როცა ამერიკის იმპერიალიზმის დახმარებით ინგლის-საფრანგეთისა და ფაშისტური გერმანიის დიპლომატები ცდილობენ შეაკოწიწონ ანტისაბჭოთა ბლოკი. საფრანგეთის დემოკრატიული ბანაკი ამ მძიმე პირობებში განაგრძობს ბრძოლას მშვიდობისათვის, მოუწოდებს ფრანგ ხალხს დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ედუარდ დალადიეს (რეაქციულ ცენზურასთან საბრ-

ძოღველად პოეტი გამოიძუშავებს თავისებურ შეთოდს, მიმართავს გადაკვრით თქმას, (იგაგ-არაკებს<sup>ლ</sup> თავის ანტიმილიტარისტულ ლირიკას) და სატირას კლასიკური ლიტერატურისა და (მითოლოგიის სამოსელში ხევეს.)<sup>1</sup>

| პოეტი პარიზს ხატავს ძველი ტროას ყაიდაზე, სადაც „ჭეკუბა ჯარის წინაშე დამწუხრებულია“, — ეს არის მწუხარე დედის კლასიკური სახე. | პარიზიდან შორს, მივარდნილ სოფლებში გლეხი ქალები მართა, ელიზა, ტერეზა, მარია თავიანთ შვილებსა და ძმებს ამოდ ელოდებიან, არსად ჩანს პიერი, როჟე, გასკონი, არ არის მათი „ძძიმე ხელები“, მოსავალი რომ აიღონ.

არაგონის ლირიკაში ჟღერს ზიზლი სიკვდილით მოვაჭრეებისადმი, ყველა იმ პიროვნებისადმი, ვისაც უნდა ხალხს ხელიდან გამოჰკვლიჯოს მშვიდობა. მათთან ყოფნა, — შენიშნავს პოეტი, — ნიშნავს იყო ცხოვრების მტერი, მზის მტერი.

1940 წლის გაზაფხულზე საფრანგეთის რეაქციულმა მთავრობამ 44 ფრანგი კომუნისტი დეპუტატი გაასამართლა. | მათი ერთადერთი „დანაშაული“ ის იყო, რომ იბრძოდნენ მშვიდობის, ფრანგი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის. | ამ ამბავთან დაკავშირებით პოეტი წერს ლექსს. | მასში არაგონი ამაღელვებლად გადმოგვცემს მათი გასამართლების მთელ პროცესს, ერთხელ კიდევ გაახსენებს ფრანგ იუდეებს, რომ ბრძოლა საშართლიანი საქმისათვის მუდამ უძლეველია, „აკლდამაში ცხოვრობს ტირანების დაღუპვის წმინდა ოცნება“, ხალხს სჯერა, რომ „მუსიკა განაგრძობს ჟღერას იქ, სამშობლოს საიდუმლო გულში“ და ადამიანი გაი-



მარჯვებს. სამყარო გაიგებს ადამიანის სიმღერას, რო-  
მელიც ბედნიერებას გვაუწყებს.

ასე ისახებოდა და ვითარდებოდა არაგონის პოეზია-  
ში ომის გამჩაღებლებისადმი სიძულვილი. საფრანგეთის  
დამარცხებამ პოეტში დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

როდესაც წინააღმდეგობის მოძრაობა აღმავლობის  
გზით იწყებს სელას, არაგონის პატრიოტული პოეზია  
ფრთას შლის, სიგი წერს მებრძოლ ლექსებს. მისი ლექ-  
სების ერთ-ერთი კრებული ასეთი სიტყვებით იწყება:  
„უშუღერი ადამიანსა და მის იარაღს“. ეს იყო ფრანგი  
ხალხი, რომელმაც იარაღი აისხა აგრესორების წინააღ-  
მდეგ საბრძოლველად (არაგონი თავის საპროგრამო ლექს-  
ში „პოეტი თავის პარტიას“, იხსენებს განვლილ გზას,  
და წერს:

ჩემმა პარტიამ მარჯუნა თვალები და მეხსიერება...

ჩემი სისხლი იყო წითელი და მქონდა ფრანგული გული.

ეს ლექსი დაიწერა ომის დამთავრების წინახანებში.  
მასში გამოთქმულ აზრს პოეტი ავითარებს თავის გა-  
მოსვლებში და აგრეთვე წიგნში „ადამიანი—კომუნისტი“  
(1949 წ.), რომელშიც ავტორმა შეაგროვა წინააღმდეგობის  
მოძრაობის ხანის მთელი თავისი პუბლიცისტიკა. (პარტიამ,  
კომუნისტების დიდმა იდეამ, — ამბობს პოეტი, — მომცა მხედ-  
ველობა, მეხსიერება, დამეხმარა შემეცნო ხალხის ისტო-  
რია, გამეგო ხალხის როლი, რომელიც სამშობლოს სიყ-  
ვა რულის ნაძღვილი მატარებელია. პოეტი აქ ქებას ას-  
ხანს ფრანგ პარტიზანებს, დიდი სიყვარულით იგონებს  
ფრანგი ხალხის ბრძოლის ძველ ტრადიციას, ერთხელ

კიდევ ახსენებს ფრანგ ხალხს გლეხი ქალის—ჯანა დ'არკის გმირობას, უშიშარი როლანდის უკანასკნელ ბრძოლას, სახალხო პოეტ-ტრუბადურ ჯანა ლეკას, რომელიც მოკლეს ინგლისელმა ოკუპანტებმა ასწლიანი ომის დროს.

ლუი არაგონის მთელი შემოქმედებითი გზა ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი ჩამოყალიბდა როგორც ნებრძოლი, პატრიოტი პოეტი ანტიხალხური კოსმოპოლიტური ლიტერატურის წინააღმდეგ ბრძოლაში. (წიგნში „ადამიანი — კომუნისტი“ ნწერალი ამხელს გარეწართ, რომელთათვის საფრანგეთი მხოლოდ ლიტონი სიტყვაა. „ეშმაკის ვეჭილები“— ასე განსაზღვრავს არაგონი რეაქციის მსახურთა ფუნქციებს.) ეს ვაგებატონები ამცირებენ ფრანგი ხალხის ეროვნულ გრძნობას, ხატავენ ფრანგ ხალხს როგორც „პატარას, საწყალსა და მხდალს“.

არაგონის პოეზიაში მებრძოლი მოტივები დიდი ძალით გამოიხატა. შემთხვევითი როდი იყო ის ამბავი, როდესაც მის პოეზიასა და პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა დიდმა ტილოებმა, იშვა ეპოსი. აქ ლაპარაკია ეპიკური ამბების განვითარებაზე, მთელი საფრანგეთის ერთგული შვილების დარაზმევაზე კომპარტიის გარშემო. მათ შეიგნეს ხალხის როლი ისტორიაში, ასულდგმულებთ საფრანგეთის გმირული ტრადიციები.

მწერალი თავის შემოქმედებაში ცდილობს გვიჩვენოს, რომ უბრალო ფრანგ ადამიანებს, რომლებიც იბრძოდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ, აქვთ სამშობლოსათვის საუკუნეობრივი ბრძოლის ტრადიციები. ლუი არა-

გონის მიერ არალეგალურად დაწერილი ლექსები და სიმღერები ფართო პოეტურ მემკვიდრეობას ეხმაურება.

(არაგონი აყენებს ფორმულას: „როლანიდან ტემბომდე“. ტემბო უბრალო ფრანგი მუშა იყო, მან სიცოცხლე შესწირა ფრანგ ხალხს. როლანიდან ტემბომდე ფრანგმა ხალხმა დიდი ისტორიული გზა განვლო. ახლა იგი ისეთ ეპოქაში ცხოვრობს, სადაც უკვე მთელი ხალხია გმირი.) არაგონი წერს: „გმირობა ახლა გამონაკლისი როდია, არამედ მასობრივი მოვლენაა“. ტემბოს შესაცვლელად მოდის ასობითა და ათასობით ერთგული შვილი, რომელთაც მხარს უჭერს მთელი ფრანგი ხალხი. ეს გმირები კვდებიან პარტიის, სამშობლოს, საბჭოთა კავშირის გულისათვის.

მწერალი თავის პოეზიაში გვიხატავს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მტრების მუხანათურ საქმიანობას, სამარცხვინო ბოძზე აკრავს მათ. (მისი ლექსების განუყრელი თემაა საბჭოთა და ფრანგი ხალხების მეგობრობა.) 1949 წლის შემოდგომაზე პოეტი იყო მოსკოვში, სვეტებიან დარბაზში წარმოთქვა სიტყვა. „მაგონდება, — ამბობდა იგი, — როგორი აღფრთოვანებით მოვისმინე რადიოთი საფრანგეთის მთებში წითელი მოედნის საათის რეკვა, მოსკოვის ქუჩების ხმაური, თითქოს ღია ფანჯრიდან ვიყურებოდით“.

წინააღმდეგობის მოძრაობაზე ფრანგმა მწერლებმა ნაწარმოებთა მთელი სერია შექმნეს. ამ ნაწარმოებებში ნათლად დახატეს იმ ბრძოლების სიდიადე, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწეოდა. ფრანგი პატრიოტული ძალების იდეურად შეიარაღებაში დიდი როლი შეასრულეს

საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებმა, რომლებიც საფრანგეთში არალეგალურად იბეჭდებოდა. ამ საქმეში დედაწლი მიუძღვით ლუი არაგონს, ელზა ტრიოლეს, ვერკორს, ლეონ მუსინაკს, ჟან დეკურსა და სხვებს...

1942 წლის დამდეგს არაგონი სამხრეთ საფრანგეთში ჟაკ დიუკლოსაგან იღებს საბუთებს შატობრიანის ახლოს 27 ფრანგი კომუნისტის დახვრეტის თაობაზე) დიუკლო სწერდა: „აქედან შექმენი ძეგლი“. ამ სტრიქონების საფუძველზე პოეტი აქვეყნებს პატრიოტულ ეპოპეას: „წამებულთა მოწამე“<sup>1</sup> მასში უმღერის მუშა მელითონე ტემბოს, პარიზის მშრომელთა საყვარელ ორატორს, რომელიც გმირულად მოკვდა საფრანგეთისათვის; პოეტი უმღერის მასწავლებელ მიშელს (პარლამენტის დეპუტატი), 17 წლის კომკავშირელ გი მოლეს. მათ სიკვდილის დროს ერთხმად შესძახეს: „გაუმარჯოს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს...“

ეს ნაწარმოები ხელიდან ხელში გადადიოდა, იგი გავრცელდა საზღვარგარეთაც.

კომუნისტურ პარტიასთან და ხალხთან განუწყვეტელ კავშირში მებრძოლ ნაწარმოებებს ქმნიდნენ ლუი არაგონი, ელზა ტრიოლე, ჟან დეკური, პოლ ელუარი, ჟან ლაფიტი, ჟორჟ კონიო, როჟე გაროდი, ჟან ფრევილი, კლოდ მორგანი და სხვები. ამ ნწერლებმა წინააღმდეგობის წლებში გამოძერწეს მოწინავე ადამიანთა უკვდავი სახეები. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია მტკიცედ დამკვიდრდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიტერატურაში. ეს იყო მნიშვნელოვანი ეტაპი ფრანგი პროგ-

რესული მწერლების იდეურ და შემოქმედებით განვითარებაში. მათ წინ გადაეშალათ რეალისტური, მებრძოლი ხელოვნების შექმნის ნაყოფიერი პერსპექტივები.

1943 წლის იანვარში ქვეყნდება არაგონის ლექსების წიგნი: „პოეტების პატიოსნება“, რომელშიც ნათლად ჩანს ფრანგული ლირიზმის სიძლიერე. აქ გამოთქმულია იმედი ფრანგი ხალხის საბოლოო გამარჯვებისა. ამ პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა პოეტები: პიერ სეგერსი, პიერ ემანუელი, ლოს მასონი, რომლებიც ლუი არაგონისა და პოლ ელუარის გავლენით იწყებენ წერას მუშათა კლასის ბრძოლის თემაზე.

/1943-1945 წლებში წიგნის ბაზარზე ჩნდება/ლექსების წიგნი „საფრანგეთის განთიადი“. აქ შესანიშნავია ლექსები: „საფრანგეთის განთიადის პრელუდია“, „ელზა სარკის წინ“, „სიმღერა. ორმოც ათასზე“, „თავისუფალი მსროლელის სიმღერა“, „სიმღერა სტრასბურგის უნივერსიტეტზე“, „პარიზი“, „პოეტი თავის პარტიას“.

ლუი არაგონი საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარია. ჩვენი დიადი ქვეყნისადმი მიძღვნილ ლექსებში უძღერის საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ხალხის გმირულ, მშვიდობიან შრომას. ამ მხრივ გამოირჩევა „ურალი ლაპარაკობს“, „შრომა“, „ნადეჟდინის ოცდაშვიდი წამებულის ბალადა“.

როგორც აღვნიშნეთ, პირველ ხანებში ლუი არაგონის პოეზიას ახასიათებდა ძალდატანებითი, ბუნდოვანი სტილი. მაგრამ შემდეგ პერიოდში იგი ნათელ პოეტურ სახეებს ქმნის, წერს პატრიოტულ ლექსებს სამშობლო-

ხე, პარტიაზე, მუშათა კლასის ბრძოლაზე. ეს ლექსები ელვისებური სისწრაფით ვრცელდება მთელ საფრანგეთში, მათ ფრანგი ხალხი მღერის. ლუი არაგონის პოეზია მდიდარი ხდება ღრმა პოეტური აზროვნებით.

( ლუი არაგონმა სახელი გაითქვა აგრეთვე როგორც რომანისტმა. 1949 წელს პარიზში გამოდის მისი შესანიშნავი რომანი: „კომუნისტები“, რომელიც სამი სერიისაგან შედგება, თვითეული სერია კი რამდენიმე წიგნისაგან. )

„არაგონის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან მებრძოლი ნაწარმოები შექმნა. როგორც ყოველთვის, იგი პარტიის პოზიციებზე მტკიცედ დგას. ამ წიგნმა და მისმა ავტორმა პარტია ასახელეს“<sup>1</sup> – ასეთი შეფასება მისცა ფრანგი ხალხის ბელადმა მორის ტორეზმა ლუი არაგონის ახალ რომანს — „კომუნისტებს“.

„კომუნისტები“ წარმოადგენს თანამედროვე პროგრესული ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს, (რომელშიც მწერალი დამაჯერებელ მხატვრულ ფორმაში აგვიწერს ფრანგი ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის. ეს რომანი ნამდვილი ფრანგული ეროვნული ეპოპეაა.) მასში ნაჩვენები არიან ფრანგი ერის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც წარბეჭედებულად იბრძოდნენ თავისუფლების, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. რომანში დასმული ფრანგი ხალხის საკირბოროტო საკითხები ჩინებულად არის გადაჭრილი. მწერალი მიზნად ისახავს მხატვრულად დაგვიხა-

<sup>1</sup> „L' Humanite“, 1949 წ. 25. III.

ტოს თანამემამულეთა ბრძოლა მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომის სუსხიან დღეებში, როდესაც მთელ საფრანგეთში გერმანელი ოკუპანტები პარპაშობდნენ. ავტორი ნათელი შტრიხებით ამხელს საფრანგეთის ბურჟუაზიის გამცემლობას.) რომანის ყველა სტრიქონში ხალხის-მისწრაფებებია ჩაქსოვილი, (აქ მთავარი მოქმედი პირი ხალხია,) როგორც ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. აქედან გასაგებია, რატომ გახდა იგი ასე პოპულარული მთელ პროგრესულ ლიტერატურაში.

(პირველი წიგნი იწყება ესპანეთის ამბებით. იტალია-გერმანიის ფაშისტური ჯარების დაწოლის შედეგად ესპანელ რესპუბლიკელთა არმია საფრანგეთის საზღვრისაკენ იხევს. საფრანგეთის ბურჟუაზია უდიდეს დანაშაულს ჩადის, ესპანელ პატრიოტებს თავშესაფარს არ აძლევს. და ბანდიტ ფრანკოს უგდებს ხელში. რომანის პირველი სერია მთავრდება 1940 წლის ივნისის ამბებით. საფრანგეთის არმია გამცემელთა ხელში აღმოჩნდება, პარიზს უბრძოლველად ჰიტლერელებს აბარებენ.) ვკითხულობთ რომანს და გზადაგზა ვიგებთ, თუ როგორ მზადდებოდა ომი საფრანგეთის წინააღმდეგ. მწერალი ერთიანი თანმიმდევრული თხრობით გვიხატავს ასობით მოქმედ პირს, გვიჩვენებს ფრანგული საზოგადოების სხვადასხვა ფენას, ცალკეული ადამიანების პირად დრამას.

ლ. არაგონი დარწმუნების დიდი ძალით, ღრმა ალფრთოვანებით გვიჩვენებს ბრძოლებში გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს იცავს.

ავტორი ისტორიულ სინამდვილეს მემატრიანის თვალთახედვით როდი განსაზღვრავს, უშუალოდ, დინჯად აკვირდება ამბების მსვლელობას და დამაჯერებლად აგვიწერს მთელ ამ ისტორიულ პროცესს. რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საფრანგეთის რეაქციული ბურჟუაზიის მხილებას, გამომჟღავნებულია მისი დღევანდელი დანაშაულებრივი საქმიანობა, საფრანგეთი ამერიკის იმპერიალიზმის ნახევარკოლონიად რომ გადააქცია. მწერალი იჩენს რეალური ამბების ტიპური გმირების თვისებათა ღრმა ცოდნას.

(გისნერის სახით ნაწარმოებში ვხედავთ ნამდვილ კაპიტალისტურ მბრძანებლებს, ყველა ჯურისა და რანგის ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს, მინისტრებიდან დაწყებული, წვრილფეხა აფერისტებით დამთავრებული. მათი ფიგურები რომანში მკვეთრი სარკაზმით არის დახატული. საქვხედებით მესამე რესპუბლიკის ინსტანციებში მოქმედ პირებსაც, რომლებიც ცდილობენ პირად გამდიდრებას, აკეთებენ მაქინაციებს, ყიდიან საფრანგეთს. „მინისტრთა კაბინეტები“ არამზადებისა და საექვო პირებისაგან ყალიბდება, საფრანგეთის არმიის სათავეში გამცემლები ექცევიან.) მწერალი სამარცხვინო ბოძზე აკრავს პროფაშისტურ პოლიტიკოსებს, რომლებიც ემსახურებოდნენ და დღესაც ემსახურებიან ომის გამჩალებელ იმპერიალისტებს და თავი ხალხის „მეგობრებად“ მოაქვთ.

(ავტორი დიდი დამაჯერებლობით აგვიწერს საფრანგეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობას მუორგმსოფლიო ომის წინა ხანებში. მწერალი მისთვის ჩვეუ-



ლი დაუზოგველობით ამხელს რეაქციონერთა ხროვას, რომელიც მომბდა არა ჰიტლერელების, არამედ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. მათ აკრძალეს „ლუმანიტე“. აკრძალეს კომპარტია, საპყრობილებებში ჩასვენს ხალხის რჩეული დებუტატი-კომუნისტები; ფეხქვეშ გათელეს ფრანგი ერის მიერ სისხლით მონაპოვარი კონსტიტუცია. რომანში ნათლად არის აღწერილი რეაქციონერთა მუხანათური მეთოდები, რომელთაც ისინი იყენებდნენ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს მეთოდები კარგად დაახასიათა მორის ტორეზმა თავის წიგნში „ხალხის შეილი“, რომელიც მეორედ 1940 წელს გამოვიდა პარიზში.

(განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ თავებს, სადაც მხილებულია საფრანგეთის მთავრობის აგრესიული ზრახვები საბჭოთა კავშირის მიძარტ.) მწერალი ცხადყოფს, რომ საფრანგეთის რეაქციული წრეები აქეზებდნენ გერმანელ დამპყრობლებს მოემზადებინათ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (დალაღიე და რეინო აღგენდნენ ფარულ გეგმებს ფინეთით საბჭოთა კავშირში შემოსაჭრელად.) რომანში თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები, თუ რა მხეცურ სიძულვილს იჩენდნენ რეაქციის ძალები მშვიდობის ბურჯის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ნაწარმოებში დიდი სიძლიერით დახატულია ანტისაბჭოთა ინტრიგების ჯაჭვი.

ავტორმა მთელი სიღრმით გახსნა ისტორიული სინამდვილე, დამაჯერებლად დაახასიათა საფრანგეთის „200 ოჯახი“, რომლებიც ამერიკელი იმპერიალისტების ლაქიები გახდნენ. ლუი არაგონი აქ გორკისებურ

აზრებს ავითარებს: როდესაც ბურჟუაზია დეგრადაციას განიცდის, თავის წრეში ვერ ითმენს ყოველ ჯანმრთელ ელემენტს; ამიტომ თვითეულ პატიოსანი ადამიანი მას ზურგს აქცევს. (რომანში ასევე <sup>გმირია</sup> ქან დე მონსე, რომელიც ძლიერ აღწევს თავს ბურჟუაზიულ სინამდვილეს, მის ზნე-ჩვეულებებსა და ცრუ შეხედულებებს, იგი თანდათან ნამდვილი ადამიანი ხდება. ქანს ამაში ხელი შეუწყო არზიაში მისმა დაახლოებამ ხალხის წრიდან გამოსულ ადამიანებთან—კომუნისტებთან. რომანში დიდი ადგილი უჭირავს ქან დე მონსესა და სესილ ვისნერის თავგადასავლის აღწერას, სესილ ვისნერი ბურჟუაზიული წრიდან გამოსული ქალია, იგი ვერ ურიგდება გადაფარებულ, ხრწნად ბურჟუაზიულ სამყაროს და კავშირს წყვეტს მასთან. რომანში კარგად არის ნაჩვენები ის ამბავი, რომ ყოველი პატიოსანი ადამიანი ხალხთან, კომუნისტებთან მიდის, ერის სასიცოცხლო ინტერესებს იცავს.)

[ძველი ბურჟუაზიული აკადემიკოსის—ბარანტეს ქალიშვილები კომუნისტები ხდებიან, მათ არ ეშინიათ მთავრობის დრაკონული კანონებისა და არალეგილურ მუშაობაში გაბედულად ემბეზიან. გარდაქმნის რთული გზა განვლო ვეჟილმა თომა გატნერმა, რომელიც ბოლოს და ბოლოს კომუნისტი გახდა. ოსტატურად არის აღწერილი აგრეთვე კადრის პოლკოვნიკის აფუანისა და მოქანდაკე ქან ბლეზის გარდაქმნის მთელი პროცესი.] ეს მთავარი ძაფია დიდი თემისა, რომელიც რომანშია მოთხრობილი. ვკითხულობთ ამ ნაწარმოებს და ვხედავთ, რომ ყველა, ვინც ერის კეთილდღეობაზე ფიქრობს,

კომუნისტების ირგვლივ ირაზმება. მწერალი დიდი აღფრთოვანებით მოგვითხრობს უბრალო ფრანგი ადამიანების სიდიადეს, იმედებსა და გასაქირს.

„კომუნისტები“ გაქვნილია ხალხის გამარჯვების, ხალხის უძლეველობის რწმენით. წიგნის მიზანია გააღვიძოს მასების მძლე ძალები. ამიტომ არის, რომ ასეთ პათეტიკურ დამაჯერებლობას აღწევენ ლუი არაგონის ბამაცი ადამიანები. ავტორი კარგად იცნობს ფრანგულ სინამდვილეს, ამიტომაც შექმნა ფრანგ კომუნისტთა ტიპური სახეები. (რომანში გამოყვანილი არიან კომპარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები: მორის ტორეზი, ეაკ დიუკლო, ეტიენ ფაჟონი, ბენუა ფრაშონი. ამის გარდა, აქ მოქმედებენ რიგითი კომუნისტებიც, რომლებმაც „უცნაური ომის“ წლებში ასახელეს სამშობლო, გაბედულად იბრძოდნენ უძნელეს პირობებში და დიდ ზარალს აყენებდნენ ოკუპანტებს.

(ნაწარმოების გმირები პოლ ბლანშარი და გილო ვალე მუშები არიან, დიდი საბრძოლო სკოლა განვლეს და პარტია მათთვის მშობლიური გახდა.) მათ ბრძოლას რომ თვალს ვადევნებთ, ვრწმუნდებით: რიგით კომუნისტებს ყველაზე ძნელ პირობებში უხდებოდათ ბრძოლა. პოლ ბლანშარი და გილო ვალე არმიაში შეხვდებიან სოფლელ კომუნისტ ვიქტორ პეზესს და დაუმეგობრდებიან, აქ ვხედავთ აგრეთვე პროვინციელ მასწავლებელ ალბერ უსტრიკკას, რომელიც, არმიაში რომ მოხვდება, მაშინვე გამოძებნის საიმედო ამხანაგებს კომუნისტების სახით. მთელ რომანში კარგად არის ნაჩვენები, როგორ იზრდებოდა და ძლიერდებოდა კომპარტიის რიგები.

ბანკის მოსამსახურე ფრანსუა ლებეკი მამაცი შებრ-  
ძოლი ხდება. ეს იმ დროს, როდესაც რეაქციის ძალები  
ავიწროვებდნენ კომპარტიას. ლებეკი გაბედულია, მუ-  
ქარისა არ ეშინია. ჟოზეფ ჟიგუამ ორივე ხელი და მხე-  
დველობა დაკარგა, მაგრამ სულთ არ ეცემა, ხალხის  
გამარჯვება სწამს. ჟურნალისტი არმან ბარბენტანი და  
პარლამენტის წევრი ლუსიენ სესრბონი პარტიის აღ-  
ზრდილი ახალი ტიპის ინტელიგენციის წარმომადგენ-  
ლები არიან, მკიდროდ დაკავშირებულნი ხალხის მასებ-  
თან. მათ ვხედავთ არმიაში. სადაც დიდ სიყვარულს  
იმსახურებენ.

(რომანში განსაკუთრებით კარგად არის აღწერილი  
კომუნისტი ქალების სახეები, რომლებმაც განუზომელი  
მამაცობა გამოიჩინეს მშვიდობისა და ომის წლებში.  
ფრანგი კომუნისტი ქალები პოლიციის მუდმივი დევნის  
პირობებში ასრულებდნენ ცალკეულ პარტიულ დავალებს.) მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს „ლუმანი-  
ტეს“ არალეგალურ ბექდვასა და გავრცელებაში. ამ  
ბრძოლებში იბადებოდნენ გმირი ქალები. რომანში(ასე-  
თი გმირი ქალები არიან: მარგაბრიტა კორჯიზარი, ივო-  
ნა გაიარი, მიშლანა ვალე, პოლეტა ბლანშარი, ჟანეტა  
ვერმერში და სხვები.

(ავტორმა აღწამნულ ნაწარმოებში გვიჩვენა კომუნი-  
სტების თავდადებული ბრძოლა ფრანგი ხალხის თავი-  
სუფულებისათვის, მათი მკიდრო კავშირი ხალხის მასებ-  
თან, მათი უნარი მასებისადმი ხელმძღვანელობისა.) მწე-  
რალს გამოჰყავს სწორი დასკვნები, რომ ფრანგი კომუნი-  
სტები წარმომადგენენ ერის საუკეთესო ნაწილს, მთელი

ფრანგი ხალხის სიამაყესა და დიდებას. იმ დროს, როდესაც პარტია დიდ დევნას განიცდიდა, კომუნისტები მამაცურად იბრძოდნენ საფრანგეთის საუკეთესო მომავლისათვის. კომუნისტები ყველაზე ბრძენი ადამიანები აღმოჩნდნენ, მათ ყველაზე ძნელ სიტუაციაში სიმშვიდე და გამბედაობა გამოიჩინეს. ამიტომაც იყო, რომ მათი გავლენა ასე გაიზარდა ხალხთა მასებში.

ფრანგები სასოებით შეჰყურებდნენ საბჭოთა კავშირს, მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯს; სწამდათ, რომ იგი გერმანიის ფაშიზმს გაანადგურებდა. რომანში უბრალო ფრანგი ხალხის ეს იმედები დიდი დამაჯერებლობით არის გადმოცემული. ავტორი მტკიცედ დგას სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე, გვიჩვენებს, რომ ტორეზის პარტია, რომელიც დიდ შევიწროებას განიცდიდა, ყოველდღე ხალხის სიყვარულსა და მხარდაჭერას იმსახურებდა. მის რიგებში განუწყვეტელ ნაკადად შედიოდნენ ახალი წევრები. (მწერალმა განსაკუთრებული სიძლიერით გვიჩვენა პარტიის მჭიდრო კავშირი ხალხის ფართო მასებთან. ოქრომჭედელი რობერ გაიორი კომუნისტი არასოდეს ყოფილა, როდესაც არმიაში გაიწვიეს, ეშინოდა, კომუნისტობა არ დამწამონო, რადგან კომუნისტები პოლიციის დიდ დევნას განიცდიდნენ. კომუნისტი არ ყოფილა მისი ცოლიც—ივონა გაიორი, მაგრამ საპყრობილეში მაინც ჩავარდა, რადგან „ლუმანიტეს“ არალეგალურ ბეჭდვაში კომუნისტებს ეხმარებოდა. ცოლის დაპატიმრების შემდეგ რობერ გაიორი შეიგნებს მდგომარეობის სერიოზულობას, მიხვდება, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს ამ ამბების უბრა-

ლო მოწმე. ერთ დღეს რობერი თავისი თვალით დაინახავს, როგორ მხეცურად ექცეოდა სამხედრო გამომძიებელი პატიმარ კომუნისტებს, როგორ სრესდნენ საბარგო მანქანები ქალებსა და ბავშვებს. (რობერი რწმუნდება, ვინ არის დამნაშავე ამ საშინელი კატასტროფის მოწყობაში. ახლა „იგი“ ლაპარაკობს როგორც კომუნისტი“, (ამაყობს თავისი ივონათი.) მისი აზრით, კომუნისტები პატივისცემის ღირსნი არიან. (ივონა გაიარაც კომუნისტი ხდება.) სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის იბრძოდნენ ივონა და მისი მსგავსი პატრიოტი ქალები. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის მტრებმა ვერ შეძლეს ჩაეხშოთ კომპარტიის ხმა, სიმართლის ხმა, ხალხის ხმა.

მეტად მნიშვნელოვანია რომანის ის ადგილი, სადაც დაწერილებით არის აღწერილი პარლამენტის 1940 წლის 16 იანვრის სხდომა. ამ სხდომაზე გამოიტანეს კომუნისტი დეპუტატებისათვის დეპუტატი უფლების ჩამორთმევის სამარცხვინო დადგენილება. ეს იმ დროს, როდესაც ბევრი კომუნისტი დეპუტატი ამ სხდომის მოწვევამდე უკვე დაპატიმრებული იყო) ყოველგვარი სასამართლოს გარეშე. რომანში (კარგად არის აღწერილი კომუნისტი დეპუტატის ეტიენ ფაჟონის გამოსვლა, სადაც მხილებულია საფრანგეთის გამყიდველი მთავრობა.

„... ეროვნული კრების თავმჯდომარემ ერიომ გამოაცხადა: „სიტყვა ეძლევა ბატონ ფაჟონს“... ეტიენ ფაჟონი დგება, ტოვებს თავის ამხანაგებს—სებრონს, გუტონს და კიბით ტრიბუნისკენ მიემართება. დარბაზში

მოძრაობაა, შემდეგ კი სიჩუმე... ეტიენ ფაჟონი უკვე ტრიბუნაზეა. გასცქერის სარბიელს, მოწითალო ფერებს. სხდომათა დარბაზი გრძლად მოჩანს, დაცდა მოუთმენელია, რადგან ფაჟონი ტრიბუნაზეა, უნდა ილაპარაკოს. ეტიენი პირველ რიგებში ხედავს თავის ამხანაგებს — გუტონს, სებრონს და მათ გვერდით კი რენეგატებს.

ეროვნული კრების სხდომა მოწვეულია იმისთვის, რომ დეპუტატ კომუნისტთა ჯგუფს ჩამოერთვას დეპუტატთა უფლებები... მთავრობამ ოქტომბრის დასაწყისში გასცა მათი დაპატიმრების ბრძანება და მათზე საერთო წესები გაავრცელა. ვაცხადებ ენერგიულ პროტესტს კომუნისტი დეპუტატების თვითნებური დაპატიმრების წინააღმდეგ... ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად ვიცავთ მუშათა ნამდვილ საქმეს, კომუნიზმის საქმეს“.<sup>1</sup>

(მეხუთე წიგნში ავტორი ტრაგიკულ ამბებს მოგვითხრობს. ეს იყო 1940 წლის 10 მაისს, როდესაც ჰიტლერის ჯარები შეიჭრნენ ბელგიასა და ჰოლანდიაში.) ამ ამბებმა საფრანგეთზე გავლენა მოახდინა, იგი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, ყველგან დაბნეულობა, პანიკა სუფევდა. მესამე რესპუბლიკის მესვეურებმა მონობისათვის გასწირეს ფრანგი ხალხი. მწერალი აგვიწერს საფრანგეთის ჯარების უკან დახევის დაწვრილებით ამბებს, გაქცეული ბრბოს საშინელ წამებას, ჰიტლერელების მხეცობას სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ. ავტორი ყველგან ხალხთა მასების უსაზღვრო მწუხარებას ხედავს.

<sup>1</sup> Louis Aragon—„Les Communistes“, Paris, 1949-1950 წ.

მწერალი დამაჯერებლად გვიხატავს კონფლიქტს ორ საფრანგეთს შორის. ერთი მხრივ ბურჟუაზიულ-საფრანგეთს შორის, რომელიც გაკოტრდა და ჰიტლერის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა; მეორე მხრივ კი სახალხო საფრანგეთს შორის. რომელიც კომპარტიის ხელმძღვანელობით გმირულ ბრძოლას აწარმოებდა ომისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ.

ლ. არაგონი კარგად ახერხებს შექმნას დიდი პოლიტიკური რომანი, რომელიც ააშკარავებს საფრანგეთის რეაქციული მთავრობის დანაშაულებრივ პოლიტიკას.

მეხუთე წიგნში, როგორც ზემოთ ვთქვით, მწერალი შესანიშნავად გვიხატავს მთავრობის უმაღლეს წრეებს იმ განსაცდელის დღეებში, როცა ჰიტლერელები პარიზს უახლოვდებოდნენ. კოცონს აძლევდნენ საგარეო სამინისტროს არქივს, ყველა ფიქრობდა, მთავრობის დარჩენა პარიზში უფრო ხელსაყრელია, თუ ევაკუაციაო? პარიზში ჩამოსული უისტონ ჩერჩილის კითხვას: „სად არიან საფრანგეთის რეზერვები?“, გამელენი უპასუხებს: „ეს რეზერვები არ არის“.

(საფრანგეთის ბურჟუაზიას) კარგად ახსოვდა ის გარემოება, რომ ერთი ომიდან წარმოიშვა პარიზის კომუნა, მეორიდან კი საბჭოთა რუსეთი. მას/ეჩვენებოდა კომუნისმის აჩრდილი, უკვე დაინახა „ბატონი ტორეზი ელისეს მინდვრებში“ საბრძოლველად გამზადებული. (ამიტომ ამჯობინა ხელისუფლება ჰიტლერელებისათვის ჩაეგდო ხელში.) ერთადერთი პარტია, რომელიც მტერს ეწინააღმდეგებოდა, იყო კომუნისტური პარტია. არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნისას, 1940 წლის ივ-



ლისის დღეებში, კომპარტიის ცეკამ მთავრობას მისცა წინადადება:

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გამოცხადდეს ეროვნული ომი. შეიარაღდეს ხალხი და პარტიზი გადაიქცეს მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

ამით მთავროდება პირველი სერია.

მთელ რომანში ყველგან იგრძნობა საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა, მისი ზრუნვა ფრანგი ხალხის მომავალზე. ერთ-ერთი გმირი ამბობს, როცა მომავალზე ვლაპარაკობ, მორისზე ფეიქრობო.

„კომუნისტებს“ საფრანგეთის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ დადებითი შეფასება მისცა, ბურჟუაზიული კრიტიკა კი ამაოდ ცდილობდა გაეყალბებინა რომანის სიუჟეტი და ავტორისათვის ცილი დაეწამებინა. ბურჟუაზიულმა კრიტიკამ მაინც ვერ უარყო ნაწარმოების შესანიშნავი მხატვრული ღირსებები. რომანმა მთელი საფრანგეთის ყურადღება მიიპყრო. გამოჩენილი ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი ჟან ფრევილი ასე აფასებს „კომუნისტებს“:

„ავტორმა გადმოგვცა განადგურების პერიპეტიები ისე, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა. თავისი გასაოცარი თხრობით არაგონის რომანი დგება ჰიუგოს, სტენდალისა და ზოლას სახელგანთქმულ ნაწარმოებთა გვერდით. მწერალმა ომი სამარცხვინო ბოძზე გააქრა; დაადასტურა კომუნისტების შორსმკვრეტელობა და უმღერა მათს მამაცობას. მან მოგვცა ახალი ძალა სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> „L' Humanité“, 10 V, 1950 წ.

საესეებით სამართლიანია ჯან ფრევილის შეხედულება. „კომუნისტები“ ნოვატორული თხზულებაა, იგი წარმოადგენს წარსულის საუკეთესო რეალისტური ტრადიციების გაგრძელებას. თანამედროვე მწერალმა ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძველზე აქტუალური ეროვნული ნაწარმოები შექმნა, ცხადია, რომანში არ არის გაშეორებული ის, რაც დაწერილი იყო თანამედროვე პროგრესული ლიტერატურის წინამორბედთა მიერ. „კომუნისტები“ ახლოს დგას და ორგანულად უკავშირდება არაგონის მიერ წინათ შექმნილი რომანების სერიას. ასეთებია: „რეალური საპყარო“, „ბაზელის ზარები“, „მოგზაურობა იმპერიალზე“ და სხვა. ისევე, როგორც „კომუნისტებში“, შემოაღნიშნულ ნაწარმოებებშიც დამაჯერებლად გვიხატავს ბურჟუაზიის გახრწნას.

„კომუნისტები“ თანამედროვე პროგრესული ფრანგული ლიტერატურის დიდი შენაძენია, სამართლიანი, გულწრფელი, პატრიოტული ნაწარმოებია. მთელ რომანში ხალხის გამარჯვების იდეა არის გატარებული. იგი სოციალისტური რეალიზმის პრინციპების გამოყენებით შექმნილი ფართო ტილოა. რომანში მხატვრული ასახვის ყველა ხერხი ავტორს იმიტომ აქვს გამოყენებული, რომ გახსნას სინამდვილის რთული წინააღმდეგობა. წიგნი გაუღენთილია საფრანგეთის მტრებისადმი სამკედრო-სასიცოცხლო სიძულვილით, ამავე დროს აქ დიდი სიყვარულით არის ლაპარაკი ხალხთა მასებზე — ისტორიის მამოძრავებელ ძალაზე.

როგორც ცნობილია, ლუი არაგონი საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებს ემყარება. იგი მრავალჯერ გამო-

სულა იმ მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ სოციალისტური რეალიზმი არ წარმოადგენს მარტო საბჭოთა ლიტერატურის კუთვნილებას. მისი აზრით, საფრანგეთშიც შეიძლება შეიქმნას სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოები. „კომუნისტები“ ავტორის ამ მოსაზრებას მთლიანად ადასტურებს. მართლაც, იგი ისეთი მხატვრული ტილოა, რომელშიც მომჯადოებელი ძალით, დიდი თვალსაჩინოებით გამოვლინებულია სოციალისტური რეალიზმის პრინციპები. ანდრე სტილი შენიშნავს, არაგონმა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვებით სინამდვილის რეალისტური გამოსახვის სისრულეს მიადწიაო.

ლუი არაგონი დაუფლებულია მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომელიც მწერალს დიდად ეხმარება სიმართლით ასახოს არა მარტო ფრანგული სინამდვილე, არამედ მსოფლიოს ხალხების ცხოვრება, მათი ბრძოლა და ზნე-ჩვეულებები, მარქსიზმ-ლენინიზმი მწერალს საშუალებას აძლევს სისწორით ამხილოს კაპიტალიზმის მთელი მანკიერება და პროლეტარიატს უჩვენოს ჭეშმარიტების გზა. ისევე, როგორც მაქსიმ გორკიმ და ვლ. მაიაკოვსკიმ თავიანთ ნაწარმოებებში გამოამჟღავნეს კაპიტალისტური სამყაროს სიღამპლე, ლუი არაგონმაც შესანიშნავად განავითარა სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, ამხილა დახვესებული კაპიტალისტური წყობილება და მუშათა კლასს უკეთესი მომავლისაკენ მოუწოდა.

მწერალი რეალისტურად გვიხატავს კაპიტალისტური საფრანგეთის ნამდვილ სახეს. იგი ხედავს პროგრესულ ძალებს, რომელსაც სათავეში კომპარტია უდგას, ხედავს

იმ ამოცანებს, რომლებიც საფრანგეთის მუშათა კლასის წინაშეა დასახული. ლ. არაგონი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი პირნათლად შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას—მოახდენს პროლეტარულ რევოლუციას და იხსნის მშრომელ მასებს კაპიტალის ჩაგვრისაგან. საფრანგეთის მუშათა კლასის საბრძოლო ამოცანები კარგად არის განსაზღვრული მორის ტორეზის ზემოხსენებულ წიგნში „ხალხის შვილი“. მორის ტორეზი წერს: „1944 წლის 30 ნოემბერს საღამოს გამოვედი საზამთრო ველოდრომის შენობაში დაძაბული აუდიტორიის წინაშე, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი. ხალხი ტაშს სცემდა, მღეროდა, იცინოდა და ხმაურობდა; ახლომახლო ქუჩები მდინარე სენის სანაპიროებამდე სავსე იყო ათეული ათასი პარიზელით. მე კვლავ მოგუწოდებ ფრანგებს გაეერთიანებინათ ძალები გამარჯვების მოსაპოვებლად.—შევაიარალოთ ჩვენი ჯარისკაცები, რეკონსტრუირებული იქნას ჩვენი მრეწველობა, დაესაჯოთ გამცემლები, გვწამდეს ხალხის ძალა, დავეყრდნოთ საბჭოთა კავშირის მეგობრობას, ერთსულოვანი მისწრაფებით მოვამზადოთ და განვახორციელოთ ჩვენი სამშობლოს აღორძინება, დაუღალავად ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ დემოკრატიული, თავისუფალი და დამოუკიდებელი საფრანგეთისათვის—აი საითკენ მოუწოდებდა ხალხს კომუნისტური პარტია.

„ერთიანობა, ბრძოლა, შრომა“—ასეთია ჩვენი პარტიის ლოზუნგი მომავალი პერიოდისათვის“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> Maurice Thorez—„Fils du peuple“, Moscou, 1961, pp 155-156.

ლუი არაგონი ეკუთვნის პროლეტარულ მწერალთა იმ სკოლას, რომელსაც ჰყავს თავისი კლასიკოსები ანრი ბარბიუსისა და პოლ ვაიან-კუტიურის სახით და თავის რიგებში ითვლის სიტყვის ისეთ ოსტატებს, როგორც არიან: ჟან ლაფიტი, პოლ ტიიარი, პიერ კურტადი, ანდრე სტილი, ელზა ტრიოლე და სხვები.

ლუი არაგონი თავის შემოქმედებითს მეთოდს საფუძვლად უდებს მოწინავე კლასთან კავშირს, რაც ახალი პროგრესული მოვლენაა: „კომუნისტები“ ერთ-ერთი ნაწარმოებია, რომელიც წარმოიშვა ახალი ხელოვნებისათვის ბრძოლაში. როგორც ცნობილია, თავის დროზე მარქსმა და ენგელსმა სურვილი გამოთქვეს ხელოვნებაში შექმნილიყო რევოლუციური პარტიის მოღვაწეთა სახეები, მაგრამ მაშინ ამის გაკეთება ძნელი იყო, რადგან ისტორიაში წამყვან როლს ბურჟუაზიული პარტიები ასრულებდნენ. მხოლოდ ასეთი გმირობის ჩადენა შეეძლო იმ კომუნისტს, რომელიც თავისი მოწინავე იდებით დაკავშირებული იყო მუშათა კლასთან. ბალზაკის, სტენდალის, ფლობერისა და ზოლას ტრადიციების განვითარებით არაგონმა შექმნა დიდი ეპიკური ტილო, რომელიც არსებითად XX საუკუნის 30-იანი წლების ფრანგული საზოგადოების მატთანეს წარმოადგენს. ავტორს შეეყავართ იმ ძნელ პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფაშიზმი აღმოცენდა.

რომანის გმირი ჟორჟეტა ლერტილუა ამბობს. სალამო გასაოცრად თბილია. ადამიანები ლამაზნი არიან. სახლი ყვაველებით არის სავსე. ყველა დიდი იდეა ჩაკვდა, იდეა, რომლის გულისათვის უგუნურები დაიხოც-

ნენ. ყველა დიდი იდეა ჩაკვდა... ნეტარების დრო დადგა. უნდა ვიცხოვროთ და ჩხოლოდ ვიცხოვროთ მშვიდად, ამბოხების გარეშე“.

ჟორჟეტას ამ სიტყვებში გამოსჭვივის დეკადანსის იდეოლოგია. მწერალი გვიხატავს საფრანგეთს მეორე იმპერიალისტური ომის წინა დღეს, როდესაც გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა პროგრესულ და რეაქციულ ძალებს შორის. რომანის გმირები—ფრანგი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები ეძებენ სწორ გზას. ამ ძიების შედეგია მათი მოსვლა პარტიის რიგებში. მწეოალი ქმნის პარტიული ორგანიზაციის გიგანტურ, ჯგუფურ პორტრეტს. კომპარტიის რიგებში იბრძვიან: ბანკის მოსამსახურე ლებეკი, ჟურნალისტი ბარბენტანი, პარტიის ცენტრალური აპარატის ნუშაკი ბენუა ფრაშონი, ოქრომჭედელი გაიარი, მუშები: ვალე, ჰლანმარი, დეკერი...

არაგონი ააშკარავებს ისტორიული ამბების მთელ დიალექტიკას, სამშობლოს ბედს ხელში იღებს ფრანგი ხალხი.

ავტორი ამავე დროს აგვიწერს ჯან დე მონსესა და სესილ დეგრეფეილის ინტიმური დანოკიდებულების ამბებს. მწერალი დამაჯერებლად გადმოგვცემს ამ ორი ახალგაზრდის სასიყვარულო თავგადასავალს. ეს გარემოება გადაჭრით უარყოფს ბურჟუაზიული კრიტიკოსების მიერ შექმნილ ზღაპარს, თითქოს პროლეტარული ხელოვნება უძლურია შექმნას ადამიანის ინტინური განცდებისადმი მიძღვნილი ნაწარმოები.

~~მეორე მხრივ „კონუნისტები“ ნათლად ამტკიცებს~~

ავტორის ძირითად ფილოსოფიურ თეზისს, — «იმე წარ-  
მოშობილია ბურჟუაზიული ცხოვრების წესის შედეგად.  
სეხილი მაშინ შეიყვარებს ქანს, როდესაც იგი გაიგებს  
ბურჟუაზიული წრის არასრულფასიანობას, რომელიც  
მას დიდი ხანია გარს ერტყა. მატერიალურ საფუძველ-  
ზე ჩამოვარდნილი უთანასწორობა ქანს დაათქვამს,  
იგი სვამს კითხვას: საერთოდ არსებობს თუ არა სამართ-  
ლიანობა საზოგადოებაში? ჩვენ ვიგებთ, რომ სესილსა  
და ქანს შორის სიყვარული მტკიცდება გაათვრებული  
ბრძოლის ფონზე. ამ ბრძოლის შედეგად ზეიმობს სიყ-  
ვარული, რადგან მისი გამარჯვებისათვის გამოვიდნენ  
პროგრესული ძალები რეაქციის ძალების წინააღმდეგ.

არაგონი ეკუთვნის იმ უცხოელ მხატვართა რიცხვს,  
რომელთაც ა. ჟდანოვმა მწერალთა პირველ საკავშირო  
ყრილობაზე „დასავლეთის პროლეტარულ ნწერალთა  
ძლიერი არმიის ბირთვი და ჩანასახი“ უწოდა. მას შემ-  
დეგ უკვე ორ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა. სოცია-  
ლისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდი, რომლის  
ნათელი გამოხატულება საბჭოთა ლიტერატურაა, მსოფ-  
ლიო ლიტერატურის მძლე ფაქტორი გახდა. ნწერლებ-  
მა, რომლებიც ამ მეთოდს დაეუფლნენ, დაიჭირეს ადგი-  
ლი მსოფლიო პროლეტარული ლიტერატურის პირველ  
რიგებში. ამ მწერალთა რიცხვს ეკუთვნიან: პაბლო ნე-  
რუდა, ანა ზეგერსი, იოჰანეს ბეხერი, ლუი არაგონი. არა-  
გონის „კომუნისტები“ მსოფლიო პროგრესული ლიტე-  
რატურის კლასიკურ ფონდში შედის.

არაგონმა შექმნა ახალი ტიპის ნაწარმოები. ეს არის  
ეპოსი, რომლის გმირია ხალხი თავისი სირთულითა და

მრავალფეროვნებით. ამიტომაც რომანში გამართლებულია მასობრივი სცენები, სადაც გმირებად გამოდიან ადამიანთა დიდი კოლექტივები, მოქმედებენ ორგანიზაციები, კლასები და მთელი ერები. ამიტომ არის, რომ კონფლიქტები გიგანტური მასშტაბით ვითარდება. მწერალი თავის ნაწარმოებს უძღვნის ხალხებს, ფაშიზმის შემოტრევისაგან თავს რომ იცავენ.

გორკის ერთგული მოწაფე ლუი არაგონი მთელ თავის ნიქს იმეორებს წარმართავს, რომ გვიჩვენოს ისტორიის ნამდვილი შემქმნელების—მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის სულიერი სილამაზე.

ამ ეტაპზე ფრანგი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში უფრო ღრმად ასახავენ ხალხის ცხოვრებას, კეთილი ნების ადამიანების სულიერ ზრდას, ასე აქტიურად მშვიდობისათვის ბრძოლაში რომ მონაწილეობენ. ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში არც ერთ ფრანგ მწერალს ისე ნათლად არ აუსახავს მშობელი ხალხის საქმიანობა, როგორც არაგონს. ამიტომ არის, რომ მორის ტორეზი ლუი არაგონს მაღალ შეფასებას აძლევს. იგი ამბობს, არაგონი ცოცხალ ფრანგ მწერლებს შორის უდიდესი მწერალიაო.

ლუი არაგონი როგორც მხატვარი-რეალისტი წინ აღუდგა დეკადანსის ანტიჰუმანისტურ ლიტერატურას. იგი აგრძელებს კლასიკური ფრანგული მწერლობის ძველ ტრადიციებს და ამავე დროს შეაქვს მასში პრინციპულად ახალი რამ. იგი იმყოფება ისტორიულად ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე წარსული საუკუნის მწერლები, რადგან შეიარაღებულია მოწინავე რევოლუციური თეო-



რით, ხედავს იმ ძალას, რომელსაც ისტორია მოძრაობაში მოჰყავს, ეს კი საშუალებას აძლევს შექმნას მართალი ნაწარმოები.

„დაუქთავერებელი რომანი“ — ასე ეწოდება ლუი არაგონის დიდ ლირიკულ-ეპიკურ პოემას, რომელიც 1956 წლის დამლევს პარიზში გამოვიდა. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა პიერ კურტადმა პოეტის ამ წიგნს „პოეზიის სასახლე“ უწოდა.

მართლაც, ეს ნაწარმოები სასახლეა ~~რომელიც~~ აშენებულია გამოცდილი ოსტატის ხელით, ეს არის სასახლე პოეტის გრძნობებისა და ფიქრებისა. ავტორი მოგვითხრობს ჩვენი საუკუნის მნიშვნელოვან ამბებს, გვესაუბრება ადამიანის ადგილზე ცხოვრებაში, სიყვარულზე, ბრძოლაზე. აქ თვითეული სურათი თვითონ ლაპარაკობს თავის საკუთარ ენაზე, ამასთან ერთად ყველა ისინი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, — ეს არის ლუი არაგონის პოეზიის ენა.

ეს პოემა მარტო ავტობიოგრაფიული ხასიათისა კი არა, დროის ავტობიოგრაფიაც არის. პოეტი დიდი ექსპრესიით აგვიწერს პირველ იმპერიალისტურ ომს, გერმანიას, პარიზს, სურეალისტ პოეტებს, ეძებს ახალ გზებს ამ პოეტების გავლენისაგან განთავისუფლებისათვის. ლ. არაგონი დიდი სიყვარულით გადმოგვცემს ელზა ტრიოლესთან შეხვედრას. სიყვარულსა და მეგობრობას, ეძებს გზას ახალი სამყაროსაკენ. ჩვენ თვალწინ იშლება კვლავ პარიზი, სახალხო ფრონტი, ომი, წინააღმდეგობის მოძრაობა, ომის შემდგომი წლები. გულთბილად არის დაწერილი თავები: „სიტყვა ცხოვრება“,

„ცხოვრება სიყვარული“, „სიყვარული—ეს სიტყვა რო-  
დია“, „ეს არის ჩვენი ცხოვრება“, „სტრუქტონები, რომ-  
ლებიც უნდა გვახსოვდეს“, „შენ“, „გაზაფხულის ფასი“  
და სხვა...

ერთ-ერთ თავში „გაზაფხულის ფასი“ პოეტი უმღე-  
რის ფრანგ პარტიზანებს, წითელი არმიის გაზაფხულს,  
ფრანგი ხალხი რომ გაათავისუფლა. პოეტი ამავე დროს  
ემშვიდობება თავის მეგობრებს, კერძოდ კი პიერ იუ-  
ნაკს, რომელიც არაგონის თანამოკალმე იყო. პიერ იუნა-  
კი 1940-დან 1945 წლამდე იმყოფებოდა სლოვაკიის  
ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში. ომის დამთავრე-  
ბის უკანასკნელ დღეებში გაიქცა ბანაკიდან მთებში, სა-  
დაც ზეაფის ჩამოწოლის დროს დაიღუპა.

ლუი არაგონის ეს პოემა ერთხელ კიდევ მოწმობს  
იმას, რომ იგი დიდი ნიჭისა და ერუდიციის პოეტია,  
აგრეთვე მისი შემოქმედებითი გზის ყოველდღიურ  
ზრდას.

1956 წელს მწერალმა გამოსცა „საბჭოთა მოთხრო-  
ბების კრებული“, რომელსაც წამძღვარებული აქვს ვრცე-  
ლი წინასიტყვაობა. ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშ-  
ნავს, 1917 წლიდან 1930 წლამდე არც ერთ ქვეყანას  
არ მოუცია ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის მწერლები,  
როგორიც საბჭოთა კავშირმა მოგვეცაო. ასეთ მწერალ-  
თა რიცხვს მიაკუთვნებს ალექსანდრე ბლოკს, მაქსიმ  
გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ვალერი ბრიუსოვს,  
სერგეი ესენინს, ალექსი ტოლსტოისა და სხვებს...

ავტორი აკრიტიკებს ბურჟუაზიულ კრიტიკოსებს,  
რომლებიც ბრალს სდებენ საბჭოთა ლიტერატურას

ერთფეროვნებაში და ამ ლიტერატურის დასაცავად მოჰყავს მრავალი დამაჯერებელი მაგალითი.

თავის წინასიტყვაში არაგონი წერს: „აზერბაიჯანის გვერდით ვუჩვენებ საქართველოსაც—მირაქათა კლასიკურ ქვეყანას, რუსთაველისა და ბარათაშვილის ქვეყანას, ჰუშკინის, ლერმონტოვისა და მიაკოვსკის საქართველოს. მკითხველთა ყურადღებას მივაქცევ კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მთის მოთხრობას“, რომლის რომანი „კოლხეთის ცისკარი“ მალე გამოვა და წაიკითხავენ საფრანგეთში. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ეკუთვნის მწერალთა იმ თაობას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩამოყალიბდა და 1924 წლიდან დაიწყო ბეჭდვა. მაგრამ ახლა არ მინდა წინასწარ ვილაპარაკო იმ შთაბეჭდილებაზე, რომელსაც ეს მწერალი ჩვენში მოახდენს“<sup>1</sup>.

ლუი არაგონი თავის ამ მნიშვნელოვან შრომაში რუსული ლიტერატურის გვერდით დიდ ადგილს უთმობს ქართულ ლიტერატურასაც. ქართულ ლიტერატურას მიმოიხილავს მეთორმეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნემდე. იგი დიდ შეფასებას აძლევს გრ. აბაშიძის, გ. ტაბიძის, ირ. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძისა და სხვა ბევრი ქართველი მწერლის შემოქმედებას. „ქართული ლიტერატურა, — წერს ავტორი, — არსებობს უკვე თხუთმეტი საუკუნეა. მე-12 საუკუნის ბოლოს შეიქმნა ეპოპეა, რომელიც დღემდე მეფობს ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ იმ დროისათვის ქართულ ლიტერატურას უკვე დიდი გზა ჰქონდა გავლილი.

<sup>1</sup> იურნ. „მნათობი“ № 4, 1947 წ., გვ. 140.

თერგი არ მინახავს, აფხაზეთს არ გავშორებდით, მაგრამ საქართველოს ვიცნობ ქართველი პოეტების შემეგობით. საქართველო... საქართველოს სამხედრო გზა, თოვლიანი მწვერვალები, ქართლის ბალები, წინანდლის ვაზები, მტკვრისა და არაგვის ნაპირები და ის, რაც პუშკინის ნაწერებიდან ვიცი, თითქოს. მასთან ერთად ვინახულეო არზრუმი, ლერმონტოვთან კი მცხეთის ციხე-დარბაზის ნანგრევები“.<sup>1</sup>

1957 წლის 3 ოქტომბერს ლუი არაგონს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა. საფრანგეთის პროგრესულმა პრესამ ამ თარიღს მნიშვნელოვანი სტატიები მიუძღვნა.

ეს ღირსშესანიშნავი თარიღი განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა მრავალი სტატია და მილოცვა.

„პრავდამ“<sup>2</sup> 3 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა ილია ერენბურგის წერილი „საფრანგეთის პოეტი“, რომელშიც წერს: „დიდი პოეტები და დიდი იდეები აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს. არაგონი გახდა კომუნისტი იმიტომ, რომ იგი დაიბადა როგორც ნამდვილი პოეტი... უპირველეს ყოვლისა, არაგონი პოეტი. მისი პოეზია რთული და მრავალფეროვანია...“

არაგონი ნოვატორია. მან ფრანგული ლექსის განახლებისათვის ბევრი რამ გააკეთა და მასთან ერთად უყვარს ფრანგული პოეზიის ყველა ტრადიციული ფორმა“.

---

<sup>1</sup> ჟურნ. „მნათობი“ № 4, 1947 წ. გვ. 140.

დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, არაგონს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა. „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც პოეტს გაუგზავნეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მორის ტორეზმა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი არაგონს უსურვებს დღეგრძელ სიცოცხლეს და შემოქმედებითს წარმატებებს ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში.

არაგონი „ლუმანიტეში“ აქვეყნებს ვრცელ სტატიას, რომელშიც წერს: „ვერ ვხედავ სხვა საშუალებას გადავუხადო მადლობა იმათ, ვინც ლენინის პრემია მომანიჭა, თუ არა იმას, რომ ვიყო ამ სახელის ღირსი“.

1930 წლის შემოდგომაზე ლუი არაგონი ელზა ტრიოლესთან ერთად პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, მონაწილეობა მიიღო რევოლუციონერ მწერალთა კონფერენციაზე ხარკოვში. თუმცა რუსული არ იცოდა, მაინც მაშინვე გამოძებნა საერთო ენა საბჭოთა მწერლებთან. თავის სიტყვაში განაცხადა: „დავიცვათ ხუთწლიანი გეგმა, დავიცვათ სოციალისტური მშენებლობა—ეს ნიშნავს დავიცვათ არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ მსოფლიო პროლეტარიატი“.

1934 წელს ლუი არაგონი მონაწილეობდა საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე. მ. გორკიმ შეაჯამა ყრილობის შედეგები და დაასახელა მთელი პლეადა მებრძოლი მწერლებისა, მათ შორის ლუი არაგონიც მოიხსენია.

1954 წლის დეკემბერში, საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე ლუი არაგონი გამოდის მგზნებარე სიტყვით, რომელიც გაქვნილია ლიტერატურის მაღალი პარტიულობისათვის ბრძოლის პათოსით. „პოეზია—ეს არ არის გადარჩენის კუნძული ისტორიულ ქარიშხლებს შორის,—ამბობს არაგონი,—იგი არის საერთო ბრძოლის ნაწილი, ისევე განუყოფელია ამ ბრძოლისაგან, როგორც კომუნისტის შინაგანი სამყარო განუყოფელია იმ ბრძოლისაგან, რომელსაც კომუნისტები აწარმოებენ. ჭეშმარიტი პოეზია—ეს არის პოეზია სიკეთისა, იგი გაიმარჯვებს ინდივიდუალიზმზე ყველა ადამიანთან ერთად ამქვეყნად, იგი გაიმარჯვებს საშინელ მორალურ დეზერტირობაზე, წყვდიადსა და სოციალურ ჩაგვრაზე“...

თუ გადავხედავთ არაგონის თხზულებებს, რომლებიც ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში გამოაქვეყნა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწერალმა ზემოთქმული უკვე შეასრულა.

\* \* \*

ლ. არაგონმა სახელი მოიხვეჭა არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მწერალი დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა კავშირში, ახლახან გამოვიდა რუსულ ენაზე მისი თხზულების II ტომი.

საბჭოთა ხალხი პატივს სცემს არაგონს მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი მხატვრული სიტყვის დიდოსტატია, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა ლიტერატურის

დაულაღვი პროპაგანდისტია საფრანგეთში. ელზა ტრიო-  
ლესთან ერთად მან ფრანგულ ენაზე თარგმნა ვლ. მაია-  
კოვსკის ლექსები. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა საფ-  
რანგეთში რუსული და საბჭოთა მწერლების ბევრი ნა-  
წარმოები.

ჯერ კიდევ არ არის დაწერილი არაგონის მეცნიე-  
რული ბიოგრაფია. ტომებია საჭირო იმისათვის, რომ  
აისახოს პოეტის მრავალფეროვანი ცხოვრება და შემოქ-  
მედება. ჩვენი მიზანი იყო მკითხველისათვის გვეჩვენე-  
ბინა საერთო ხაზებში არაგონის პოეზიისა და პროზის  
სიძლიერე.

მის პოემებსა და რომანებში, ლექსებსა და სტატიებ-  
ში აღბეჭდილია საფრანგეთის ცხოვრების მთელი ისტო-  
რიული ზოლი, თვით არაგონის ცხოვრებისა და შემოქ-  
მედებითი განვითარების ეტაპები; მისი სულიერი ზრდა,  
პოლიტიკურ და მხატვრულ შეხედულებათა ევოლუცია.  
მწერლის შემოქმედებაში მკითხველი ნათლად ხედავს  
მთელი ეპოქის მატთანეს.

მეცნიერებისა და ლიტერატურის პარტიულობის თე-  
ორიის სწორად გაგებამ შესაძლებლობა მისცა ლუი არა-  
გონს ფრანგული რეალისტური ლიტერატურის საუკე-  
თესო ტრადიციებზე დაყრდნობითა და მათი გამოყენე-  
ბით საფუძველი ჩაეყარა ახალი მხატვრული მეთო-  
დისთვის. მწერალი მხატვრული შემოქმედების ნა-  
ყოფიერ გზას ხედავს სინამდვილის რეალისტურ ასახ-  
ვაში, პროგრესული იდეების გამოხატვაში. არაგონმა  
კარგად შეისწავლა საბჭოთა ლიტერატურის, აგრეთ-  
ვე 20-იანი და 30-იანი წლების მოწინავე ფრანგული

ლიტერატურის განვითარების გზები, და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანადროულობის ჭეშმარიტი მხატვრისათვის სოციალისტური რეალიზმის გზა ერთადერთი სწორი გზაა.

ფრანგულმა პროგრესულმა კრიტიკამ „ბაზელის ზარებში“ დაინახა სოციალისტური რეალიზმის პრინციპები. ფრანგულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე „მდიდარ კვარტალებს“.

„ჩვენს რევოლუციურ ეპოქას,—წერს მარსელ კაშენი,—ესაჭიროება ისეთი მწერლები და მხატვრები, რომლებიც მთელი სულითა და გულით მონაწილეობენ სოციალურ ბრძოლაში... ჩვენი ამხანაგის, არაგონის დამსახურება ის არის, რომ იგი ხმამაღლა აცხადებს ამ ბრძოლაში მონაწილეობას მწერლის პირველ და მთავარ მოვალეობად“.

ასეთია არაგონი — პოეტი, არაგონი — რომანისტი, არაგონი — საზოგადო მოღვაწე, არაგონი — ტრიბუნი, არაგონი — მებრძოლი, არაგონი — კომუნისტი, საბჭოთა კავშირის გულწრფელი მეგობარი.



## ელზა ტრიოლე

ელზა ტრიოლე სამწერლო ასპარეზზე გამოდის მეორე ნსოფლიო ომის წინა ხანებში. ნიჭიერი ჟურნალისტი წერას იწყებს გაზეთში, აქვეყნებს ნარკვევებსა და ცალკე სტატიებს.

ნწერალი 1917 წლამდე თავის ოჯახთან ერთად მოსკოვში ცხოვრობდა, შემდეგ გაემგზავრა პარიზში და მისი მკვიდრი გახდა. მამამისი დღესაც ცოცხალია, ცხოვრობს ლონდონში, პროფესიით ვექილია. ელზას ოჯახში ხშირად დადიოდა მამამისის კომპანიონი ვლადიმერ კრიუკოვი; ელზა 13 წლისა იყო, როცა უკანასკნელად ნახა ეს მეტად ლამაზი ვაჟი. კრიუკოვს შეუყვარდა ელზას და—ოტედა, რომელსაც მაშინ 15 წელი შეუსრულდა. ვლადიმერ კრიუკოვი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა გერმანელი ფაშისტების ტყვეით.

ვლადიმერ კრიუკოვი 13 წლის ელზაზე გავლენას ახდენს. იგი დასთან—ოდეტასთან ერთად იწყებს ფრანგი მწერლების თავდავიწყებით კითხვას, განსაკუთრებით გატაცებულია მოპასანით, თავის მოთხრობაში „ატმის ხის ძირას დამარხული რვეულები“ ელზა ტრიოლე იგონებს საკუთარი ბავშვობის ამ მომენტს: „ორი

წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ვლადიმერზე ვფიქრობდი, შესაძლებელია ერთხელაც არ გამოვსულვარ ისე, რომ მასთან შეხვედრაზე არ მეოცნებოს, მე მხოლოდ მისით ვცხოვრობდი. მან მასწავლა, თუ რა არის სიყვარული“.

ელზას ბავშვობიდანვე ეტყობა სერიოზულობა, ოდეტასთან ერთად ნშობლების სურვილის წინააღმდეგ მოქმედებს, გოგონები გაურბიან ყოველგვარ კავშირს მსხვილ ბურჯულებთან. ელზა ჯერ სწავლას იწყებს პოლიტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ შედის უნივერსიტეტში ლიტერატურულ ფაკულტეტზე.

ელზა ტრიოლე ცნობილი ფრანგი კომუნისტი მწერლის ლუი არაგონის უახლოესი მეგობარია. მეორე მსოფლიო ომის სუსხიან დღეებში იგი ლუი არაგონთან ერთად აქტიურად მონაწილეობს წინააღმდეგობის მოძრაობაში, ასრულებს კონუნისტური პარტიის მნიშვნელოვან დავალებებს, წერს ნოველებს, მოთხრობებს, რომანებსა და თეორიული ხასიათის სტატიებს. ნწერალი ქალი ამ ნაწარმოებებში ასახავს ფრანგი ხალხის ბრძოლას მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის. ამის გარდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწევა, ფრანგულ ენაზე თარგმნის რუსი მწერლების ნაწარმოებებს. დაწერილი აქვს თეორიული შრომა—„მაიაკოვსკი—რუსი პოეტი“.

მწერლის კალამს ეკუთვნის ბევრი მოთხრობა და რომანი. მოთხრობებს შორის აღსანიშნავია: „პარიზს ესიზმრება“, „ანრი კასტელა“, „ღრმა ნწუხარებით“,

„ჩვეულებრივი გადასვლა საზღვარზე“, „ივეტა“, „ავინიონელი შეყვარებულები“, „კერძო ცხოვრება ან ალექსის სლავსკი — თავისუფალი ხელობის კაცი“, რომანებიდან: „ნანგრევთა ინსპექტორი“, „გამარჯობა, ტერეზა“, „არავის ვუყვარვარ“, „შეიარაღებული მოჩვენება“, „თეთრი რაში“, „წითელი რაში ანუ ადამიანური განზრახვა“ და სხვები.

ელზა ტრიოლე მებრძოლი მწერალია, იგი ვლადიმერ მაიაკოვსკის მებრძოლ სულისკვეთებას ინარჩუნებს. ლუი არაგონთან ერთად ოკუპაციის პერიოდში ოთხი წლის განმავლობაში საფრანგეთში იყო და ფრანგი ხალხის დუხჭირ ცხოვრებას იზიარებდა. ყველა ამბავი, რასაც მწერალი თავის მოთხრობებში გადმოგვცემს, თვითონ განიცადა, ამიტომაც მისი მოთხრობები ასე გატაცებით იკითხება.

1939 წლის 2 სექტემბერს ლუი არაგონს მობილიზაციის წესით „საოცარ არმიაში“ გზავნიან, სადაც ბრძოლის სურვილი არავის ჰქონდა. იგი აქ პოლიციის ზედამხედველობით თხრის სანგრებს. უფრო გვიან ბელგიის საზღვარზე „სატანკო“ არმიაში იწვევენ.

ელზა 1940 წლის 10 ივნისამდე პარიზში ცხოვრობს, შემდეგ გადადის ბორდოში, სადაც პირველად ხედავს გერმანელ დამპყრობლებს.

1940 წლის ოქტომბრიდან არაგონთან ერთად ბინას იღებს „თავისუფალ“ ზონაში, სამხრეთ საფრანგეთის ძველ ქალაქ კარკასონში. იქ ელზა ჩადის იმ განზრახვით, რომ ლუი არაგონის ნაწარმოებთა გამომცემლისაგან ფული მიიღოს, მაგრამ იმედი უცრუვდება — მი-

ზანს ვერ აღწევს. ელზა და ლუი აქ ძალზე ცუდ პირობებში ცხოვრობენ: მატერიალურად შევიწროებულნი მუდამ სამუშაოს ძებნაში არიან. სწორედ ამ დროს არაგონი ამერიკიდან იღებს თავისი წიგნის პონორარს. ეს მათ ნივთიერ მდგომარეობას ბევრად აუწყობესებს. ელზა ქ. ნიცაში გადადის.

გამომცემელი პიერ სეგერსი ამჩნევს ლუი არაგონის პოეზიის მიღწევებს და 1941 წლის გაზაფხულზე აქვეყნებს მისი ლექსების წიგნს „დანა გულში“. გერმანელმა ოკუპანტებმა ვერ გაიგეს ამ წიგნის შინაარსი, ამიტომაც არ აუკრძალავთ.

ელზასა და ლუის განუწყვეტელი კავშირი აქვთ პარიზში წინააღმდეგობის ნოქრაობის პარტორგანიზაციასთან, ახორციელებენ ამ ორგანიზაციის მითითებებს. ერთ დღეს ელზასთან მიდის უცნობი და ეუბნება: თქვენთან პარიზელმა ამხანაგებმა გამომგზავნესო. „ლუი შინ არ იყო,—მოგვითხრობს ელზა,—თუმცა ეს ახალგაზრდა მანამდე არ შენახა, მაგრამ მაინც მაშინვე დავუჯერე. მალე არაგონიც მოვიდა, იგი ამ ამხანაგს პირადად იცნობდა. ჩვენ პარიზში წასვლას გვთხოვდნენ, რომ მოვლაპარაკებოდით არალეგალურ მუშაობაზე. ამ მაცნეს პარტიული სახელი იყო „ანდრი“, მას სადემარკაციო ხაზზე უნდა გადავეყვანეთ. მოვილაპარაკეთ, რომელ დღეს შევხვედროდით ერთმანეთს და სად“.<sup>1</sup>

მოთხრობიდან „ჩვეულებრივი გადასვლა საზღვარზე“ ვიცით, რომ მათ სამივეს აპატიმრებენ სადემარკაციო ხაზის გადალახვისას.

<sup>1</sup> „Новый мир“, № 1-2, 1956 წ., გვ. 175.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ელზა და ლუი ავინიონში ბრუნდებიან სეგერსთან და აგროვებენ მასალებს ჟურნალისათვის „თავისუფალი აზრი“. აქ ლუისთან და ელზასთან თავს იყრიან მწერლები და პოეტები, მათ შორის არის საკონცენტრაციო ბანაკიდან ახლად გამოსული ფრანგი რევოლუციონერი მგოსანი ლეონ მუსინიაკი მეუღლითურთ.

ელზა და ლუი კვლავ ქალაქ ნიცაში არიან. ჟურნალ „ფონტენში“ იბეჭდება ელზას მოთხრობა „ღრმა მწუხარებით“, ხოლო 1942 წლის მაისში გამოდის მისი მოთხრობების წიგნი იმავე სახელწოდებით, რისთვისაც ავტორი დევნას განიცდის. პარიზის გაზეთი „Je suis par-tout“<sup>1</sup> აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ელზას დაპატიმრებას მოითხოვს.

ქ. ნიცაში ელზა წერს რომანს „თეთრი რაში“.

1942 წლის 11 ნოემბერს გერმანიისა და იტალიის ჯარები სამხრეთ საფრანგეთსაც იპყრობენ, ელზა და ლუი ნიციდან მთებში გარბიან. ცხოვრობენ ერთ-ერთ მივარდნილ ფერმაში. ისინი აქ ორ თვეს დაჰყოფენ.

1942 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ელზა მიდის ლიონში, სადაც ახერხებს ყალბი პასპორტების შოვნას, ბრუნდება უკანვე ფერმაში და შემდეგ, ლუისთან ერთად, მოგონილი გვარით „Monsieur et Madame Andrier“<sup>2</sup> კვლავ ლიონში მიემგზავრება.

1943 წლის იანვრიდან იწყება მათი არალეგალური მუშაობა ლიონში. აქ არის პარტიული სამეული, რო-

<sup>1</sup> „მე ყველგან ვარ“.

<sup>2</sup> „ბატონი და ქალბატონი ანდრიე“.

მელიც ხელმძღვანელობს წინააღმდეგობის მოძრაობას სამხრეთის ზონაში. არაგონს ავალეებენ წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციას ინტელიგენტთა შორის. ელზა და ლუი გერმანელი ოკუპანტების დამარცხებამდე ლიონში იმყოფებიან, შემდეგ კი აღფრთოვანებულნი მიემგზავრებიან მშობლიურ პარიზში. აი, რას წერს ელზა ტრიოლე განთავისუფლების დღეზე:

„გამოჰკიდეს საფრანგეთის სამფეროვანი დროშა, პარიზი ფრანგულად ალაპარაკდა. ლიონი განთავისუფლებული იყო! ჩვენ არ დაგვიცდია მატარებლისათვის, პირდაპირ ჩავსხედით ავტომანქანაში და პარიზისკენ გავემგზავრეთ.

აქ მოხდა ის, რასაც არ ველოდით. განთავისუფლებულ პარიზში ჩასვლის მეორე დღეს გაზეთებში ჩვენი ფოტოსურათები მოათავსეს. პრეტექტურაში ახალმა პრეტექტმა პატივისცემით მიგვიღო. კომკავშირის მიერ მოწყობილ მიტინგზე არაგონს ოვაცია მოუწყეს...

დავბრუნდით განთავისუფლებულ პარიზში. სამნი წავედით ავტომანქანით: პროფესორი ლანჟევენი, არაგონი და მე. მოუთმენელნი, აღელვებულნი, ბედნიერები მხიარულ პარიზში ჩამოვედით“.<sup>1</sup>

1943 წლის თებერვალში ელზა ტრიოლე „ლორან დანიელის“ ფსევდონომით წერს შესანიშნავ მოთხრობას „ავინიონელი შეყვარებულები“, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში გამოსცა „შუალამის“ გამომცემლობამ. როგორც ცნობილია, ლორან კაზანოვა და მისი ცოლი

<sup>1</sup> „ბატონი და ქალბატონი ანდრიე“, გვ. 180.

დანიელი კომუნისტური პარტიის მოღვაწეები არიან. ავტორმა ამ ადამიანების პატივისცემის გულისათვის მოაწერა მოთხრობაზე მათი სახელი. სწორედ ამ დროს ლორან კაზანოვა, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა, გერმანიიდან გამოქცევას ახერხებს, ჩამოდის საფრანგეთში და ებმება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მისი ცოლი დანიელი კი ოსვენციმის სიკვდილის ბანაკშია და ყოველდღე აღსასრულს ელოდება.

„ავინიონელი შეყვარებულების“ ღირსება ის არის, რომ მისი გმირები ყოყმანისა და ეჭვის ზღურბლს გადააბიჯებენ და აქტიურ ბრძოლაში ებმებიან. ისინი კი არ მსჯელობენ, არამედ პირდაპირ მოქმედებენ; ბევრ ფრანგ პატრიოტს გადაარჩინენ გერმანელ ფაშისტთა ტყვეობაში გაგზავნას, ამარაგებენ სურსათით, ავრცელებენ არალეგალურ ლიტერატურას, სპობენ გამცემლებს.

მოთხრობის მთავარი გმირია უბრალო ფრანგი გოგონა — ჯულიეტა ნოელი. მწერალი ამაღელვებლად გვიხატავს მის ნამდვილ სახეს. ჯულიეტა ოცნებობს ერთგულ სიყვარულზე, მამაცურად ასრულებს არალეგალური ორგანიზაციის მნიშვნელოვან დავალებებს და ნამდვილი პატრიოტი ხდება. იგი საფრთხეს არ ერიდება. ასეთი გმირი გოგონა მაშინ საფრანგეთში მრავლად იყო. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ომის წლებში იქმნება „გოგონების ორგანიზაცია“, რომელსაც სათავეში უდგებიან გამოჩენილი კომუნისტი ქალები დანიელ კაზანოვა, მარი კლოდ ვაიან-კუტიურიე<sup>1</sup>

<sup>1</sup> პოლ ვაიან-კუტიურიეს მეუღლე.

და საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრი ჯანეტა ვერმერში. <sup>1</sup>

ფაშისტური ოკუპაციის წლებში ისინი დიდ მუშაობას ეწევიან, მათი ხელმძღვანელობით ფრანგი გოგონები პასუხსაგებ პარტიულ დავალებებს ასრულებენ, ეხმარებიან პარტიულ მუშაკებს სხვადასხვა არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციასთან კავშირის დამყარებაში, იატაკქვეშ მალავენ პარტიულ ხელმძღვანელებს, ავრცელებენ პროკლამაციებს.

წინააღმდეგობის მოძრაობაში ქალების აქტიური მონაწილეობის ამბავს მოგვითხრობს ლუი არაგონი თავის დიდ ეპოპეაში „კომუნისტები“.

გმირი გოგონები არ გამოჰპარვია ელზა ტრიოლეს კალამსაც. სწორედ ასეთია ჯულიეტა ნოელი. როგორც კი გამოქვეყნდა მოთხრობა, იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, გავრცელდა მთელ საფრანგეთში და მის საზღვრებს გარეთაც. იმავე, ე. ი. 1943 წ., მოთხრობა ქვეყნდება შვეიცარიაში გერმანულ, ფრანგულ ენებზე, 1944 წელს კი ალჟირში (ტექსტი ლონდონიდან გადასცეს).

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ, 1945 წელს გამოდის ელზა ტრიოლეს მოთხრობების წიგნი: „დახეული მაუდი ორასი ფრანკი ღირს“, რომელშიც შევიდა „ავინიონელი შეყვარებულები“, „კერძო ცხოვრება ან ალექსის სლავსკი—თავისუფალი ხელობის კაცი“. ამ მოთხრობებისათვის ავტორს გონკურების პრემია მიენიჭა.

---

<sup>1</sup> მორის ტორენის მეუღლე.



ელზა ტრიოლე პირველი მერცხალია ქალებს შორის, რომელმაც ასეთი უმაღლესი ლიტერატურული პრემია დაიმსახურა. 40 წლის განმავლობაში იგი არც ერთ ქალს არ მიუღია. ავტორი თვითონ მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, კარგად იცნობს ამ საშინელი წლების საფრანგეთის ცხოვრებას, ამიტომაც მისი მოთხრობები დაწერილია დიდი დამაჯერებლობით, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების საფუძველზე.

„ავინიონელი შეყვარებულების“ ერთ-ერთი გმირია ჯულიეტა ნოელი.

უპირველეს ყოვლისა, ავტორი გვამცნობს მის ვინაობას: ლამაზი, თმახუჭუჭა, გრძელნაწნავებიანი გოგონაა, აცვია მოქსოვილი კერესი, მოკლე ჩიხორა და დადის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით. იგი პარიზში დაიბადა, მამამისი მოხელე იყო. დედის სიკვდილის შემდეგ გზავნიან პარიზში დეიდა აღინასთან. 18 წლის გოგონა იწყებს მემანქანედ მუშაობას ერთ-ერთ ვეჟილთან, შემდეგ სამუშაოდ გადადის საავიაციო ქარხანაში, სადაც მალე მთავარი ინჟინრის—მარტენის პირადი მდივანი ხდება. ამ ქარხანაში ორ წელიწადს რჩება და მუშების დიდ სიყვარულს იმსახურებს. იგი სპეტაკი, პატიოსანი გოგონაა. ინჟინერი ცდილობს ჩაიგდოს ხელში, მაგრამ ამაოდ.

იწყება ომი... ევაკუაცია... ჯულიეტა, დეიდა აღინა და მისი შვილი ხოსე .ლიონში აღმოჩნდებიან. ბინას დაიქირავებენ კომუნისტ მადამ ბურჟუას ოჯახში. ჯულიეტას ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში მემანქანედ იღებენ. ამიერიდან ებმება წინააღმდეგობის მოძრაობა-

ში, მუშაობს პარტიული მუშაკის დომინიკის ხელმძღვანელობით, კავშირი აქვს გაბმული ექიმ არნოლდთან. ჯულიეტა მოქმედებს „როზა ტუსენის“ ფსევდონიმით, ბევრ სახიფათო დავალებას ასრულებს. ღამით, ძნელ პირობებში, მიდის გლეხების ფერმებში, იგებს მათ მდგომარეობას, აეროდრომიდან მოაქვს საიდუმლო ცნობები. ექიმი არნოლდი ჯულიეტას მიმართავს: „ეს-ეს არც გავიგე, რომ ავინიონში უნდათ დააპატიმრონ ექვსი რკინიგზელი. ისინი საუკეთესო ბიჭები არიან. ვფიქრობ, შესაძლებელია მათი გაფრთხილება, ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ არის ამის საშუალება. მე კი არავინ მყავს იქ გასაგზავნი, თვითონ წასვლა არ შემიძლია. თქვენ ხომ ვერ მოახერხებდით ახლა იქ წასვლას?..

— კარგი, — ეუბნება ჯულიეტა, — სახლში წასვლას მოვასწრებ? თუ მოვასწარი პირის დაბანა და ჭამა...

— მატარებელი 4 საათსა და წუთებზე გადის... ძალიან კარგი. აი კიდევ რა მინდა. რადგან ავინიონში მიდიხართ, შეგიძლიათ თან წაიღოთ შეუვსებელი სასურსათო წიგნაკები. ბიჭები თუ წავიდნენ „მაკში“, ეს გამოადგებათ. ყოველ შემთხვევაში, ამ წიგნაკებს სელესტენს შევპირდი... მას ავინიონში გაეცნობით“.<sup>1</sup>

ამ დავალებას ჯულიეტა პირნათლად ასრულებს. არნოლდი კვლავ აკისრებს ერთ-ერთი პარტიული მუშაკისათვის გამოძებნოს საიმედო კონსპირაციული ბინა. ასეთი პარტიული მუშაკი აღმოჩნდა დე გოლის „საიდუმლო არმიის“ წევრი სელესტენი. ამ დროიდან იწყე-

---

<sup>1</sup> Elsa Triolet—„Les Amants d' Avignon“, Paris, 1945 წ.

ბა ჯულიეტასა და სელესტენის რომანი. ისინი ავინიონში მოქმედებენ. აქედან სახელწოდება — „ავინიონელი შეყვარებულები“. სელესტენს უყვარს ჯულიეტა. მოვიყვანთ ერთ ადგილს მათი საუბრიდან:

„— თქვენ ხართ გაბედულება, ქალური სინარნარე და ჩემი სიყვარულის საკანი. მინდა გითხრათ ერთი საიდუმლოება, ეს იმიტომ, რომ მიყვარხართ. ცოტა გადაკრულშიც გახლავართ. გუშინწინ კაცი მოვკალი.

— მეც მიყვარხარ,—უთხრა ჯულიეტამ.

— იგი აწამებდა მშრომელებს, ხოცავდა... მისი მოკვლა გადავწყვიტეთ, არამზადა უკვე სამშობლოს ფსკერზეა.

— ომი...

— მთელი დღეობით დავდევდით და თვალყურს ვადევნებდით. უნდა ვიცხოვროთ მათდამი სიძულვილით, ბოლომდე უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ მართალნი ვართ. ყველაფერი ასე უნდა გავაკეთოთ და არ უნდა შევსუსტდეთ.

— თქვენზე ეჭვი არა აქვთ? მიყვარხართ, არ დამეკარგოთ, ძალზე მეშინია.

— ჯულიეტა...

სელესტენი იატაკზე, მუხლებზე დაჩოქილი ჯულიეტას შიშველ ფეხებს უკოცნიდა.

— ახლა დასაძინებლად წავალ,—უთხრა ჯულიეტამ“.

ჯულიეტა ფრიად მოხერხებული არალეგალურად მომუშავე გოგონაა, კარგად აქვს შეთვისებული არალეგალური მუშაობის მეთოდები, უნარი შესწევს მოხერხებულად დაიძვრინოს თავი გესტაპოს აგენტებისაგან.

ფრთხელ სასტუმროში შეხვედრა ჰქონდა სელესტენთან, მას ექიმის წერილი გადასცა. ჯულიეტა ტრამვაიში უნდა ჩამჯდარიყო, რომ ხელი სტაცა ორმა უცნობმა მოქალაქემ, დაუწყო გამოკითხვა, ვინა ხარ, ვისთან გქონდა შეხვედრაო. ჯულიეტას ხიფათი მოელოდა, ჯიბეში ყალბი მოწმობა ედო „როზა ტუსენის“ სახელზე, სასურსათო წიგნაკი კი თავის გვარზე. ქალიშვილმა მათ მაშინვე მიუგო: მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ვარ, ერთმა მოქალაქემ სასტუმროში წამიყვანა, არ მოვეწონე და უკან გამომავლო.

იგი ხელიდან გაუსხლტა გესტაპოს აგენტებს.

ჯულიეტას გავლენით არალეგალურ მუშაობაში ებმება რედაქციის ნეორე მეზანქანე ქალი—მარი ეერარი.

მოთხრობაში „ავინიონელი შეყვარებულები“ კარგად არის ნაჩვენები როგორ იზრდება კომუნისტების ავტორიტეტი. სელესტენი აღიარებს:

„... ჰო... ომის შემდეგ მოგვიხდება კომუნისტებისადმი ანგარიშის გაწევა, უკომუნისტებოდ ქვეყნის მართვა შეუძლებელი იქნება“.

მოთხრობა მთავრდება იმით, რომ სელესტენი და ექიმი ემშვიდობებიან ჯულიეტას და მიდიან. ბოლოს ავტორი დასძენს:

„ეს დაწერილია 1943 წლის თებერვალში, დაე ისტორიამ მისცეს შემდეგი მსვლელობა“.

მოთხრობაში „პარიზს ესიზმრება“ ავტორი აგვიწერს 1934 წლის 9 თებერვლის მუშათა დემონსტრაციას, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოეწყო. ეს იყო ფრანგი ხალხის პროტესტის ხმა ამავე

წლის 6 თებერვალს დეპუტატთა პალატაზე ფაშისტი ბანდიტების თავდასხმის გამო.

პარიზს ჯერ კიდევ სძინავს. რესპუბლიკის მოედანზე თავს იყრიან მამაკაცები, ქალები, ბავშვები... მათ მოულოდნელად თავს ესხვიან პოლიციის გაძლიერებული რაზმები და სასტიკად უსწორდებიან. ბევრი მოკლეს, ბევრი დაიჭრა და ბევრიც დააპატიმრეს. პარიზის ქუჩები სისხლით მოირწყო. მოთხრობაში ქალაქის დიდ ფონზე იშლება გააფთრებული ბრძოლები პოლიციელებს და დემონსტრანტებს შორის; პოლიციელები ცდილობენ არ მიუშვან დემონსტრანტები შესაკრებ ადგილას—რესპუბლიკის მოედანზე. ავტორი თვითონ იყო ამ ბრძოლების აქტიური მონაწილე, საკუთარი თვალთნახა როგორ ეცემოდნენ უიარაღო მუშები აღმოსავლეთის ვაგზლის პირდაპირ, ამიტომაც ასე დამაჯერებლად აგვიწერს მუშათა გმირულ ბრძოლებს პოლიციელებთან.

დახოცილი მუშები დაკრძალეს 12 თებერვალს. ეს თარიღი საფრანგეთში ყოველ წელიწადს აღინიშნება.

მოთხრობა „ანრი კასტელა“ დაიწერა ქ. ნიცაში 1941 წელს და არალეგალურად გამოქვეყნდა 1942 წელს. როგორც მოთხრობის სათაური გვიჩვენებს, მთავარი გმირი აქ არის ანრი კასტელა. იგი ეგოიზმის, სილაჩრის ნამდვილი განსახიერებაა, ყველაფრისა ეშინია და ამავე დროს კი თავისი თავი ყველაფერს ურჩევნია. მწერალი მიზნად ისახავს დაგვიხატოს საფრანგეთის დამარცხების ერთ-ერთი მომენტი.

ავტორი გვამცნობს ანრი კასტელას ვინაობას. ანრის

მამა ნოტარიუსად მუშაობდა. შვილი ცოტათი მამამისს ჰგავდა, შავგვრემანი იყო, მოღრეკილი ცხვირი, მაღალი შუბლი, ლამაზი თვალები, ნახშირივით წარბები ჰქონდა. ანრი ბუნებას ფიზიკური ძალით დაეჯილდოებინა, მაგრამ ამ ძალას ლიცეუმში არ იჩენდა. თუ ვინმე დაარტყამდა, სამაგიეროს არ უხდიდა, ხშირად ამბობდა ხოლმე: რა გინდათ, თუ დავარტყი, ნამცეცებიც აღარ დარჩებაო.

იმისთვის, რომ მშვიდად იცხოვროს, ანრი გადაწყვეტს პარიზში დასახლდეს, იგი ფიქრობს: პარიზზე მყუდრო ადგილი არსად არის, არავის აინტერესებს შენი საქმეები, ქცევა, ცხოვრება და სიკვდილიო.

ანრი კასტელა ბინას მართლაც დაიქირავეს ერთ-ერთ სასტუმროში, პარიზში, და მყუდრო ცხოვრებას ეძლევა. ფიქრობს მხოლოდ თავის სამწერლო კარიერაზე, მშობლიურ ქალაქზე წერს პირველ წიგნს, სადაც თავისი თავი ერთ-ერთ პერსონაჟად გამოჰყავს, ცოტა ხნის შემდეგ სიყვარულის თემაზე უშვებს მეორე წიგნს. ორივე წიგნი კარგ შეფასებას იმსახურებს. 25 წლის ანრის „ახალგაზრდა ფრანგული ლიტერატურის იმედს“ ეძახიან.

ათი წლის შემდეგ ანრი გადაწყვეტს დაწეროს მესამე წიგნიც, მაგრამ ეშინია, ვაითუ წინანდელ ორ წიგნზე ცუდი გამომვიდეს, ეს ჩემთვის დიდი დამარცხება იქნებაო. მას დაავალებენ კინოსცენარის დაწერას, მაგრამ ვერ ბედავს.

ანრი ცოლად შეირთავს ჟანას. რამდენიმე ხნის შემდეგ შვილი შეეძინებათ, რომელსაც ჟაკოს დაარქმევენ.

ანრი მალე გაეყრება ჟანას. როდესაც ჟანასთან ცხოვრების წუთებს იხსენებს, ანრის აღშფოთება იპყრობს. დედა—მადამ კასტელა დიდხანს ემუდარება დაუბრუნდეს ოჯახს ჟაკოს გულისთვის, მაგრამ ამაოდ. იგი მოთმინებიდან გამოსული, ანრის უგულოს, უპატიოსნოს, ეგოისტს უწოდებს.

ერთ დილას ანრი კასტელა შინ ბრუნდება, მას მოსამსახურე ქალი ბეზიე უწყებას გადასცემს და ეუბნება:

„—ღმერთო ჩემო, ბატონო კასტელა, რას ნიშნავს ეს? ჩემი ქმარი ამბობს, მობილიზაცია ჯერ კიდევ ონს არ ნიშნავსო. თქვენ როგორ ფიქრობთ? ჩემი ქალიშვილის საქმროც მიღის, დიახ ისიც, ბატონო კასტელა. რამე ხომ არ გნებავთ?“

მოსალოდნელ საფრთხეს თავი რომ დააღწიოს, ანრი კასტელა გადაწყვეტს ამერიკაში გაიქცეს. იგი ამბობს: „წავალ როგორც უბრალო მაწანწალა, დავიძინებ ხიდქვეშ, სამაგიეროდ ამერიკაში ვიქნები“.

ანრი 1938 წლის სექტემბერში ჩადის ჰავრში, ჯდება გემ „ნორმანდიაში“ და ამერიკაში მიემგზავრება.

მწერალი კარგად ახერხებს დაგვიხატოს ანრის ნამდვილი სახე. რომელიც მეტიმეტად მშიშარა იყო სიყვარულში, საკუთარ შემოქმედებასა და სამშობლოს დაცვაში. საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტი ანრის პოლიტიკურ შორსმჭვრეტელად გადააქცევს. იგი გრძნობს ომის მოახლოების საშიშროებას და თავის გადარჩენის მიზნით ამერიკაში გარბის. მწერალი კარგად იცნობს ფრანგულ სინამდვილეს. მართლაც, სანამ მეორე მსოფლიო ომი დაიწყებოდა, საფრანგეთში ბევრი იყო

კასტელას მსგავსი ადამიანი, რომლებიც საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით საზღვარგარეთ გარბოდნენ. მწერალი ამხელს სამშობლოს მოღალატეებს, აკრავს მათ სამარცხვინო ბოძზე, ქადაგებს სამშობლოს სიყვარულს.

„ჩვეულებრივი გადასვლა საზღვარზე“ გამოქვეყნდა 1945 წელს. აქ აღწერილია ერთი ეპიზოდი ავტორის ცხოვრებიდან.

ელზა ტრიოლე და ლუი არაგონი წინააღმდეგობის მოძრაობის პარტორგანიზაციის მიერ გამოძახებული არიან პარიზში, სადემარკაციო ხაზზე მათი გადაყვანა დავალებული აქვს მეკავშირე ჟორჟ დიუდაკს. მოთხრობა იწყება იმით, რომ ელზა და ლუი აკვირდებიან საათის ისარსა და ვარსკვლავებს, გადადიან სადემარკაციო ხაზს იქით, ერთ სოფელში შედიან გლეხის ოჯახში დასასვენებლად. გლეხი მათ მოღიმარი სახით მიიღებს, დააპურებს და მოასვენებს. რამდენიმე საათის შემდეგ თავზე წაადგებიან გერმანელ ფაშისტთა საველე ჟანდარმერიის ჯარისკაცები და სამივეს აპატიმრებენ. მათ სვამენ ციხეში, დაჰკითხავენ და დიდი წვალების შემდეგ ათავისუფლებენ. ელზა მოწმე იყო იმისა, თუ როგორ მიჰყავდათ პატიმრები ციხიდან და ხვრეტდნენ.

მოთხრობა ასე მთავრდება:

„შესაძლებელია ქვეყანაზე დღესაც ბევრია ადამიანი, მამაკაცები და ქალები, რომელთაც ჯერ კიდევ არ უთქვამთ თავიანთი სიტყვა, და ჩვენ არ ვიცით, რომ ისინი მთელი გულით ჩვენთან არიან“.

„ატმის ხის ძირას დამარხული რვეულების“ ხელნაწერი მართლაც დამარხა ავტორმა სოფელ სენ-დონაში



ერთ-ერთ ფარდულში, მიწაში. ამ მოთხრობიდან ნაწყვეტები დაიბეჭდა არალეგალურ გაზეთ „ლე ლეტრ ფრანსეზში“ ლორან დანიელის ფსევდონიმიტ. მოთხრობა დაიწერა 1944 წელს. ავტორი აქ უმთავრესად თავის თავგადასავალს მოგვითხრობს, გვამცნობს მშობლების საქმიანობას, სწავლის პერიოდს, თავის მონაწილეობას პარტიზანთა რაზმებში. აქ ვგებულობთ, რომ აქტიურ ბრძოლას ეწეოდა პარტიზანებში, მასთან დაკავშირებული იყვნენ ყველაზე აქტიური კომუნისტი პარტიზანები—ჯილბერი, რენო და ნუარე.

სანამ ომი დაიწყებოდა, ელზა 10 წელიწადს გაზეთის რედაქციაში მუშაობდა. ამ პერიოდში ხვდებოდა თავისი მამის მეგობარს, რომელმაც შეატყობინა. მამა დაგეძებს და უნდა შენი ლონდონში წაყვანაო. ელზა ლონდონში წასვლაზე უარს ამბობს: „საბრალო მამავ,— წერს ავტორი,—არ შემიძლია საფრანგეთიდან წასვლა, არ შემიძლია მისი ასეთ უბედურებაში დატოვება... —მაშასადამე, თქვენ კომუნისტებთან მუშაობთ?—მკითხა მამის მეგობარმა.—რასაკვირველია, კომუნისტებთან“.

ჯანი მიწიდან ამოიღებს დამარხულ რვეულებს.

ისე როგორც „ავინიონელ შეყვარებულებში“, ამ მოთხრობაშიც ავ ჯორი აყენებს წინააღმდეგობის ერთიანი ეროვნული ფრონტის აუცილებლობის საკითხს. აქ ნაჩვენებია, თუ როგორ მუშაობდნენ და იბრძოდნენ ერთად სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ადამიანები: კომუნისტები, კათოლიკეები და სოციალისტები. კომპარტიამ შეძლო დე გოლის „საიდუმლო არმიის“ გაერთიანება ფრანტირებერთან და პარტიზანებთან—შეიქნა ერთი ორგა-

ნიზაცია „საფრანგეთის მინაგანი შეიარაღებული ძალები“.

„ნანგრევთა ინსპექტორი“ 1948 წელს დაიწერა და ომის შემდგომ პერიოდს ეხება.

ელზა ტრიოლეს მოთხრობებმა დიდი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის სუსხიან დღეებში. ამ მოთხრობებში უბრალო ფრანგი ადამიანები იგებდნენ ვინ იყო მათი მტერი და მოყვარე, როგორ უნდა ებრძოლათ საერთო მტრის—გერმანელი ფაშისტი ბანდიტების წინააღმდეგ. მათ დღესაც არ დაუკარგავთ აღმზრდელობითი, პოლიტიკური მნიშვნელობა, გატაცებით წაიკითხავს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, მშვიდობა და დემოკრატია.

საბჭოთა ადამიანები ინტერესით ეცნობიან ელზა ტრიოლეს ნაწარმოებებს და მაღალ შეფასებას აძლევენ მათ.

1956 წლის 12 დეკემბერს მოსკოვში ქარხანა „კომპრესორის“ კლუბში მოეწყო ფრანგული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილი საღამო, მას ათასამდე მსმენელი დაესწრო. დღის წესრიგში იყო ელზა ტრიოლეს ნაწარმოებთა გარჩევა.

მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა რუსი მწერალი ლევ ნიკულინი, რომელმაც, სხვა გამოსულ ორატორებთან ერთად, უაღრესად დადებითი შეფასება მისცა ფრანგი ხალხის ღირსეული შვილის შესანიშნავ, მებრძოლ შემოქმედებას.

ომის წლებში ელზა ტრიოლე აქვეყნებს მოთხრობას „კერძო ცხოვრება ან ალექსის სლავსკი—თავისუფალი

ხელობის კაცი“ რომელიც შევიდა კრებულში: „მაუდის გაფუჭებისათვის 200 ფრანკი ჯარიმა“.

კრებულმა ასეთი საოცარი სახელწოდება მიიღო მასში მოთავსებული ერთ-ერთი მოთხრობიდან, რაც შემდეგნაირად აიხსნება:

წინააღმდეგობის მოძრაობას რადიოკავშირი ჰქონდა ლონდონთან და ჩრდილოეთ აფრიკასთან. რადიო, გარდა „უკანასკნელი ცნობებისა“, გადასცემდა ეგრეთ წოდებულ „პირად ცნობებს“. ეს იყო დაშიფრული ფრაზები. ამ ფრაზებით წინააღმდეგობის მოძრაობის გარკვეულ წევრებს აცნობებდნენ წინააღმდეგობის ფარული აგენტების მოსვლას ან წასვლას, აეროდრომზე თვითმფრინავების მოფრენას, პარაშუტებით ჩამოგდებული იარაღის რაოდენობასა და სხვას.

საბილიარდოში გამოკრული იყო განცხადება: „მაუდის გაფუჭებისათვის 200 ფრანკი ჯარიმა“, რაც პარიზის ერთ-ერთი რაიონის სარდლობას აუწყებდა მოკავშირე ჯარების დესანტის გადმოსხმას და ამავე დროს სიგნალიც იყო შეტევისათვის.

ავტორი პირადად იცნობდა მხატვარ ალექსის სლავსკის და მის ცოლს ჰენრიეტს. იგი მათ ხშირად ხვდებოდა, ესაუბრებოდა ომზე, ხალხის დუხჭირ მდგომარეობაზე. ალექსისი ნიჭიერი ფრანგი მხატვარი იყო, საბჭოთა კავშირისადმი მეგობრულად განწყობილი. მან ბევრი სურათი შექმნა მშვიდობაზე, უბრალო ფრანგებზე.

ავტორი თავის მოთხრობაში „კერძო ცხოვრება ან ალექსის სლავსკი—თავისუფალი ხელობის კაცი“ დამაჯერებლად აგვიწერს ამ ნიჭიერი მხატვრის გაჭირვებულ

მდგომარეობას. სლავსკის გაალატაკებს ომი, არა აქვს სახლ-კარი, სასმელ-საჭმელი, მთელი დღეობით ქუჩაში დაეხეტება, სამუშაოს ეძებს, მაგრამ ამოდ, არავის უნდა მისი მხატვრული ტილოები. ჰენრიეტი ხშირად დადის ლიონში ქმრის სურათების გასაყიდად.

მოთხრობის მეორე გმირია მუშა ქალი ლუიზა, რომელიც დაკავშირებულია წინააღმდეგობის მოძრაობასთან. იგი ლიონში ეწევა არალეგალურ მუშაობას, ავრცელებს პროკლამაციებს, ფურცლებს. ერთ დღეს ლუიზას ლიონში აპატიმრებენ. როცა ალექსისი ამ ამბავს გაიგებს, ძალზე ეწყინება და ტირილს დაიწყებს.

ლამის სამი. საათია. კოკისპირულად წვიმს, ქუხს. ალექსისის ძილში კარებზე კაკუნი ესმის, დგება და დერეფნით ბაღში გადის. ლამის წყვდიადში ადამიანის ფიგურას ამჩნევს. ეს არის ოცი წლის ახალგაზრდა ქანი, რომელიც გერმანიაში შიშველი მატარებლიდან გადმომხტარა და თავშესაფარს სთხოვს. ახალგაზრდას ცხვირიდან სისხლი სდის. ალექსისი დახმარებას აღმოუჩინს, გამოუცვლის ტანსაცმელს, დაბანს, დააპურებს და მოასვენებს, დასვენების შემდეგ ახალგაზრდა იწყებს:

— „მეორე დღეა არაფერი მიჭამია, ამ მხარეს არ ვიცნობ... სენტ-ეტიენიდან ვარ. გუშინ მატარებლიდან გადმოვხტი... იმაზე ვფიქრობდი მხოლოდ, როგორ დამეღწია თავი იქიდან. ჩემ თავს უფლება არ მივეცი პირუტყვივით წავეყვანე. და აი მეც გადმოვხტი... ჯიბეში 200 ფრანკი მაქვს, როგორც იქნება, თავს გავიტან-მეთქი. შემდეგ კი ვერ გადავწყვიტე სად შემეფარებინა თავი. ძნელია, როცა არავის იცნობ... ქანდარმებს რომ არ

შევეროდი, ბილიკებით მოვდიოდით... არც კი ვიცი, აქ ბოშები არიან თუ არა... ერთ პატარა ქვის ყორესთან ჩამეძინა, როცა გამოვიღვიძე, რას ვხედავ? ჩემგან ჟანდარმები ველოსიპედებით უკვე ორ ნაბიჯზე იყვნენ!.. სასწრაფოდ ჩავსრიალდი ყორის მეორე მხარეს და სახე დამეკაწრა. საკვირველია, უვნებლად ჩამოხტე მატარებლიდან და შემდეგ კი ერთი მეტრი სიმაღლის ყორიდან ძალიან ცხვირი დაიჩეჩქო“.

ჯანი ლაპარაკს ჩამოაგდებს „მაკე“, მაგრამ ეს სიტყვა ალექსისს არ ესმის. ჯანი ექვის თვალით შეხედავს მას და იტყვის: „როგორ შეიძლება ადამიანმა არ იცოდეს „მაკი!“ ნეტავ საიდან მოვიდა? საინტერესოა, ამას განგებ ხომ არ ამბობს?“

ჯანი გადაწყვეტს: თუ ალექსისმა მართლაც არ იცის რას ნიშნავს „მაკი“, არ აუხსნას.

— „მაკი, ეს მაკია...“ — ეტყვის მას ჯანი და ამით კმაყოფილდება.

ბოლოს, როდესაც დარწმუნდება ალექსისის გულწრფელობაში, ეუბნება:

„მაკი“, ეს ისეთი ადგილია, სადაც სამუშაოდან გაქცეულები იმალებიან. ეს არის პატარა კუნძული წინა-აღმდეგობის მოძრაობისა, თითქმის პარტიზანი, ის, ვინც პარტიზანული ომისათვის ემზადება... მათ იქ აძლევენ ინსტრუქციებს, ოფიცრებს... ეს არის სამხედრო სამსახური, სადაც ასწავლიან იარაღის ხმარებას, დისციპლინას და ყოველგვარ სალაშქრო წესს“.

ალექსისი ჯანს წაიყვანს საინტერესო ადგილას და დაშალავს. ჯანი მიდის „მაკში“, მართალია, მას სამხედრო

საქმე არ გაუვლია, მაგრამ იარაღისა ბევრი რამ ესმის. მისი ოჯახიდან ხომ ყველა სენტ-ეტიენის იარაღის ქარხანაში მუშაობდა, მას ესმოდა ყველა სახის იარაღის დაშლა, აწყობა და ხმარება.

ალექსისი ჟანს დიდ დახმარებას გაუწევს, გადაწყვეტს მიმართოს აგარაკის პატრონ ბლენს. მის ბინაზე ცხოვრობდა ნათესავი ლუიზა, რომელიც ლიონში დააპატიმრეს. ალექსისი ფიქრობდა, ბლენი მოხერხებული კაცია, შემდეგ—აქაური და დახმარება შეუძლიაო. ლუიზა მას ხომ ენდო? ბლენს ჟანის დამალვის იდეა შეაშინებს და ეტყვის:

„ასეთ საქმეებს არ ვაკეთებ, ისედაც მყოფნის უსიამოვნება. ლუიზას გულისათვის... იცით თუ არა, რომ ლუიზას ძარღვებს ჰგლეჯენ და შეუძლიათ აქ მოსვლა? მოვახერხებ მხოლოდ თქვენს სხვა ადგილას გაგზავნას...“

ამ მოთხოვნაში ნათლად არის ნაჩვენები, თუ როგორ ებმებოდა წინააღმდეგობის ნოცნარობაში ყველა პატიოსანი ადამიანი, თუ როგორ ეხნარებოდნენ ისინი ერთმანეთს გერმანელი ფაშისტების განადგურების საქმეში. აქ იბრძვიან დიასახლისები, მუშები, მხატვრები, წვრილი ხელოსნები მხოლოდ იმისთვის, რომ მტერი გაანადგურონ და თავისუფლებას მიაღწიონ.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს ელზა ტრიოლეს დიდტანიანი რომანი: „წითელი რაში ანუ ადამიანური განზრახვა“, რომელიც მშვიდობის თემაზეა დაწერილი. იგი გამოცა პარიზში 1953 წელს „საფრანგეთის გაერთიანებულმა გამომცემლობამ“, რომლის დირექტორიც ლუი არაგონია.

„წითელი რაში ანუ ადამიანური განზრახვა“ შესანიშნავი ფანტასტიკური რომანია. მწერალი ქალი წარმოიდგენს, თუ რა უბედურებას უქადის კაცობრიობას მოსალოდნელი ატომური ომი და როგორ უნდა ვიბრძოლოთ მისი თავიდან ასაშორებლად.

ამ ნაწარმოების მთავარი გმირები არიან ჰენრი და თვით რომანის ავტორი—ელზა ტრიოლე.

ავტორი ატომური ომის საშინელების შემდეგ მარტოდმარტო აღმოჩნდება უადამიანო პეიზაჟში. მოგზაურობს მისთვის უცნობ სამყაროში, უცებ მოესმის ადამიანის ხმა, შენიშნავს დაჩოქილ, მუშის ხალათში გამოწყობილ სახედამწვარ ადამიანს. იგი ამერიკელი პილოტი გამოდგება, სახელად ჰენრი. მას ავარია განუტღია და ძირს დაშვებულა.

ავტორი გააბამს საუბარს ჰენრისთან, იგი კალიფორნიიდან აღმოჩნდება, პირველად საავიაციო ქარხნის მუშა ყოფილა, შემდეგ ერთ-ერთ გავლენიან პირთან შოფრად დაუწყია მუშაობა. ჰენრის პატრონს ბრალს დასდებენ ანტიამერიკულ საქმიანობაში და ციხეში ჩასვავენ. მას კი კორეაში გზავნიან, სამხედრო მფრინავად მოამზადებენ და უბრძანებენ დაბომბოს კორეის მშვიდობიანი ქალაქები. მაგრამ ჰენრი მალე მიხვდება აგრესორთა მოხერხებულ ფანდებს და უარს იტყვის ბომბების ჩამოგდებაზე. იგი მუშაობას იწყებს სატრანსპორტო თვითმფრინავზე, მოგზაურობს სამყაროს ირგვლივ, აინტერესებს გაიგოს დედამიწაზე ადამიანის ბედი, მაგრამ ვეღარავის დაინახავს. ჰენრი იძულებულია ძირს დაეშვას. სწორედ ამ დროს მას შეხვდება რომანის ავ-

ტორი; ისინი დამეგობრდებიან, გადაწყვეტენ გაფრინდნენ სამყაროს ირგვლივ იმ განზრახვით, რომ გაიგონ კაცობრიობის ავ-კარგი. ისინი მიფრინავენ დედამიწიდან 150 მეტრ სიმაღლეზე, ყურადღებით აკვირდებიან დედამიწას, მაგრამ ვერაფერს ხედავენ, გარდა ადამიანის ჩონჩხებისა, ტალახისა და ნანგრევებისა. აქ ატომურ ბომბებს ყველაფერი დაუნგრევია, მოუცელავს და დაუწვავს.

ავტორი და ჰენრი მეორედ დაბომბვის წინა ღამეს პარიზის გარეუბან სენტ-ნორმიენში აღმოჩნდებიან. აქ პირველი დაბომბვის დროს დამწვარან ადამიანები, ცხოველები, სახლები, ხეები, ბალახი. კლოდი და მისი დედა ძალიან დაზიანდნენ; ისინი მკურნალობის შემდეგ სოფელში ბრუნდებიან. ბრუნდებიან სხვებიც. მეორედ დაბომბვის დროს კი ყველაფერი ფერფლად იქცევა, უვნებლად არ რჩება არაფერი. პეიზაჟიც კი იცვლის სახეს. სენტ-ნორმიენის კვალიც კი არ ჩანს. აქ მხოლოდ 65 კაცია გადარჩენილი. ავტორი დაინახავს ერთ სახლს, რომელსაც აქვს წარწერა: „ფეზან დორე“. ეს არის კაფე. ელზა და ჰენრი შედიან „ფეზან დორეში“, კიბით ჩაეშვებიან სარდაფში, სადაც შეამჩნევენ ექიმს და მასთან საუბარს გააბამენ. იქვე გვერდით საშოკიოდე ადამიანია, რომლებიც ტაშს უკრავენ. ესენი ატომური ბომბისაგან შეშლილები არიან.

ერთი მედუქნე, რომელიც ცოცხლად დარჩენილა, სურსათით ამარაგებს სხვებს. იგი ამარაგებს პარიზელებსაც. სენტ-ეტიენის მცხოვრებლები მალაზიის სარდაფებში პოულობენ რამდენიმე თვის სამყოფ სანოვაგეს.



გადარჩენილა სენტ-ნორშიენის სკოლის 15 მოსწავლე. ექიმი ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე. აქ არის მებაღე „რადოზი“, რომელიც სასაფლაოს ირგვლივ ნემსისწვერას რგავს. აქ არის კალატოზი, რომელიც სახლის აშენებას იწყებს. იგი შეაცდენს მიკიტნის ცოლს, რომელსაც ვაჟი გაუჩნდება. ეს არის მახინჯი, უცხვირო, უკანო, ბრმა ბავშვი. რადიოაქტიური სხივები შეჭრილა ელენეს საშოში და ბავშვი დაუხრჩვია.

ეს გარემოება ძლიერ გავლენას ახდენს მათზე, დურგლის ვაჟი უკვე აღარ მღერის, კალატოზი აღარ აშენებს, ექიმმა ჩაიკეტა თავისი ოთახის კარი, შეშლილები კი კვლავ ღრიალებენ. მათ გამოელევათ სურსათი და კრიტიკულ მდგომარეობაში ვარდებიან. ყველაფერი შექმულია, დარჩა მხოლოდ ბალახი. მეძებვე დადის მათ შორის და გაიძახის: ვინც თქვენს შორის ყველაზე მსუქანი და ქორთაა, უნდა დაეკლაო.

როცა ელზა და ჰენრი დაინახავენ, რომ აქ ადამიანებმა ერთმანეთს დაუწყეს ჭამა, გაფრენას გადაწყვეტენ. ჰენრი ეუბნება ელზას:

— „ამ ადამიანებს შორის დარჩენა მინდოდა, მაგრამ აქ უკვე ადამიანები აღარ არიან, რადგან ისინი თავიანთ ჯილაგს ჭამენ. სანამ ჯერ კიდევ ადამიანობა შეგვრჩენია, გავიქცეთ აქედან“<sup>1</sup>.

ჩაფრინდნენ ერთ დიდ ქალაქში, სადაც ყველაფერი დანგრეული აღმოჩნდა, იგი გეოგრაფიულ რუკაზე უკვე

---

<sup>1</sup> Elsa Triolet—„Le cheval roux ou les intentions humaines“, Paris, 1953, გვ. 55.

აღარ ჩანდა. ჰენრი პირველი გაქოღის თვითმკრინავი-  
დან, მის უკან დგას ელზა, აეროდრომზე ადამიანთა პა-  
ტარა ჯგუფი აღმოჩნდა და თვითმფრინავისკენ დაიძრა.  
როცა ახლოს მივიდნენ, ერთხალ დასძახეს: „ვაშა“.  
ჯგუფს გამოეყო მეზღვაურის ფორმაში ჩაცმული პატა-  
რა ტანის კაცი, მივიდა ჰენრისთან და ინგლისურ ენა-  
ზე უთხრა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. ეს იყო  
კაპიტანი. იგი ეკითხება ჰენრის:

— საიდან მოდიხართ, მხსნელებო?

— პირდაპირ ჯოჯობეთიდან, — უპასუხებს ჰენრი.

— დიახ...— თქვა კაპიტანმა, — ვხედავთ ჯოჯობეთს,  
სახეზე რომ გაწერიათ. მაინც საიდან მოდიხართ? კიდევ  
სად არიან ადამიანები? ამერიკის შეერთებული შტატე-  
ბიდან ხომ არ ხართ გამოგზავნილი?

ჰენრი ერთი წუთით შეჩერდა.

— თქვენ რომ ფიქრობთ, ისა ვართ, — უთხრა ჰენ-  
რიმ. — შეერთებულ შტატებზე არაფერი ვიცი. ვაჰ, საწ-  
ყალო კაცობრიობავ! იგი ღმერთმა თავისი ცოდვებისა-  
თვის დასაჯა“.

ჰენრი მოუთხრობს, რომ განვლეს ათასობით კილო-  
მეტრი და მხოლოდ დამწვარი ნიწა და წყალი დაინახეს.  
კაპიტანიც მოუთხრობს იმ უბედურებას, რაც აქ მოხდა.  
ეს იყო ქალაქ სტოკჰოლმში. ერთ ღამეს ქალაქში მო-  
ვარდა შავი ღრუბლის მასა და შთანთქა იგი. ქალაქი  
წყალში ჩაიძირა. ტალღამ ასეული ათასი ქალი, კაცი  
და ბავშვი წალეკა, სიკვდილს გადარჩნენ მხოლოდ კვი-  
რადღით მოსული მოსეირნეები. ელზასთან მიდის ერთი  
თეთრწინსაფრიალი ქალი და ეუბნება: „კეთილი იყოს

თქვენი მობრძანება“. ამ ქალს გრეტას ეძახდნენ. გრეტა მოუთხრობს ელზას თავის თავგადასავალს—ატომისაგან სამი ბავშვი დამელუპაო, გმობს მეცნიერთა ისეთ აღმოჩენას, რომელიც ომის მიზნებს ემსახურება.

ელზა გააცნობს მათ თავის ვინაობას, რომ იგი მწერალია, ეძახიან ელზა ტრიოლეს, დაინტერესებულია ატომური ომის საშინელების შემდეგ კაცობრიობის ბედით და მოგზაურობს თვითმფრინავით.

ელზა და ჰენრი გადაწყვეტენ შვეიცარიისაკენ გაფრენას, ვინაიდან კარგად იციან, შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანაა და იქ ომი შეუძლებელია. ჩამოფრინდებიან შვეიცარიაში და საუბარს გააბამენ პრეზიდენტთან. ეს უკანასკნელი ეკითხება ჰენრის:

— აქ რატომ დაეშვით? ჩვენთან მოხვედით?

— არა, თქვენთან არ მოვსულვართ და არც არავის გამოუგზავნივართ,—ეუბნება ჰენრი.—აქ იმიტომ დავეშვით, რომ ადამიანი დავინახეთ. მაგრამ აქ კი არავინ არის.

— საიდან მოდიხართ?

— ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს,—მიუგებს ჰენრი.—რატომ არ არის აქ ადამიანი? განა ყველა დაიხოცა?

— შვეიცარიის მთელი მოსახლეობა ევაკუირებულია, ეგებ გადავრჩეთ გატლეტას, ყველას ამის იმედი გვაქვს;—უპასუხებს პრეზიდენტი.

— რატომ არიან ევაკუირებული?—კვლავ შეეკითხა ჰენრი.

— იმიტომ, რომ მათ რადიოაქტიური სხივების საშიშროება მოელოდათ...—ეუბნება პრეზიდენტი...

ჰენრი და ელზა განაგრძობენ საუბარს სასტუმროში.  
ამ დროს გაისმის რადიოს ხმა:

— პირველი ატომური ბომბები ჩამოაგდეს... ამხანაგებო! დაიცავით მშვიდობა! სიკვდილი სიკვდილს, მშვიდობის საქმეს თავი შესწირეთ! ჩვენი ბავშვების სიცოცხლის გულისათვის გაერთიანდით ბრძოლაში, რომ კაცობრიობა გაელეტას გადავარჩინოთ! ძმებო და დებო, ომის გამჩაღებლებს მიწისქვეშა თავშესაფარი აქეთ, ჩვენ კი ვიღუპებით! შეერთდით, დაიცავით თავი, ამხანაგებო...

ავტორი ოცნებობს, რომ კაცობრიობას არ დაატყდეს ატომური ომი. მშრომელებმა თავიანთი ბედი თვითონ უნდა გადაწყვიტონ, მეცნიერების მიღწევანი გამოყენებული უნდა იქნეს ხალხის ბედნიერებისათვის, ადამიანები სიცოცხლის გახანგრძლივებაში ერთმანეთს უნდა დაეხმარონ.

იმის მიუხედავად, რომ ჰაერში ფრენის დროს, აგრეთვე მიწაზე ნანგრევებში დახოცილთა შორის სიარულისას, ავტორს ბევრი სიძნელე ელობება, მაინც ოპტიმისტია და სწამს ადამიანის გამარჯვება ბუნების ძალებზე. როდესაც მათ რამდენიმე ათასი კილომეტრი განვლეს, ჰენრიმ ჩართო რადიო, მოისმა მუსიკის ხმა, რაც ადამიანის არსებობის დამამტკიცებელი იყო.

„ამხანაგებო! სამარადისო ხსოვნა იყოს ყველასი, ვინც დაიღუპა მიწაზე, ზღვაზე, ჰაერში...—ისმოდა რადიოში.—დიდება მათ, რომლებმაც დედამიწიდან, ზღვიდან, ჰაერიდან ალაგმეს ჯალათები“.

ჰენრი მოტორს შეანელებს, თვითმფრინავი მდორედ

ემშვება ძირს, იგი. ხელში აიტაცებს ელზას და ერთად მღერიან მარადიული სიცოცხლისა და ადამიანის სადიდებელ ჰინნს. აპით მთავრდება რომანი.

ავტორის მიზანი იყო ამ ნაწარმოებში მკითხველისათვის მხატვრულ ფორმებში ეჭვებინა ატომური ომის საშინელებანი, მწერალი ქალი მოუწოდებს კაცობრიობას, ატომური ენერჯია გამოყენებული იქნეს ხალხის კეთილდღეობისათვის. მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა მან წარმატებით შეასრულა. რომანი დაწერილია სოციალისტური რეალიზმის პრინციპების საფუძველზე, ცხოვრების ღრმა ცოდნით.

როგორც საფრანგეთის პროგრესულმა პრესამ, ისე საბჭოთა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცეს ამ ნაწარმოებს. 1954 წლის დეკემბერში საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე ნ. ტიხონოვმა თავის მოხსენებაში რომანი საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიაკუთვნა.

ელზა ტრიოლე ლუი არგონთან ერთად მონაწილეობდა საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე. მას კარგად ესმის მწერლის დანიშნულება. ხსენებულ ყრილობაზე იგი ამბობდა: „თვითეულმა მწერალმა კარგად იცის, თუ რამდენად ზუსტია ფლობერის პასუხი კითხვაზე:— ვისგან გადმოიღო „მადამ ბოვარი“? „მადამ ბოვარი“ ეს მე თვითონ ვარ“. თვით მწერალში აუცილებლად უნდა იყოს ახალი ადამიანის რალაც ჩანასახი. ხელოვნება სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი საშუალებაა, იგი ამ ჩანასახების გამოჩენას ეხმარება. კერძოდ რომ ვთქვათ, ჩანასახების გამოჩენას ეხმარება ლიტერატურა“.

ელზა ტრიოლეში არის ახალი ადამიანის არა რაღაც ჩანასახი, არამედ იგი მთლიანად ახალი ადამიანია, რომელსაც მომარჯვებული აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია. მან კარგად იცის, რომ ნამდვილი მწერალი ხალხს უნდა ემსახურებოდეს. მის ინტერესებს იცავდეს, ღრმად ჩასწვდეს ადამიანის სულიერ სამყაროს: ამის ნათელი დამადასტურებელია მისი „წითელი რაში ანუ ადამიანური განზრახვა“.

ლუი არაგონი ამბობს: „რომანი უნდა ემსახუროს სამყაროს გარდაქმნას, ენთუზიაზმის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეიძლება“.

ეს ითქმის ელზა ტრიოლეს ამ ნაწარმოებზეც, რომელიც დაწერილია განსაკუთრებული ენთუზიაზმით და ბურჟუაზიული სამყაროს გარდაქმნისაკენ მოგვიწოდებს. მას დიდი აღმზრდელობითი, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ელზა ტრიოლეს ეს რომანი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურას, წარმოადგენს მალალ იდეურ-მხატვრულ ნაწარმოებს და პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურაში საპატიო ადგილს იჭერს.

1956 წელს პარიზში გამოვიდა ამავე ავტორის ახალი რომანი „უცხოელთა შეხვედრა“,<sup>1</sup> რომელიც მიძღვნილია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თემისადმი. მოქმედება წარმოებს 1953 წელს საფრანგეთის ერთ-ერთი ლამაზი მხარის—ილ დე ფრანსის მიდამოებში.

---

<sup>1</sup> Le Rendez—Vous des étrangères, Paris, 1956.

ერთმანეთს ხვდება სამი მეგობარი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს მაუტჰაუზენის ფაშისტურ ბანაკში ერთად იტანჯებოდნენ.

ალბერტო ესპანეთის რესპუბლიკის ავიაციის ყოფილი გენერალია, რომელიც მამაცურად ებრძოდა ფრანკოს ფაშისტ ბანდიტებს. სერჟ კრემენი—პროფესიით მუსიკოსი, წინააღმდეგობის ნოდრაობის აქტიური მონაწილე, დაიბადა საფრანგეთში, მამამისი რუსი რევოლუციონერი იყო, იგი მეფის კატორღას საფრანგეთში გამოექცა. პატრის კრამონი—საფრანგეთის დიპლომატიის მუშაკია, განწყობილია პროგრესულად, მაგრამ კომუნისტებს არ თანაუგრძნობს. ამ სამ მეგობარს ერთმანეთთან აკავშირებს წარსული ტანჯვა-წამება, ფაშისტურ ბანაკში რომ გადაიტანეს. ისინი იგონებენ ბანაკში ერთად გატარებულ დღეებს, მღერიან რუსი პოეტის მიხეილ სვეტლოვის სიმღერას „გრენადაზე“, რომლის მუსიკა დაწერა მათთვის უცნობმა უნგრელმა კომპოზიტორმა. აი, ამ მაღალი კვაილშობილი „გრენადის“ ნოტებზე იწყება რომანი.

ავტორი თვალწინ გადაგვიშლის სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ბიოგრაფიას, სხვადასხვა ბედი რომ ერიგათ. ამ გმირებს უყვართ სამშობლო, იბრძვიან ხალხის ბედნიერებისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ხალხის აღზრდისათვის.

კარლოსი ახალგაზრდა მეცნიერია ფიზიკისა და ასტრონომიის დარგში. თავი რომ ირჩინოს, იძულებულია სასტუმროში მორიგედ იმუშაოს. მას ჰყავს მეგობარი ფერნანდი, ესპანეთის სახალხო არმიის ყოფილი კომი-

სარი. ფერნანდი პარიზში ებმება არალეგალურ საქმიანობაში, ამავე დროს კი ტალანის შიკრიკად მუშაობს.

რომანში გამოყვანილია აგრეთვე ოლლა გელერი, რომელიც „მაკის“ მებრძოლთა შორის „მონიკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ოლლა გელერი ყოფილი საბჭოთა მუშაკის ქალიშვილია. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა საფრანგეთში მოხვდა. მამამისის დანაშაული სამშობლოს წინაშე მას ყოველდღე მძიმე ლოდივით აწვება გულზე. უყვარს თავისი ქვეყანა—საბჭოთა კავშირი, მაგრამ ამავე დროს მისთვის ძვირფასია ახალი სამშობლო — საფრანგეთიც. ოლლა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელს მოიხვეჭს. როცა კითხულობთ რომანს, პირველი სტრიქონებიდანვე იქცევს თქვენს ყურადღებას ეს მამაცი ქალიშვილი, მისი გმირული ბრძოლები. მაგრამ ოლლას ფსიქოლოგიურ პორტრეტში ვპოულობთ ახალ ტრაგიკულ თვისებებსაც, როკლებიც სრულიად არ ახასიათებს ელზა ტრიოლეს „ავინიონელ შეყვარებულებს“, ანდა „ატმის ხის ძირას დამარხულ რვეულებს“. ეს არის ოლლას გამწარებული ცხოვრება, გამოწვეული სამშობლოდან გადმოხვეწით. ოლლა არ შედის კომუნისტური პარტიის რიგებში, რადგან ყოველ ნაბიჯზე მამამისის აჩრდილი დასდევს. ამასთან მას პარიზის ხელისუფალნი ექვის თვალით უცქერიან, საბჭოთა ჯაშუშად თვლიან. იგი დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა საბჭოთა კავშირში, მაგრამ ეჩვენება, რომ აქაც დაუწყებენ ექვის თვალით ცქერას, და ნდობას ვერ დაიმსახურებს.

„თუ თქვენ დაბადებული არა ხართ იმ ქვეყანაში,



სადაც ცხოვრობთ,—მწუხარებით ამბობს ოლლა,—ყოველთვის ექვის თვალით გიციქერიან მშობლიური ქვეყნისადმი პატრიოტული გრძნობების გამოჩენისათვის; ხოლო მშობლიური ქვეყანა გისაყვედურებთ იმ ქვეყნისადმი სიყვარულის გამო, რომელშიც ცხოვრობთ“.

ოლლას სახით ნწერალი წარმოგვიდგენს რთული გრძნობების ადამიანს. ხაზს უსვამს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირისადმი მის სიყვარულს.

მწერალი აგრეთვე გვიხატავს ამერიკელი მხატვრის ფრანკ მოსოს სახეს. საინტერესოა ამ პერსონაჟის ბედი, რგი კომუნისტი არ არის. მოსო ცდილობს განზე გაუდგეს პოლიტიკურ ბრძოლას, ოცნებობს წმინდა ხელოვნებაზე. ამ მხრივ მას ერთ ხანს გარკვეული მიღწევები აქვს. ჰოლივუდში მოიწონებენ მის სცენარს. ერთ მშვენიერ დღეს ამერიკის დაზვერვა ავტორზე ექვს მიიტანს, რომ იგი კომუნიზმს თანაუგრძნობს და ჰოლივუდიდან გააძევებენ, აუკრძალავენ ხელოვნებაზე წერას. დიდი გაკირვებით შედის ამერიკის საექსპორტო-საიმპორტო საზოგადოებაში და გზავნიან ამავე საზოგადოების პარიზის სააგენტოში. ფრანკ მოსო ჩადის პარიზში, სადაც წინათ ამერიკის არმიის რიგებში გერმანელ ფაშისტებს ებრძოდა. საუბედუროდ ამერიკის დაზვერვა აქედანაც გააძევებს.

რომანში ნაჩვენებია აგრეთვე ფრანკის ცოლი, რომელსაც ეზიზღება ყოველივე ფრანგული, ყველაფერს ურჩევნია მშვიდი ცხოვრება, სურს შეინარჩუნოს ამერიკული ზნე-ჩვეულებანი. ამერიკელი ხელისუფალნი წინადადებას მისცემენ ფრანკ მოსოს დატოვოს პარიზი.

მოსოს ბედი ტრაგიკულად მთავრდება — მოწამლავენ. ცხადია, აქ მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, მან თვითმკვლელობა ჩაიდინა, თუ სხვებმა მოკლეს. მთავარი ის არის, რომ მოსო უსამშობლოდ დარჩა, რაც რომანში ნათლად არის ნაჩვენები.

მწერალი დამაჯერებლად აგვიწერს პოლონელ მალაროელთა ღუხჭირ ცხოვრებას. ეს მალაროელები საფრანგეთში მუშაობენ. აქ ნაჩვენებია ფრანკოს ესპანეთიდან გამოქცეულთა ცხოვრება, ალჟირების ხვედრი — პარიზის ქუჩებში რომ დაეხეტებიან. ყოველივე ეს ორგანულად არის დაკავშირებული რომანის ძირითად თემასთან „გრენადის“ იდეასთან.

მებრძოლი პერსონაჟების გვერდით, მალალი ინტერნაციონალური გრძნობებით რომ სუნთქავენ, მწერალი გამოკვეთს აგრეთვე სხვა სახეების გალერეას. ესენი არიან ცივი, მკაცრი ადამიანები, რომლებიც კაპიტალისტურ სამყაროში წარმატებით სარგებლობენ. ისინი ერთმანეთს არაფრით ჰგვანან, ყველას თავისი საკუთარი სახე აქვს, ამასთან ერთად ეს ადამიანები ერთ ბანაკს ეკუთვნიან და დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ოლლას, სერჟისა და ფერდინანდის ბანაკს.

რომანში გამოყვანილია ფრანგი მწერალი, ყოფილი პოლკოვნიკი დივერნუა. ეს არის გალატაკებული ცინიკოსი, წინათ იბრძოდა ესპანეთის ფაშისტების წინააღმდეგ, მაგრამ ყოველივე ამას თავისებური ეგზოტიკური სიყვარულის გულისთვის აკეთებდა. დივერნუა გადაჭრით იბრძვის კომუნუნიზმის წინააღმდეგ. იგი მიზნად დაისახავს დაწეროს რომანი ემიგრანტთა ცხოვრებაზე და აგროვეტს მასალებს.

აქვეა საშა რეზენციაიგი—ავანტიურისტი, პარიზის „ოქროს“ ახალგაზრდობის მეთაური. მისი მშობლები— ებრაელები გერმანელმა ფაშისტებმა გაზის საკანში გამოახრჩეს. ამ გარემოების მიუხედავად, საშა რეზენციაიგს კავშირი აქვს რეაქციასთან, იგი ბულვარული რომანის ავტორი ხდება. სამშობლოს ბედ-იღბალი სრულიადაც არ აღელვებს. როგორც თავისი განსვენებული მამისათვის, მისთვისაც სამშობლო იქ არის, სადაც მეტი ფულის შოვნა შეიძლება.

და ბოლოს მწერალი აგვიწერს საფრანგეთის ბურჟუაზიის კოსმოპოლიტურ წრეებს.

ის თავები, რომლებიც ბურჟუაზიული სამყაროსადმია მიძღვნილი, სიუჟეტურად რომანის ძირითად ხაზთან არის დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, „გრენადის“ თემა ელზა ტრიოლეს რომანში ორგანულად სამშობლოს თემას ერწყმის. მწერალი დიდი მწუხარებით წერს ესპანელ განდევნილებზე, რომლებიც პატრიოტებად რჩებიან ყველგან, სადაც უნდა იყვნენ. ისინი მაწანწალები როდი არიან, მათ შეინარჩუნეს მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი. თავისი საუკეთესო პერსონაჟების პირით მწერალი პოლემიკას უმართავს მათ, ვინც ამგვარ განდევნილებს უსამშობლოდ თვლის. პოლკოვნიკ დივერნუასთან კამათში ოლლას მოჰყავს განსვენებული მწერლის ანტუან დე სენტ ეგზიუპერის სიტყვები: „თანახმა ვარ, ვიყო მოგზაური, მაგრამ ემიგრანტი რომ მიწოდონ, არ მინდა“.

პატრიოტული და ინტერნაციონალური იდეის კავშირი ნათლად არის ნაჩვენები იმ თავებში, სადაც მწე-

რალი პოლონელი მაღაროელების ამბავს მოგვითხრობს, ჯერ კიდევ პილსუდსკის დროს, ოციან წლებში იძულებული რომ იყვნენ სამშობლო მიეტოვებინათ და სამუშაოდ საფრანგეთში წასულიყვნენ.

სერჟ კრემენისა და ივის ხელმძღვანელობით ეწყობა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამო. ამ საღამოზე მსახიობთა გამოსვლისათვის პროგრამას შეადგენს ოლლა. აქ დიდი მგზნებარებით წარმოთქვამენ სასიქადულო პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის ლექსებს. ბევრჯერ ახსენეს ცნობილი პოლონელი გენერალი იაროსლავ დომბროვსკი, რომელიც პარიზის კომუნის ბარეკადებზე გმირულად იბრძოდა საფრანგეთისა და პოლონეთის თავისუფლებისათვის

„გრენადის“ თემა, სამშობლოსა და ინტერნაციონალიზმის თემა, წიგნში მკაცრად უპირისპირდება საერთაშორისო რეაქციის იდეებს, ეროვნული და რასობრივი ღლეტის იდეებს.

ერთ-ერთ უკანასკნელ თავში რომანის ძირითადი პერსონაჟები ახალი წელიწადის შესახვედრად ერთად იკრიბებიან. ეს იყო 1954 წელს კომუნისტი იგი წარმოთქვამს განდევნილთა სადღეგრძელოს, ყველას სადღეგრძელოს, ვინც უძნელეს პირობებში იბრძვის თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. ამავე დროს იგი სადღეგრძელოს ამბობს პოლკოვნიკ დივერნუას წინააღმდეგ. ამ სტრიქონებში ჩაქსოვილია წიგნის ძირითადი იდეა. სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს ყველამ, ვისაც სურს სამშობლოს კეთილდღეობა.

წიგნი მთლიანად მიმართულია ნაციონალიზმის წინააღმდეგ.  
მ. ს. თურნავა

ნაადმდეგ. მწერალი გვიჩვენებს ნამდვილი პატრიოტიზმის იდეას, თუ როგორ მტკიცედ არის იგი დაკავშირებული ინტერნაციონალურ ბრძოლასთან.

1957 წელს პარიზში გამოვიდა ელზა ტრიოლეს მეორე ახალი რომანი „ძეგლი“ („Le Monument“).

მწერლის ამ ახალ რომანებს მაღალი შეფასება მისცეს საფრანგეთის აკადემიის წევრმა მწერლებმა: ჟან კოკტომ, ანდრე ლოტიმ და ჟან-პიერ შაბროლმა. მათ სპეციალური სტატიები მიუძღვნეს ამ ნაწარმოებებს და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს ავტორს. ჟან კოკტო წერს:

„ძვირფასო ელზა!

წავიკითხე თქვენი წიგნი. მართლაც რომ ძეგლია... იგი დამეხმარა დაბნეულობის დაძლევაში... საჩუქრისათვის მადლობას გიძღვნი... გკოცნი, ჩემო ლამაზო ლურჯო წყაროვ“.<sup>1</sup>

„ვფიქრობ, რომ „ძეგლი“ გაუძლებს გამოცდას... ლევკა ახალი ტიპის გმირია“<sup>2</sup>—წერს ჟან-პიერ შაბროლი.

ელზა ტრიოლეს ამ ახალ რომანებს დიდ შეფასებას აძლევს საბჭოთა საზოგადოებრიობაც.

ელზა ტრიოლეს—გონკურების პრემიის ლაურეატს კარგად იცნობენ როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა კავშირში. მწერალმა თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში საპატიო ადგილი დაიჭირა. ამიტომ არის,

---

<sup>1</sup> „Les Lettres françaises“, № 678

<sup>2</sup> იქვე. გვ. 8.

რომ მისი თითქმის ყველა სოციალური რომანი ბურჟუაზიულ კრიტიკოსებში დიდ უკმაყოფილებას იწვევს, მას ხშირად ეკამათებიან ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ფრანგი ინფერალი და კრიტიკოსი პიერ დექსი ელზას რომანებს მაღალ შეფასებას აძლევს, მათში ისეთ ძალას ხედავს, რომელიც მკითხველებს შესაძლებლობას აძლევს ღრმად შეიცნონ თანამედროვე ფრანგული სინამდვილე. დექსი აღტაცებით ლაპარაკობს ელზა ტრიოლეს ცხოვრების სიმართლეზე, მის ახალ გრძნობებსა და აზრებზე, რომლებიც რეალისტურად არის აღწერილი მის ნაწარმოებებში. ამავე დროს კრიტიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ელზა ტრიოლეს დიდი დამსახურება აქვს ფრანგ ინფერალთა ეროვნული კომიტეტისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ლიტერატურის წინაშე. ტრიოლემ თავის ნაწარმოებებში განსაკუთრებული სისრულით ასახა ფრანგი ხალხის უმნიშვნელოვანესი მოვლენები მეორე მსოფლიო ომის წლებსა და მის შემდეგ. ინფერალმა დიდი შთაგონებით აღბეჭდა მეორე მსოფლიო ომის სუსხიან დღეებში ფრანგი ხალხის სწორუპოვარი გმირობა, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მისი მორალური სისპეტაკე და კეთილშობილება. ელზა ტრიოლე მხატვრული თხრობის დიდი ოსტატია თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში. მის ნაწარმოებებში ვლინდება გამოჩენილი რეალისტი მხატვრის ნიჭი.

მისი მოთხრობებისა და რომანების გმირები უბრალო ფრანგი ადამიანები არიან, ავტორი ღრმად სწვდება თავისი გმირების სულიერ სამყაროს, იძლევა დაუფი-

წყარ და წარუშლელ პერსონაჟებს. მწერალს კარგად აქვს შესისხლხორციელებული მშობლიური კლასიკური ფრანგული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, მისწრაფება მხატვრული სიმართლისაკენ. იგი ნაწარმოებებში აღადგენს ცხოვრების ახალ, მართალ სურათებს, აქვს ცხოვრების ღრმა ცოდნა, დაკვირვების უნარი. მოთხრობებში: „ავინიონელი შეყვარებულები“, „ანრი კასტელა“, „ღრმა მწუხარებით“, „ივეტა“ ჭეშმარიტი რეალისტური ხელოვნებით არის მოცემული ფრანგი ხალხის გმირული ბრძოლა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. კითხულობთ ამ მოთხრობებს და თქვენს თვალწინ გაივლის გულშემზარავი ეპიზოდები. გერმანელი ფაშისტები ტყვეითა და მახვილით უსწორდებიან ფრანგ პატრიოტებს, მაგრამ ხალხის მებრძოლ სულს ვერ გატეხს რეპრესიები, ფრანგი ხალხის გამარჯვება გარდაუვალია, ყველა სტრიქონში ოპტიმისტური სული იგრძნობა.

ელზა ტრიოლე თავის შემოქმედებაში ხელმძღვანელობს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით, შესწევს უნარი სრული სიმართლით დაინახოს ცხოვრება და გამოხატოს თავის ნაწარმოებებში. მწერლის სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, როგორც უკვე ვთქვით, სრულყოფილად გამოჩნდა მის შესანიშნავ რომანებში: „უცხოელთა შეხვედრა“, „ძეგლი“ და „წითელი რაში ანუ ადამიანური განზრახვა“. ეს რომანები დაწერილია დიდი მხატვრული ალღოთი, მასალის კარგი ცოდნითა და პატრიოტული მგზნებარებით.

ელზა ტრიოლეს აქვს თავისი ინდივიდუალური სტი-

ლი, გამოსახვის თავისებურება, ენას ამდიდრებს ახალი მხატვრული გამოთქმებით. მის მიერ გამოძიწილ სახე-ებში ნათლად იგრძნობა მწერლის დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ელზა ტრიოლეს ენა და სტილი სრულ-ქმნილი და ნათელია, მკითხველი ადვილად იგებს მის იდეებს, შეხედულებებსა და განწყობილებას. სოცია-ლისტური რეალიზმის მეთრდი, რომელიც მწერალს შემოქმედებითად აქვს შესისხლხორცებული მოჩანს მის ყველა სტრიქონში, იგი ახალ და ახალ მხატვრულ საშუალებათა დაუცხრომელ ძიებაშია, რომ სრულად გამოხატოს ფრანგი ხალხის ცხოვრების მრავალფერო-ვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ელზა ტრიოლეს შემოქმედე-ბაში დიდი ადგილი უჭირავს რუსულ და საბჭოთა ლი-ტერატურას. იგი, როგორც ფრანგ მწერალთა ეროვნუ-ლი კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე, მიზნად ისახავს ფრანგ ხალხს გააცნოს რუსული და საბჭოთა ლიტერა-ტურის დიდი წარმომადგენლები. მწერალმა თარგმნა გოგოლის, ჩეხოვის, მაიაკოვსკის, ილინისა და კონსტან-ტინოვას ნაწარმოებები. ა. ჩეხოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოაქვეყნა 'კაპიტალური ნაშრომი: „ანტონ ჩეხოვის თავგადასავალი“, რომელშიც ავტო-რი ავითარებს აზრს: ხელოვნება სიმართლეს უნდა ემ-ყარებოდესო. ავტორი მოგვითხრობს, როგორ იბრძო-და მთელ თავის ცხოვრებაში ა. ჩეხოვი სიცრუის წინა-აღმდეგ, ხელოვნებაში ნამდვილი სიმართლისათვის, რეა-ლიზმისათვის. მწერალი ამხელს ბურჟუაზიულ საზოგა-დოებას, რომელმაც ხელოვნებაში სიცრუე დაამკვიდრა.



ელზა ტრიოლე და ლუი არაგონი ენერგიულად იბრძვიან საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის განსამტკიცებლად. ამ მხრივ მათ დიდი ამაგი დასდეს საბჭოთა ლიტერატურას. ელზა ტრიოლემ ამის თაობაზე 1957 წელს „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციაში თქვა:

„ჩემი მონაწილეობა შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაში იმით არის გაადვილებული, რომ ჩემთვის ერთნაირად ახლოა რუსულიც და ფრანგულიც. შეძლების მიხედვით ვცდილობ გავაცნო ფრანგ მკითხველებს ის, რაც ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია. რუსულ და საბჭოთა ლიტერატურაში დიდხანს ვმუშაობდი. მიაკოვსკისა და ჩეხოვის ფრანგულად გადაღებასთან ერთად რუსულ ენაზე ვთარგმნე ლუი არაგონის ნაწარმოებები“.

ელზა ტრიოლე, მაღალნიჭიერი და ფრიად ნაყოფიერი თანამედროვე ფრანგი მწერალი ქალი, კიდევ იტყვის თავის სიტყვას. მაგრამ უკვე თქმულითაც მან სამუდამოდ დაიმკვიდრა პროზის ოსტატის სახელი. იგი დღესაც მტკიცედ დგას ჩვენს ხალხთან ერთად მშვიდობისა და თავისუფლების სადარაჯოზე.

## კრლ ვაიან-კუტიურიე

„რომ გაგეცნოთ იგი, საჭირო იყო მასთან ერთად სანადიროდ წასვლა“, — ამბობს ერთი. მეორე უპასუხებს: „მიტინგზე ორატორი, ტრიბუნი — აი ნამდვილი ვაიანი“. „გინახავთ ვაიანი, — კითხულობს მესამე, — მის კაბინეტში, როცა წერს სტატიას და ერთდროულად უპასუხებს ათი ტელეფონის წკარუნს — ყოველთვის კეთილისასურველი, თავდაპირველი, მოლიმარი სახით? — მან გაზეთი „ლუმანიტე“ ერთ-ერთ საუკეთესო გაზეთად გახადა მთელ საფრანგეთში. აი ნამდვილი ვაიანი“. „მას კარგად მხოლოდ ის იცნობდა, — საუბარში ერევა კიდევ ერთი, — ვისაც შემთხვევა ჰქონდა ეცხოვრა მასთან კარავში და ანკესით ეთევზავა“. „მართალი არა ხართ, — ამბობს სხვა მოსაუბრე, — ვაიანის საიდუმლოება ის გახლდათ, რომ მასში განსახიერებული იყო ჭკუამახილი, უშუალო პოეტი. ხომ არ გაგიგონიათ, როგორ მღეროდა რომანსებსა და საოპერო არიებს?“. „ნამდვილმა ვაიანმა, — შენიშნავს კიდევ ვიღაც, — სახელი გაითქვა ომში როგორც სატანკო ჯარების ოფიცერმა, გმირმა... ვაიანი იყო ბუნებისპეტყველი, მკვლევარი და

გეოგრაფი. ვინც მასთან აზიანში დიდი მოგზაურობის დროს არ ყოფილა, მას უთუოდ არ იცნობს“.

„არ დაგავიწყდეთ, რომ ვაიანი ნხატვარია, — ამბობს კიდევ სხვა. საქმე მარტო ეს როდია. ნამდვილი ვაიანი ავტორია პიესისა „დროშები“, დიდი მასობრივი თეატრის შემქმნელი“.

ასე დაახასიათა ფრანგმა მწერალმა ჟან რიშარ-ბლოკმა ვაიანი თავის ნეკროლოგში: „დავკარგე მეგობარი“.

ვაიან-კუტიურიეს მეოცე საუკუნის ფრანგულ პროგრესულ ლიტერატურაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. მისი შემოქმედება მრავალფეროვანია. სარგებლობდა ყველა ლიტერატურული ჟანრით, წერდა ლექსებს, პოემებს, პიესებს, ნარკვევებს, პუბლიცისტურ წერილებს, მოთხრობებსა და რომანებს. პოეტი წერას იწყებს ლექსებით და მალე მკითხველი საზოგადოების ყურადღებასაც იპყრობს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ვაიანი აღტაცებით შეხვდა, ოქტომბერმა მასზე წარუშლელი გავლენა მოახდინა და გამოძახილი ჰპოვა მის პოეზიაში. თავის შესანიშნავ ლექსების წიგნში: „წითელი მატარებლები“ პოეტი ასახავს და უმღერის ოქტომბერს, ძველი სამყაროს ნგრევას, მსოფლიოს გათიშვას ორ დიდ მოპირდაპირე ბანაკად, კაცობრიობის ცხოვრების დიად განახლებას, მისი ისტორიის ნამდვილ დასაწყისს. შემდგომ ლექსებში უკეთ ეუფლება სოციალისტური სინამდვილის თემატიკას. დიდი ადამიანური უშუალობა, წრფელი განცდა, დახვეწილი გემოვნება ახასიათებს პოლ ვაიან-კუტიურიეს პოეტურ შემო-

ქმედებას. მისი ლექსები ნათელი სახეების მეშვეობით გადმოგვცემს პოეტის მიერ ღრმად განცდილსა და ნაგრძნობს, მასში ყოველთვის ცოცხალი სინამდვილის სუნთქვაა განსახიერებული. ამიტომ მისი პოეზია ეღერს ბუნებრიობით, საკუთარი ხმით.

მხატვრული სიმართლე, თხრობისა და აღწერილობის მომხიბლაობა, ლაკონიზმი ახასიათებს მის ნოველებს, მოთხრობებსა და რომანებს. რომანები: „შეებულებაში“, „ჯარისკაცის ომი“, „ბავშვობისა და ქაბუკობის მოგონებანი“ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დაწერილი ნაწარმოებებია. ვაიანი იყო სიტყვის შესანიშნავი ოსტატი, ცხოვრებას რეალისტური თვალთუყურებდა. ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი ანდრე ვურმსერი აღტაცებით წერს, ვაიანს უყვარდა ყველა ახალგაზრდა, ბავშვებიდან დაწყებული და დამთავრებული საბჭოთა კავშირითო. შემდეგ ანდრე ვურმსერი განაგრძობს: „მხოლოდ სიყვარული ადამიანებისადმი, სიყვარული ცხოვრებისადმი ქმნის ნამდვილ რევოლუციონერს. უნდა გჯეროდეს ადამიანისა. რომ იგრძნო აუკილებლობა — შეცვალო ცხოვრება და დაეხმარო ადამიანებს“.

ვაიანი დიდი მებრძოლი მორალური სიმბოლის მწერალია, მაგალითს აძლევს თავის თაობას. ამ თვალსაზრისით იგი ახლოს დგას მ. გორკისთან, რ. როლანთან და ანრი ბარბიუსთან. ვაიანს აქვს თავისი ინდივიდუალური ენა და სტილი. მწერალმა დიდი როლი შეასრულა ფრანგული ენის დახვეწისა და სრულყოფის საქმეში.

მწერლის პოლიტიკურ-ლიტერატურული შემოქმედების 20 წლისთავზე „ინტერნაციონალნაია ლიტერატურას“ რედაქცია წერდა: „ჩვენი ჟურნალი ესალმება მსოფლიო რევოლუციის მგზნებარე მწერალს პოლ ვაიან-კუტიურიეს მისი პოლიტიკურ-ლიტერატურული შემოქმედების ოცი წლისთავის შესრულების გამო. ოცი წელიწადი კაცობრიობისათვის ცოტაა, ადამიანისათვის კი დიდი. გვახსოვს, ვიცნობთ ვაიან-კუტიურიეს ნაშრომებს ამ წლების მანძილზე. არა მარტო ჩვენ გვიყვარს და ვიცნობთ მას, როგორც წსოფლიოს მოწინავე მხატვარს, არამედ მოწინავე მსოფლიო იცნობს მას როგორც თავის მხატვარს. დიდი ღირსებაა ოც წელიწადს იბრძოლო მოწინავე იდეებისათვის. ეს უსაზღვრო სიმამაცე არასოდეს მოიხრის ქედს მტრის წინაშე.

ვაიან-კუტიურიემ ვაჟკაცურად გადაიტანა სიმართლისათვის მებრძოლის სიძნელეები, იმიტომ რომ იგი ფრანგი ხალხის, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილია კომუნისმის მოწინავე იდეების დამცველია. ამ იდეებით გამხნეებული, სხვებსაც ამხნეებს საბრძოლველად.

ვუცხადებთ ჩვენს მეგობრობას, ჩვენს სიყვარულს, ჩვენს უღრმეს პატივისცემას ვაიან-კუტიურიეს - მსოფლიო რევოლუციის მოწინავე მხატვარს“. <sup>1</sup>

ვაიან-კუტიურიეს შემოქმედება სამ პერიოდად იყოფა. პირველი იწყება 1910 წლიდან და მოდის 1917 წლამდე. ამ დროს იგი ლექსებს წერს. ეს არის ახალ-

---

<sup>1</sup> Интернациональная литература, № 1, 1937 წ. გვ. 169.

გაზრდა მწერლის შემოქმედებითი მომწიფების პერიოდი.

მეორე პერიოდი მოიცავს 1917—1933 წლებს. ვაიან-კუტიურიე უკვე ჩამოყალიბებული მწერალია, წერს რომანებს, მოთხრობებს, ნოველებს, პიესებს, საბავშვო მოთხრობებსა და თეორიული ხასიათის სტატიებს.

მესამე პერიოდი იწყება 1933 წლიდან და გრძელდება სიკვდილამდე (1937 წელი). ამ პერიოდში უპირატესად ცნობილია როგორც მკვლევარი.

მისი პოლიტიკური მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ლიტერატურულ შემოქმედებასთან.

პოლ ვაიან-კუტიურიე დაიბადა 1892 წლის 8 იანვარს პარიზში, მსახიობის ოჯახში. აქ ხშირად თავს იყრიდნენ მხატვრები, პოეტები, მუსიკოსები, მსახიობები. ამ მწერლებმა და მხატვრებმა აღუძრეს პატარა პოლს ხელოვნებისა და ლიტერატურის სიყვარული. 10 წლის პოლი ლექსების წერას იწყებს.

1900 წლიდან 1914 წლამდე საფრანგეთის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის განვითარება ერთგვარ აღმავლობას განიცდიდა. კარგი იყო მოსავალი, ქარხნების რიცხვი დღითიდღე მატულობდა, წინ მიდიოდა კულტურა, კინო, თეატრი. ამასთან ერთად იზრდებოდა მუშათა რევოლუციური მოძრაობაც.

1914 წელს დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი. ომს ქვეყნის მატერიალური გაჩანაგება მოჰყვა, დატყვევებას დაადგა ლიტერატურა და ხელოვნება. შეწყდა ის დროებითი აღმავლობა, რასაც განიცდიდა ფრანგული კულტურა 1910—14 წლებში. ამ დროს მწერ-

ლები ემილ ვერჰარნი, შარლ პეგი, ფრანს-ჟამი შო-  
ვინისტურ იდეებს ქადაგებენ, ხოტბას ასხამენ ხოცვა-  
ელეტას და ახალგაზრდობას ძმათამკვლელი ომისაკენ  
მოუწოდებენ. შარლ პეგმა დაწერა ლექსი, რომელიც  
ასე იწყებოდა: „Heurenx ceux qui sont morts pour la  
terre charnelle“<sup>1</sup>

ამ რთულმა სოციალურმა ვითარებამ წარმოშვა მეო-  
რე ლიტერატურული მიმართულება, დაკავშირებული  
ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან. ამ მიმართულებას  
ეკუთვნოდნენ რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი, რაი-  
მონდ ლეფევერი, ლუი არაგონი, ლეონ მუსინიაკი, პოლ  
ვაიან-კუტიურიე და სხვები. ეს იყო რევოლუციურ-  
პროგრესული მიმდინარეობა ფრანგულ ლიტერატურა-  
ში. ვაიან-კუტიურიემ სწრაფად მიიქცია საზოგადოების  
ყურადღება.

იგი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება 1914 წლიდან.  
იმპერიალისტური ომის დამთავრების შემდეგ ანრი ბარ-  
ბიუსთან ერთად დააარსა „ომის ყოფილ მონაწილეთა  
ასოციაცია“. 1918 წლის სექტემბერში მიემხრო საფრან-  
გეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთას  
და ბრძოლა დაიწყო ამ პარტიის რევოლუციური ნაწი-  
ლის კომინტერნთან შეერთებისათვის. 1920 წელს საფ-  
რანგეთის სოციალისტური პარტიის ტურის კონგრესის  
შემდეგ შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1921  
წელს აირჩიეს კომინტერნის მესამე კონგრესის დელე-

---

<sup>1</sup> ბედნიერები არიან ისინი, რომლებიც ხორციელი მიწისათვის  
დაიხოცნენ.

გატად, მერე კი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1926 წ. პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „ლუმანიტეს“ მთავარ რედაქტორად დანიშნა. ამ სამუშაოზე ყოფნის დროს უდიდეს მუშაობას ეწევა ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნისა და განპიკიციებისათვის. ვაიან-კუტიურიემ აქტიური მონაწილეობა მიიღო დორიოს ფაშისტური ბანდის განადგურებაში. მისი სტატიები გაყდენთილია ბოლშევიკურა პრინციპულობითა და შეურიგებლობით. 1937 წელს პარტიის მტრებმა მიზნად დაისახეს ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილეს — ვაიან-კუტიურიეს ფიზიკურად მოსპობა, მაგრამ ისინი დროზე გამოამეღავენა და გააცამტვერა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ.

ვაიან-კუტიურიემ ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა რესპუბლიკური ესპანეთის დასაცავად. მან მრავალი პუბლიცისტური წერილი და ლექსი მიუძღვნა გმირი ესპანელი ხალხის განთავისუფლების საქმეს; იგი იყო ესპანეთის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე.

1937 წ. პოლ ვაიან-კუტიურიე და მარსელ კაშენი მოსკოვში ესწრებოდნენ ანტისაბჰოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესს. პარიზში დაბრუნების შემდეგ მან მარსელ კაშენთან ერთად დაწერა ბროშურა „La guerre, assassinat, sabotage et trahison“.<sup>1</sup>

პოლ ვაიან-კუტიურიე პარიზის ნუშეზმა მალე დეპუტატად აირჩიეს და მას შემდეგ სიკვდილამდე ფრანგი მუშების ამ დიდი ნდობით სარგებლობდა.

<sup>1</sup> „ომი, მკვლელობა, საბოტაჟი და გამცემლობა“.



სამწერლო ასპარეზზე იგი გამოვიდა პირველ მსოფ-  
ლიო ომამდე, მაგრამ შემოქმედად ომის პერიოდში ჩა-  
მოყალიბდა. მისი პოლიტიკური და ლიტერატურული  
მოღვაწეობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირე-  
ბული. მისთვის ლიტერატურა წარმოადგენდა საბრძო-  
ლო იარაღს ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ.

პოლ ვაიან-კუტიურიე მოწოდებით პოეტი იყო.  
ცნობილია მისი ლექსების წიგნები: „მწყემსის მოსელა“  
(1910-1913 წ.), „სიკვდილის ცამეტი სიმღერა“ (1920 წ.),  
„წითელი მატარებლები“ (1920 წ.), „რჩეული ლექსები“  
(1938 წ.), მისი პირველი ლექსები ეხება პირენეის წარ-  
მტაც ბუნებას, სოფლის იდილიურ სურათებს. ამ ლექ-  
სებში ჯერ კიდევ საკმაოდ არ ჩანდა პოეტის დამოკი-  
დებულება. ომის შემდეგ დროინდელ ლექსებში კი ვაიან-  
კუტიურიე გვევლინება ბრწყინვალე ოსტატად. იგი მკი-  
თხველს ხიბლავს ლექსის იშვიათი მუსიკალობით, მდი-  
დარი რითმებითა და რიტმით.

ვაიან-კუტიურიე პირველ ხანებში პოეზიაში არტურ  
რემბოსა და პოლ ვერლენის გავლენას განიცდიდა. მაგ-  
რამ პოეტი მალე აღწევს თავს ამას, წერის საკუთარ  
მანერას იმუშავებს და იწყებს ბრძოლას დეკადენტი  
მწერლების წინააღმდეგ. აქედან იწყება მისი პოეტური  
ხმის დაწმენდა, იგი ორიგინალური მგოსანი ხდება.  
1910—1913 წლებში დაწერილ ლექსებში ვაიანი უმღერის  
შრომას, სოფლის პეიზაჟს, გადმოგვცემს თავის სულიერ  
განცდებს. ამ პერიოდის ლექსებს მიეკუთვნება „მზე  
ანათებს“ (Il fait soleil).

მზე ამოვიდა, მზე დიდებული,  
იქ მინდვრებია გაღვიძებული,  
იქ ზარებია, ცისკრის ზარები,  
დგება სამრეკლო ნამძინარები.  
მზე ამოვიდა, მზე დიდებული.

ცხოვრება როგორც მთრთოლვარე ბროლი,  
ხმაურობს ქვეყნად მეტყველის სულით.  
ადგება ფეხზე, ყიჟინას გაშლის  
და რიტმი ვრცელი, ვნებით და ბრძოლით  
შორს ნეტარება რომ ნახოს სრული  
დიდ ყვავილივით იშლება ცაში...

ცელების რიტმი მიდამოს უმღერს,  
ხარი მიათრევს უმძიმეს უღელს.  
დამძიმებული ურემი ძველი,  
რიყის ქვიშაზე კრიკინი ნელი.

(თარგმანი ს. თურნავასი)

შესანიშნავია ლექსი „დედაბერი“. პოეტი მიდის სოფ-  
ლად, გამოესაუბრება ერთ-ერთ დედაბერს, რომელიც  
მოუთხოვს მას თავის უნწეო მდგომარეობას, შინ ყვე-  
ლა დამეხოცაო. პოეტში ეს ამბავი გამოიწვევს სიბრა-  
ლულს, სურს იყოს მისი ყანის თავთავი და იზიარებს  
მის ბედს. პოეტს ახარებს მშრომელ ხალხთან ახლოს  
ყოფნა და უმღერის ხალხს, აი ეს ლექსიც:

და დედაბერი ახალ ამბებით  
მართობს, თან მკითხავს ღრმა ჩაუიქრებით:  
„კილოზე გატყობთ უცხო ბრძანდებით,  
ალბათ, შორეულ მხრიდან იქნებით“.  
მიკვირს, რომ მითხრა ასე მართალი,

უცხო ვარ, უცხოდ ღამის მთევარი,  
არცა ვარ მათი ყანის თავთავი,  
არც მათი სოფლის ყურძნის მტევანი.

„მე მწერალი ვარ.—ვეტყვი, ფიქრდება,  
არ ეფინეა მის შუბლს ნათელი,  
ვეგრძობ, ჩემსას იგი ვერას მიხედება—  
მკითხავს: „ვინ არის, თქვით, მამათქვენი?“ .  
მერე თვის ბედზე იწყებს ღალადისს,  
რომ დაეხოცნენ თავისიანნი,  
რძალიც წიროვაზე ხომ აღარ დადის,  
რადგან მავნეა და კუდიანი...

საბრალო ქალო, ო, როგორ მინდა,  
რომ ვიყო მკვიდრი მეც თქვენი სოფლის,  
რომ თქვენებრ ლუკმა მეც მქონდეს წმინდა,  
რომ ვრწყავდე მიწას მეც შრომის ოფლით,

მაგრამ მეც ჩემი გზა მაქვს მართალი,  
მეც თქვენთვის ვშრომობ, ღამის მთევარი,  
მეცა ვარ თქვენი ყანის თავთავი  
და თქვენი სოფლის ყურძნის მტევანი.

(თარგმანი გ. კალანდაძისა)

ვაიან-კუტიურიე თავის პოლიტიკურ ლექსებში მშრო-  
მელებს ამხნეებს უკეთესი მერმისისათვის საბრძო-  
ლველად და ამხელს ხალხის მტრებს. ერთ-ერთ ლექსში  
„რომელი მათგან“ პოეტი ზიზლით ხატავს ნიკოლოზ  
მეორის ჯაშუშს მალინოესკის, რომელიც შეიპარა ბოლ-  
შევიკების პარტიაში და ჯაშუშურ საქმიანობას ეწეო-  
და. აქ გამოხატულია უდიდესი თანაგრძნობა რუსეთის

პროლეტარიატისა და მისი ხელმძღვანელი ბოლშევიკური პარტიისადმი.

ცნობილია ლექსი „მშვიდობა“, რომელიც პოეტს დაწერილი აქვს პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების დროს. იგი გამოხატავს მშრომელი მასების შეშფოთებასა და პროტესტს.

ჩემო კრილობავ, საიდუმლო მწუხარე ოხვრავ,—  
შენ ისე ღრმა ხარ, ვერავინ გიგრძნობს, ვერ მოვა ახლოს,  
შენ ღატაკი ხარ... შენც გრცხვენია ღატაკი რომ ხარ!  
მე მაინც ნებას არვის მივცემ შენ ხელი გახლოს!

მე მინდა ახლა, მინდა ვუთხრა მსოფლიო მასებს,  
რომ არ არსებობს ქვეყნად კირი ზენზე მწაფე და  
რომ ერთდროულად მე ვქვითინებ და ვმღერი ასე—  
ვით ფოთოლთცვენა და დინება დიდ მდინარეთა.

(თარგმანი ს. თურნავისი).

ვაიან-კუტიურიე 1922 წელს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გავლენით აქვეყნებს ლექსების წიგნს „წითელი მატარებლები“. წითელი მატარებელი ეს იყო რევოლუციის სიმბოლო. მწერალი ქებადიდებას ასხამს ოქტომბრის რევოლუციას, ილაშქრებს სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთში, მოუწოდებს ფრანგებს იარონ რუსი ძმების გზით. პოეტი უმღერის ფრანგი და გერმანელი ხალხების მეგობრობას.

1933 წელს ვაიანი ეწვია მოსკოვს, რომელსაც მიუძღვნა ლექსი: „მშვიდობით, მოსკოვო“.

მშვიდობით, დიდო მოსკოვ-ქალაქო,  
 თავისუფლების მკვიდრო ალაგო!  
 ჩვენ მშვიდობისთვის ქვეყნად მოვედით:  
 გადასახლება, დევნა ომები  
 ბნელს გავატანოთ, მოვსპოთ, ავლაგმოთ;  
 სამოქალაქო ომს ვეთხოვები.  
 მშვიდობით, დიდო მოსკოვ-ქალაქო!  
 ბებერ ევროპას დღეს ყაჩაღებმა  
 ველარ გაუხსნან ძველი იარა!  
 კაპიტალს ომის სურს გაჩაღება  
 და აჟღარუნებხ ახალ იარაღს.  
 ჩვენ კი მშვიდობის დაცვა გვავალებს  
 მტერს არ დავუხვდეთ უიარაღოდ,  
 თავს დავატებოთ რისხვა მტარვალებს!  
 მშვიდობით, დიდო მოსკოვ-ქალაქო!“

(თარგმანი გ. კალანდაძისა).

1914 წლიდან ვაიან-კუტიურიეს ლექსებში შემოვიდა ომის თემა.

ამ პერიოდიდან იგი წერს აგრეთვე რომანებს, ნო-  
 ველებს, მოთხრობებს, პიესებს, არაკებსა და პუბლიცის-  
 ტური ხასიათის ნარკვევებს, ომის დამთავრების შემ-  
 დეგ მწერალი უფრო მეტი ნაყოფიერებით მუშაობს.  
 არ იყო არც ერთი დარგი ლიტერატურისა და ხელოვ-  
 ნებისა, რომელშიც მწერალს მონაწილეობა არ მიეღოს.  
 მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, თავის მეგობარ, უში-  
 შარ რევოლუციონერ რაიმონდ ლეფევრთან ერთად წერს  
 შესანიშნავ რომანს „ჯარისკაცის ომი“ (1919 წ.).

რომანში დამაჯერებლად არის აღწერილი პირველი

იმპერიალისტური ომის საშინელებანი. ეს საშინელებანი ავტორების მიერ შეთხზული, მათი ფანტაზიის ნაყოფი როდია, იგი მათ თვითონ უშუალოდ განუცდიათ, ეს კი განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს აღწერილ ამბებს. რუსულ და ფრანგულ კრიტიკაში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ „ჯარისკაცის ომი“ ბარბიუსის „ცეცხლის“ შემდეგ ომის თემაზე დაწერილი უაღრესად მნიშვნელოვანი რომანია. „ჯარისკაცის ომს“ ანრი ბარბიუსი მაღალ შეფასებას აძლევს. იგი წერს: „განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ეს წიგნი სავსებით იმსახურებს თავის კეთილშობილ სახელწოდებას; უპირველეს ყოვლისა, მასში სინამდვილის ასახვას მივესალმები, სადაც ადამიანები, ომი შეულამაზებლად, ჩინებულად, წარმტაცი ფორმით არის წარმოდგენილი... წაიკითხეთ ეს წიგნი, წაიკითხეთ, ისწავლეთ და წაკითხულს ჩაუფიქრდით“. <sup>1</sup>

ომის თემაზე დაწერილი ვაიან-კუტიურიეს მეორე რომანი „შეებულებაში“ (1919 წ.). ავტორი მასშიც ხაზს უსვამს ომის მტაცებლურ ხასიათს. რომანის მთავარი გმირი თვით ავტორია. რამდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ იგი ბრუნდება შინ, სადაც ინახულებს მშობლებს, ცოლს, მეგობრებს. ეს რომანი პირველად გამოქვეყნდა ლიბერალურ გაზეთ „ევერში“. ავტორი რომანში გვიხატავს მისთვის ცნობილ საშუალო ინტელიგენციის ფენას იმპერიალისტური ომის წლებში. ეს ის ხანაა,

---

<sup>1</sup> Paul Vaillant-Couturier et Raimond Lefevre—„La guerre des soldats“, Préface de Borbusse, 83. 1.

როდესაც ხალხი ყოველდღიურად ლატაკდებოდა, ნად-  
გურდებოდა, ხოლო ბურჟუაზიული პარტიზი უცვლელი  
იყო, არხეინად ცხოვრობდა. მდიდრებისათვის ომი სა-  
შინელება როდია, ისინი ძველებურად განაგრძობენ  
ქეიფს, ყოველდღე იღებენ სტუმრებს და დროს ატარე-  
ბენ. ფრონტზე წასული ჯარისკაცების ცოლებს ეარშიყე-  
ბიან, კვლავ ფუფუნებაზე ფიქრობენ, ქალები მოღურ  
ტანსაცმელს არ იკლებენ. მაგრამ ჟანს, რომელმაც  
ფრონტზე ორი წელიწადი დაჰყო, აწუხებს ის აზრი,  
თუ რატომ ხოცავენ ერთმანეთს უბრალო ადამიანები.  
ეს ამბავი ჟანში დიდ აღშფოთებას იწვევს. მუქთახორა  
ქალები და კაცები მას მტრული თვალთ უცქერიან.  
დედა უსაყვედურებს, მოურიდებელი და დაუნდობელი  
ხარო. შვებულების უკანასკნელ ღამეს ჟანი ეუბნება  
ცოლს, მსოფლიოში უსამართლო სისხლისღვრააო. ცო-  
ლი სხვა აზრისა არის, რაც არ მოეწონება ჟანს, შორ-  
დება ოჯახსა და საზოგადოებას, ავტორი აგვიწერს  
წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის დამოკიდებულე-  
ბას ომისადმი. რომანის ღირსება ის არის, რომ აქ  
ნათლად დახატულია მოწინავე კაცობრიობის პროტეს-  
ტი ომის წინააღმდეგ. ავტორი ამათრახებს ბურჟუა-  
მუქთახორებს, რომლებიც ფუფუნებაში ცხოვრობდნენ  
და ღარიბ ხალხს კი სასაკლაოზე გზავნიდნენ. ყოველი  
დეტალის აღწერაში ავტორი გულწრფელია, ყოველ  
მოვლენას დაწვრილებით გადმოგვცემს, რასაც იგი ნა-  
ტურალიზმამდე მიჰყავს. ბოლოს ჟანი ბრუნდება ფრონტ-  
ზე. იგი ცოლს დაუბარებს, თუ ბავშვი დაებადება,  
აუხსნას ომის გამომწვევი მიზეზი. „ძვირფასო მართა!

როდესაც ბავშვი გაგვიჩნდება, შენთან აღარ ვიქნები, რომ აღვზარდო იგი... განუმარტე მას ომი ისე, როგორც სინამდვილეში იყო... უამბე, რომ ძისი დაბადების წელს მილიონობით ხალხი ევროპის მინდვრებში ოთხი-ხუთი ბანდიტის გულისათვის ერთმანეთს ხოცავდა“.<sup>1</sup>

ქანის დედასთან შეხვედრას მწერალი ასე გადმოგვცემს: „... დედაჩემმა შემნიშნა, გამხდარხარო. იგი თვითონ გამხდარა და მოხუცებულა, თმა სრულიად გაქალარავებია, თვალეში ეტყობა, ბევრი უძილო ღამე გაუთენებია და უტირია; ეს ამბავი წერილებით არ შემეძლო გამეგო. ნეტავი იცოდეთ როგორ მიცქერის დედა! ვიცი, რომ დედაჩემი ამაყობს ჩემი ჩინითა და ჯვრებით. ყველა ამ წვრილმანებს მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი ცხოვრება ისეთი რთულია, რომ ვერაფრით შეძლო თანამედროვეობის გაგება... ჩვენ კი ომზე ჯერ კიდევ არ გვილაპარაკია. ვგრძნობ, რომ ორივეს გვეშინია ამ თემაზე ლაპარაკისა“.

1938 წელს პარიზში ცალკე წიგნად გამოვიდა მწერლის ავტობიოგრაფიული რომანი „ბავშვობა“.

პოლ ვაიან-კუტიურიე იყო დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, წერდა პოლიტიკურ ლექსებს, სამხიარულო სიმღერებს, სატირულ პიესებს, საბავშვო ზღაპრებს, ნარკვევებს, რომანებსა და მოთხრობებს. იგი ყოველთვის ეხმარებოდა მწერლებს, ასწავლიდა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და სწორ გზაზე აყენებდა.

---

<sup>1</sup> Paul Vaillant-Couturier— „Une permission de détente“, Paris, 1919.



„...ჩემო საყვარელო პოლ! მე ვიყავი ათასთა შორის ერთ-ერთი, რომელსაც დახმარების ხელი გამომიწოდებდა. შენი მაგალითი და გამოცდილება სჭირდებოდათ სხვებს, ისე როგორც მე. შენ არა ხარ მკვდარი, შენი საქმე უკვდავია“—წერდა ლუი არაგონი „ბავშვობის“ წინასიტყვაში.<sup>1</sup>

რომანის მთავარი გმირია თვით ავტორი, იგი მოგვითხრობს თავის ბავშვობასა და სიჭაბუკეს, აკრიტიკებს ბურჟუაზიული აღზრდის მახინჯ მხარეებს. პატარა პოლის ბავშვობა და სიჭაბუკე აღწერილია XX საუკუნის საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ფონზე. „ლიცეუმის ცხოვრება,—წერს ავტორი,—ემორჩილებოდა დაფუძნების მბრძანებელ ძახილს, სწავლება მიმდინარეობდა ძველებურად, ძველი მეთოდებით, როგორც ეს იეზუიტების დროს იყო... მოსწავლის ცხოვრება მაშინ არსებული სწავლების სისტემის პირობებში კატორღას ჰგავდა. ბურჟუაზია აუცილებლად თვლიდა მტკიცედ აღეზარდა ის კადრები, რომელთა მეოხებით თავის დიქტატურას ახორციელებდა. პოლს კი ძლიერ სწყუროდა სწავლა“.

რომანში ლაპარაკია არა უბრალო აქტიური, მამაცი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, არამედ მომავალი რევოლუციონერის, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მებრძოლის დაბადებაზე. „პოლს სკოლაში არ ჰქონდა საშუალება გასცნობოდა მუშათა ბავშვებს, აქ მან მხო-

---

<sup>1</sup> Paul Vaillant-Couturier—„Enfance, souvenirs, d'enfance et de jeunesse; Préface par Aragon, Paris, 1938 წ.

ლოდ კაცობრიობის ნაწილი აღმოაჩინა. მთლიანად ადამიანს იგი მხოლოდ ომში გაეცნო. ომმა გახდა პოლიჯარისკაცი—მიწისპთხრელი, იგი იძულებული იყო ქარხნებისა და მიწის მუშებთან ერთად ბრმა სიკვდილის წინააღმდეგ ებრძოლა“—წერს ავტორი.

„ბავშვობას“ 30-იანი წლების ფრანგულ პროგრესულ ლიტერატურაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამ რომანმა დადებითი გმირის პრობლემის გადასაჭრელად ნიადაგი მოამზადა წინააღმდეგობის მოძრაობის ლიტერატურაში ომისშემდგომ წლებში. ვაიან-კუტიურიემ შექმნა ტიპური სახე ახალგაზრდა ფრანგისა, მხატვრულ ფორმებში გამოააშკარავა მნიშვნელოვანი სოციალ-პოლიტიკური პროცესის დასაწყისი—ფრანგი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის გადასვლა ხალხის მხარეზე.

„ბავშვობა“ ღრმა ლირიკული ნაწარმოებია. ლირიკულია მთხრობელის ინტონაცია, რომელიც გვიხატავს თავის საკუთარ განცდებსა და შთაბეჭდილებებს. მახვილი პოეტურობით არის გატენილი ბუნების აღწერა, რომელსაც პოლი ითვისებს როგორც ცოცხალს. მაგრამ აქ, როცა მწერალი ბურჟუაზიული სამყაროს აღწერაზე გადადის, ნაზი ლირიზმი ადგილს უთმობს ირონიას. ლირიკისა და ირონიის შეხამება ამ ნაწარმოების სტილის დამახასიათებელი თავისებურება.

რომანში მძაფრი საღებავებით არის აღწერილი ჯარისკაცის, პოეტის, კომუნისტის თავგადასავალი. ავტორი სრულიად გულწრფელად გვიხატავს მშობლებს, რომლებიც მას თავში უნერგავდნენ მეშინური გარემოს

მთელ სიმახინჯეს, მაგრამ როდესაც პოლი წამოიზარდა, გაიგო, რომ უსამართლობის მოსასპობად ბრძოლაა საჭირო. რომანის ერთ-ერთ თავში „ოჯახი და საზოგადოება“ გაკრიტიკებულია ბურჟუაზიული აღზრდის ბედისლი მეთოდები. ამავე დროს ავტორი ახალგაზრდობას კომუნისტური აღზრდისაკენ მოუწოდებს. დიდი რომანის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, იგი მოზარდთაობას ასწავლის, თუ როგორია ბურჟუაზიული აღზრდა, კულტურა და რა ზიანი მოაქვს მას ახალგაზრდობისათვის.

ეს ნაწარმოები შესანიშნავია არა მარტო იმით, რომ გვაცნობს ავტორის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებს, არამედ როგორც მაგალითი ავტობიოგრაფიული რომანისა, მასში დამაჯერებლად არის ასახული პოლის ლიცეუმში სწავლის წლები, როდესაც იგი ამხანაგებთან ერთად აარსებს სასკოლო არალეგალურ ჟურნალს „ბომბა“, სადაც წერდნენ სტატიებს სქოლასტიკური სასკოლო პროგრამის წინააღმდეგ. ამის გარდა, ჟურნალში თავსდება ნაწყვეტები შექსპირიდან, იბეჭდება წერილები ფრანგული კლასიკური ლიტერატურის თეორეტიკოსის ბუალოს წინააღმდეგ, აგრეთვე ფრანგ სიმბოლისტებზე. რომანის დიდი ნაწილი კლასიციზმთან ბრძოლას ეხება. უკანასკნელ თავში „ჩვენს შორის“ ავტორი ახასიათებს თავის მეგობრებს, გუი დე ლაბატიუს, რაიმონდ ლეფევრს და ჟან დესპუის, რომლებმაც პოლის წიგნებს ილუსტრაციები დაურთეს. ეს უკანასკნელი თავი იმით არის შესანიშნავი, რომ მწერალი გვიხატავს ომისდროინდელ დაძაბულ მდგომარეობას, გვიჩვენებს ახალგაზრ-

დობის მზარდ ინტერნაციონალურ-რევოლუციურ განწყობილებას, მოზარდ თაობას პროგრესული ლიტერატურისა და ხელოვნების შესწავლისაკენ მოუწოდებს. როგორც სხვა რომანებში, ასევე წინამდებარე რომანში ავტორმა ნათლად გვიჩვენა, რომ იგი უბრალო წიგნის კაცი კი არა, ქემპარიტი მებრძოლია. ლუი არაგონი წიგნის წინასიტყვაში წერს, რომ იგი აღაფრთოვანა ავტორის გულწრფელობამ, მოვლენების შეუფერადებლად გადმოცემამ. ეს ძართლაც მაღალიდებული მხატვრული ნაწარმოებია. ავტორი მთელ თავის რომანებში ავითარებს ფრანგული პროზის სტილს, ჰბაძავს ანატოლ ფრანსსა და ვოლტერს.

1917-დან 1919 წლამდე ვაიან-კუტიურიე დღიურებს წერს. ეს დღიურები მან გადაამუშავა და 1920 წელს გამოსცა მოთხრობების სახით — „წერილები ჩემი მეგობრებისადმი“. მოთხრობების ეს წიგნი ძვირფასი დოკუმენტია, სადაც გახსნილია ახალგაზრდობის ფსიქოლოგია. ავტორი მოთხრობებში იგონებს თავის წარსულს. პირველ მსოფლიო ომს, ეხება პოეზიას, ხელოვნებას, მოთხრობები თავიდან ბოლომდე ჰუმანიზმით არის გამსჭვალული. „... მინდა ჩემი შვილი კეთილი იყოს. არ შეიძლება, არ აღვნიშნო, რომ თანამედროვე აღზრდა ცდილობს ბავშვები ბოროტნი გახადოს. მინდა ჩემმა შვილმა ბავშვობის მეტი დრო გაატაროს სოფლად, სადაც მისი სათამაშოები ცხოველები და მცენარეები იქნებიან. მინდა არ ეშინოდეს არც გომბეშოსი, არც გველისა და არც სიბნელისა... მინდა იცოდეს სამშობლოს მთები, ტყეები, ვარსკვლავები. ჩემმა შვილმა უნდა ის-

წავლოს თვითეული ქვეყნის ეროვნული დიდება, უნდა ისწავლოს ამ დიდების დაფასება მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით...

ჩემი შვილის პატრიოტიზმი არასოდეს იქნება აგრესიული, იგი უნდა იცნობდეს დიდ მებრძოლებს, მკაცრ და კეთილ მონარქებს... რაც მთავარია—უნდა იცოდეს სიყვარული, უნდა იბრძოდეს სამართლიანობისათვის.<sup>1</sup>

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალგაზრდა კუტიურიეზე დიდი გავლენა მოახდინა, იგი წერს სტატიებს, რომლებშიც საფრანგეთის მუშათა კლასს მოუწოდებს მიჰბადოს რუსეთის პროლეტარიატს. ერთ-ერთი აგიტაციური ხასიათის სტატიისათვის ავტორი საპყრობილეში მოათავსეს. მწერალს ეს ამბავი აღწერილი აქვს წიგნის მესამე ნიწილში. ამ მოთხრობებში ვაიან-კუტიურიე ხალხს მოუწოდებს მშვიდობიანი შრომისაკენ, გმობს ომს. „... ვფიქრობ თქვენზე, ჩემო მეგობრებო, ვფიქრობ ათასობით ადამიანზე, რომლებიც ომში განწირული არიან. მეშინია, რომ დიდი ხანია ბრძოლაში ჩაბმული ვართ. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს თავდასხმა, რომელიც სილატაკეში გვაგდებს, როგორიც უნდა იყოს მომავალი, მაინც ვიმუშაოთ, ჩემო მეგობრებო. კალმისკენ, მტევნებისკენ, გუთნისკენ, ჩემო მეგობრებო, მე თქვენ შრომისაკენ მოგიწოდებთ. ერთი წუთითაც არ შეწყვიტოთ ფიქრი, იტანჯეთ და დატკბით. იტანჯეთ, ანგარიში გაუწიეთ თქვენს თავს,

---

<sup>1</sup> Paul Vaillant-Couturier—„Lettres á mes amis“, Paris, 1920 წ.

დატკბით, ანგარიში გაუწიეთ სხვებს. აამოქმედეთ თქვენ-  
ნი საუკეთესო აზრები“, და კიდევ: „...გწერთ წერი-  
ლებს, ჩემო მეგობრებო, საპყრობილიდან, სადაც ჩამს-  
ვეს, არც კი უთქვამთ რამდენი ხნით. საპყრობილეში  
ჩამსვეს იმიტომ, რომ დაეწერე ის, რაზეც ჩვენ, ფრონ-  
ტელები ვწერდით და ვაზროვნებდით. ასეთია დღევან-  
დელი დაძაბული ვითარება. გუშინ გმირი ვიყავი, დღეს  
კი საპყრობილეში ვზივარ. ამის მიუხედავად, არ შევცვ-  
ლილვარ, ჩემი სინდისი, ჩემი ახლობლები ვერაფერს მი-  
საყვედურებენ“.

წინამდებარე ნაწარმოები ოპტიმიზმით არის გატენ-  
თილი, მას დიდი მხატვრული ღირებულებაც აქვს.

ვაიან-კუტიურიე შესანიშნავი ნოველისტიც იყო. მის  
კალამს ეკუთვნის ნოველების მთელი სერია. 1929 წელს  
მწერალი აქვეყნებს წიგნს „ბრმების მეჯლისი“ რომელ-  
შიც ხუთი ნოველაა: „პირველი კლასი“, „თავშესაფარი  
ლამით“, „ჭიგიენა“, „ანარქისტები“ და „მანიფესტაცია“.  
ყველა ეს ნოველა ფსიქოლოგიურ-სატირული ხასიათი-  
საა, ავტორი მათში ბურჟუაზიულ საზოგადოებას ამათ-  
რახებს.

„ანარქისტებში“ გაკრიტიკებულა ბურჟუაზიული  
დემოკრატია, „ბრმების მეჯლისში“ კი გამოყვანილია  
როიალის შემკეთებელი მუშა, რომელიც ომში დაბრმა-  
ვებულა. იგი ოცნებობს თუნდაც: ერთი წუთით თავი  
დააღწიოს მეშჩანურ ოჯახს. ამიტომაც მიდის „ბრმების  
მეჯლისზე“, რომელიც ფილანტროპიულ საზოგადოებას  
მოუწყვია. ავტორი გვიჩვენებს, რომ მისი გმირი მართა-  
ლია ფიზიკურად ვერ ხედავს, მაგრამ გონების თვალით

ყველაფერს ხვდება და ამჩნევს. იგი ხედავს ბურჟუაზი-ული საზოგადოების გარყვნილებას; ვერ გაუძლებს ამ საშინელ სურათს, გაიქცევა, მაგრამ ავტომობილი გაიტანს.

„ბრმების მეჯლისი“ ყველაზე მომწიფებული ნაწარმოებია მის ნოველებს შორის. ამ ნოველებში მოჩანს რეალისტური მკაფიობა, უბრალოება და ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი. მწერალი ბურჟუაზიული სინამდვილის სურათს გვიხატავს ისე, როგორც ეს ცხოვრებაშია, გაურბის დიდაქტიკის სქემატურობას. ბურჟუაზია გამოჰყავს როგორც პირმოთნე, ძუნწი, ხარბი, ეგოისტი და ცინიკოსი. ყოველივე ეს ავტორს მოცემული აქვს განსაკუთრებული მხატვრული ოსტატობით. იგი სინამდვილის თვითნებულ დეტალს დიდი დაკვირვებით აგვიწერს. ავტორი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გვაძლევს „ტიპიურ გმირებს ტიპიურ გარემოში“. მწერალი დიალოგის კარგი ოსტატია, რაც ნათლად ჩანს ნოველაში „პირველი კლასი“. აქ მოცემულია შესანიშნავი დიალოგი კომუნისტ ვეჟილსა და რუს თეთრ ემიგრანტს შორის. დიალოგი სხარტია და დახვეწილი. მის შექმნაში ვაიან-კუტიურიე მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ მატერიალისტ დენი დიდროს ჰბაძავს. დიალოგში მონაწილე კომუნისტი ვეჟილი თვითონ ავტორია, რომელიც პროფესიით ვეჟილი იყო.

ვაიან-კუტიურიე დრამატურგიაშიც მუშაობდა. ლეონ მუსინიაკთან ერთად დაწერა დრამა „მამა ივლისი“. მისი პიესებიდან აღსანიშნავია „მწყემსის ძებნა“, „დროშები“, „სამი ახალწვეული“, „ურჩხული“, „აზია“, „გაუ-

მარჯოს კომუნას!“, „ცუდი ამინდი პირენეიში“ და სხვები.

„გაუმარჯოს კომუნას“ სააგიტაციო ხასიათის პიესაა, რომელიც 1871 წლის პარიზის კომუნის ამბებს ეხება. ავტორი მასებში ეწევა პარიზის კომუნის იდეების პროპაგანდას.

„ცუდი ამინდი პირენეიში“ არის რადიოპიესა, რომელიც ავტორმა დაწერა 1932 წელს მოსკოვში ყოფნის დროს მუშების თხოვნით. პიესაში ასახულია ორი სამყარო— ერთი მხრივ არიან ძველი, ფეოდალური წყობილების წარმომადგენლები, მეორე მხრივ კი პირენეის გლეხობა.

„მამა ივლისში“ ავტორები ბურჟუა-მეშჩანების ტიპურ სახეებს გვიხატავენ. აქ დახასიათებულია ბურჟუაზიის პირმოთნეობა, მლიქვნელობა, მუქთახორობა.

ვაიან-კუტიურიე !ბევრ პიესაში მძაფრ დრამატულ სიტუაციებს ქმნის. იგი ახდენს ყოფაცხოვრებითი სურათების არა უბრალო აღწერას, არამედ იძლევა დრმა ფსიქოლოგიურ განწყობილებას. მის ნაწარმოებებში გამოყენებულია აგრეთვე მძაფრი სატირა, რომელიც მიმართულია ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ. მწერალი პროზის შესანიშნავ ოსტატად ითვლება.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ვაიან-კუტიურიემ საფრანგეთში მუშათა მასობრივი თეატრი შექმნა, მისი პიესები ხშირად ღია ცისქვეშ იდგმებოდა. ამ პიესებმა მუშათა მასებში დიდი მოწონება დაიმსახურა. ასეთებია: „დროშები“, „მწყემსის ძებნა“, „გაუმარჯოს კომუნას“ და მრავალი სხვა.



ვაიანმა სახელი გაითქვა აგრეთვე როგორც საბავშვო მწერალმა. მის კალამს ეკუთვნის საბავშვო მოთხრობები: „ულუკმაპურო ჟანი“, „საწყალი ვირისა და მსუქანი ღორის თავგადასავალი“ და სხვა.

„ულუკმაპურო ჟანში“ ღრმა სოციალური აზრია ჩაქსოვილი. პატარა ჟანი, რომელსაც არასოდეს გაუღიმიან, უეცრად იწყებს ხმამაღლა სიცილს. დარიბის შვილმა მიიღო უფლება გამხიარულდეს არა ფანტასტიკური ძალების მეშვეობით, არამედ რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შედეგად. „ულუკმაპურო ჟანი“—მიმზიდველი, ცოცხალი, იდეოლოგიურად გამართული, ნამდვილი პოლიტიკური საბავშვო ზღაპარია. ჭკვიანი კურდღელი ჟანის საუკეთესო მეგობარი და თანამგზავრი აღმოჩნდა. აქ საერთოდ ცხოველებს ადამიანური თვისებები აქვთ მიწერილი, სამაგიეროდ, კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლები დახატული არიან როგორც უხეში ცხოველები. ერთ-ერთი სადილის აღწერის დროს მწერალი ოსტატურად იძლევა ბურჟუაზიის მხეცურ სახეს. „იქ იყო ვარდისფერი მელოტი ბატონი,—წერს ავტორი,—დიდი თავით, სამმაგად დაკეცილი ლაბაბით. იქ იყო აგრეთვე სხვა ბატონაც, დიდი ტუჩებით, მრგვალი ცხვირითა და ქონში ამოვლცხული პატარა თვალებით. იყო სხვა ბატონი, რომელიც მეტად დადლილ ღორს ჩამოჰგავდა“.<sup>1</sup>

1933 წლის ახალ გამოცემაში ავტორმა ამ ზღაპრის რევოლუციური ელერადობა უფრო გააძლიერა. აქ კარგად არის ასახული მუშათა მდგომარეობა ომის დროს.

<sup>1</sup> Paul Vaillant-Couturier—„Jean—sans pain“, Paris, 1933 წ.

მწერალი საბავშვო მოთხრობებსა და არაკებს წერს მარტივი, ბავშვებისათვის გასაგები ენით. ყველა საბავშვო მოთხრობა დიდი ინტერესით იკითხება. ამიტომ ვაიანი ბავშვებს ძლიერ უყვართ.

ვაიან-კუტიურიემ სახელი გაითქვა როგორც პუბლიცისტმა და მკვლევარმა. მის კალამს ეკუთვნის პუბლიცისტური ნარკვევები: „უბედურებაა ახალგაზრდად ყოფნა“, „ბედნიერებაა ახალგაზრდად ყოფნა“, „სამი თვის სილატაკე გერმანიაში“, „უკლასო სოციალისტური საზოგადოებისაკენ“. გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქას მან შემდეგი ნარკვევები მიუძღვნა: „ახალი ცხოვრების მშენებლები“, „ჭირნახულისა და ნავთობის მინდვრები“, „თემურ-ლენგის ქვეყანაში“, „ინდუსტრიული გიგანტები“ და სხვები. ასეთივე ნარკვევები გამოსცა მან ჩინელ ხალხზე: „პარიზი—შანხაი — მოსკოვი—პარიზი—38.000 კილომეტრი“, „იმაზე, თუ გლეხი ჩენი როგორ გახდა წითელი“. ნარკვევები დაწერა რესპუბლიკურ ესპანეთზეც.

საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილ ნარკვევებში ავტორი აღფრთოვანებით წერს ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებას, ჩენი ინდუსტრიული გიგანტების, საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ და ამგლავნებს გულწრფელ სიყვარულს საბჭოთა ხალხისადმი.

ყურადღებას იპყრობს ნარკვევი კაპიტალისტური საფრანგეთის ახალგაზრდობაზე. ამას ჰქვია „უბედურებაა ახალგაზრდად ყოფნა“. საინტერესოა მოვიყვანოთ ადგილი ავტორის წინასიტყვიდან, რომელიც მან რუსული გამოცემისათვის დაწერა:

„საბჭოთა კავშირის შესანიშნავ ახალგაზრდობასთან

პირადმა გაცნობაჲ, რომელთანაც რამდენიმე თვე დაეყავი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში—ცენტრალური აზიის ტრამალებზე, ჩრდილოეთის ტყეებში და ურალის გიგანტურ მშენებლობებზე—მიჩვენა, რომ ამ ახალგაზრდობას, რომელიც დაიბადა და გაიზარდა თავისუფალ ქვეყანაში, ძნელად შეუძლია წარმოიდგინოს კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის ცხოვრება, რომლებიც ჯერ კიდევ კაპიტალიზმის ჩაგვრას განიცდიან და რომლებიც კრიზისის მსხვერპლნი გახდნენ. ცხადია, ამას საბჭოთა ახალგაზრდობას ყოველდღიურად მოუთხრობს საბჭოთა პრესა. მაგრამ ეს ცნობები სრული როდია. ამ ცნობებში ვერ ხედავენ ცოცხალ ადამიანებს. რამდენად ეს შესაძლებელია, ამ ცოცხალი ადამიანების ტანჯვას გააცნობთ „უბედურებაა ახალგაზრდად ყოფნა“.

მეორე ნარკვევი: „ბედნიერებაა ახალგაზრდად ყოფნა“ საბჭოთა ახალგაზრდობას ეხება, მაგრამ წიგნის დამთავრება ავტორს არ დასცალდა.

ვაიან-კუტიურიესათვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საბჭოთა კავშირი—მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯი. ნარკვევების წიგნში „ერთი თვე წითელ მოსკოვში“, რომელშიც მწერალი გულთბილად მოგვეთხრობს საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ის უორიული გამარჯვებების ამბავს, ჩვენს პარტიას ეძახის „ალმასივით მტკიცესა და წმინდას“.

30-იანი წლების საფრანგეთში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიშალა დიდი ბრძოლა სახალხო ფრონტის შექმნისათვის. მშვიდობისათვის ამ ბრძო-

ლაში გაერთიანდნენ დემოკრატიული ბანაკის მწერლები, დაიწყეს წერა მნიშვნელოვან პოლიტიკურ თემებზე, ასეთები იყო: მუშათა მოძრაობის ზრდა, ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის გზა რევოლუციისაკენ, დემოკრატიული ძალების გაერთიანება ომისა და ფაშიზმის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

ვაიან-კუტიურიე გამოდის ფორმალიზმის წინააღმდეგ. თანმიმდევრული რეალისტური ხელოვნებისათვის ბრძოლაში იგი მიზართავს კლასიკურ ფრანგულ მწერლობას, გამოჩენილ რუს მწერლებს, საბჭოთა ლიტერატურის დიდ გამოცდილებას, რომელსაც „თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ლიტერატურას“ ეძახის. მასზე გავლენას ახდენს მაქსიმ გორკის შემოქმედება, მისთვის გორკი მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის სიმბოლო ხდება, მებრძოლი მწერლის ახალი ტიპის განსახიერება, მთელი პროგრესული ბანაკის მწერლების მაგალითის მიმცემი.

ვაიან-კუტიურიე თავის სტატიაში: „მსოფლიო დამწუხრდა, გარდაიცვალა მაქსიმ გორკი“ წერს: „გორკი პროლეტარი, მოქმედების ადამიანი, გორკი—რუსი, საბჭოთა მსოფლიო მწერალი—წავიდა, მაგრამ მის მიერ გაკაფული, გასხივოსნებული გზა წინ გვეძახის“.

ვაიან-კუტიურიემ ანრი ბარბიუსთან, ლუი არაგონთან, ლეონ მუსინიაკთან ერთად მხარი დაუჭირა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს და გახდა მისი მქადაგებელი საფრანგეთში. მისთვის სოციალისტური რეალიზმი ეს იყო ახალი კლასის, ახალგაზრდობის, პროლეტარიატის ხელოვნება.

1932 წელს მწერალი აქვეყნებს ნარკვევების წიგნს: „ახალი ცხოვრების მშენებლები“, რომელშიც სოციალისტური რევოლუციის პრინციპებზე დაყრდნობით აგვიწერს ზერნოვრადს—პურის ქალაქს. ბაქოს ნავთობს, ინდუსტრიულ გიგანტებს, ტაჯიკეთში სარწყავი სისტემის მშენებლობას. მწერალი რწმენას გამოთქვამს, პირველი ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდებაო.

საფრანგეთში დაბრუნებისას საბჭოთა კავშირის დასაცავად ისერის ლოზუნგს: „დაფიცვათ საბჭოთა კავშირი, მშვიდობის საქმე“.

1936 წლის ოქტომბერში ვაიან-კუტიურიე ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „გონების სამსახურში“, რომელშიც მხარი დაუჭირა მაქსიმ გორკის ისტორიულ მიმართვას: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“, „ომი ან მშვიდობა, მონობა ან თავისუფლება, სიძულვილი ან სიყვარული, ტყუილი ან სიმართლე. პასიურობა ან მოქმედება, სილატაკე ან სიუხვე“—განაცხადა მან ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. სწორედ ასეთი ამოცანა იდგა ფრანგი ინტელიგენციის წინაშე. რასაც მისი ყურადღება მწერალმა მიაქცია.

ვაიან-კუტიურიეს ეს მოხსენება საპროგრამო დოკუმენტი გახდა ყველა ფრანგი პროგრესული ინტელიგენტისთვის. ამიტომ იყო, რომ მორის ტორეზმა ვაიან-კუტიურიეს „ფრანგული კულტურის განახლების მთამაგონებელი“ უწოდა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Maurice Thorez—„La mission de la France dans le monde“, Paris, 1938 წ., გვ. 33.

ვაიან-კუტიურიეს გზა კომუნიზმისაკენ ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაუხსნა. საფრანგეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან—ანატოლ ფრანსთან, რომენ როლანთან, ანრი ბარბიუსთან, ლეონ ბუსინიაკთან ერთად ვაიანმა გაილაშქრა ინტერვენციის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთში. „ფრანგები არ იბრძობებენ თავიანთი რუსი ძმების წინააღმდეგ“—განაცხადა მან.

1921 წელს ვაიან-კუტიურიე სხვა ამხანაგებთან ერთად ჩამოვიდა მოსკოვში კომინტერნის მესამე კონგრესზე დასასწრებად. მან ამ კონგრესზე ნახა ვ. ი. ლენინი, მოუსმინა მის გამოსვლას და შემდეგ ესაუბრა კიდეც. ისინი ლაპარაკობდნენ საფრანგეთის კომპარტიასა და დიდ რევოლუციაზე. „ქარგად შეისწავლეთ ჟან-პოლ-მარატი“—ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი საუბარი ვ. ი. ლენინმა.

საფრანგეთში დაბრუნებისას ვაიან-კუტიურიემ ამ შეხვედრაზე მოათავსა ვრცელი სტატია „ლუმანიტეს“ 1921 წლის 29 აგვისტოს ნომერში.

მთელი თავისი პოლიტიკური და ლიტერატურული შემოქმედება მწერალმა მიუძღვნა ერთ დიად მიზანს—იმპერიალისტური ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ადამიანის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

ხალხურობას ვაიან-კუტიურიეს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მწერალი ცხოვრებას უბრალო ფრანგი ადამიანების თვალთ უყურებს, ცხოვრებას მის გადამწყვეტ სოციალურ კონფლიქტებში იხილავს. ვაიან-კუტიურიეს გმირები ჩვენი დროის ნამდვი-

ლი გმირები არიან. მწერალი მოგვითხრობს ამ გმირების ამბავს უბრალო, ხალხური ენით.

1937 წლის 10 ოქტომბერს პოლ ვაიან-კუტიურიე მოულოდნელად გარდაიცვალა. ამის გამო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წერდა: „გარდაიცვალა პოლ ვაიან-კუტიურიე. იგი გარდაიცვალა მგზნებარე შემოქმედების დროს, როდესაც რესპუბლიკურ ესპანეთს დახმარებას უწევდა. იგი გარდაიცვალა წინა დღეს მოსკოვში გამგზავრებამდე ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. ამ რევოლუციისათვის მთელი გულით იყო თავდადებული. მისი ხსოვნა იცოცხლებს როგორც დაუფიწყარი მოწოდება ფრანგი ხალხის ერთიანი მოქმედებისა, პურისა, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში“<sup>1</sup>.

ვაიან-კუტიურიეს დიდი შეფასება მისცა აგრეთვე სკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა. მწერლის გარდაცვალების გამო მორის ტორეზის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი წერდა: „გარდაიცვალა ვაიან-კუტიურიე, ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე კომუნისტური მოძრაობისა საფრანგეთში, სახალხო ფრონტისა და კომუნისტებისათვის მებრძოლი“.<sup>2</sup>

ვაიან-კუტიურიე იყო ნიჭიერი მხატვარი და პოლიტიკური მოღვაწე. ეს ვერ უარყვეს თვით მისმა მოწი-

---

<sup>1</sup> „L'Humanité“, 1937 წ., 10 X.

<sup>2</sup> „Правда“, 1937 წ., 10 X.

ნააღმდეგეებმაც. ერთ-ერთი მათგანი, პიერ დომინიკი აღ-  
ნიშნავდა: „იგი ჩვენი მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ ეს  
ხელს არ გვიშლის სათანადოდ შევაფასოთ მისი ჯარის-  
კაცული სიმამაცე და დიდი ჟურნალისტური ნიჭი“.

საბჭოთა და ფრანგი ხალხები პატივს სცემენ კომუ-  
ნისტი მწერლის, დიდი საზოგადო მოღვაწის—ვაიან-კუ-  
ტიურიეს ხსოვნას. მან მთელი სიცოცხლე კაცობრიობის  
უკეთესი მომავლის—კომუნიზმისათვის ბრძოლას შესწი-  
რა. თავის რომანებში, მოთხრობებში, ლექსებში, პიესებ-  
ში, ნარკვევებსა და პუბლიცისტურ სტატიებში გაბედუ-  
ლად ამხილა კაპიტალისტური სამყაროს მთელი მანკიე-  
რება, მშრომელ მასებს მის დასაძახობად ბრძოლისაკენ  
მოუწოდა.

პოლ ვაიან-კუტიურიეს მემკვიდრეობა ფრიად საინ-  
ტერესო და მრავალფეროვანია. მან შემოქმედების შე-  
ტად სახელოვანი გზა განვლო. იყო მშვიდობის, თავი-  
სუფლებისა და სოციალიზმისათვის უშიშარი მებრძოლი.

1957 წლის 10 ოქტომბერს შესრულდა 20 წელიწა-  
დი მწერლის გარდაცვალებიდან. ეს თარიღი ფართოდ  
აღნიშნა საფრანგეთის პროგრესულმა პრესამ, საბჭოთა  
პრესამაც სათანადო ადგილი დაუთმო წესანიშნავი ადა-  
მიანის ხსოვნას.



## როქე ვაილანტი

როქე ვაილანტი სახელი გაითქვა ნიჭიერად დაწერილი პიესებითა და რომანებით. 1952 წლის ივნისში პარიზში გამოაქვეყნა შესანიშნავი პიესა „პოლკოვნიკი ფოსტერი თავს დამნაშავედ ცნობს“, <sup>1</sup> რომელშიც დამაჯერებლად დაგვიხატა ამერიკელი ოკუპანტების მხეცობა კორეაში. პიესა გამოსცა „საფრანგეთის გაერთიანებულმა გამომცემლობამ“.

სანამ იგი წიგნად გამოქვეყნდებოდა, ავტორმა რეჟისორ ლუი დაკენის დახმარებით შეძლო მისი დადგმა „ამბიგიუს“ თეატრში. ეს იყო 1952 წლის 15 მაისს. პრემიერას ესწრებოდნენ თეატრის მუშაკები, კრიტიკოსები, მწერლები, სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები... პიესამ საფრანგეთის მშრომელებში დიდი მოწონება გამოიწვია. მაყურებლის თვალწინ გადაიშალა სამხრეთ კორეის დრამა. პოლკოვნიკ ფოსტერის როლი საუკეთესოდ შეასრულა მსახიობმა პიერ ასომ. მან ოსტატურად შექმნა კორეაში ჩა-

---

<sup>1</sup> Roger Vaillant—„Le Colonel Foster plaidera coupable“  
Paris, 1952\_წ.

სული ამერიკელი გენერლის — ფოსტერის ნამდვილი სახე. ამერიკელი იმპერიალისტების მუქარით შეშინებულმა პინეს რეაქციულმა მთავრობამ წარმოდგენა აკრძალა.

პიესაში მოქმედება წარმოებს 1951 წლის ივლისში სამხრეთ კორეის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. კორეელი დიდგვაროვანი თავადის ხო აოდი იანის სახლში მოთავსდება ამერიკის ერთ-ერთ არმიის საკომანდო პუნქტი. უპირველეს ყოველისა, მაყურებელი ეცნობა პოლკოვნიკ ფოსტერის ვინაობას, იგი არის ამერიკის საექსპედიციო კორპუსის სულისჩამდგმელი, საკომანდო პუნქტ „ჯასმინის“ უფროსა. პოლკოვნიკი ფოსტერი პირველ ხანებში არწმუნებს კორეელ ხალხს, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია დაიცვას კორეაში „ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროება“ და „დემოკრატიული პრინციპები“, მაგრამ სულ მალე იგი გამოამჟღავნებს თავის თავს, თვალწინ წარმოგვიდგება ნამდვილი მხეცი, რომელიც მუდამ მზად არის ჩაიდინოს ყოველგვარი საზიზღრობა, მოაწყოს მკვლელობა, ხალხის დარბევა. იგი თავის ხელქვეითებს ბრძანებებს აძლევს დაანგრიონ სოფლები და ქალაქები, ცეცხლს მისცენ შთელი მიდამოები, გააუპატიურონ კორეელი ქალიშვილები, ჩამოახრჩონ და დახვრიტონ პატრიოტები.

მწერალი შესანიშნავად ხატავს სახლის პატრონის, ხო აოდი იანის ნამდვილ სახეს, რომელიც მიეყიდა ამერიკელ დამპყრობელებს და ზიზღით უცქერის თავის ხალხს. ხო აოდი იანი ფოსტერს ურჩევს საკომანდო პუნქტზე სამუშაოდ აიყვანოს ორი დამნაშავე. „ისინი

არულიად გაიხრწნენ, შეგიძლიათ მათი იმედი გქონდეთ“—ეუბნება სახლის პატრონი ფოსტერს. ამერიკელი იმპერიალისტები კორეელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს—ბანდიტებს, სამშობლოს მოღალატეებს, ტერორისტებს.

რამდენადაც უფრო იშლება პიესის მოქმედება, რომელიც დამაჯერებლად, ღრმად ასახავს სინამდვილეს, მით უფრო ცხადი ხდება ის გარემოება, რომ მთელი მოწინავე კაცობრიობა ილაშქრებს ამერიკელი იმპერიალისტების დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ კორეაში. მწერალი არ ღალატობს სინამდვილეს, როდესაც წერს, რომ ხო აოდი იანის სახლშიც მოიპოვებიან პატრიოტები. ისინი მზად არიან დარტყმა აგემონ უოლსტრიტის მოგზავნილ აგრესორებს. ასეთ პატრიოტთა რიცხვს ეკუთვნის ხო აოდი იანის ქალიშვილი ლია, რომელიც პირნათლად ასრულებს პარტიზანების ოპერატიულ დავალებებს და გმობს მამის გამცემლურ მოქმედებას.

პოლკოვნიკი ფოსტერი სუსტად ერკვევა რთულ სიტუაციაში, სწორ გადაწყვეტილებას ვერ იღებს. თავისთან საჩუშაოდ დროებით მიიწვევს ლიას. ფოსტერს უყვარს ლაქლაქი მსოფლიოში ამერიკის „უპირატესობაზე“, კორეაში გამარჯვებაზე. ლიას არ სჯერა პოლკოვნიკის ლაპარაკი, იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მის ბოდვას. „ვერ წარმომიდგენია ამერიკა,—ამბობს ლია,—ხოცვა-ჟლეტის გარეშე, ხანძრის გარეშე, მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკების გარეშე... საოცარი ძალადობის გარეშე, რომელსაც თქვენი ჯარისკაცები მიმართა-

ვენ უცხოელების მიმართ... და შემდეგ: „ევროპაში თქვენ კავშირი გაქვთ დამნაშავე ელემენტებთან, რომლებიც მხოლოდ თავიანთ თავს ყიდიან, კავშირი გაქვთ მინისტრებთან, რომლებიც თქვენს კმაყოფაზე არიან და თავიანთ სამომბლოს ყიდიან“.

პოლკოვნიკი ფოსტერი ქარაუშუტაა, საღი აზროვნების უნარი დაჰკარგვია, კორეელი პატრიოტის ან ბრძნულ სიტყვებს ხურობად ჩათვლის, იმის მიუხედავად, რომ ლიამ ეს სიტყვები მას სახეში მიახალა.

ფოსტერი აღგენს გეგმას, პარტიზანები რომ რკალში მოინწყვიდოს, მაგრამ ამაოდ. იგი პარტიზანების მხრივ დიდ წინააღმდეგობას წააწყდება. ისინი მზვერავეების საშუალებით გაიგებენ ფოსტერის გეგმებს, მისი გეგმები ჩაიშლება, პოლკოვნიკი თავის საკოჭანდო პუნქტთან ერთად პარტიზანებისაგან ალყის შემორტყმის შიშში ჩავარდება. ფოსტერსა და მის ხელქვეითებს ძალზე ეშინიათ პარტიზანებისა, ისინი პარტიზანებთან ბრძოლების დროს იბნევიან, დარაზმულობას ვერ იჩენენ, და ბოლოს ლაჩრულად იმალებიან. ერთ საღამოს პარტიზანები ახერხებენ ალყა შემოართყან პუნტ „ჟასმინს“, პოლკოვნიკ ფოსტერსა და მის ხელქვეითებს ტყვედ იგდებენ ხელში. ასეთია მოკლედ პიესის სიუჟეტი.

მწერალი პოლკოვნიკ ფოსტერისა და ლეიტენანტ მაკ-ალენის სახით გვიხატავს ტიპურ სწხეებს ტიპურ გარემოში. ეს ორი აგრესორი ტიპური წარმომადგენელია ამერიკის იმპერიალიზმისა, რომელიც ცდილობს „მსოფლიო ბატონობის“ მოპოვებას. განსაკუთრებით მძაფრად აქვს დახატული მწერალს ფოსტერის ფიგურა,

რომელიც ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების გეგმას ადგენს. ამერიკელ იმპერიალისტებს, დარწმუნებულთ ამერიკის შეერთებული შტატების „ღვთაებრივ მისიაში“, ისე მოაქვთ თავი, თითქოს ხალხები ვალდებული არიან ატარონ ამერიკული უღელი. ამერიკელი იმპერიალისტები, როდესაც ხალხთა წინააღმდეგობას ხედებიან, მხეცურად უსწორდებიან ყველას, ვინც მათ აგრესიულ პოლიტიკას ეწინააღმდეგება, სპობენ და ანადგურებენ.

ფოსტერი პიესაში წარმოდგენილია როგორც მხეცის განსახიერება, რომელიც ცეცხლითა და მახვილით უსწორდება კორეელ პატრიოტებს, მშობლიურ მიწას რომ იცავენ; მისი ბრძანებით დახვრიტეს უშიშარი მებრძოლი კომუნისტი მაზანი, დაანგრის ქალაქები.

პიესაში ყველაზე მძაფრად არის ნაჩვენები ოკუპანტების ხელში ტყვედ ჩავარდნილი მაზანის საუბარი ლიასთან. მაზანი სიკვდილის წინ ფიქრობს კორეელი ხალხის გამარჯვებაზე, მის მომავალზე; იგი ფიქრობს იმაზე, რომ გამარჯვების შემდეგ მშობელი ერი კვლავ აღორძინდება და აყვავდება. ლია ეთანხმება მაზანს, მასაც სწამს კორეელი ხალხის გამარჯვება.

მაზანი უშიშარი გმირია, რომელსაც არ ეშინია სიკვდილისა, იგი თავს სწირავს ხალხის თავისუფლებას. დახვრეტის უკანასკნელ წუთებში ლია ეკითხება, რა გადაეცე ამხანაგებსო; მაზანი უპასუხებს: „დაე მათ სჯეროდეთ ბედნიერებისა“.

მაზანი კორეელი ხალხის განსახიერებაა. იგი სწორად განსაზღვრავს მთელი კორეელი ხალხის დამოკიდებულებას ამერიკელი აგრესორებისადმი: „დამპყრობლებ-

თან არ ლაპარაკობენ,— ამბობს იგი,— მათ უპირველეს ყოვლისა უარეთ მიაბრძანებენ“. ეს არის მთელი პიესის წამყვანი, ძირითადი აზრი.

პროგრესულმა ფრანგმა მწერალმა როჟე ვაიანმა, რომელმაც შეიგნო სახალხო საქმე, ყველა მოწინავე პატიოსანი ადამიანის სახელით ბრალი დასდო ამერიკელ იმპერიალისტებს მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის ტანჯვა-წამებაში, მოხუცების, ბავშვების მკვლელობაში, ქალებისა და სოფლების განადგურებაში.

პიესის თინალი ასეთია: პოლკოვნიკი ფოსტერი ტყვედ ჩაუვარდება პარტიზანებს. მას პასუხისგებაში აძლევენ იმისათვის, რომ ფოსტერმა ბრძანება გასცა ქალაქის დასანგრევად, იმისათვის, რომ მან დაანგრიო სასურსათო საწყობები, სკოლები, იმისათვის, რომ იგი ჩვენი ამხანაგი მაზანის მკვლეელია“. როგორც სამხედრო დამნაშავე, ფოსტერს გაასამართლებს სამხედრო ტრიბუნალი.

პოლკოვნიკი ფოსტერი ლაჩარი აღმოჩნდა. იმისთვის, რომ არ ეცნოთ, ოფიცრის განძახებულნი იმხნები ჩამოიგლიჯა, მაგრამ მაინც იცნეს, ფოსტერმა სასამართლო პროცესზე თავი დამნაშავედ სცნო და ტირილით ეშუდარებოდა მოსამართლეებს: „... შემციოდეთ!.. დამნაშავე ვარ... მაგრამ მე ჯარისკაცი ვარ... ბრძანებებს ვასრულებდი“.

ბოლოს ჩენ პაკ სერი, კორეელი თავადის ქალიშვილი, რომელიც პარტიზანებს ცნობებს აწვდიდა ფოსტერის გეგმების შესახებ, მიმართავს პარტიზანებს, არ შეიბრალოთ პოლკოვნიკი ფოსტერი, იგი ომის გამჩა-

ღებელი ჯალათი, მკვლელიაო. პარტიზანები შეასრულებენ სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას. პოლკოვნიკ ფოსტერს დახვრეტენ.

\* \* \*

როჟე ვაიანი დაიბადა 1899 წელს საფრანგეთის უძველეს ქალაქ რეიმსში. იგი აღიზარდა ფრანგული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებზე და სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა სამი ათეული წლის წინათ. მწერალი პირველად სურეალისტებს მიემხრო, რომლებიც რეალური ცხოვრებიდან მოწყვეტილი იყვნენ, პოლიტიკას გაურბოდნენ.

დაიწყო მეორე იმპერიალისტური ომი, საფრანგეთის ვაიმმართველებმა სამშობლო ჰიტლერს მიჰყიდეს, დადგა ფრანგი ხალხის წამების წლები. მწერალი მოწმე გახდა ჰიტლერელი ფაშისტების მხეცობისა, რამაც იგი ძალზე ააღელვა. როჟე ვაიანი დარწმუნდა, რომ უაზრო იყო „წმინდა ხელოვნების“ ქადაგება, ცხოვრებისაგან, ხალხისაგან მოწყვეტა, ხალხის ბრძოლისაგან განზეღვრება, იმ ბრძოლისაგან, რომელიც წარმოებდა საფრანგეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. როჟე ვაიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი გახდა, თუმცა პირველ ხანს სუსტად ერკვეოდა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. მისი ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას საკმაოდ დრო დასჭირდა.

საფრანგეთის „განთავისუფლების“ შეჰდეგ მწერალი მუშაობდა სამხედრო კორესპონდენტად სამოკავშირეო

შტაბში. იგი აქ დარწმუნდა ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტების დამპყრობლურ პოლიტიკაში, საფრანგეთს „განმათავისუფლებლების“ სამოსელში შენიღბულნი რომ მოეფლინენ. იწერალი გმობს ამ ახალი ოკუპანტების აგრესიულ პოლიტიკას და იწყებს ბრძოლას მათ წინააღმდეგ.

1946 წელს როჟე ვაიანი აქვეყნებს თავის პირველ რომანს „გასაოცარი თამაში“, რომელშიც ნიღაბს ჰგლეჯს ინგლისელ და ამერიკელ დამპყრობლებს. იგი ამ რომანისათვის იღებს ლიტერატურულ პრემიას. ორი წლის შემდეგ გამოდის მისი დიდტანიანი წიგნი „სურეალიზმი რევოლუციის წინააღმდეგ“, რომელიც მიმართულია მწერლის ყოფილი თანამოაზრეების წინააღმდეგ.

რომანში „ხელმაგარი და თვალმახვილი“ ავტორი მიზნად ისახავს შექნას კომუნისტების დადებითი სახეები. უნდა აღინიშნოს მწერლის უკანასკნელი რომანი „ახალგაზრდა კაცის მარტოობა“. მასში როჟე ვაიანი დამაჯერებლად აგვიწერს ბურჟუაზიული წრიდან გამოსული ადამიანის რთულ, მძიმე გზას, რომელიც შემდეგ მუშათა კლასის მხარეზე დგება და მის ინტერესებს იცავს.

როჟე ვაიანი, როგორც დრამატურგი, ცნობილია 1950 წლიდან. წერს პიესას „ელიოზე და აბელიანი“, რომელშიც საქვეყნოდ ააშკარავენს კლერიკალთა პირმოთნეობას, ბურჟუაზიის თაღლითობას. მისი უკანასკნელი პიესაა „პოლკოვნიკი ფოსტერი თავს დამნაშავედ ცნობს“.



როგორც აღვნიშნეთ, ამ პიესამ საფრანგეთის მმართველ წრეებში დიდი აურზაური გამოიწვია. იგი ნამდვილ საბრალდებულო აქტად გადაიქცა ამერიკელი ინჰერიალისტების აგრესიაზე კორეაში. ამ პიესის დადგენა ახლა საფრანგეთში აკრძალულია, ვინაიდან რეალურად გადმოგვცემს სიმართლეს, კორეელი პატრიოტების ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

როგე ვაიანმა დიდი გაბედული ნაბიჯი გადადგა წინ ამ პიესის გამოქვეყნებით. ეს იყო პერიოდი, როდესაც რეაქციის ძალები შეტევაზე გადმოვიდნენ, საპყრობილეში ჩასვეს ჟაკ დიუკლო და ანდრე სტილი. აი, ამ სუსსიან დღეებში როგე ვაიანი კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. ეს დიდი დარტყმა იყო რეაქციის ძალების მიმართ, რაც ნათლად მოწმობს იმას, რომ კომუნისტები არიან ერთადერთი, ნამდვილი დამცველები ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა. ამის გარდა, ეს იმასაც მოწმობს, რომ დღითიდღე იზრდება პროგრესულ მწერალთა რიცხვი, რომელთა რიგებს როგე ვაიანის სახით შეემატა ერთ-ერთი ნიჭიერი, აქტიური მებრძოლი. მწერლის ამ გაბედულ ნაბიჯს მიესალმა მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა. ვაიანმა თავისი პიესა „პოლკოვნიკი ფოსტერი თავს დამნაშავედ ცნობს“ „სანტეს“ საპყრობილეში გაუგზავნა ჟაკ დიუკლოს. ჟაკ დიუკლომ პიესას დიდი შეფასება მისცა. „ძვირფასო ამხანაგო როგე ვაიან!—სწერს დიუკლო,—„სანტეს“ საპყრობილეში მივიღე შენი საუკეთესო პიესა „პოლკოვნიკი ფოსტერი თავს დამნაშავედ ცნობს“. გადავიკითხე და ვიფიქრე, რამდენად გათახ-

სიჩებულება საფრანგეთის მთავრობა, ამ პიესის დადგმა რომ აკრძალა-მეთქი...

ვესალმები თქვენს გადაწყვეტილებას, რომ შედიხართ ჩვენს დიდ კომუნისტურ პარტიაში, მორის ტორეზის პარტიაში, ნათელი მომავლის პარტიაში. გკოცნით და თქვენი პიროვნების სახით ვესალმები კომუნიზმის დიადი საქმისათვის ახალ მებრძოლს, მარქს-ენგელს-ლენინის დიადი საქმისათვის მებრძოლს.

შეკობრული საღმით.

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მდივანი

სახელმწიფო პატიმარი—ჯაკ დიუკლო“.

როგე ვაიანჰა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა საფრანგეთის „ორას ოჯახთან“. იგი დღეს ნამდვილი მებრძოლი მწერალია. მას აგრეთვე საუკეთესო შეფასება მისცა გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა პიერ კურტადმა: „თუ გავიხსენებთ როგე ვაიანის წინა პიესას, მას ამ უკანასკნელ წლებში დიდი წარმატება ჰქონდა. უნდა აღვნიშნო მამაცობა იმ ადამიანისა, რომელიც სიპართლის გულისათვის ბრძოლაში ჩაება“.

ზოგიერთი ბურჟუაზიული კრიტიკოსიც კი იძულებულია დადებითად შეაფასოს როგე ვაიანის მხატვრული ნიჭი. ეპილ ენრიო მას სტენდალის მიძღვერად თვლის. „ვაიანი,—წერს იგი,—სტენდალის მსგავსად აქრეოლებს მკითხველს“.

ახლახან ბურჟუაზიულმა კრიტიკამ ზომაზე მეტად შეიცვალა თავისი შეხედულება როგე ვაიანის მიმართ. „ამიერიდან საერთოდ ვაიანს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ლიტერატურასთან“—წერს ცინიკურად

„ფრან-ტირერი“. ბურჟუაზიული კრიტიკოსების გამოხდომა არ აშინებს როჟე ვაიანს, რომელმაც ასე მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ბედი მუშათა კლასის უკვდავ საქმეს.

როჟე ვაიანი იცნობს საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებს. მასზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინეს გორკის, ფურძანოვის, ნიკოლოზ ოსტროვსკის, მიაკოვსკის, ა. ფადეევის, შოლოხოვის ნაწარმოებებმა.

როჟე ვაიანის გაბედული ნაბიჯი ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ ჩვენს დროში ნამდვილი, ჭეშმარიტი მხატვარი არ შეიძლება ნეიტრალური დარჩეს და არ გამოეხმაუროს მომენტის მოთხოვნას. ამერიკელი იმპერიალისტები საფრანგეთში ამაოდ ცდილობენ ჩაახშონ ვიქტორ ჰიუგოს, ბალზაკის, ვოლტერის, დენი დიდროს მებრძოლი ტრადიციები. ამ საუკეთესო ტრადიციების მიმდევართა რიცხვი დღითიდღე იზრდება, საფრანგეთის ლიტერატურის მებრძოლი ტრადიციების ყველაზე ერთგული დამცველები არიან კომუნისტი მწერლები: ლუი არაგონი, ანდრე სტილი, ჟან ლაფიტი, პიერ კურტადი, ელზა ტრიოლე, კლოდ მორგანი, ჟან ფრევილი, პოლ ტიიარი და სხვები.

როჟე ვაიანის პიესა „პოლკოვნიკი ფოსტერი თავს დამნაშავედ ცნობს“ თანამედროვე პროგრესული ფრანგული ხელოვნების საუკეთესო შენაძენია. პიესა დაიდგა მოსკოვში, ლენინგრადში. პრალაში, ბუდაპეშტში, ბერლინსა და ვარშავაში. 1953 წლის 14 იანვარს როჟე ვაიანი საბჭოთა მწერლების მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა. აქ გაეცნო სოციალისტურ ხელოვნებას და აღფრ-

თოვანებაში მოიყვანა საბჭოთა თეატრის სცენაზე მისი პიესის განახლება. როგე ვაიანი იყო აგრეთვე ლენინ-გრაღში, აქაც დაესწრო თავისი პიესის დადგმას. მწერალი უზიარებს საბჭოთა მკითხველს თავის შთაბეჭდილებებს და წერს: „ფრანგი ხალხის დიდი უმრავლესობა თეატრში აღარ დადის შემდეგი მიზეზების გამო:

1. ბილეთები მეტისმეტად ძვირია,
2. პარიზის თეატრები ძალზე შორს არის გარეუბნებიდან, სადაც მშრომელთა უმრავლესობა ცხოვრობს.
3. წარმოდგენები იწყება მეტისმეტად გვიან—სალამოს ცხრა საათზე და მთავრდება შუალამისას, დილის შვიდ-რვა საათზე კი ხალხი სამუშაოზე უნდა იყოს.

საბჭოთა კავშირსა და დემოკრატიის ქვეყნებში თეატრებში საუკეთესო ადგილების ფასები ყველა მშრომელისათვის მისაწვდომია, რადგან მთავრობა ეხმარება თეატრებს და არ ავიწროებს მათ გადასახადებით (პარიზში კი გადასახადები შეადგენენ ბილეთის ღირებულების 35 პროცენტს)... ყველაზე კმაყოფილი დავრჩი ჩემი პიესის დადგმის გამო ლენინგრადის კომედის თეატრში, მომეწონა მსახიობთა თანაში“.

როგე ვაიანის პიესას დიდ შეფასებას აძლევს საბჭოთა მკვლევარი პროფ. ი. ანისიძოვი. იგი წერს: „ცნობილმა ფრანგმა მწერალმა როგე ვაიანმა დაწერა პატიოსანი და სამართლიანი პიესა „პოლკოვნიკი ფოსტერი თავს დამნაშავედ ცნობს“, რომელშიც გვიჩვენა ამერიკელი ოკუპანტები კორეაში ისე, როგორიც არიან სინამდვილეში. პიესა დადგა პარიზის ერთ-ერთმა თეატრმა, მაგრამ შეეშინდათ ოკეანისგაღმელი პატრონე-

ბისა და ფრანგმა ხელისუფლებმა სპექტაკლი აკრძალეს. კვლავ აღმოჩნდა, რომ დღევანდელ საფრანგეთში სინამდვილე დევნასა და დებრესიებს განიცდის. ყველა ხერხით ცდილობენ ხალხს სიმართლე დაუმალონ. მაგრამ სიმართლე მისაწვდომი ხდება უბრალო ადამიანებისათვის. აი რა აცოფებს მასებისათვის საძულველ საფრანგეთის რეაქციას. რომელსაც ზურგს უმაგრებენ ამერიკელი ხიშტები და დოლარები“.<sup>1</sup>

1952 წელს როჟე ვაიანი მიემგზავრება ინდონეზიაში, ეცნობა ინდონეზიელი ხალხის ცხოვრებას და პარიზში დაბრუნებისას აქვეყნებს თავის შთაბეჭდილებათა წიგნს, რომელშიც ამხელს ჰოლანდიელ, ამერიკელ და ინგლისელ მძარცველებს. წიგნი გაჟღენთილია ინდონეზიელი ხალხისადმი დიდი პატივისცემით, რომელიც ასე გმირულად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის.

ამავე წლის აგვისტოში მწერალი ეგვიპტეშია როგორც კორესპონდენტი ჟურნალისა „მშვიდობის დასაცავად“, ეცნობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, მის ხალხს, ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ამის საფუძველზე წერს წიგნს „რა ვნახე ეგვიპტეში“. როგორც თვით სათაური გვიჩვენებს, ავტორს განზრახვა არა აქვს ამონწურავად გააშუქოს ეგვიპტის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, გადმოგვცენს მხოლოდ თავის პირად შთაბეჭდილებებს.

მწერალი უპირველეს ყოვლისა ყურადღებას აქცევს ეგვიპტის უბრალო ადამიანებს,—ფელახებს, რომლებიც

---

<sup>1</sup> „Правда“, 10 VIII, 1952 წ.

ძირითად მოსახლეობას შეადგენენ. მან ინახულა რამდენიმე სოფელი ქვემო ეგვიპტეში, ესაუბრა ფელახებს და გაეცნო მათ გაჭირვებასა და სიღატაკეს. მთელი წიგნი გაყდენთილია ღრმა სიყვარულით ეგვიპტელი ხალხისადმი. ავტორი კარგად ხედავს ეგვიპტელი ხალხის ზიზღს ინგლისელი, ამერიკელი და ფრანგი დამპყრობლებისადმი. ეს ღრმა სიძულვილი იმპერიალისტებისადმი აღვიძებს ეგვიპტელ ხალხს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას, მოუწოდებს მათ გააძლიერონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ავტორი თავისი მსუბუქი, მოხდენილი ენით, მხატვრის კარგი ოსტატობით ხატავს უბრალო ადამიანების ცოცხალ სახეებს.

1882 წლიდან დაწყებული, როდესაც ინგლისელებმა ეგვიპტე დაიპყრეს, ეგვიპტელი ხალხი გმირულად იბრძვის თავისი სუვერენული უფლებების მოპოვებისათვის და მოითხოვს ინგლის-საფრანგეთის ბატონობის შეწყვეტას. როგე ვაიანის წიგნში დამაჯერებლად არის აღწერილი ის გარემოება, რომ არავითარ რეპრესიას არ შეუძლია შეაჩეროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ზრდა.

ეგვიპტემ გაიმარჯვა, იგი რესპუბლიკად გამოცხადდა, რომლის სათავეში დგას პრეზიდენტი ნასერი. ნასერის ხელმძღვანელობით ეგვიპტელმა ხალხმა თავისი ტერიტორიიდან განდევნა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები.

ბოლოს ავტორი წერს: „წინამდებარე წიგნის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიოს ყველა ხალხის სოლიდარობის განმტკიცებას კეთილშობილ, მშვიდობის-

მოყვარე, გულჩვილ, კეთილმოსურნე და მამაც ეგვიპტელ ხალხთან მომავალ მძიმე გამოცდაში“.

1956 წელს როჟე ვაიანმა ზედღებულად გამოაქვეყნა თანადროულ ლობის თემაზე დაწერილი რომანები „პიერეტა ამაბლი“ და „325.000 ფრანკი“.

რომანები თარგმნეს რუსულ ენაზე. მათ საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცეის. ცნობილი საბჭოთა მწერალი ილია ერენბურგი რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში წერს: „პიერეტა ამაბლი“ ეს არის როჟე ვაიანის დიდი და მოულოდნელი გამარჯვება. ეს გამარჯვება მოულოდნელად მომეჩვენა არა იმიტომ, რომ ავტორის ნიჟსა და ოსტატობაში ექვი შეპარება... „პიერეტა ამაბლი“ ყველა გააკვირვა, როჟე ვაიანის პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც კი იძულებული გახდნენ ელიარებინათ ამ წიგნის მხატვრული ძალა“.

„195... წლის შემოდგომაზე დავბრუნდი შორეული მოგზაურობიდან, ვიყავი იავას კუნძულს იქით,—ბალში, არქიპელაგში, რომელიც სამხრეთ აზიას ავსტრალიასთან აერთებს. გადაეწყვიტე ჩემს მოგზაურობაზე დაეწერო წიგნი და ამ მიზნით ჩავსახლდი მთიან მხარეში—სავოიასა და იურას შორის, საცხოვრებელ ადგილად სოფელი გრანჟ-ოვანი ავირჩიე“.

ასე იწყებს მწერალი „პიერეტა ამაბლს“.

ეს იყო 1952 წელს. მწერალი ჩასახლდა სავოისის ერთ-ერთ მთიან სოფელში და გადაწყვიტა ამ მხარის ადამიანებზე დაეწერა წიგნი. ავტორი ამ სოფლის სინამდვილეს რომ გაეცნო, თავის ჩანაფიქრს გასცილდა.

რამდენადაც მწერალი ამ მიყრუებული სოფლის მცხოვრებლებს უკეთ ეცნობოდა, მისთვის უფრო ნათელი ხდებოდა მისი კავშირი ახლომდებარე ქალაქებთან. გრანჯ-ო-ვანის მცხოვრებთა მდგომარეობამ, იმან, თუ რატომ მიდიოდნენ ისინი მეზობელ ქალაქებში ქარხნებსა და რკინიგზებზე სამუშაოდ, მწერალი შეაძრწუნა.

როგე ვაიანი ცხოვრობდა წვრილი მიწათმფლობელების—ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ერნესტინასა და ჯიუსტიენის სახლში. იგი ყოველდღიურად აკვირდებოდა ძველი გლეხების, ამბლების ცხოვრებას და უბის წიგნაკში იწერდა.

რომანის მთავარი გმირია გლეხის ქალი—პიერეტა ამბლი, რომელიც თავისი მშობლების მსგავსად მიდის მუშათა დაბა კლიუზოში აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში სამუშაოდ. მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, პიერეტა გათხოვდა, შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც როგე შეარქვეს. სამი წლის შემდეგ პიერეტა ქმარს გაშორდა, სარჩენლად დარჩა პატარა როგე.

მწერალი უპირველეს ყოვლისა გულთბილად აგვიწერს სოფლის უბრალო ადამიანებს, მათ ყოფაცხოვრებას, ბრძოლას, მწუხარებასა და იმედებს. როგე ვაიანს აცვიფრებდა ყველაფერი, სახელდობრ, მუშათა ქოხები, პატარა კომუნისტური ორგანიზაციის კრებები, სოფლის ბალები, იტალიიდან და ჩრდილო აფრიკიდან გადმოსახლებული ღარიბი ადამიანები, მუშათა გაფიცვები.

ავტორს რომანში გამოჰყავს იტალიელი მუშა ბომასკი, რომელსაც მეტსახელად „ლამაზი“ შეარქვეს. ბომასკი წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილი მონაწილეა,



დევნის გამო იძულებულია დატოვოს იტალია და საფრანგეთში გამოიქცეს. ბომასკი კლიუზოს ახლოს რკინიგზაზე შავ მუშად იწყებს მუშაობას. გაფიცვაში მონაწილეობისათვის სამუშაოდან ითხოვენ, მაგრამ პიერეტა ამბბლი, როგორც კომპარტიის სექციის კომიტეტის წევრი, მას კვლავ სამუშაოზე აწყობს. როგორც კი დარწმუნდება ბომასკის ერთგულებაში, პიერეტას შეუყვარდება იგი და ბოლოს ცოლადაც გაჰყვება. ბომასკი თავის ცხოვრებას მუშათა კლასის საქმეს შესწირავს, ერთერთი გაფიცვის დროს, ქარხანასთან პოლიციელებსა და მუშებს შორის შეჯახებისას ბომასკი გმირულად იღუპება.

პიერეტა ამბბლი მუშებს შორის დიდ სიყვარულს დაიმსახურებს. მალე იგი ხდება აქტიური პროფკავშირული და პარტიული მოღვაწე, უშიშრად იბრძვის მუშათა ერთიანობისათვის, ხელმძღვანელობს გაფიცვებს.

პიერეტა განვითარებული და პოლიტიკური ბრძოლების დიდი გამოცდილების მქონე პარტიული და პროფესიული მუშაკი იყო. იგი სწრაფად და კარგად ერკვეოდა ვითარებაში, იცოდა ხალხს რა ღონისძიება უნდა განეხორციელებინა, როდის იყო ხელსაყრელი მუშათა გაფიცვა და როდის არა; ადვილად ხედებოდა მოწინააღმდეგის ხრიკებს და მუდამ დროულად ამხელდა მათ. პიერეტას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მუშებში, ამიტომ ქარხნის მეპატრონეები ხშირად ცდილობდნენ მოესყიდათ იგი, მაგრამ ამაოდ.

ერთ დღეს ქარხნის ადმინისტრაციამ სამუშაოდან 33 მუშა დაითხოვა. პიერეტამ მოიწვია პროფკავშირის

კრება, სადაც დაადგინეს დათხოვილი მუშების დაუყოვნებლივ დაბრუნება საქმეშაოზე. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად მან ფეხზე დააყენა ქარხნისა და რკინიგზის მშენებლობის მუშები.

პიერეტა გამოიძახა ლიონში გენერალურმა დირექტორმა ნორტმერიმა და უთხრა:

— გამოვითხოვე თქვენი პირადი საქმე და უდიდესი ინტერესით წავიკითხე. თქვენს შეხედულებებს არამცდარამც არ ვიზიარებ, მაგრამ პატივს კი გცემთ, რადგან თქვენს გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება. მინდა გადაგიშალოთ ჩემი გეგმა.

— უნდა დავითხოვო, — განაგრძობდა ნორტმერი, — 60 მუშა კლიუზოს საწარმოდან, 35 მუშა უკვე გაფრთხილებულია. მეორე პარტიას ძალიან ჩქარა დავითხოვთ. ჩემთვის ფრიად უსიამოვნო იქნება, თუ ეს გარემოება რაიმე ინცინდენტს გამოიწვევს.

პიერეტა აღაშფოთა ნორტმერის ამ სიტყვებმა, იგი მზად იყო მივარდნოდა ბატონ გენერალურ დირექტორს და გაესრისა იგი.

იმის მიუხედავად, რომ სართავ-საქსოვი სააქციო საზოგადოების თანამშრომლები ფილიპ ლეტურნო (მეწარმე), ნორტმერი (ლიონის სააქციო საზოგადოების მთავარი დირექტორი), ტალგრანი (ინჟინერი). ნობლე (ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი) პიერეტას სასტიკად სდევნიდნენ, მან მაინც შეძლო კლიუზოს მუშებს შორის ერთიანობის დამყარება. ფილიპ ლეტურნო მიზნად დაისახავს პიერეტას გული მოიგოს, ამისთვის მას აჩუქებს წიგნს: „ლექციები კომუნისტური პარტიის ამო-

ცანებზე“, რომელსაც ასეთ წარწერას გაუკეთებს: „მადამ პიერეტა ამაბლს. ძალზე მსურს ოდესმე თქვენი პატივისცემა დავიმსახურო“.

პიერეტა მაშინვე მიხვდა ფილიპ ლეტურნოს განზრახვას.

ასევე ცდილობდა ამერიკელი ქალი ემილი პრივა პიერეტა ჩამოეშორებინა პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, მაგრამ ეს ვერ შეძლო.

და ბოლოს, პრეფექტურის ბრძანებით კიუვროს, მინიოსა და პიერეტა ამაბლს აპატიმრებენ, მაგრამ ისინი ციხიდან გაიქცევიან და კვლავ მშვიდობის დამცველთა პირველ რიგებში დგებიან. ქარხანაში გაფიცვები ისევე გრძელდება.

როდესაც როჟე ვაიანი „პიერეტა ამაბლს“ წერდა, იგი განცხნევებული იყო მ. გორკის კლასიკური ეპოპით—„კლიმ სამგინის ცხოვრებით“.

მწერალმა სოციალისტური რეალიზმის მეთოდების მტკიცე მომარჯვებით სასახელოდ შეძლო გამოედერწათანამედროვე საფრანგეთისათვის ტიპური სხვადასხვა ხასიათი.

პიერეტა ამაბლი ოცნებობს გრანჟ-ო-ვანის მომავალზე. მის შემოქმედებითს ფანტაზიას შთააგონებენ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების მაგალითები.

მ. გორკისა და მ. შოლოხოვის გმირები ვაიანის მეგობრები და მრჩეველები ხდებიან. როდესაც კითხულობთ „პიერეტა ამაბლს“, გგონიათ, რომ პიერეტას შეგნებაში ერთად არის შერწყმული საბჭოთა სინამდვილის ცოც-

ხალი სურათები და საბჭოთა მწერლების მიერ შექმნილი სახეები. როცა ვაიანის გმირებისათვის საბჭოთა კავშირი არა მხოლოდ ახალი, არამედ მახლობელი სამყაროა.

აქ აღწერილია მოხუცი ამბლის სახე. იგი „ძლიერია“, მაგრამ მაინც გაპარტახებული გლეხია. ასეთი გლეხების ბედი ბევრჯერ აისახა ფრანგულ ლიტერატურაში, მაგრამ მათზე ჯერ ისე არავის უფიქრია, როგორც პიერეტას. მას ექვი არ ეპარება, რომ ასეთი მძიმე ადამიანური ბედი, რომელიც წილად ხვდა გლეხ ამბლს, მომავალში ფრანგულ სოფელში დადებითად გადაწყდება. ქეშმარიტ პოეტურ ძალას პიერეტას პიროვნებას აძლევს იმ დიდი ისტორიული გზის შეგრძნება, რომელიც ფრანგმა ხალხმა განვლო. ავტორი არ მიდის ადამიანებისა და მათი ბიოგრაფიების ნატურალისტური კოპირების გზით, არამედ ქენის მათ უშუალო შთაბეჭდილებათა განზოგადებით. პირველ რიგში ნწერალი გვიხატავს ომის შემდგომ პერიოდს, როგორ იზრდება ამ პერიოდში კომუნისტური პარტიის გავლენა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

ავტორმა ნაწარმოებში გამოსახა ფრანგების, არაბების, იტალიელების მეგობრობა.

მწერალი გულმოდგინედ სწავლობს კლიუზოს აბრეშუმის ფაბრიკის ისტორიას, რაც მას ფრიად დაეხმარა უფრო გარკვეულიყო თანამედროვე მონოპოლიების საქმეებში. როცა ვაიანის გმირები საფრანგეთის უბრალო ადამიანები არიან, ისინი დამაჯერებლად, სრულფასოვანი ფსიქოლოგიური ანალიზით გააშუქა ავტორმა.

რომანის ცალკეულ პერსონაჟთა დახატვისას მწერალი მიმართავს მათ რთულ ფსიქოლოგიურ დახასიათებას. მაგალითად, მუშა იტალიელის სახით ნაჩვენებია ტრაგედია ბურჟუაზიული ქვეყნების მუშებისა, რომლებიც ლუკმაპურის გულისათვის სამშობლოს ტოვებენ. ბომასკის ბედი ტრაგიკულია, იგი შორდება თავის სამშობლო იტალიას არა მარტო ლუკმაპურის გულისათვის, არამედ იმისათვის, რომ იქ მას სდევნიან. მწერალი ქმნის თავისი გმირის ეროვნულ ხასიათს, რომელიც უკიდურეს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმში თავისებურად ვლინდება. სამშობლოდან განდევნილ მუშა ემიგრანტს ორმაგად ყვლეფენ ფრანგი კაპიტალისტები. იგი ფრანგ მუშებთან ერთად აგრძნობინებს ბურჟუაზიას, რომ კლიუზოს ნამდვილი მეპატრონე ფრანგი ხალხია. ბომასკის უყვარდა ბუნების, ქალის სილამაზე. ოცნებობდა შემოქმედებით შრომაზე. ბომასკის ოცნება, ისევე როგორც პიერეტას ოცნება, მომავლისაკენ არის მიპყრობილი. თუ კარგად გადავხედავთ ბომასკის („ლამაზს“), დავინახავთ მრავალი უბრალო ადამიანის ტიპიურ თვისებებს, ადამიანებისას, რომლებიც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის იბრძვიან.

რომანში კარგად არის დახატული ამერიკელ და ფრანგ აქციონერებზე შორის ბრძოლის გამწვავება. ფრანგი აქციონერები არ უთმობენ პოზიციებს ამერიკელებს, ისინი მზად არიან კონფლიქტი იმით გადაწყვიტონ, რომ დადონ სავაჭრო ხელშეკრულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

„ბედნიერი ვიქნებოდით პიერეტას მსგავსი ქალიშვილი-

ლი რომ მყოლოდა“—სწერს როგე ვაიანს ერთ-ერთი მკითხველი.

ვაიანი თითქმის პირველი მწერალია, რომელიც ომის-შემდგომ პერიოდში საკმაო სისრულით გვიჩვენებს ორსავე ბანაკს—პროგრესულსა და რეაქციულს. იგი ქმნის არა მარტო ცალკე ფიგურებს, ამა თუ იმ სამყაროს რომ წარმოგვიდგენენ, არამედ მათ შეაჯახებს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და პირად ბრძოლებში. რომანში მწერალი მოხდენილად აგვიწერს უჩუშევართა კრების სცენას, ხალხთა შიშს, დაბნეულობას—მიიღონ თუ არა მონაწილეობა გაფიცვაში, რასაც სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. რამდენადაც მწერალი დრამატულად მართლად წარმოგვიდგენს ამ კონფლიქტებს, მით უფრო აშკარად ვლანდება მუშათა სოლიდარობის ძალა.

ავტორი არ იფიწყებს, გვიჩვენოს ლუიზას ხასიათში არსებული წინააღმდეგობანი და ამ წინააღმდეგობების გამომწვევი მიზეზები. ის ბევრს ფიქრობს თავის პირად სააქმეებზე. იმისათვის, რომ კაპიტალისტებთან ნდობა არ დაეკარგა, კომუნისტი ლუიზა კრებებზე კომუნისტების წინააღმდეგ აძლევს ხმას, მაგრამ ახლა, როდესაც მუშათა მოძრაობა აღმავალი გზით მიდის, არ შეუძლია არ დაეხმაროს კომუნისტებს, თუგინდ ფარულად. პირველად ამას იმისათვის აკეთებს, რომ მოიპოვოს მუშების ნდობა, რადგან მეტად თუ ნაკლებად შეგნებული მუშები სოლიდარობას უჭერენ მხარს. შემდეგ კი მუშების ერთიანობის ზრდა თავის გავლენას ახდენს ლუიზაზე. მუშათა მზარდი მოძრაობის ფონზე უკვე გრძნობს

იზოლაციის საშიშროებას და ცდილობს სხვებს არ ჩამორჩეს. ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი აიძულებს ლუიზას ჩადგეს მოწინავე მებრძოლთა რიგებში. აქ ნათლად ჩანს გპირის სრული განთავისუფლება წარსულის გადმონაშთებისაგან. თვალწინ წარმოგვიდგება ნათელი ფრანგული სოფლის მომავლისა. რომანში მოთხრობილია რამდენიმე თაობის გლეხთა ბედი, ქალაქის მშრომელთა კავშირი სოფლის მცხოვრებლებთან, ჩანან ის ადამიანები, რომლებიც სოფელს უკეთესი ცხოვრებისაკენ წაიყვანენ. სოფლის აღწერაში როე ვაიანი, ისევე როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა ფრანგი მწერალი პიერ გამარა, ახალი რეალიზმის გზით მიდის. წწერალი ავითარებს სოფლის რეალისტური ასახვის საუკეთესო ტრადიციებს. იგი თანამედროვე საფრანგეთის სოფლის სხვადასხვა ფენის, მისი სოციალური სიჭრელის ბრწყინვალე ასახვით ამხელს სოფლის გალატაკებისა და დაკემულობის ნამდვილ დამნაშავეებს. ეს დამნაშავეები, მწერლის აზრით, უნდა ვეძიოთ მონოპოლიებში. რაც შეეხება თვით გლეხებს, სილატაკის ფონზე ვხედავთ, რომ მათ განვითარებული აქვთ მაღალი, დიდი შეგნებულობა თავიანთი ადამიანური და ეროვნული ღირსების დასაცავად.

რომანში ნათლად ჩანს, რომ „წინააღმდეგობის ტრადიცია“ საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის ამკიდროებს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კავშირს. აბა როგორ არ უნდა გამოცოცხლდეს ეს ტრადიცია, როდესაც ხალხისათვის მძიმე მომენტში კვლავ ჩნდებიან ქალაქებსა და სოფლებში უცხოელი სტუმრები, რომელთაც მწერალი ამერიკელი მოსაქმეების სახით წარმოგვიდგენს.

როგე ვაიანი მოხდენილად ფლობს ხელოვნებას—გამათრახოს მტური და ერთდროულად იბრძოლოს საკუთარი იდეალებისათვის. ნწერალი ვოლტერის ფილოსოფიური სატირის გზას მიჰყვება. მარტო ის დოკუმენტები რომ განვიხილოთ, რომლებიც ლეტურნოს ფირმის ისტორიას აშუქებს, როგე ვაიანი ჩვენ წინაშე წარმოდგება როგორც ნოვატორი.

საბჭოთა კრიტიკოსი ბ. პესისი „პიერეტა ამბლის“ დახასიათებისას წერს:

„პიერეტას სახე თავისებური პოეზიის მთლიანობით არის გასხვივოსნებული. ეს მთლიანობა კონფლიქტების დაძლევის დროსაც კი მტლავნდება... პიერეტა და „ლამაზი“—არ წარმოადგენენ როგე ვაიანის მიერ შექნილ უბრალო ადამიანების ერთადერთ სახეს. მის რომანში სხვადასხვა ადამიანია ასახული. ესენი არიან: მოწინავეები და ჩამორჩენილები, მუშები, გლეხები, ინტელიგენტები, ფილისტერები... რომანის ავტორმა მოახერხა თავისი განზრახვის განხორციელება. როგორ შეიძლება უფრო მეტი სისრულითა და ყოველმხრივ წარმოვიდგინოთ თანაჰედროგე საფრანგეთის ცხოვრების სურათები, სურათები იმ ქვეყნისა, რომელშიც დემოკრატიულმა ძალებმა საძძიმო და ფრიად მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს“.

როგე ვაიანის მეორე რომანი—„325.000 ფრანკი“ ასე იწყება:

„ყოველწლიურად, მაისის პირველ კვირას ბიონის მიდამოებში იმართება ტრადიციული ველოშეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ ექვსი დეპარტამენტის: რო-



ნის, ენას, იზერის, იურის, სავოისა და ზემო სავოის უძლიერესი სპორტსმენი—მოხალისეები. ეს შეჯიბრება მოითხოვს დიდ გამძლეობას. მრბოლებმა სამჯერ უნდა გადალახონ აღმართი მთის მწვერვალამდე 1250 მეტრ სიმაღლეზე. დიდი სასპორტო ფედერაციის ხელმძღვანელები გზავნიან შეჯიბრებაზე თავიანთ მოთვალთვალებს. არაერთხელ მომხდარა შემთხვევა, როდესაც ბიონის ველოშეჯიბრებაში გაუმარჯვიათ არაპროფესიონალ მრბოლებს...

ეცხოვრობ მთიან სოფელში, ბიონის ახლოს, საფრანგეთის სამრეწველო ცენტრში, სადაც პლასტმასის ნაწარმს უშვებენ. ეს ქალაქი იმყოფება იურის მთებში, შვეიცარიის საზღვრიდან მანქანით ერთი საათის სავალზე. სალამობით ხშირად ვარ ბიონში. მონწონს გამოცოცხლება, რომელიც სუფევს სამრეწველო ქალაქების ქუჩებში სამუშაო დღის დაშთავრების შემდეგ“...

ეს რომანი ცალკე წიგნად 1955 წელს გამოიცა პარიზში, მანამდე კი „ლუმანიტეში“ იბეჭდებოდა. ისე როგორც „პიერეტა ამაბლში“, აქ მოქმედება ხდება საფრანგეთის ერთ-ერთ მთიან რაიონში, რომელიც შვეიცარიასა და იტალიას ესაზღვრება. მთის ერთ მხარეზე მდებარეობს სამრეწველო ქალაქი კლიუზი, ხოლო მეორეზე პატარა ქალაქი ბიონა, რომელიც პლასტმასის წარმოების ცენტრს წარმოადგენს. რომანის ძირითადი მოქმედი პირები არიან არა მოწინავე ადამიანები, როგორც ეს „პიერეტა ამაბლშია“, არამედ ჩამორჩენილები.

რომანის მთავარ პერსონაჟებად ავტორს გამოჰყავს მქარგავი მუშის ქალიშვილი, 25 წლის თანა ლემერსიე

და 22 წლის მუშა ბერნარ ბიუზარი. ბიუზარს სამუშაო საათებში თავისი სამთვლიანი ველოსიპედით დააქვს პლასტმასის ნაწარმი, ხოლო დანარჩენ თავისუფალ დროს ველოსიპედზე ვარჯიშობას ანდომებს. ბიუზარი სპორტის მოყვარულია, მას უნდა 1954 წლის ადგილობრივი მნიშვნელობის ველოშეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, რომ დაიმსახუროს ფულადი ჯილდო. ამ ველოშეჯიბრებაში ბიუზარი ვერ იმარჯვებს, პირველობას აღწევს ბრესელი ბიჭი.

ერთ საღამოს მთხრობელი თავისი ცოლით კარდელიათი ცეკვის საღამოს ესწრებოდა. აქ მან შეამჩნია, რომ მარი-ჯანა და ბიუზარი ერთად ცეკვავდნენ. შემდეგ ვიგებთ, რომ ბიუზარს შეუყვარდება მარი-ჯანა და წინადადებას მისცემს ცოლად გაჰყვეს. მარი-ჯანა უარით ისტუმრებს, მისთვის უცხოა ბიუზარის აზარტი, იგი ბიუზარს ცოლად მაშინ გაჰყვება, როდესაც თავს დაანებებს ველოსიპედს, შეისწავლის ნამდვილ ხელობას და უზრუნველყოფს თავის ცხოვრებას. ბიუზარი ყველაფერს შეჰპირდება.

რაც გნებავს, მოითხოვე ჩემგან,—ეუბნება ბიუზარი.—ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სიყვარული დაგიმტკიცო.

— კარგი.—ბოლოს ეთანხმება მარი-ჯანა.—შეისწავლე რაჟე საფუძვლიანი ხელობა, იშოვე ბინა და მაშინ გამოგყები ცოლად.

— ეს ადვილია!—წამოიძახებს ბიუზარი.—ხვალვე ვთხოვ პოლ მორელს საამქროში გადამიყვანოს. რაც შეეხება ბინას...

— არა, — აწყვეტინებს მარი-ჯანა, — ჩემი ქმარი პლასტ-მასის ქარხანაში არ უნდა მუშაობდეს.

მარი-ჯანა იმაზე ოცნებობს, რომ მისი მომავალი ქმარი საწარმოს მფლობელი გახდეს. ბიუზარი ამ მიზნით თავის ამხანაგებთან ლიონს მიემგზავრება. ისინი ურჩევნ გახდეს სასაუზმე „სნეკბარის“ მმართველი. სასაუზმე იწყობება პარიზ-ლიონ-მარსელის მაგისტრალზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. სასაუზმესთან არის ბენზინის ჩასასხმელი სადგური, სადაც შოფრები აჩერებენ მანქანებს და საწვავს იღებენ. ათი წლის მუშაობით მარი-ჯანამ და ბიუზარმა საკმაო თანხა დააგროვეს, რომ სასაუზმე გამოესყიდათ. ქმარი დიდი ჯაფით მალე ამასაც მიაღწევს, დღე და ღამე გაასწორებს, 187 დღის განმავლობაში საჭირო 325.000 ფრანკს გამოიმუშავენ და სასაუზმეს მფლობელი გახდება.

თუ პიერეტა ამაბლი, კუივრო, მონიო დადებითი პერსონაჟები არიან, სამაგიეროდ ბიუზარი და მარი-ჯანა მწერალს დახატული ჰყავს როგორც უარყოფითი ტიპები. მარი-ჯანა — მუშის ქალი და ბიუზარი — გლეხის ვაჟი ქარხანაში მუშაობას გაუბიან, ცდილობენ გაძლიდნენ და კაპიტალისტები გახდნენ. ბიუზარი ყურადღებას არ აქცევს მუშათა ბრძოლას ერთიანობისათვის, იგი სპორტული გაზეთების გარდა არც ერთ გაზეთს არ კითხულობს, არც ერთ საქმეში არ ერევა, რაც მას პირადად არ ეხება. ეს არის მისთვის „თავდაცვის“ მოსახერხებელი ფორმა. ბიუზარი არის ჩამორჩენილი, ბნელი ადამიანი, მან უკრიტიკოდ მიიღო ბურჟუაზიული მითი ღვთის ძალის არსებობის შესახებ, მას მხოლოდ

საკუთარი ძალისა სჯერა, გაუბრის კოლექტივს და მარტო ცდილობს თავისი ბედის გამოქედვას. ბიუზარმა მიზანს მიაღწია, ცოლად შეირთო მარი-ყანა, მაგრამ მათი ცხოვრება დიდად ბედნიერი არ გამოდგა. ბიუზარს გული გაუტყდა ცოლზე, ექვიანობდა, ნერვიულობდა, ამის ნიადაგზე ლოთობას მიჰყო ხელი და თანდათანობით უხეში გახდა. იგი ბრმა იყო, ცხოვრებას არ იცნობდა, არც კი ცდილობდა წაეკითხა წიგნები, განვითარებულიყო.

როგო ვაიანმა თავის რომანებში გამოძერწა სხვადასხვა ხასიათი,—ტიპური და დამახასიათებელი თანამედროვე საფრანგეთისათვის. საბჭოთა კრიტიკოსი ი. ფრიდი წერს:

„...საბჭოთა მკითხველებს, როგო ვაიანის რომანს რომ გაეცნენ, საშუალება მიეცათ შეეფასებინათ მისი ორიგინალობა, ცხოვრების სურათების სრული უტყუარობა, მოკმედი პირების ბიოგრაფია, მათი განცდები და საქციელი; როგო ვაიანის მაღალი ოსტატობით გამოძერწილი ბრწყინვალე სახეები თანამედროვე საფრანგეთისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ტიპური ხასიათებია“.

ეს ორი რომანი იმის დამადასტურებელია რომ ვაიანი კარგად ფლობს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, რომ პროგრესული ფრანგული ლიტერატურის ესთეტიკა ყალიბდება სინამდვილის განუწყვეტელი შესწავლის ნიადაგზე, ეროვნული კლასიკური ტრადიციის განვითარების ნიადაგზე. ვაიანს ყოველთვის ისეთი პრობლემები აინტერესებს, რომელთა გადაწყვეტა აუცილებ-

12. ს. თურნავა

ბელია ლიტერატურის სწრაფი განვითარებისათვის. მოწინავე მსოფლმხედველობა, პროგრესულ-ესთეტიკური შეხედულებები დახმარებას უწევს მწერალს სრულყოფისათვის ოსტატობა. იგი მოგვითხრობს იმას, როგორ დაეხმარა მას ყოველდღიური კავშირი მუშათა კლასთან, სწორად რომ დაენახა და შეეფასებინა მოვლენები.

როდესაც გამოქვეყნდა „325.000 ფრანკი“, რეაქციონერმა ჟურნალისტმა მ. ანრიმ როჟე ვაიანს „უკიდურესი მემარცხენე არისტოკრატი“ უწოდა. ვაიანმა მას ასე უპასუხა: „მე ჩემი ეპოქის საუკეთესო ადამიანებთან ვიბრძვი. სულით და გულით ხალხთა არმიას ვეკუთვნი“...

ზართლაც, როჟე ვაიანი პიერეტა ამაბლის ნამდვილი მონათესავეა, იგი მასთან ერთად იბრძვის მუშათა კლასის საუკეთესო მომავლისათვის.

როჟე ვაიანი ღირსეულად განაგრძობს ფრანგული რეალისტური რომანის, დიდი ფრანგი განმანათლებლის, ფილოსოფიური, პოლიტიკური და პუბლიცისტური პროზის ოსტატის—დენი დიდროს საუკეთესო ტრადიციებს, იბრძვის მიმდინარეობის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ წინააღმდეგ.

თანადროულობაზე ლაპარაკის დროს როჟე ვაიანი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რა დიდ როლს ასრულებენ საბჭოთა მწერლები საზღვარგარეთის პროგრესული ლიტერატურის განვითარებაში. როჟე ვაიანი ლუი არაგონის, ელზა ტრიოლეს, ვერკორის, ანდრე სტილისა და სხვა მრავალი პროგრესული მწერლის გვერდით აქტიურად იბრძვის სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის ფრანგულ ლიტერატურაში. ამის

ნათელი დამადასტურებელია მისი ზემოხსენებული ორი რომანი. ეს ახალი ნაწარმოებნი როჟე ვაიანის შემოქმედებითი გზის განუხრელ ზრდაზე მეტყველებენ.

სამწუხაროდ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ფრანგი კომუნისტი მწერალი, მათ შორის როჟე ვაიანი და კლოდ მორგანი ვერ გაერკვა უნგრეთის ამბებში, ვერ დაინახა სრული სიმართლე და ერთგვარი დაბნეულობა გამოიჩინა. როგორც ცნობილია, 1956 წლის 23 ოქტომბერს ბუდაპეშტში დასავლეთის ქვეყნებისა და ხორტის ყოფილი ოფიცრების ხელმძღვანელობით მოეწყო კონტრრევოლუციური ამბოხება, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალისტური წყობილების დამსობასა და ფაშიზმის აღდგენას უნგრეთში. ოცდაერთი ფრანგი მწერალი, მათ შორის როჟე ვაიანი, კლოდ მორგანი, ვერკორი, „ფრანს ობსერვატერში“ აქვეყნებს ღია წერილს, რომელშიც წერს: „ქვემოთ ხელის მომწერნი, რომლებსაც სსრ კავშირისა და სოციალიზმის მიმართ არამეგობრული გრძნობები არასოდეს გამოგვითქვამს, დღეს თავს ვალდებულად ვთვლით პროტესტი განვუცხადოთ საბჭოთა მთავრობას ქვემეხებისა და ტანკების გამოყენებისათვის უნგრელი ხალხის აჯანყებისა და დამოუკიდებლობისადმი მისი მისწრაფების ჩასახშობად, თუმცა ამასთანავე ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ აჯანყებას მიეტმასნენ რეაქციული ელემენტები, რომლებიც აჯანყებულთა რადიოში გამოდიოდნენ თავიანთი მოწოდებებით“ (სრული ტექსტი გამოქვეყნებულია „ლიტერატურნაია გაზეტაში“)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „Литературная газета“, 22 ნოემბერი, 1956 წ.

საბჭოთა მწერლები საპასუხო წერილში წერენ: „ვიმედოვნებთ, რომ თქვენც თქვენი მხრივ იზრუნებთ იმისათვის, რომ ჩვენი პასუხი გამოქვეყნდეს საფრანგეთში, იქვე, სადაც თქვენი განცხადება დაიბეჭდა.

ახლა კი ვილაპარაკოთ არსებითად და გულახდილად, ეს განსაკუთრებით აუცილებელია კაცობრიობის ისტორიის ასეთ მძიმე მომენტში. თქვენ გვწერთ, რომ მონიხვით ჭეშმარიტებას. მოდით და იგი დავადგინოთ.

ღიახ, ის, რაც უნგრეთში მოხდა, მძიმე და ტრაგიკულია. მაგრამ თქვენ ამაში მხოლოდ ერთ მხარეს ხედავთ. თქვენ ლაპარაკობთ ამ ამბებში მხოლოდ საბჭოთა ჯარების მონაწილეობაზე, თუმცა ამ ფაქტის გამო თქვენთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა სხვა ამბები, რაც მსოფლიოში ხდება...

ვიმეორებთ, ამ თქვენს სიტყვებში ვხედავთ იმის საბუთს, რომ თქვენ გსურთ სიმართლის დანახვა.

მაგრამ ვუბრუნდებით უნგრეთის ამბებს და მათდამი თქვენს დამოკიდებულებას. გვინდა გითხრათ: ცდებით! ვერ ხედავთ სრულ სიმართლეს!<sup>1</sup>

პარიზის ყოველკვირეული გაზეთი „ექსპრესი“ 1956 წლის 9 ნოემბერს აქვეყნებს ჟან-პოლ სარტრის პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც ამ გაზეთის რედაქციამ დაუსვა. სახელდობრ, საქმე ეხებოდა უნგრეთის ამბებს. სარტრი უნგრეთის საკითხზე თავის პასუხში საბჭოთა კავშირის მიმართ აშკარად მტრულ პოზიციასზე დგება.

ფრანგი პუბლიცისტი, ფილოსოფიის პროფესორი

---

<sup>1</sup> „Литературная газета“, 22 ნოემბერი, 1956 წ.

როცე გაროდი ყოველკვირეული გაზეთ „ფრანს ნუველ-ში“ 1956 წლის 18 ნოემბერს წერს სტატიას „პასუხი სარტრს“, რომელშიც ამხელს სარტრის მტრულ, ცილისმწამებლურ გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

უნგრეთის ტრაგიკულ დღეებში ანდრე სტილი მიემგზავრება ბუდაპეშტში, სადაც იგი გაიგებს მთელ სიმართლეს და პარიზში დაბრუნებისას „ლუმანიტეში“ წერს სტატიას, რომელშიც ამჟღავნებს ცილისმწამებლებს. სტილი მიუთითებს: ამბოხების ხასიათი ნათლად ამხელს იმ გარემოებას, რომ დასავლეთის სახელმწიფოების უშუალო მონაწილეობითა და ხორტის ყოფილი ოფიცრების დახმარებით წინასწარ ჩატარდა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობაო. „ამ მხრივ ფაქტები არავითარ ეჭვს არ ბადებს,—წერს სტილი,—იარაღის განაწილების ფაქტი და აგრეთვე შეამბოხეთა თავდასხმის გეზი (რადიოსადგურზე, სატელეფონო ცენტრებზე, შენობებსა და სხვა სტრატეგიულ ცენტრებზე) გვიჩვენებს, რომ აქ საქმე გვექონდა არა შემთხვევით დემონსტრაციებთან, როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებს, არამედ სინამდვილეში განხორციელდა ნამდვილი სამხედრო გეგმა, დამუშავებული გამოცდილი შტაბის ხელმძღვანელობით, რომელიც, ცხადია, ხორტის ყოფილი ოფიცრებისაგან შედგებოდა“.<sup>1</sup>

იმ დღეებში, როდესაც საფრანგეთის რეაქციული პრესა თავისი ცილისმწამებლური ინფორმაციებით ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა მსოფლიო საზოგადოებრი-

<sup>1</sup> „Советская культура“, 17 XI, 1956 წ., გვ. 4.



ყი აზრი, განხეთქილება მოეხდინა პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის რიგებში, პროგრესული ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე მთელი ძალით გაისმა მოწოდების ხმა—გადაჭრით წინააღმდეგობა გაეწიათ გამთიშველებისა და ფაშიზმისათვის.

ცნობილი ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი ჟან ფრევილი სპეციალურად გამოცემულ ჟურნალებში „კლარტესა“ და „ნუველ კრიტიკში“ ასე მიმართავდა ფრანგ მწერლებს: „საგანგაშო სიგნალი მოცემულია, შეტევის მოგერიება დღითიდღე იზრდება... ამ ახლის მაუწყებელ ბრძოლაში ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?“.

ეს იყო მჭევრმეტყველი პასუხი ფალსიფიკატორებისა და ცილისმწამებლების მიმართ. კულტურის მოწინავე ოსტატები ფრანგ ხალხთან, კომუნისტურ პარტიასთან არიან. ყველა იმ „შავი სიის“ მიუხედავად, რომელსაც ადგენენ „ფიგარო ლიტერერი“, „ორორი“ და სხვა ანტიკომუნისტური ლაშქრობის „მედროშენი“, ფრანგი მოწინავე მწერლები თავიანთ სტატიებსა და ნაწარმოებებში ამხელენ მათ ანტისაბჭოთა გამოხდომებს და მშობელ ხალხს სრულ სიმართლეს ეუბნებიან. ვერც მუქარამ, ვერც ფალსიფიკაციამ, ვერც შანტაჟმა ვერ მოუტანა სასურველი შედეგი მათ ორგანიზატორებს საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

უნგრეთის საკითხში გერმანელმა მწერლებმაც დაიჭირეს მტკიცე პოზიცია, მათ საქვეყნოდ ამხილეს კონტრრევოლუციური ამბოხება უნგრეთში. ცნობილი მწერალი შტეფან ჰაიმი „ბერლინერ ცაიტუნგში“ წერდა: „მჩაგვრელი ნილოსზე არ შეიძლება იყოს განმათავისუფლებ-

ბელი დუნაიზე. კონტრრევოლუცია რევოლუცია როდია, რევოლუციის საფართაოც რომ გამოვიდეს<sup>1</sup>.

ანა ზეგერსმა და შტეფან ჰერმლინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს იმპერიალისტთა ნაძირალები, რომლებმაც უნგრეთში ამბოხება მოაწყვეს.

ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი კლაუს ვილჩინსკი თავის სტატიაში „ჩამოვედი ბუდაპეშტიდან“ წერს: „რეაქცია განადგურებულია! ომის გამჩალებლებმა და ყველა ჯურის თეთრგვარდიელებმა დაე იცოდნენ, წავიდა ის დრო, როდესაც მათ 1919 წელს უნგრეთში და 1936 წელს ესპანეთში მუშათა მონაპოვარი სისხლში ჩაახრჩეს.

ახლა კი იმპერიალისტთა ნაძირალებმა თავიანთ დამარცხებაზე ბლავილი მორთეს“.<sup>2</sup>

ამრიგად, როჟე ვაიანის, ვერკორის, კლოდ მორგანის გამოსვლა, რომელიც დამყარებული იყო გაუგებრობაზე, მოვლენების არსის არცოდნაზე, სრულიად არ სცემს მათი შემოქმედების პროგრესულ ხასიათს. საბჭოთა მწერლების პასუხმა თვალი აუხილა მრავალ გზა-აბნეულ ინტელიგენტს ევროპაში და აიძულა ისინი ღრმად ჩაჰკვირვებოდნენ უნგრეთის ამბებს.

როჟე ვაიანის უკანასკნელი რომანები ნათლად მეტყველებენ მწერლის დიდ ბელეტრისტულ ნიჭზე. იგი მომავალში კიდევ მრავალ რომანს შექმნის თანადროულობის თემაზე, რომლებიც გამსჭვალულნი იქნებიან თავისი ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

<sup>1</sup> „Berliner Zeitung“, 23 დეკემბერი, 1956.

<sup>2</sup> იქვე.

## ჟან ლაფიტი

ჟან ლაფიტი სამწერლო ასპარეზს მოეწვინა მეორე მსოფლიო ომის მსუსხიან დღეებში, წერდა თეორიული ხასიათის სტატიებს, ნარკვევებს, ნოველებს.

(მწერალი დაიბადა 1911 წლის იანვარში სამხრეთ საფრანგეთში, გლენის ოჯახში.) გლენის შვილებთან ერთად იზრდებოდა. /ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ეწაფება მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის კითხვას, ეცნობა მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, რაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.) მეორე მსოფლიო ომის მძიმე დღეებში ჟან ლაფიტი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში, დაუღალავად ებრძვის გერმანელ ოკუპანტებსა და ფრანგ გამცემლებს. ლუი არაგონთან ერთად წერს პროკლამაციებს, „ლუმანიტეს“ ფურცლებზე აქვეყნებს მგზნებარე სტატიებს.)

1940 წლის 30 ნოემბერს ჟან ლაფიტი გაიქცევა გერმანელი ფაშისტების ტყვეობიდან, ჩადის პარიზში, უკავშირდება კომუნისტურ ორგანიზაციებს, ავრცელებს არალეგალურ გაზეთებს, პროკლამაციებს. პარიზში, ერთერთ კონსპირაციულ ბინაზე ჟან ლაფიტს ხელმეორედ

აპატიმრებენ და მიჰყავთ მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც იგი მოწმე ხდება იმ მხეცობისა, რომელსაც გერმანელი ფაშისტები ჩადიოდნენ სამხედრო ტყვეების მიმართ.

1947 წელს აქვეყნებს შესანიშნავ ავტობიოგრაფიულ რომანს „ცოცხლები იბრძვიან“,<sup>1</sup> რომელშიც იგი ნიღაბს ჰგლეჯს გერმანელ ფაშისტებსა და ფრანგი ხალხის გამცემლებს—ედუარდ დალადიეს, პოლ რეინოსა და ლეონ ბლიუმს.

რომანის პერსონაჟები არიან: ლორანი (ჟან კატალას ფსევდონიმი), ემილი (არტურ დელიდეს ფსევდონიმი), ან მარი (დანიელ კაზანოვა), ალბერი (ფელიქს კადრა), ჟაკი (ჟაკ დიუკლო), მიარისი (ჰორის ტორეზი) და სხვები.

ნაწარმოების გმირები, როგორც ნამდვილი პატრიოტები, თავგამოდებით იბრძვიან ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, ბევრი მათგანი გმირულად იღუპება უთანასწორო ბრძოლაში.

ავტორი მიზნად არ ისახავს დაგვიხატოს ფრანგი ხალხის ბრძოლის მთელი ისტორია ოკუპაციის წლებში, აქ მხოლოდ აღწერილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის — თავით ჟან ლაფიტის თავგადასავალი. ავტორი ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით დამაჯერებლად აგვიწერს ფრანგი პატრიოტების ბრძოლას გერმანელი ოკუპანტებისა და პეტენის გამცემლური მთავრობის წინააღმდეგ.

<sup>1</sup> Jean Laffitte—„Ceux qui vivent“, Paris, 1947 წ.

ამავე დროს წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული ის უდიდესი, დაძაბული ბრძოლა, რომელიც ჩატარდა კომპარტიის ხელმძღვანელობით გერმანელ დამპყრობლებთან და ფრანგ გამცემლებთან. 1940 წლის ზაფხულში ამხანაგები მორის ტორეზი და ჟაკ დიუკლო მოწოდებით მიმართავენ თანამემამულეებს შექმნან ფრან-ტირერებისა და პარტიზანთა რაზმები. საფრანგეთის კომპარტიამ, რომელიც სათავეში ჩაუდგა ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ბრძოლა გააჩაღა ოკუპანტების წინააღმდეგ. საფრანგეთის მთავარ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში შეიქმნა ფრან-ტირერთა და პარტიზანთა რაზმები, რომლებმაც მრავალი დარტყმა აგემეს დამპყრობლებს.

პოლკოვნიკ ფაბიენის (ბუშა-კომუნისტი პიერ ჟორჟის ფსევდონიმი) გასროლა პირველი სიგნალი იყო ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დაწყებისა, ამ უშიშარმა რეოლუციონერმა ხალხის თვალწინ, პარიზის მეტროს ბაქანზე, ტყვიით განგმირა ერთ-ერთი გერმანელი ჯალათი და მიიმალა. გასროლამ აუწყა ოკუპანტებს, რომ ფრანგი ხალხი და მისი კომუნისტური პარტია ცოცხალია და იბრძვის. გაჩაღდა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ფრანგმა პატრიოტებმა მრავალი ათასი გერმანელი ოკუპანტი გაჟლიტეს. მარტო 1943 წელს მათ რკინიგზებზე 2.000-ზე მეტი ოპერაცია ჩატარეს, ამავე წელს, მარტო ექვსი თვის განმავლობაში, 1.200-ზე მეტი გერმანელი ჯალათი დახოცეს, „ვალმის“ პარტიზანულმა ჯგუფმა, რომელშიც თვით ჟან ლაფიტი შედიოდა, პარიზის ბულვარის

ცენტრში, კინოთეატრ „რექსთან“ ტყვიამფრქვევით 70 გერმანელი დაშპყრობი გაელიტა.

(*ქან ლათიტის რომანში ანაღლეუებლად და სიმართლით აღწერილია ფრანგი ხალხის სწორედ ეს გმირული ბრძოლები. წიგნი მოგვითხრობს თვითონ ლათიტისა და მისი თანამებრძოლების ვაჟკაცურ თავდადებას სამშობლოსათვის. ავტორი აგვიწერს შემადრწუნებელ სურათებს, რომლებიც მან საკუთარი თვალით ნახა მაუტჰაუზენისა და ებენზეეს საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც გერმანელი ფაშისტები ათასობით უდანაშაულო ადამიანს ხვრეტდნენ და კრემატორიუმში წვავდნენ. იგი ნიღაბს ჰგლეჯს ფრანგი ხალხის მტრებს, მოღალატეებსა და გამცემლებს. წიგნი გაელენთილია ხალხის, კომუნიზმის გამარჯვების რწმენით.*)

(*რომანში კარგად არის აგრეთვე ასახული ის გმირული ბრძოლები, რომლებსაც აწარმოებდა წითელი არმია ფრანგი ხალხის განაათავისუფლებლად. ავტორი დიდი სიყვარულის გრძნობით აგვიწერს რუსი მებრძოლების თავდადებას, მათ მიერ ჩატარებულ გმირულ ბრძოლებს. მწერალი მაუტჰაუზენის ბანაკში შეხვდება ერთ რუს კომკავშირელს, რომელმაც ბანაკში გერმანელებისათვის მუშაობაზე უარი განაცხადა. იგი მოხიბლულია ამ ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტით:*

*„ჩემ წინ დგას კომკავშირელი, ნამდვილი რუსი, — ამბობს ლათიტი. — როგორც იყო, მან შერეულ გერმანულ-ესპანურ ენაზე თავისი თავგადასავალი მიაშბო. 1941 წლის 22 ივნისს, როდესაც ჰიტლერი საბჭოთა კავშირს მუხანათურად თავს დაესხა, იგი მესაზღვრე*

ჯარისკაცი იყო. მისი ამხანაგები ბრძოლებში დაიხოცნენ, თვითონ დაიჭრა და გრძნობადაკარგული მკვდრად ჩათვალეს, აი ასეთ პირობებში ჩავარდა ტყვედ. საკონცენტრაციო ბანაკში დაგვიანებით გაგზავნეს; როდესაც უბრძანეს ემუშავა, უარი განაცხადა სამშობლოს მტრების სასარგებლოდ მუშაობაზე. კომკავშირელის დედა ომის პირველ დღეებშივე დაიღუპა, მისი და პარტიზანულ რაზმში იბრძოდა, მამა კი ჯარისკაცი იყო და ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებოდა.

— კარგად ვიცი, — განაგრძობს მწერალი, — ჩვენ იმ ხალხის სიმამაცეს უნდა ვუმადლოდეთ, რომლის რიგებში ეს ახალგაზრდა ომის პირველ დღეებში იბრძოდა. ვიცი, რითა ვართ დავალებული მისი ქვეყნის წინაშე, საბჭოთა ჯარების წინაშე, რომლებიც უკრაინაში მარტში შეტევაზე გადავიდნენ და განდევნეს მტერი თავიანთი წმინდათა წმინდა მიწიდან, დნეპრის იქით გადაარეკეს. ვიცი, რომ საბჭოთა ტერიტორია თითქმის მთლიანად გაწმინდეს მტრისაგან. მე ეს ყველაფერი ვიცი და ბლფროთოვანებული ძმურად ვუწვდი ხელს ჩემს ახალგაზრდა, თავმდაბალ, მშვიდ ამხანაგს და რუსულად ვეუბნები:

— ცოცხლები იბრძვიან!“

კითხულობთ რომანს და გრძნობთ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მარგანიზებულ, ხელმძღვანელ ძალას. რომელსაც ფრანგი ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს: რომანის გმირი ჟაკი (ჟაკ დიუკლო) ერთ-ერთ კონსპირაციულ ბინაზე კლებერსა და ლაფიტს აძლევს დიდი მნიშვნელობის მითითებას:

„—მაშ ასე, ყველაფერი გასაგებია. საჭიროა ბრძოლის გაძლიერება ოკუპანტებისა და ვიშის გამცემლების წინააღმდეგ. ჩვენ უკვე ჩავენით ბრძოლაში, ბოლომდე ვიბრძოლებთ... არსებითად მტრების განზრახვა ჩვენთვის გასაგებია. მათ ჩვენი ორგანიზაციის ფიზიკურად მოსპობა უნდათ... უნდა ვიცოდეთ, რომ იმათ რიგებშიც, ვინც გერმანელებს ებრძვის, არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენს განადგურებას შეეცდებიან მას შემდეგ, რაც ჩვენი ბრძოლის ნაყოფით ისარგებლებენ... ამიტომ საჭიროა თვალისჩინივით გაეუფრთხილდეთ პარტიას. თუ ისინი ჩვენს დაპატიმრებას მოახერხებენ, არ უნდა დაველოდოთ ჩვენს მოსპობას, არამედ ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ, რომ ხელში არ ჩავუვარდეთ. პარტიის რიგითი წევრები ჯგუფებად უნდა დავყოთ, თვითეული ჯგუფი ხელმძღვანელიანად სამი კაცი-საგან უნდა შედგებოდეს...

გამოთხოვებისას კიდევ რამდენიმე რჩევა მოგვცა კონსპირაციის საკითხებზე. როგორც მამა თავის შვილებს, ისე გვარიგებდა. ჟაკი ფეხზე ადგა, ცტუობოდა, ღელავდა, შემდეგ გადაგეხვია და გადაგვკოცნა.

— როგორც კი მოვაწესრიგებთ საქმეებს, ერთმანეთს ვინახულებთ.— გვითხრა გამოთხოვებისას.

როდესაც წავიდა, იმ წუთშივე უჩვეულო ძალა ვიგრძენი“.

იმ დღიდან, როცა გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა, საფრანგეთის კომპარტია ცვლის ბრძოლის ტაქტიკას. ფრანგი პატრიოტები საბოტაჟიდან აშკარა ბრძოლაზე გადადიან. კონსპირაციულ ბინაზე იკრიბე-



ბიან პარტიის სამდივნოს წევრები. პარტიის სახელით  
ლაპარაკობს ალბერტი.)

— დიახ, მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. ახლა მდგო-  
მარეობა ასეთია: (ქამდე საბოტაჟსა და ანტიგერმანულ  
პროპაგანდას ვეწეოდით. ახლა კი მეთი უნდა გავაკე-  
თოთ. საჭიროა შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლა.  
გერმანელები საუკეთესო დივიზიებს აღმოსავლეთის  
ფრონტზე გაგზავნიან და საფრანგეთში საგრძნობლად  
შეამცილებენ საოკუპაციო ჯარების რაოდენობას. მაშა-  
სადამე, დროა გერმანელებს სამკვდრო-სასიცოცხლო  
ბრძოლა გამოვუცხადოთ, ის, რაც ამ ერთი კვირის წი-  
ნათ უგუნურებად გვეჩვენებოდა, ახლა სინამდვილედ  
გადაიქცა. გადავჭრათ ტელეფონის მავთულები, გავაფუ-  
ჭოთ მანქანები. ქარხნებში საბოტაჟის გაწევა არ კმარა,  
საჭიროა უყოყმანოდ ყველაფრის მოსპობა, რის გამო-  
ყენებაც მტერს შეუძლია. ავაფეთქოთ ხიდები, მატარებ-  
ლები ლიანდაგიდან გადავავლოთ, დაწვვათ ქარხნები,  
გავწლიტოთ გერმანელები. უნდა მივალწიოთ იმას, რომ  
გერმანელმა პარიზში მარტო გავლა, საფრანგეთის  
გზებზე გასეირნება ვერ გაბედოს.

(წიგნში კარგად—არის გახსნილი გენერალ დე გო-  
ლის, როგორც ამერიკა-ინგლისის ჯაშუშის, გამცემლუ-  
რი საქმიანობა. დე გოლი ლონდონიდან ფრანგ ხალხს  
ასეთ დანაშაულებრივ მითითებას აძლევდა: „ფრანგებო,  
დამშვიდდით, იქონიეთ მოთმინება, დადგება დღე და  
ჩვენც გაგათავისუფლებთ“. ეს იყო აშკარა მავნებლური  
მითითება, რომელიც მიზნად ისახავდა მტრის წინაშე  
კაპიტულაციას. ფრანგი ხალხი არ უსმენდა გამცემლებს.

მას ბრძოლა არ შეუწყვეტია, იგი ათიათასობით გერმანელ ოკუპანტს ჯლეტდა.

ქან ლაფიტინამდელი მებრძოლია, მას ვერ აშინებს ციხე, საკონცენტრაციო ბანაკი, მუქარა, დაკითხვაზე მაგრად უჭირავს თავი. გესტაპოს ერთ-ერთი ოფიცერი ეკითხება:

— რამ გამოიწვია თქვენი შესვლა კომუნისტურ პარტიაში?

— სამშობლოსადმი სიყვარულმა.— უბასუხებს იგი.

ავტორი დამაჯერებლად აგვიწერს იმ მომენტსაც, თუ როგორ წარმოებდა საკონცენტრაციო ბანაკებში პროპაგანდა მესამე მსოფლიო ომისათვის. რომანის ფინალში რამდენიმე შტრიხით არის მოთხრობილი ამერიკელების მოსვლა საკონცენტრაციო ბანაკში. აქ მხილებულია ამერიკელთა ვერაგობა. იმის ნაცვლად, რომ სახალხო მებრძოლებს დახმარებოდნენ ოკუპანტებთან ბრძოლაში, მათ ზიზღით ეპყრობოდნენ, ყოველნაირად ხელს უშლიდნენ, აბრკოლებდნენ. პოლკოვნიკი ფაბიენი ამერიკელებისაგან ძლივს იღებს ნებართვას ოკუპანტებთან ბრძოლის დაწყებისათვის. ფაბიენის შენაერთს ამერიკელებთან ერთად უნდა ემოქმედა, მაგრამ ამერიკელებმა საომარი მასალა არ მისცეს. მაშინ ფაბიენი იძულებული გახდა დახმარება ფრანგი მუშებისათვის ეთხოვა.

ქან ლაფიტის წიგნის მნიშვნელობა ის არის, რომ მან სიმატლით აღწერა ფრანგი პატრიოტების ბრძოლები გერმანელი ოკუპანტებისა და საკუთარი გამცემლების წინააღმდეგ. მწერალმა გამოამჟღავნა ბურჟუაზი-

ული პრესის სიყალბე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

1951 წელს მოსკოვში ფრანგულ ენაზე გამოდის ჟან ლათიტის შესანიშნავი რომანი: „დავბრუნდებით ენძელას მოსაწყვეტად“.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის ბურჟუაზიამ ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტების დახმარებით მიზნად დაისახა სახელი გაეტეხა კომუნისტებისათვის. საფრანგეთის რეაქციულმა მთავრობამ დე გოლს მიაწერა ის გმირული საქმეები, რომლებიც ომის დროს ფრან-ტირერებმა და ფრანგმა პარტიზანებმა ჩაიდინეს.

ამ მიზნით, 1947 წელს ყოველკვირეული ბურჟუაზიული გაზეთი „კარეფური“ თავის ფურცლებზე ათავსებს დე გოლის თანამოაზრის, პოლკოვნიკ რემის სტატიას, რომელშიც ავტორი წერს, თითქოს 1942 წლის ზაფხულში სენტ-ასიზში რადიოსადგური გენერალ დე გოლის შტაბის ოფიცრების გეგმის მიხედვით იყო აფეთქებული. პოლკოვნიკი რემი მიზნად ისახავდა შეცდომაში შეყვანა საზოგადოებრივი აზრი.

საჭირო იყო სიყალბის მზის სინათლეზე გამოტანა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა კომუნისტმა მწერალმა ჟან ლათიტმა. იგი მრავალ დამამტკიცებელ საბუთზე დაყრდნობით ამჟღავნებს საფრანგეთის ბურჟუაზიის ხრიკებს, სააშკარაოზე გამოაქვს შეთხზული ზღაპარი.

1942 წლის ზაფხულში, სენტ-ასიზში მართლაც აფეთქეს მძლავრი რადიოსადგური, მაგრამ არა დე გოლელეებმა, რასაც პოლკოვნიკი რემი ამტკიცებს, არამედ

„ვალმის“<sup>1</sup> ჯგუფის პარტიზანებმა რეიზონის ხელმძღვანელობით. დე გოლის შტაბს ამ რადიოსადგურთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. მწერალი ამრკვიცებს: დე გოლი, რომელიც მაშინ საფრანგეთის მთავრობას ედგა სათავეში, ყოველ ზომას იღებდა იმისათვის, რომ დახმარებოდა ინგლის-ამერიკის დაზვერვას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაეშალა. დე გოლი და მისი თანამოაზრეები გესტაპოსა და ვიშის პოლიციასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ახლახან საფრანგეთში აღმოჩნდა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ დე გოლელებმა მრავალი პატრიოტი გაყიდეს. დე გოლი იბრძოდა არა საფრანგეთის განთავისუფლებისათვის, არამედ „200 ოჯახის“ კეთილდღეობისათვის.

როგორც ცნობილია, თვით ჟან ლაფიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილეა, იგი ოკუპაციის წლებში კომპარტიის არალეგალურ ცენტრთან ერთად პარტიზანთა ერთ-ერთ რაზმს ხელმძღვანელობდა. მწერალი პირადად იცნობდა „ვალმის“ ჯგუფის ბევრ პარტიზანს, ყველაზე უშიშარ ფრანტიერებისა და ფრანგ პარტიზანთა რაზმებს. სიტყვა „ვალმი“ თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის ბრძოლის სიმბოლო გახდა. ეს სიტყვა ყველგან ეღერდა როგორც საბრძოლო მოწოდება. ოკუპაციის სუსხიან დღეებში კომუნისტი მწერალი ლუი არაგონი წერდა ვალმის გამო: „ერთი საათილა დარჩა გათენებამდე ვალმში,

---

<sup>1</sup> ვალმი—სოფელი მარნის დეპარტამენტში, სადაც 1792 წ. საფრანგეთის ჯარებმა დაამარცხეს პრუსიელები.

ვისაც სძინავს, გაიღვიძეთ, ვინც იბრძვით, ნუ შედრკებით“.

რომანის გმირები არიან რეიმონი, ანდრე, მიშელი, ჟეჟენი და სხვები—ნამდვილი, მებრძოლი კომუნისტების ტიპური წარმომადგენლები. ისინი მთელი ფრანგი პატრიოტების განსახიერებას წარმოადგენენ. რომანის ცენტრალური პერსონაჟია „ვალმის“ პარტიზანთა ჯგუფის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი რეიმონი. ამ უშიშარი მებრძოლისათვის არ არსებობს სიძინელები, უნარი შესწევს ხალხს გამარჯვების რწმენა ჩაუნერგოს. რეიმონმა შეასრულა ვალდებულება სამშობლოს წინაშე, მისი ხელმძღვანელობით „ვალმის“ პარტიზანებმა სენტ-ასიზში ააფეთქეს გერმანელების მძლავრი რადიოსადგური, იმის მიუხედავად, რომ მას ძლიერი დაცვა ჰყავდა. რეიმონი შეიპყრეს. დაკითხვის დროს მას მტკიცედ ეპირა თავი, ვერაფრითარმა ძალამ ვერ გატეხა მისი ნებისყოფა. იგი იყო და დარჩა უდრეკი რევოლუციონერი. გერმანელი ოფიცერი აწარმოებდა რეიმონის დაკითხვას:

— ამ კაცს იცნობთ? — ოფიცერმა წინ დაუდო პატარა ფოტოსურათი.

ეს იყო ფოტოსურათი ახალგაზრდა, ჩასუქებული კაცისა, რომელსაც თმა შუბლამდე ჩამოშლოდა.

რასაკვირველია, იცნობდა, მაგრამ კატეგორიულად და უყოყმანოდ უპასუხა:

— არა, არ ვიცნობ.

— დაბეჯითებით ამბობთ?

— სრულიად დაბეჯითებით!

— ვნახოთ, ამაოდ უპარყოფთ, ეს კაცი ბრეტონია. ჩვენ იგი დავაპატიმრეთ.

— ამაზე არაფერი მსმენია.

— ტყუილს ამბობთ. ვიცი, რომ იცნობთ. თქვენ მხოლოდ ის გვითხარით, სად შეხვდით, უკანასკნელად ვისთან იყო. ხომ იცით, ეს უბრალო ამბავია.

— კიდევ ვიმეორებ, რომ მას არ ვიცნობ.

— კარგი, დაფიქრდით, ჩვენ დრო გვაქვს. სანამ ამ კითხვაზე არ მიპასუხებთ, წყალს ვერ დალევთ!

— არა მწყურია.

— მოგწყურდებათ... <sup>1</sup>

შემდეგ რეიმონს მართლაც მოსწყურდა; უწყლოდ სული ეხუთება, აუცილებლად უნდა დალიოს, ვერ ითმენს, თვალწინ წყლით სავსე ჭიქა რომ უდგას.

მწერალი ქმნის იატაკქვეშ მომუშავეთა დაუფიწყარ სახეებს. მისი რომანის მეგრძოლი გმირები დარწმუნებული არიან საქართველოს სსრ-ის გამარჯვებაში, თუმცა მრავალი დაბრკოლება და წინააღმდეგობა ელოდებათ წინ.

ჯან ლაფიტის პროზის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ფაქტებისა და მოვლენების ზუსტი გადმოცემა. მისი მოთხრობების სიუჟეტი თანმიმდევრულად ვითარდება და ლოგიკურია, ფრაზა—ლაკონიური. ჯან ლაფიტი დიალოგის ოსტატია, საუცხოოდ გადმოსცემს თავისი გმირების განცდებს, კარგად ფლობს იუმორს, პარიზის მუშების სალაპარაკო ენას.

---

<sup>1</sup> Jean Laffitte—“Nous retournerons cucillir les Jouquilles”, Moscou. 1951 წ.

მწერალი აქ გვიხატავს არა მარტო პარტიზანთა ბრძოლებს, არამედ აგვიწერს რეიმონისა და მიშელის ოჯახსაც, მოცემულია მათი ხასიათების თავისებურებანი, სიყვარულის ძალა, მეგობრობის სიღრმე, ბავშვების სიყვარული. კომუნისტებს უყვართ ცხოვრება, ამიტომაც ასე თავგამოდებით იბრძვიან ხალხის თავისუფლებისათვის, მათი პირადი ბედნიერება ხალხის ბედნიერებისაგან განუყოფელია. მიშელი და ჟეჟენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლას შესწირავენ თავს.

რომანი მთავრდება სიმბოლური სურათით: რეიმონის ქალიშვილი როზ-მარი ყვავილებით დგას იმ ადგილას, სადაც რამდენიმე ხნის წინათ ავტომატით ხელში დადიოდა გერმანელი ჯარისკაცი. რეიმონი თავის ცოლს საკონცენტრაციო ბანაკიდან სწერდა: „დავბრუნდებით ენძელას მოსაწყვეტად“. აქედან მიიღო რომანმა ასეთი სახელწოდება.

ნაწარმოებში ზოგჯერ პარტიზანთა სახეები სქემატურად არის დახატული, მაგრამ ეს მაინც ვერ ამცირებს მის ღირსებას... ჟან ლაფიტი ახალგაზრდა პროზაიკოსია, იგი მალე დაეუფლება ამ ოსტატობასაც. მთავარი ის არის, რომ მის სახეებში ცხოვრების სიყვარული, ოპტიმიზმი იგრძნობა. კითხულობთ რომანს და ბრძოლის სურვილით ინთებით.

„მინდა დავწერო რომანი ქალების მონაწილეობაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. სახელდობრ იმაზე, თუ როგორი დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქალებმა მშობლიური მიწის განთავისუფლების საქმეში არა როგორც თანაშემწეებმა, არამედ აქტიურ-

მა მონაწილეებმა“,—ასე განაცხადა ჟან ლათიტიმა გაზეთ „ლეტრფრანსეზის“ თანამშრომლებთან საუბარში.

ასეთი რომანი იყო „როზ ფრანსი“, რომელიც 1950 წელს გამოვიდა პარიზში. მასში აღწერილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის ეტაპი, როდესაც საფრანგეთის კომპარტიამ შექმნა და განამტკიცა პარტიული იატაკქვეშეთის ფართო ქსელი და მოძრაობაში ოკუპანტების წინააღმდეგ ჩააბა ყველა პატიოსანი ადამიანი.

ფრანგი კომუნისტები ამხანაგ მორის ტორეზის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ იმ მომენტში, როდესაც საფრანგეთში ჯერ კიდევ ფაშიზმის საშიშროება არ იგრძნობოდა. 1934 წელს შეიქმნა სახალხო ფრონტი, ფაშისტური გადატრიალების საშიშროება თავიდან იქნა აშორებული. 1936 წელს ფრანგმა კომუნისტებმა ნილაბი ახადეს ომის განჩალებელ აგრესორებს—იტალია-გერმანიის ფაშისტებს, რომლებიც დახმარებან უწყვედნენ ფრანკოს აშბოხებას რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ. 1938 წელს საფრანგეთის კომპარტიამ გაბედულად ამხილა ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების გამცემლური საქმიანობა, მიუხეხენის შეთანხმებას ხელი რომ მოაწერეს და ჩეხოსლოვაკია ბანდიტ ჰიტლერს რომ ჩაუგდეს ხელში. ერთი წლის შემდეგ დაიწყო მეორე იმპერიალისტური ომი. ფრანგმა კომუნისტებმა ერთხელ კიდევ სააშკარაოზე გამოიტანეს საფრანგეთის მოავრობის გამცემლური პოლიტიკა, მტრის შემოტევის წინააღმდეგ არავითარ ზომებს რომ არ იღებდა. როდესაც ჰიტლერის ფაშის-



ტური ჯარები პარიზს მიადგნენ, კომუნისტებმა მთავრობას წინადადება მისცეს შეეიარაღებინა ხალხი და პარიზი მიუვალ-ციხე-სიმაგრედ გადაექცია. მაგრამ საფრანგეთის ვაიმმართველებმა კაპიტულაცია ამჯობინეს, გაყიდეს ფრანგი ხალხი და ჰიტლერთან ბლოკი შეკრეს. ამის მიუხედავად, კომუნისტებს იარაღი არ დაუყრიათ, მათ გაბედულად განაგრძეს ბრძოლა დამპყრობლებისა და ფრანგი გამცემლების წინააღმდეგ. ამხანაგი მორის ტორეზი წერდა: „იმ დროს, როცა ვერსალელთა ტრადიციების მიმდევარი ბურჟუაზიული პოლიტიკანები დამარცხებით თავს ლაფს ისხამდნენ და დიქტატორის წინაშე იყვნენ განრთხმულნი, კომუნართა შემკვიდრებმა საჯაროდ გამოაცხადეს თავიანთი ურყევი რწმენა საფრანგეთის ბედისა და დემოკრატიის გაპარჯებისადმი“.<sup>1</sup>

რომანის მთავარი პერსონაჟია ახალგაზრდა მასწავლებელი გოგონა მარია ვერნონი, რომლის პარტიული მეტსახელია „როზ ფრანსი“ (საფრანგეთის ვარდი). როზ ფრანსი სამშობლოს გულისათვის თავს ანებებს მასწავლებლობას და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ებმება. იგი თავისი ამხანაგებისაგან, მუშებისაგან სწავლობს პარტიისადმი ერთგულებას, ბრძოლის მეთოდებს, გაიფლის მძიმე ბრძოლებს და შესანიშნავი ორგანიზატორი გახდება. როზ ფრანსი თვითონ მონაწილეობს გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ შიშართულ სახიფათო ბრძოლებში. პარტია პასუხსაგებ და-

---

<sup>1</sup> მორის ტორეზი—„ხალხის შვილი“, სახელგამი, 1952 წ., გვ. 151-152.

ვალეებს აძლევს. როზ ფრანსის ბრძოლებს ხელმძღვანელობს გამოცდილი პარტიული მუშაკი მარსო, ეხმარება სხვადასხვა პოლიტიკური საკითხის გარკვევაში. თუმცა როზ ფრანსს ყოველ წუთში დაპატიმრება, ტანჯვა, სიკვდილი მოელის, იგი მაინც მიიღტვის ბრძოლისაკენ ცხოვრების სიყვარულის გულისათვის; მისი აზრით, ცხოვრება ყოველთვის კარგია, როდესაც მას ფეხდაფეხ მიჰყვები.

როზ ფრანსის იდეალია ხალხისადმი სიყვარული, კომუნიზმისაკენ ლტოლვა. მას პარტიამ დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა, მთელი რაიონის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ჩააბარა. როზ ფრანსმა პირველად შექმნა საგარეუბნო ჯგუფი, რომელშიც ოთხი კაცი შედიოდა. შემდეგ მარსოს რჩევით ეს ჯგუფი გარდაქმნა სექციად, რომელიც ოთხი უჯრედისაგან შედგებოდა.

როზ ფრანსთან ერთად იბრძვის მისი მეუღლე ბერნარ კალმა, ფილოსოფიის მასწავლებელი, რომელიც პარტიის მნიშვნელოვან დავალებას ასრულებს.

ბერნერ კალმა სამშობლოს განთავისუფლების ინტერესებისათვის საკუთარ სიცოცხლესაც არ ზოგავს, იგი ნამდვილი პატრიოტია, ვაჟკაცურად უსწორდება ჯალათებს, აკრავს პლაკატებს. ხელმძღვანელობს საენხედრო ორგანიზაციებს, ფუშავს ოკუპანტების მიერ დაპყრობილი საწარმოების ამუშავების გეგმებს.

გზიბლაფთ როზ ფრანსი და მისი თანამებრძოლები ლერუ, ბერნარი, ჟერარი, სოლნეი; მათი ვაჟკაცობა აღაფრთოვანებს ათასობით პატრიოტს.

რომანში ეკითხულობთ:

„— შარპანტიეს დაპატიმრების შემდეგ როზ ფრანსი ორგანიზაციულ საკითხებშია პასუხისმგებელი,—თქვა მარსომ.—როზ ფრანსი არის პარტიის ახალგაზრდა წევრი, თავდადებული, ნიჭიერი მუშაკი. მან მუშაობაში თავი გამოიჩინა, გაიზარდა, პროპაგანდის განყოფილებას ხელმძღვანელობს. როზი ყველასთან არის დაკავშირებული, მონაწილეობდა საწხედრო ოპერაციებშიც. როზის მამამ დაგვითმო სახლი, სადაც ვბეჭდავთ გაზეთს და სადაც მე ჩვეულებრივად ვიმალები.

— როზი 21 წლისაა, პროფესიით მასწავლებელია,— დაუმატა მერლენმა.—მისი ნამდვილი სახელი და გვარია მარი ვერნონი. მამამისი მუსიკოსია, ყოფილი სოციალისტი. როზ ფრანსი პარტიაში 1939 წლიდან ირიცხება, ომის დაწყებიდან მუშაობს შეუცვლელად. მან უყოყმანოდ, პარტიის პირველი. მოთხოვნებისთანავე მასწავლებლობას თავი დაანება და არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა, პარტიისგან ფულად დახმარებაზე უარი თქვა, რადგან დედისგან დატოვებული ცოტაოდენი ქონება ჰქონდა“.

მკითხველის სიყვარულს იმსახურებენ რომანის სხვა პერსონაჟებიც, უბრალო ფრანგი ადამიანები. ასეთები არიან: დოკერი ლერუ, მუშა ტოტო, ახალგაზრდა კომუნისტები—და-ძმანი დიუსელიე, მეჩქმე ბრიუნეტონი, გლეხი საბურო. მამაცი ფრანგი ქალები, მუშების ცოლები.

ფაშისტები ბერნარს ხელში ჩაიგდებენ. იგი ციხიდან თავის ცოლს როზ ფრანსს პატრიოტულ წერილს სწერს: „მშვიდობით, ამხანაგებო, ჩემო მუშა-ძმებო, ცხოვრება

იქნება წ-რმტაცი, ველარ იბოგინებს სიძულვილი, სილატაკე, ადამიანთა უფლებები წმინდა გახდება! მხოლოდ საკიროა ამ მიზნებისათვის ბრძოლა, გამარჯვების გულსათვის უნდა ვიბრძოლოთ შეუდრეკლად. თავდადება უნდა ვიცოდეთ იმათი მაგალითის მიხედვით, ვინც გამარჯვებას შესწირა თავი“.

ეს კეთილშობილი სტრიქონები გაჟღენთილია პატრიოტული სულისკვეთებით. ისინი როდია მწერლის მიერ გამოგონილი, არამედ ნამდვილი ფაქტია, შთაგონებული იმ წერილით, რომელიც მუშა ლაკაზეტმა სიკვდილის წინ დაწერა.

ასეთი ნამდვილი დოკუმენტების გამოყენება ლიტერატურაში ერთხელ კიდევ ადასტურებს რომანის გმირების სიმართლეს.

როზ ფრანსი თავისი ქმრის, ბერნარ კალმას სიკვდილით დიდად არის შეწუხებული, მაგრამ მხარდაჭერას, გამხნევებას პარტიაში პოულობს. იმის შეგნება, რომ ბერნარი ბრძოლაში დაიღუპა, როზს სამაგიეროს გადახდის ენერგიას მატებს, ცხოვრების სტიმულს აძლევს. ბერნარ კალმას შეცვლის როლან დიუპრე.

მწერალი გვიხატავს უარყოფით პერსონაჟებსაც. ასეთები არიან მარსელ ჟირუ და ბერტონები. მარსელ ჟირუმ გასცა ბრიუნეტონი, კადიე, ანტონენი, ლერუ, ბერნარ კალმა. ავტორი კომუნისტებს უპირისპირებს შეშინებულ მეშჩანებს და გვიჩვენებს, რომ ოკუპირებულ საფრანგეთში ლაჩარი გამცემლები ჟირუ და ბერტონები უმრავლესობას არ წარმოადგენენ. მწერალი აგვიწერს თავისი გმირების იდეურ ზრდას, თუ როგორ მატუ-

ლობს ყოველდღიურად მშვიდობის მეტროპოლიტა რიგები. კომპარტია თავისი გმირული ბრძოლით მასებში დიდ სიყვარულს იმსახურებს. მთელი რომანის მანძილზე ვამზნევთ, რომ კომუნისტების გავლენა ხალხში დღითიდღე იზრდება, იზრდება მეტროპოლიტა რიგები, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა. დენიზ ლერუ ქმრის დაპატიმრების შემდეგ თვითონ იჭერს მის ადგილს პარტიულ მუშაობაში, პოლეთ ბრიუნეტონი პარტიის აქტიური წევრი ხდება, პატიოსანი, უბრალო ადამიანები — სკოლის დირექტორი რიშარი და მოხუცი ერნესტ ვერნონი პარტიზანულ მოძრაობაში ებმებიან.

მწერალი აგრეთვე გვიხატავს ფრანგ ახალგაზრდებს, როკლებიც იბრძვიან და მშვიდობიან ცხოვრებაზე ოცნებობენ.

1956 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა“ გერმანულ ენაზე გამოსცა „როზ ფრანსი“. გამოცემის წინასიტყვაობაში რედაქცია მაღალ შეფასებას აძლევს ნაწარმოებს: რომანში მოთხრობილია ფრანგი პატრიოტი გოგონას ბედ-იღბალი, — წერს რედაქცია, — მკითხველი თვითეულ სტრიქონში გრძნობს ოკუპაციის წლებს, მისი გმირი მკითხველისათვის დაუფიწყარია. ეს არის თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში ღირსშესანიშნავი რომანი ქალების თემაზე“.

ამავე დროს მწერალმა შეძლო ეჩვენებინა ის დიდი როლი, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირულმა არმიამ შეასრულა ფაშიზმის განადგურებაში და კერძოდ ფრანგი ხალხის განთავისუფლებაში.

„როზ ფრანსი“ მოგვიტხოვს საფრანგეთის უბრალო ადამიანების მამაცობასა და კეთილშობილ სიყვარულს. იგი გაგლენთილია ადამიანის ბედნიერი მომავლის რწმენით.

ახალი რომანი „მეთაური მარსო“ 1953 წელს გამოვიდა პარიზში. იგი წარმოადგენს „როზ ფრანსის“ გაგრძელებას. ამ ნაწარმოებში ვხვდებით პირველი წიგნის გმირებს და ვგებულობთ მათ შეძღვომ ბედს. ისე როგორც წინა რომანში, აქაც ავტორი მოგვიტხოვს ფრანგი ხალხის იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც იგი მეორე მსოფლიო ომის მძიმე დღეებში გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ აწარმოებდა. მწერალი აქსხვრევს ლეგენდას, თითქოს საფრანგეთის „მხსნელები“ ინგლის-ამერიკის ჯარები იყვნენ და გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის განთავისუფლება ჰიტლერის ჩაგვრისაგან შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხალხისა და ფრანგი პატრიოტების გმირული ბრძოლების შედეგად.

რომანი „მეთაური მარსო“ მიძღვნილია მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი პერიოდისადმი! ეს არის დრო, როდესაც ნორმანდიაში გადმოსადნენ ინგლის-ამერიკის ჯარები, მაგრამ საფრანგეთის მნიშვნელოვანი ტერიტორია ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული. მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმამ პარტიზანთა შორის დიდი ენთუზიაზმი განიოწვია. ფრანგი ხალხი იმედს გამოთქვამდა, რომ სამშობლო მალე განთავისუფლდებოდა, მაგრამ მათ სანხედრო ოპერაციები ნელა განავითარეს და ფრანგი ხალხის იმედები არ გაამართლეს. სამაგიეროდ, საბჭოთა ჯარების წარმატებებმა გაამხნევეს ფრან-

გი ხალხი ახალი ბრძოლებისათვის. პარტიზანები ოკუპანტებს დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდნენ. „ჩვენი დანაშაული არ არის,—აცხადებდნენ ისინი,—რომ ნორმანდიაში ასე ნელა ვითარდება სამხედრო ოპერაციები. ჩვენ ვაკეთებდით და მომავალშიც გავაკეთებთ ყველაფერს, რომ დავაუძლუროთ მტრის ტრანსპორტი, დავასუსტოთ მისი ძალა და ხელი შევუშალოთ ნორმანდიის ფრონტზე მაშველი ძალების მოსვლას“.

აი, ფრან-ტირერებისა და ფრანგი პარტიზანების ამ თავდადებულ ბრძოლებს მოგვითხრობს ჟან ლაფიტის რომანი „მეთაური მარსო“. ნწერალი გვიხატავს სახალხო შურისმაძიებელთა ნათელ სახეებს, რომლებიც საფრანგეთის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. მათს პირველ რიგებში ვხედავთ კომუნისტებს, ფრანგი ხალხის საუკეთესო შვილებს, რომლებმაც სამშობლოსადმი სიყვარული საქმით დაამტკიცეს.

რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს დიდი ფრანგი მწერლის, ვიქტორ ჰიუგოს შესანიშნავი სიტყვები: „ოჰ, ფრანტირერებო, წინ! გადაცურეთ ზვირთები, შეეხამეთ გარემოს, ისარგებლეთ ჩრდილითა და ბინდით, იცოცეთ ხრამებში, ისრიალეთ, აძვერით ზევით, დაუმიზნეთ, ისროლეთ, მოსპეთ მტერი, გცირულად დაიცავით საფრანგეთი“.

რომანი იწყება სოფლის ლანდშაფტის აღწერით. მშვენიერი დილაა. მზის პირველი სხივები დედამიწაზე ეშვება. გლეხი როჟე ბერო სასხურით დადის თავის ვენახში და სულფატით წამლავს ვაზს. ამ დროს მასთან მიდის მეზობელი და ეუბნება, დღეს ოთხ საათზე მო-

კავშირებმა გადმოსხეს დესანტიო. როგე აზაზბაეს დიდ ხანს ელოდებოდა. იგი 1940 წელს გერმანელ ფაშისტებს-ტყვედ ჩაუვარდა, ორი დღის შემდეგ გაიქცა და დაბრუნდა თავის სოფელში ცოლ-შვილთან. არმიაში 11 თვის ყოფნისას ერთხელაც არ უსროლიათ. მასთან მიდის თანამემამულე დურგალი და ეუბნება: „მე მუშა ვარ, შენ კი გლეხი, მაგრამ ჩვენ ძმები ვართ. მხოლოდ ის არის დაინტერესებული ჩვენს დაშორებაში, ვინც ჩვენი შრომის ნაყოფით ცხოვრობს“.

როგე უახლოვდება კომუნისტებს და თანდათან იმ დასკვნამდე მიდის, რომ საჭიროა მშობლიური მიწიდან უცხო ჯარისკაცების განდევნა. იგი თვითონ ებმება ბრძოლაში, თავის სახლს გადააქცევს სატრანზიტო პუნქტად, დამალავს ორ ესპანელ პარტიზანს.—რამიერსა და გარსიას.

რომანში გამოყვანილია აგრეთვე გლეხი ლუსტო, რომელიც წინათ კომუნისტებს ებრძოდა. ომის დროს იმედს ამყარებდა ინგლისელებსა და დე გოლზე, მაგრამ იგი გარდაიქმნება, ახლა მასზე დადებით გავლენას ახდენს კომუნისტური პროპაგანდა. ლუსტო შიატოვებს თავის სახლ-კარს და პარტიზანებთან მიდის, იქ იგი ბევრ საგმირო საქმეს ჩაიდენს. პირველ იანვარს ბერჟერაკში ააფეთქებს საორთქლმავლო დეპოს, მალაზიაში თავს დაესხმის ერთ-ერთ მდიდარ ვაჭარს, წაართმევს 20 წყვილ ფეხსაცმელს და თავისი რაზმის პარტიზანებს დაურიგებს. ლუსტოს მაგალითს მიჰყვებიან ჟოზეფ პეიროლი, (ბეროს პოლკელი ამხანაგი), ჟოზეფის ძმა პოლი, პორვალი, 58 წლის პიკმალი და ბევრი სხვა...



ეს იყო 1944 წლის თებერვალში, როდესაც საფრანგეთი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო გერმანელი ფაშისტების ოკუპაციისაგან. გაჩაღდა ბრძოლა: რომანში ვკითხულობთ: „...ყურადღება, ამხანაგებო! მოკავშირეების გადმოსხმამ და რუსების გამარჯვებამ უფრო გააძლიერა „მაკში“ მოხალისეების მოზღვაება. დღეს ჩვენს ავანპოსტებზე განუწყვეტლივ მოდიან ახალი ადამიანები თხოვნით—ჩარიცხონ ათასეულში. იარაღის ნაკლებობის გამო შევძელით მხოლოდ ნაწილის მიღება. მებრძოლები, რომლებიც ახლა მოვიყვანეთ, ადგილობრივი მცხოვრებლები არიან“.

ამოიკითხავენ სიას და გამოდის 58 წლის გლეხი პიკმალი, რომელიც მოვიდა, რომ შური იძიოს შვილის გულისათვის, იგი მოხვდება კაპიტან პორვალის ასეულში. რაზმის უფროსად დანიშნეს ჟაკიე. პორვალმა მიატოვა დე გოლის „საიდუმლო არმია“ და პარტიზანებს შეუერთდა.

რომანში ინგლისელების წარმომადგენლად გამოყვანილია ჩარლი. მას არ სურს პარტიზანებმა გაიმარჯვონ. რასპინიაკი წუხს, რომ კომუნისტებმა ხელში არ ჩაიგდონ ხელისუფლება. „ნუ გეშინიათ,—ამშვიდებს ჩარლი,—ჩერჩილი, ისე როგორც თქვენი დე გოლი,—კომუნისტებს საშუალებას არ მისცემს საფრანგეთში ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში“.

ბატონი რიშარი წვრილი მესაკუთრეა, მაგრამ თავისი ხასიათით საუკეთესო ადამიანი, მასზე გაკლენას ახდენს თავისი ცოლი. რიშარი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ემხრობა, იგი ნებას დართავს პარტიზანებს მის ბინაზე მოაწყონ არალეგალური სტამბა.

ყურადღებას იქცევს რომანის გმირი როლანი. იგი იყო მუშა, ხდება ფრან-ტირერი, შემდეგ კი სამხედრო მეთაური. როლანმა 1942 წელს მოკლა პოლიციელი, მისი მეთაურობით რკინიგზის ლიანდაგიდან გადაგდებულ იქნა ჯავშნიანი მატარებელი, ამ ოპერაციის დროს დაჭრეს ბასტილი და დოქტორი სერვე, დახოცეს კლებერი და ჟაკუ. როლანის ადგილას ნიშნავენ მარსოს (შარლ მორენის ფსევდონიმი). მარსოს აქვს როლანთან შედარებით დამატებითი თვისება—წინდახედულობა ახასიათებს. მარსო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით ხელმძღვანელობს. იგი ეკამათება დე გოლელ ლუსტოს „საიდუმლო არმიიდან“:

— „...მოდით, გავერკვეთ ყველაფერში,—ამბობს მარსო,—რუსეთში უკვე აღარ არიან კაპიტალისტები, ხელისუფლება მუშებსა და გლეხებს ეკუთვნით. ყოველი მშრომელი შრომის მიხედვით იღებს. ამას ჰქვია სოციალიზმი. ასეთი სისტემა რუს ხალხს რომ არ მოსწონებოდა, მაშინ ომი სულ სხვა ხასიათს მიიღებდა. რაც შევეხება ჩვენ, კომუნისტებს, ვფიქრობთ, რომ სოციალიზმი არის არა მარტო პროგრესი მანამდე არსებულ ფორმაციასთან შედარებით, არამედ ისტორიული აუცილებლობაც. აი რატომ ვიბრძვით საფრანგეთში სოციალიზმის სწრაფი გამარჯვებისათვის, აი რატომ გვსურს სოციალიზმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში. სოციალიზმი ერთადერთი გზაა, რომელსაც ხალხები ბედნიერებისაკენ მიჰყავს, ერთადერთი საშუალებაა მთელ მსოფლიოში ომების მოსასპობად“. და შემდეგ.

„—ახლა დე გოლი ფრანგულ წინააღმდეგობას ასახიერებს. მას თქვენ ხელმძღვანელად ცნობთ თუ არა?

— კომუნისტები ცნობენ მხოლოდ იმ ხელმძღვანელებს, რომელთაც თვითონ ირჩევენ. სხვებს კი ისინი იმის მიხედვით აფასებენ, თუ როგორ დამოკიდებულებაში არიან ისინი ხალხთან.

— სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ ხელმძღვანელად ტორეზს ცნობთ?

— დიახ, ტორეზს, ჩემთვის, ჩემი აწახანაგებისათვის და აგრეთვე სხვა ბევრი ფრანგისათვის. სახელდობრ, მორის ტორეზის მოწოდებამ ჩაგვაბა ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე წინააღმდეგობის მოძრაობაში და არა დე გოლის დეკლარაციამ“.

რომანში ქალთა პერსონაჟებიდან გამომდინარეობს როზი, მონიკა, ჟილბერტა, მარინეტა, დანიელი და ბევრი სხვა... ეს პერსონაჟები ფრანგი ქალების ტიპური წარმომადგენლები არიან, მშობელი ერის თავისუფლებისათვის წარბეზებულად რომ იბრძვიან.

ბოლოს, გერმანელი ფაშისტები სოფელ ბრენიადეში როზს აპატიმრებენ და ბერჟერაკის საპრობილეში ჩასვამენ. როზი მოუსვენარია, იგი საპრობილეში კავშირს ამყარებს პოლიტპატიმრებთან, ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას ვოლგისპირეთში გამართული ბრძოლების გმირების შესახებ, გერმანელ ოკუპანტებს დამარცხება რომ აგემეს და მთელი მსოფლიო ფაშისტი ბარბაროსებისაგან გადაარჩინეს. როზი უშიშარია, დაკითხვაზე თავი მტკიცედ უჭირავს, ღრმად არის დარწმუნებული კომუნისტების საქმის საბოლოო გამარჯვებაში.

მარსო გადაწყვეტს გაათავისუფლოს როზი, იგი ბერჟერაკის საპრობილეზე მოაწყოებს შეიარაღებულ თავ-

დასხმას, ათავისუფლებს 87 პარტიმარს, მათ შორის როზიც არის. მარსო კი მძიმედ დაიჭრება. როზი კვლავ განაგრძობს ბრძოლას.

ფრან-ტირერთა და ფრანგ პარტიზანთა რიგებში ვხედავთ არა მარტო კომუნისტებს, სხვა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებსაც, რომელთაც სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულება აქვთ. აქ არიან სოციალისტებიც—დოქტორი ჟან სერვე და გარაჟის მეპატრონე ატოსი, წინათ დე გოლის „საიდუმლო არმიის“ მყოფი ოფიცერი პარავალი, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი, მოხუცი კათოლიკე გლეხი პიკჰალი, რომელთაც მიატოვეს თავიანთი სამუშაო და პარტიზანთა რაზმებში ჩაირიცხნენ, შური რომ ეძიათ. შეურაცხყოფილი სამშობლოსათვის.

ყველას აქ თავი მოუყარა მტრისადმი სიძულვილმა, სამშობლოს განთავისუფლების ნებურვალე სურვილმა. რომანში სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ბანაკს უპირისპირდება რეაქციის ბანაკი—მეწაშულეები, ქარხნის მეპატრონეები, მარკიზები. აქ რეაქციონერებს აწუხებთ მხოლოდ ერთი რამ: არ გაუშვან ხელიდან ძალაუფლება, პარტიზანებს უმაღავენ იარაღს, რადგან ეშინიათ შეიარაღებული ხალხისა. ჯერ კიდევ არ იყო ომი დამთავრებული, რეაქციონერები ფიქრობდნენ, როგორ „დაემყარებინათ წესრიგი“ საფრანგეთში, როგორ გაესწორებინათ ანგარიში კომუნისტებთან. ისინი მიმართავენ ცილისწამებას, პროვოკაციებს, აწარმოებენ ფარულ და აშკარა გამცემლობას, თვითონ იწერენ მტერზე გამარჯვებას. მაგრამ ხალხის მოტყუება ასე ადვილი

როდია. მწერალი გვიჩვენებს, როგორ თანდათანობით იზრდება მშვიდობის მეზობლობა ბანაკი. გლახ როჟე ბეროს არწმუნებდნენ, კომუნისტები მიწას წაგართმევენო, მაგრამ როდესაც ახლოს გაეცნო კომუნისტებს, მათთან ერთად იბრძოდა პარტიზანულ რაზმებში, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კომუნისტები ნამდვილი პატრიოტები, უბრალო ადამიანების ინტერესების დამცველები არიან.

ჟან ლაფიტი გვიჩვენებს, რომ ფრან-ტირერები და პარტიზანები მთელი ფრანგი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, მათ ამარაგებდნენ სურსათით, მალაედნენ ფაშისტებისაგან, აწვდიდნენ ძვირფას ცნობებს მტრის კომუნიკაციებზე, ხიფათისაგან აფრთხილებდნენ. გლახების აზრით, პარტიზანები იბრძოდნენ არა მხოლოდ იმისათვის, რომ სამშობლოდან განედევნათ ოკუპანტები, არამედ იმისათვისაც, რომ გლახის მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. ეს რწმენა, რომ ბრძოლა წარმოებდა ხალხის უკეთესი მომავლისათვის, დამახასიათებელია ყველა პატიოსანი ფრანგისათვის, დამახასიათებელია ყველასათვის, ვინც იარაღით ხელში მტრის წინააღმდეგ იბრძოდა, ვინც პარტიზანებს ემხრობოდა და სიცოცხლეს სწირავდა.

ჟან ლაფიტის დამსახურება ის არის, რომ დამაჯერებლად ასახა წინააღმდეგობის მეზობლობა მთელ ფრანგ ხალხთან განუყრელი კავშირი. რომანი მოგვითხრობს დორდონის დეპარტამენტში მოქმედი პარტიზანების ამბავს, მაგრამ მკითხველი მაშინვე გრძნობს, რომ ბრძოლა მთელ საფრანგეთში წარმოებს. თუმცა ნაწარმოებს

სათაურად „მეთაური მარსო“ აქვს, მაგრამ მისი ნამდვილი გმირი მთელი ფრანგი ხალხია.

რომანის ფინალი ასეთია: როზის სახლის პატრონი დიუშანი, მასთან საპყრობილეში რომ იჯდა, იღებს ჭიქას და სვამს მორის ტორეზის სადღეგრძელოს.

უან ლაფიტმა თავის ნაწარმოებებში დაგვიხატა ნამდვილი სურათები ფრანგი ხალხის ბრძოლებისა, მისი ლტოლვა მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ. უეჭველია, მწერალი მომავალშიც ბევრ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს შექმნის ფრანგი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის თემაზე.

## ქან ფრევილი

ქან ფრევილი ფრანგი კომუნისტი მწერალია, წერს ნოველებს, მოთხრობებს, რომანებსა და კრიტიკულ სტატიებს, მისი ნოველები თამამად შეგვიძლია დავაყენოთ ლუი არაგონის ნოველების გვერდით. ქან ფრევილი არის ავრეთვე გამოჩენილი მარქსისტი კრიტიკოსი, მარქსიზმის კლასიკოსთა თხზულებების მთარგმნელი.

მწერალმა ჯერ კიდევ 1938 წელს გაითქვა სახელი თავისი რომანით „მძიმე პური“ („Pain de brique“), რომელიც საფრანგეთის მუშათა მოძრაობისადმი არის მიძღვნილი. მასში დამაჯერებლად აღწერილია 1936 წლის ივნისის გაფიცვები საფრანგეთში. რომანის დაწერისათვის მწერალმა მიიღო პრემია „რენესანსი“.

1946 წელს პარიზში ქან ფრევილი აქვეყნებს ნოველების წიგნს: „კოლაბორაციონისტები“, რომელშიც შევიდა მოთხრობები: „კოლაბორაციონისტები“, „ლამის დესანტი“, „სამუდამოდ დაღუპვა“, „კარგი ყველი“ და სხვები.

წინასიტყვაში ავტორი წერს: „ამ ნოველების უმრავლესობა დაეწერე ან მოვიფიქრე იატაკქვეშეთში, ისი-

ნი იშვნენ ბრძოლებში, სუნთქავენ ბრძოლებით. იმის მიუხედავად, რომ ზოგ ადგილას ხაზი უხეშად გავუსვი, ნოველები გადმოსცემენ სამარცხვინო წლების ატმოსფეროს. ეს არც კარიკატურაა და არც პამფლეტი, იგი არის მხოლოდ ნამდვილი ისტორია, მოწმეთა ჩვენებანი რომელთა უარყოფა შეუძლებელია“.

ავტორი ამ ნოველებში გადასაქრელად სვამს მეტად სერიოზულ პოლიტიკურ საკითხებს, სახელდობრ, მიზნად ისახავს გვიჩვენოს, როგორი იყო მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის სოციალური ბაზა და გამცემლობის ხასიათი. მწერალი დაუზოგავად ამხელს ფრანგი ხალხის გამცემლებს, თაღლითებს, კოლაბორაციონისტებს, ვიშის ვაინმართველებს.

ქან ფრევილი განსაზღვრავს საფრანგეთის გამცემლობის კლასობრივ და პოლიტიკურ ხასიათს, მწერალი შენიშნავს, მსგავსი გამცემლობა ფრანგულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ასახულიო. ვიში გახდა ოკუპაციის პერიოდში პრივილეგიური კლასების კონტრევიოლუციური ცენტრი, რომლსაც იცავდა ჰიტლერელთა ხიშტები. ვიში იყო ხალხთა წინააღმდეგ შეთქმულება, ეს იყო ცდა, უცხოეთის ინტერვენციის მეშვეობით გადაეწყვიტათ ეკონომიურ-სოციალური წინააღმდეგობა მშრომელთა გასაჩანაგებლად, ტრესტების მოგებისათვის. მტერთან თანამშრომლობა, ფრანგების გადაცემა მტრისადმი, ეს როდი იყო უბრალო მაგალითი ფრანგი ხალხის ისტორიაშიო.

ქან ფრევილის ნოველების გმირები არიან გამყიდველი მინისტრები, მწერლები, ვაჭრები, კურტიზანები,



ლაქიები, მედუქნეები, ქორვაქრები, რომლებიც სარგებლობდნენ ერის უბედურებით და ყიდდნენ საფრანგეთს. მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორ აწარმოებდნენ ნაციისტები და ვიშელეები თავიანთ მხარეზე ხალხის გადაბირებას.

ნოველაში „კარგი ყველი“ გამოყვანილია ერთ-ერთი პატიოსანი მებრძოლი მოხუცი ფრანგი მაიორი არგუ, რომელიც ქუჩაზე გამოაგდეს იმისთვის, რომ არ მიეყიდა გამცემლებს. მაიორი შემთხვევით ხვდება ვილაც გაიძვერა ჟილვერის მფარველობის ქვეშ. ჟილბერი ომამდე სადაზვერვო საზოგადოების „ერთობა და პროგრესის“ აგენტი იყო. იგი დღისით ატყუებდა მშრომელ ხალხს, ღამე კი მძარცველთა ბანდას ხელმძღვანელობდა. ჟილბერი მფარველობდა ბანდიტებს. „უჩემოდ, ჩემი მებრძოლების გარეშე, ბევრ მათგანს მიტინგებზე გვერდებს ჩაულეწდნენ“ — იტყოდა ხოლმე ჟილბერი. იგი ჩადის ყოველგვარ საზიზღრობას, ვაჭრობს იარაღით, კავშირი აქვს კაგულარებთან, აწყობს ერთ-ერთი რუსი ეკონომისტის მკვლელობას. იმ დროს, როცა ხალხი გაქირვებით ცხოვრობს, ჟილბერი დასეირნობს ქალაქში, ქეიფობს საუკეთესო რესტორნებში, მას ესალმებიან ყველა დაწესებულების მუშაკები. ვიშის სამინისტროებში ჟილბერი თავს გრძნობს როგორც საკუთარ სახლში. იგი რეკომენდაციას აძლევს „ებრაელთა საქმეების სამმართველოში“ სამუშაოდ თავის მეურვეობაში მყოფ არგუს და ურჩევს: „შენ უნდა მართო საწარმო, შენა ხარ ამ საწარმოს ერთ-ერთი სრულუფლებიანი მმართველი, გექნება ხელისმოწერის უფლება და სალაროს გასაღები. გევალება მიზ-

ნის მისადწეველ ზუსტად იმუშაო. ყველაზე ადრე გარეთ  
ებრალ მაიმუნს მიაბრძანებ. როდესაც თვალში ჩაგი-  
ვარდება, გააფრთხილე, შემდეგ გაგზავნე საკონცენტრა-  
ციო ბანაკში ან ფრიცებთან. ასეთი სიფრთხილის შემ-  
დეგ მუშაობას შეუდგები. მოსამსახურეებს დაუყოვნებ-  
ლივ გამობერტყავ, რომ ვერ შეძლონ ბულალტერიაში  
რამე მაქინაციის გაკეთება. ამ მაქინაციებს შენ თვითონ  
გააკეთებ მათ გარეშე. გაწმენდ თუ არა შენობას, ჩასახლ-  
დები შიგ, მისცემ თანამდებობას კეთილ ადამიანებს,  
უწყისის პირველ სტრიქონზე მაქსიმალური ხელფასის  
მისაღებად შენს გვარს ჩაწერ. ამის შემდეგ შენი საქმეა  
იცხოვრო და იცხოვრო, იცხოვრებ არხეიანად, როგორც  
მსუქანი ვირთაგვა ყველის ნაჭრით“.<sup>1</sup>

მაიორი არგუ ვიგინდარა ტილბერის რჩევას არ მი-  
იღებს და მისი მთარველობიდან გამოდის. ავტორი პო-  
ლიტიკოს განგსტერებს, მსხვილ ბანდიტებსა და წვრილ  
გაიძვერებს მსუქან ვირთაგვებს ადარებს, რომლებიც ნა-  
ცისტების კარნახით ვიშის მთავრობაში იყვნენ მოკალა-  
თებული.

არანაკლებ ძლიერად არის დახატული კოლაბორა-  
ციონისტების მხეცური სახე. პირველ ნოველაში „კო-  
ლაბორაციონისტები“ გამოყვანილია ნორმანდიის ოლ-  
ქის მერი, რომელიც იმაზე ოცნებობს, რომ გერმანელ  
ფიშისტებს ხელსაყრელ პირობებში მიჰყიდოს თავისი  
ბალის ვაშლები, ერთგულად ემსახუროს მათ, მოიხვეჭოს  
ნდობა და ქონება შეინარჩუნოს. მასთან ერთად ირაზ-

---

<sup>1</sup> Jean Fréville—„Les Collabos“, Nouvelles, Paris, 1946 წ.

მებიან ოლქის მუნიციპალური საბჭოს „გამოჩენილი“ წევრები, ეგრეთ წოდებული შეძლებული მოქალაქეები: ნოტარიუსი, დოქტორი, მედუქნე, აფთიაქარი, ყასაბი, მენარდე. ესენი არიან ნაციისტების მონები, რომლებმაც გამოაძეღავენეს თავიანთი საძაგელი მორალური თვისებები.

მწერალი ძლიერია ფსიქოლოგიური ჩანახატით, ოსტატურად ხსნის გამცემლობის მიზეზებს: იმის მიუხედავად, რომ მერი ნაციისტებს ერთგულად ემსახურებოდა, ერთ დღეს მას გამოიძახებენ, დაემუქრებიან, აბუჩად აიგდებენ და ბოლოს წინადადებას მისცემენ მოუყვანოს მათ კომუნისტები ან ებრაელები, რომელთაც ტელეფონის ხაზის გადაჭრაში ბრალი ედებოდათ. მერი ამის თაობაზე აცნობებს მოქალაქეებს, რამდენიმე საათის შემდეგ იშართება მუნიციპალური საბჭოს თათბირი, სადაც გამომჟღავნდება, რომ დოქტორი ჯაშუში ყოფილა, იგი თავის თანამოქალაქეებზე წერდა საიდუმლო დასმენას და უგზავნიდა ნაციისტებს. აფთიაქარი თავისუფლდება ყოველგვარი მოვალეობისაგან იმით, რომ თავის ცოლს „ათხოვებს“ ნაციისტ ოფიცერს, ყასაბი კი სარგებლობს ქალაქის მცხოვრებთა სიღატაკით, თავის სოფელელებზე ციმბირის წყლულით დაავადებულა ძროხის ხორცს, აგრეთვე დამხვრჩალ ძაღლებსა და კატებს ასაღებს.

აქ ყველა გმირი მკაფიოდ არის დახასიათებული, ყველას თავისი შესაფერი ადგილი აქვს მოძებნილი. მდიდრები მდიდრებად რჩებიან, გამცემლები—თავიანთი ხალხის გამცემლებად. ბოლოს მათ მოაგონდებათ ერთი უწყინარი არაბი ბენ-ლარბი, რომელიც მათ სოფელში მჭედ-

ლის თანაშემწედ მუშაობდა. გადაწყვეტენ ეს არაბი ნაციისტებს ჩაუგდონ ხელში და ებრაელად გაასაღონ. არაბს წხეცურად სცემენ, შეწდევ ხელებს შეუკრავენ და დახვრეტენ.

საინტერესოა დიალოგი ნაციისტ კაპიტანსა და ბლევს შორის:

„—საკმარისია! გაჩუმდით!

ამაოდ ცდილობთ იდიოტად ჩაგვთვალოთ. გეუბნებით, რომ აქ საბოტაჟია! დიახ, აქ საბოტაჟია. ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ აღმოვაჩინოთ დამნაშავეები და ამაში თქვენ უნდა დაგვეხმაროთ. თუ მათ დაცვას შეეცდებით, თქვენთვის უარესია! ეს ძვირად დაგიჯდებათ...

თუ დღეს სადილობამდე არ ჩაგვაბარეთ დამნაშავეები,—ეუბნება მას კაპიტანი მკაცრი ტონით,—დახვრეტილი იქნება სამი მძევალი და მათ შორის თქვენც. ვიმედოვნებ, მიხვდით.

მერი, ცხადია მიხვდა, კარგად მიხვდა...

— თუ ვერ ვიპოვნე, მაშინ?..

კაპიტანი მიუახლოვდა ფანჯარას და ეზო უჩვენა.

— კედელი...

მაშინ მასწავლებელმა ბლევმა თავი დაკარგულად იგრძნო, თვალთაგან ცრემლი წასკდა, მუშტი შეკუმშა და წარმოთქვა:

— ცუდი არაფერი გამიკეთებია... ლამე გარეთ არც კი გამოვსულვარ... ყოველთვის თქვენს ბრძანებებს ვასრულებდი.

— გეყოფა, კარგი, მოძებნეთ დამნაშავე,—ჩაილაპარაკა კაპიტანმა მშვიდად.

მასწავლებელი ბლუზი გამცემია, მან გასცა არაბი ბენ-ლარბი.

ნოველაში „ლამის დესანტი“ აღწერილია ასეთი ეპიზოდი: ბომბარდირების შემდეგ საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩამოაგდებენ თვითმფრინავს. მთელი საფრანგეთი ოკუპირებულია. უფროსი მფრინავი როჟე დიუჟე პარაშუტით ჩამოეშვება ძირს და მაშინვე გაემართება ფერმერ გლეხთან დასამალავად. იგი ასე მიმართავს გლეხს.

„— არ შეგეშინდეთ, — შეჰყვირა დიუჟემ. გლეხი შეხტა.

— როგორც ხედავთ, — თქვა ბოლოს დიუჟემ, — ჩამოვვარდი ზეციდან... მფრინავი ვარ... ეროვნებით ფრანგი... ამჟამად ჩვენი რეზიდენცია ინგლისშია. რომ ღამიქირონ ჟანდარმებმა ან გერმანელებმა, ცუდი დღე დამადგება... აშკარაა, ეს იქნება ჩემთვის დიდი დამარცხება“.

გლეხი შეჰპირდება, არ გაგცემო, თუმცა იგი ბოშების მიერ გაფრთხილებულია, თუ ვინმე მოვიდეს ფერმაში, შეგვატყობინეო. გლეხი ეუბნება: „არ გაგცემ, ჟანდარმი არა ვარ“.

მფრინავი ნამდვილი პატრიოტია, მზად არის თავი შესწიროს თავის სამშობლოს საკეთილდღეო საქმეს. იგი ეუბნება გლეხს სარაცეტს: „დავრწმუნდი, რომ ჩემი ქვეყანა მეტი ღირს, ვიდრე ჩემი ცხოვრება“.

გლეხი დიუჟეს ფარეხში დამალავს. ერთ დღეს ჟანდარმერია დააპატიმრებს სარაცეტს, მის ცოლსა და ვაჟს სამუელს. სამუელს გაქცევისას მოკლავენ, ფერმას დაწვავენ.

ნოველაში კარგად არას აღწერილი ვიშის სასამართ-

ლოს მიერ ჩადენილი უსამართლობანი ფრანგი პატრიოტების მიმართ, ფრანგი პატრიოტები შურს იძიებენ, ისინი სასამართლოს თავმჯდომარეს დეჟანდენს სიცოცხლეს გამოასალმებენ.

აქ ჩანან ფრანგი კოლაბორაციონისტებიც, რომლებიც გერმანელ ოკუპანტთა სამსახურში იყვნენ.

მწერალი ნილაბს ჰგლეჯს დეგოლელებს, რომელთაც ფარული კავშირი ჰქონდათ ვიშის სასამართლოსთან.

ფრევილის ნოველებში მეტად მკაფიოდ, დამაჯერებლად არის დახატული პერსონაჟთა სოციალური, ფსიქოლოგიური ხასიათი.

ნოველა „ტრესტების საათი“ ყველაზე კარგია სხვებს შორის. აქ აღწერილია ერთ-ერთი ქარხნის ისტორია, რომელიც ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის დროს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ ააშენა შარენტის დეპარტამენტში. აქ ვგებულობთ, რომ ფრანგი მრეწველებისა და ტრესტების ეფლობელთა გამცემლობის მიუხედავად, საფრანგეთის ქარხნებში დღითიდღე იზრდება წინააღმდეგობა ოკუპანტების მიმართ. ისე როგორც სხვა ნოველებში, აქაც ნათლად არის დახატული გამცემლობის კლასობრივი არსი.

ნოველაში აღწერილია, თუ როგორ ამუშავებენ ნაცისტები მუშებს ქარხანაში, როგორ ყვლეფენ, როგორ მოჰყავთ სახლებიდან ხიშტებიან. ამ ქარხანას მართავენ ფრანგი ტრესტების მმართველები, ნაცისტები და ამერიკელი კაპიტალისტები. მაგნატები მდიდრდებიან, მუშებს კი ყოველთვის ემუქრებათ ტერორი, დაპატიმრე-

ბა, გერმანიის კატორღაში გაგზავნა. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდებოდა დღითიდღე ქარხანაში საიდუმლო ომი, ომი იმისთვის, რომ გაეფუჭებინათ ჰიტლერის არმიისათვის დამზადებული იარაღი, რითაც შეიძლება დაერღვიათ წარმოების პროცესი. აქ ხდება სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა საბოტაჟი. პირველ ხანს შეიმჩნევა ინდივიდუალური აქტები, ძვირფასი სამუშაო იარაღის „შემთხვევით“ გაფუჭება, ან საჭირო დეტალის დაკარგვა. ეს აქტები ჯერ სტიქიურ ხასიათს ატარებს. „ისინი ზანგზე უვიცნი, ხარზე ჯიუტნი, ღორზე სულელები არიან“,—სიძულვილით ამბობდნენ ფრანგ მუშებზე ნაცისტი სპეციალისტები.

ფრანგმა მუშებმა კარგად იცოდნენ რა სურდათ, მათი ბრძოლა უფრო და უფრო ორგანიზებული ხდებოდა: მუშებმა გატეხეს ვეებერთელა საღარავი ჩარხი, რომელიც მილიონი მანეთი ღირდა. ეს იყო სიგნალი გენერალური ბრძოლისა.

დივერსია გრძელდება. ჭრიან ელექტროგამტარებს, აძრობენ ჭანქიკებს, აფუჭებენ წყალსადენის, გაზის მილებს, დირექტორის კაბინეტშიც ახერხებენ ნახაზების დახვევას, საქალაქდებების მოპარვას, ახლა უკვე დივერსია წარმოებს შეგნებულად, ორგანიზებულად, რეპრესიების მიუხედავად იგი მაინც გრძელდება.

ნოველაში გამოყვანილია ინჟინერი ვაშე, საკონტროლო განყოფილების უფროსი. იგი ორ ამხანაგთან ერთად ახერხებს ქარხნის მიერ გაძოშვებული პროდუქციის გაფუჭებას, რომელსაც გერმანელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დივერსიულ მუშაობაში ჩაბმული არიან აგრეთვე სამონტაჟო საქმეების ათისტთა ბრენი, უფროსი მხაზიერი პეირუსელი. ყველაფერი ეს კეთდება გერმანელი კონტროლიორის ფრიცის თვალწინ.

ეს მდგომარეობა აღაშფოთებს ნაციისტებს, ქარხანაში საალყო წესებს შემოიღებენ. თვითეულ ოსტატს, სამქროს თვითეულ უფროსს მიუჩენენ მეთვალყურეს, რომელსაც კონტროლი უნდა გაეწია მუშაობის პროცესისათვის.

გამოჩნდებიან შეიარაღებული გუშაგები. დირექტორი გახარებულია, რომ ასეთ პირობებში ქარხანას საშუალება ექნება შეასრულოს სასწრაფო დაკვეთები და კიდევ მოიგოს.

მაგრამ... მეორე დღეს აფეთქდა ტრანსფორმატორის ქვესადგური. ეს კი იყო ქარხნის გული, ურომლისოდაც მუშაობა არ შეიძლებოდა.

იწყება ძიება. ნაცისტი გამომძიებელი ბაუერი დაჰკითხავს უფროს მხაზველს პეირუსელს:

„— ბატონო პეირუსელო, თავს ნუ იკატუნებთ. რა არის ეს! მთელი ქარხანა გაჩერდა, ყველა ამ აფეთქებაზე, ამ საქმეზე ლაპარაკობს, თქვენ კი ამაზე არაფერი იცით!

პეირუსელი პირდაღებული და თვალვებდაბერილი შეჰყურებდა მას და თავს უარყოფის ნიშნად აქეთ-იქით აქნევდა... „ამისათვის მოვიდნენ ეს ბატონები აქ? რა უნდათ, რომ ვუთხრა? მე არ შემისრულებია ეს ნახაზები, არც კონტროლიორი ვარ, არც მონტიორი, სრულიად არაფერი...“



თან ფრევილის ნოველებში ნათლად ჩანს, რომ ხალხის წინააღმდეგობა ოკუპანტებისადმი, კოლაბორაციონისტებისადმი თანდათან ძლიერდებოდა და განვითარების კულმინაციური წერტილისაკენ მიიწევდა.

მისი გმირები ფხიზელი, პოლიტიკურად მომზადებულინი არიან, სამშობლოს კეთილდღეობისათვის სახიფათო დავალებას არასოდეს გაურბიან. იატაკქვეშ მომუშავეებს მწერალი აგვიწერს ყოველგვარი პათეტიკის გარეშე. ამ ნოველების მნიშვნელობა დიდია, ისინი ზრდიან ფრანგ ხალხს პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ისინი მკითხველს აცნობენ 1940—1944 წლების საფრანგეთის ნამდვილ სურათებს.

1957 წლის დამლევს თან ფრევილმა პარიზში გამოაქვეყნა თეორიული შრომა „ინესა არმანდი—რუსეთის რევოლუციის დიდი ფიგურა“, რომელიც გამოუშვა საფრანგეთის „სოციალურმა გამომცემლობამ“.

როგორც ცნობილია, ინესა არმანდი იყო ვ. ი. ლენინის თანამებრძოლი. მან დიდი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციასა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. ინესა არმანდი საფრანგეთში კარგად არ იყო ცნობილი, თან ფრევილის წიგნი, რომელიც დაწერილია ამადელვებლად, დოკუმენტური მასალების საფუძველზე, ფრანგ მკითხველს დამაჯერებლად აცნობს ამ ადამიანის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

ინესა არმანდი დაიბადა 1875 წლის 16 ივნისს პარიზში. მამამისი იყო ფრანგი, დედა—ინგლისელი. 1879 წელს იგი მოსკოვში წაიყვანეს. 1893 წელს ცოლად გაჰყვა ერთ რუს მრეწველს, წარმოშობით ფრანგს—ალექ-

სანდრე არმანდს. 1904 წელს იგი შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში (ბ). 1907 წელს რევოლუციური მოღვაწეობისათვის ასახლებენ ციმბირში. 1909 წლიდან 1912 წლამდე ლენინთან მუშაობს პარიზში. 1912 წელს არალეგალურად მოღვაწეობს პეტერბურგში, სადაც კვლავ აპატიმრებენ. 1914 წელს ქ. ბერნში უერთდება ვ. ი. ლენინს, იბრძვის იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. 1916 წლის იანვარსა და თებერვალში არალეგალურად მუშაობს პარიზში, ხოლო 1917 წლის აპრილში ვ. ი. ლენინთან, ნ. კრუპსკაიასთან და ქართველ მწერალ დავით სულიაშვილთან ერთად ბრუნდება რუსეთში. 1918 წელს ხდება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ამავე დრო არის მოსკოვის ოლქის ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე. 1919 წელს რუსეთის სხვადასხვა ქალაქში პასუხსაგებ პოსტებზეა. 1920 წლის 24 სექტემბერს ინესა არმანდი ხოლერიისაგან გარდაიცვალა მოსკოვში და დასაფლავებულია წითელ მოედანზე, მიხეილ კალინინის საფლავის ახლოს.

ჯან ფრევილი თავის წიგნს იწყებს ინესა არმანდის ბავშვობის აღწერით, გოგონას პატარაობიდანვე ახასიათებდა მიდრეკილება ლიტერატურისადმი, 14 წლის ინესა კითხულობს ფრანგ და რუს მწერლებს. 900-იან წლებში ეცნობა ვ. ი. ლენინის რევოლუციურ მოღვაწეობას, მისი გავლენით ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. ინესა მიდის რუს მუშებთან ქარხნებში, ანზადებს მათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1914 წელს, როცა იმპერიალისტური ომი დაიწყო, ინესა არმანდი მკიდრო კავშირს ამყარებს ვ. ი. ლენინ-

თან, სათავეში უდგება ქალთა მოძრაობას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ამხელს ომის გამჩალებლებს. პროლეტარიატის გადამწყვეტ ბრძოლებში ინესა არმანდი დიდ როლს ასრულებს. მწერალს მოჰყავს ბევრი დამაჯერებელი დოკუმენტური, საარქივო მასალა, რომელთა საფუძველზე ვიგებთ ამ ქალის ცხოვრებისა და რევოლუციური საქმიანობის მთავარ მომენტებს. „ინესა არმანდი,—წერს ავტორი, არის საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და რუსეთის რევოლუციის დიდი ფიგურა. იგი საფრანგეთში ჯერ კიდევ უცნობია, ხვალ კი ასე აღარ იქნება. ინესა არმანდი ჩვენს მადლობასა და აღფრთოვანებას იმსახურებს. მან ფუფუნებაში ცხოვრებაზე ხელი აიღო და პროლეტარიატის მკაცრ ბრძოლებში ჩაება. იგი სიკვდილამდე პროლეტარიატის საქმეს ერთგულად ემსახურებოდა... მას უშუალო კონტაქტი ჰქონდა ლენინთან და მასებთან. დიდი როლი შეასრულა სოციალიზმისათვის ბრძოლაში“.

ინესა არმანდმა ბევრი იმუშავა რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში. იგი იყო უმწიკვლო, თავმდაბალი ბოლშევიკი, ყოველთვის მშრომელთა ბედობაზე ფიქრობდა. ვ. ი. ლენინი თავის შრომებში მრავალჯერ უთითებდა ინესა არმანდზე როგორც მტკიცე ბოლშევიკზე.

„ინესას ბუნებრივად ახასიათებდა თავმდაბლობა, უბრალოება და თავშეკავება,—წერს ავტორი,—მას საკუთარ ბედნიერებაზე არასოდეს უფიქრია, ბრძოლაში ჩაება თავისი იდეალის გულისათვის, არ აინტერესებდა არავითარი ჯილდო, კომუნიზმის პიონერი ებრძოდა უსა-

მართლობას, ცდილობდა შეესრულებინა კანონის ყველა მოთხოვნა თავისი რევოლუციური შეგნებულობით“.

ინესა არმანდს დარჩა ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი. ყველა ისინი სკკპ წევრები არიან და ცხოვრობენ მოსკოვში. უფროსი ვაჟი—ალექსანდრე არმანდი მუშაობს მოსკოვის თერმოტექნიკურ ინსტიტუტში. ინა არმანდი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მარქსისა და ენგელსის თხუზულებათა რუსულ ენაზე გამოცემას ხელმძღვანელობს, ხოლო ვარვარა არმანდი დეკორაციულ ხელოვნებას მისდევს.

თან ფრევილმა მათ მოსკოვში გაუგზავნა თავისი წიგნი და „ლუმენისტეს“ სპეციალური ნომერი, მიძღვნილი ინესა არმანდისადმი.

## ივ ჯარჯი

1953 წლის 29 მარტს მცხეთის ახლოს, ავტომობილის კატასტროფის დროს მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო პრემიის ლაურიატი ივ ფარჯი. მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი წერდა: „უაზრო შემთხვევამ ჩვენს რიგებს გამოსტაცა ყველა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის მამაცი გებრძოლი, შესანიშნავი ადამიანი, ფრანგი ხალხის საამაყო შვილი, მშვიდობის მომხრეთა ბანაკის ერთ-ერთი მძლავრი რაზმის—მშვიდობის დაცვისათვის საფრანგეთის მოძრაობის წარმომადგენელი და ხელმძღვანელი“.

„სამართლიანობისადმი მგზნებარე სიყვარული, სამშობლოს ერთგულება, უდრეკი, აბსოლუტური პატიოსნება,—აი, რა ახასიათებდა ივ ფარჯს“—აღნიშნავდა გამოჩენილი ფრანგი პროგრესული მწერალი კლოდ მორგანი.

მართლაც, ივ ფარეი იყო მგზნებარე პატრიოტი, უყვარდა სიმართლე და ენერგიულად იბრძოდა ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

იგი დაიბადა 1899 წლის 19 აპრილს სალონ-დე-პროვანსში (საფრანგეთი) მასწავლებლის ოჯახში. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც დედა მოუკვდა. 18 წლის ფარეი მიდის სახლიდან და ცხოვრებას დამოუკიდებლად იწყებს. ჯერ მოანგარიშედ მუშაობს, შემდეგ კი საგაზეთო სტატიების წერით ირჩენს თავს. ფარეს იტაცებს მხატვრობა, ნწერლობა, ხელოვნება. იგი ნწერალი ხდება. 1927-დან 1931 წლამდე ცხოვრობს მაროკოში, სადაც ცოლსაც ირთავს. ფარეი ხდება მთავარი რედაქტორი გაზეთ „ერ ფრანსეზისა“, რომლის ფურცლებზე მაროკოს მშრომელთა ინტერესებს იცავს. არაბები მას შეიყვარებენ და პატივს სცემენ. ფარეი აშკარად გამოდის საკო და ვანცეტის დასაცავად, ნიღაბს ჰგლეჯს ამერიკელი იმპერიალისტების სიმხეცეს. რის შედეგად. ორი თვის პატიმრობას უსჯიან. ფარეს თავიდანვე ახასიათებს სიმართლისადმი ლტოლვა, უყვარს უბრალო. ადამიანები, მათთან საუბარი. იგი შესანიშნავი მხატვარი ხდება, თავისი იუმორით ხალხს განაცვიფრებს; არ ეშინია არაფითარი სიძნელისა. უყვარს ცხოვრება, სიყვარულით ეპყრობა ყოველსავე ცოცხალს, სძულს კარიერიზმი, სიმდიდრით გატაცება.

1932 წელს ფარეი საფრანგეთში ბრუნდება, იგი პირველად ქ. გრენობლში რედაქტორობს გაზეთს „დეპეშ დოფინუაზს“, ხოლო 1932—1937 წლებში მუშაობს გაზეთ „ლიონის პროგრესის“ რედაქციაში საგარეო

პოლიტიკის განყოფილების მთავარ რედაქტორად. მას ხიბლავს იტალია, თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად ველოსიპედით მიემგზავრება იტალიაში, ტკბება წარმტაცი ბუნებით. ერთ-ერთი ასეთი ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ ფარჯი წერს „ჯოტოს შესახებ“, რომელშიც ავტორი აღიღებს ამ შესანიშნავ იტალიელ მხატვარს.

როგორც კი დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ფარჯი პირველი დღეებიდანვე ებმება წინააღმდეგობის მოძრაობაში. მგზნებარე პატრიოტი წარბშეუხრელად იბრძვის მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. ფარჯი ლიონში ხელმძღვანელობს არალეგალური ლიტერატურის ბექდვას, წერს პროკლამაციებს, აწყობს გაფიცვებს, იბრძვის ფრანგი პატრიოტების გერმანიის მონობაში გაგზავნის წინააღმდეგ, გერმანელი ოკუპანტები ივ ფარჯს საშიშ პიროვნებად აცხადებენ, ყოველ ზომას მიმართავენ მის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ამოდ, მათ ვერ შეძლეს მგზნებარე პატრიოტის შეპყრობა.

ივ ფარჯი წერს წიგნს „აჯანყებულები, ჯარისკაცები და მოქალაქეები“. ამ მოგონებებიდან ვგებულობთ, თუ როგორ ჩაება ავტორი წინააღმდეგობის მოძრაობაში, იგი მოგვითხრობს თავის განცდებს, როდესაც განთავისუფლებული ლიონის რატუშის შენობაში შევიდა. ი. ფარჯი წერს: „დავდივარ წინ და უკან, ხან ოთახის ქერს ვუცქერი, ხან საათს და სურათებს, გავყურებ ფანჯრიდან ქუჩას. დარაბა ღიაა, ბალიდან მოისმის „მაკის“ ახალგაზრდა მებრძოლთა ხმა. რა სასწაულმა მომიყვანა აქ, ამ ყურთასმენის წამლებ ბუნაგში, როდის

მელირსება ვმართო საფრანგეთის ეს ერთ-ერთი ულამაზესი რაიონი...

ისევ მესმის, მაგონდება ჟესტი, მიპყრობს შიში, აღშფოთება, რომლებმაც ჩემი ბედი გადაწყვიტეს. ეს იყო 1940 წლის ივლისში, როდესაც ლიონში გერმანელები შემოვიდნენ. ტროლეიბუსის ბაქანზე გაეჩერდი, რომ გზა მიმეცა გერმანელთა მოტორიზებული კოლონისათვის. ამ დროს ვილაც სუბიექტმა ხმამაღლა წამოიძახა: „ახლა ფრანგები გაიგებენ, თუ რას ნიშნავს ნამდვილი წესრიგი“. ეს ვერ მოვითმინე და სილა გავაწანი. „გრანდ ოტელის“ შესავალთან ფრანგი ქალები იდგნენ და უცდიდნენ გერმანელ ოფიცერთა გამოსვლას. ერთ მათგანს ვუთხარი: „თქვენ იმისთვის მეტად მოხუცნი ხართ, რომ მეძავი ქალის როლი შეასრულოთ“.

აღამიანებთან მკიდრო კავშირის მოთხოვნილება წითელი ზოლივით გასდევს ფარჯის მთელ საქმიანობას. ჯერ კიდევ 1942 წელს, ომის ამ ყველაზე ძნელ პერიოდში, ფარჯი გადაუდებელ ამოცანად აყენებს მთელი ხალხის გაერთიანებას. იგი წერს: „ახლა, როდესაც ხალხის მეთოდური განადგურება დაიწყო, რაც ჩვენი სამშობლოს მოსპობას უქადის, ვისაც საფრანგეთი და თავისუფლება უყვარს უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ძალები: მშვიდობა და თავისუფლებისათვის ბრძოლა ერთად შედუღდა. საფრანგეთი და მშვიდობა—ეს ერთი მთლიანია, ერთი სახეა, ერთი სულია“.

წინააღმდეგობის მოძრაობის პერიოდში ფარჯს სხვადასხვა ფსევდონიმი ჰქონდა: „ბესონო“, „პეტრეკენი“, „ბონავენტურა“, „ლევინი“, „გრეგუარი“. ჩვენ, — წერს



ფარეი.—წინააღმდეგობის მოძრაობის მეზობლები გავ-  
ხდით, რადგან სამშობლოსადმი სიყვარული, პატიოსნება  
და ერთგულება გვამოძრავებდა. ვისაც მტკიცედ გადაწყვე-  
ტილი ჰქონდა პატიოსანი დარჩენილიყო, წინააღმდე-  
გობის მოძრაობაში აუცილებლად უნდა ჩაბმულიყო“.

ეს არის ყველაზე მგრძობიარე სტრიქონები, რომე-  
ლიც ფარემა ომის სუსხიან დღეებში დაწერა.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ იგი მიხვდა,  
რომ ფაშიზმის !განადგურების მიუხედავად, ფრანგმა  
ხალხმა თავისუფლება მაინც ვერ მოიპოვა. მან გაილაშ-  
ქრა მექრთამეობის წინააღმდეგ, გამოვიდა პალატაში  
და განაცხადა: სიმართლე უნდა ვიპოვოო. ხალხმა ოფი-  
ცია გაუმართა.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ ივ ფარეი  
რესპუბლიკის კომისარი ხდება ლიონსა და რონას დე-  
პარტამენტებში. ამ პოსტზე ყოფნის დროს დიდ ორგა-  
ნიზატორულ ნიქს იჩენს, მშობელ ხალხში გულწრფელ  
სიყვარულს იმსახურებს. 1946 წელს სახელმწიფო მოღ-  
ვაწეა, მომარაგების მინისტრის პოსტს იქერს. ამ პოსტ-  
ზე მუშაობის დროს უპარტიო მწერალი, საზოგადო  
მოღვაწე ივ ფარეი დაულალავად ზრუნავს ფრანგი ხალ-  
ხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის,  
ებრძვის ქორვაკრებს, მოხელეების პირმოთნეობასა და  
ნექრთამეობას.

იგი წერს ღირსშესანიშნავ წიგნს „პური და მექრ-  
თამეობა“, რომელშიც ნილაბს ჰგლეჯს ფელიქს გუენის  
მთავრობის აგრესიულ ზრახვებს, მის გათახსირებასა და  
ზნედაცემულობას. საფრანგეთის ვაიმწართველებს არ

მოეწონათ ივ ფარეის წიგნი, მას სამართალში აძლევენ, მაგრამ ამოდ. ფრანგი ხალხის ენერგიული პროტესტის შედეგად სასამართლო პროცესი ჩაიშლება. უშიშარი მებრძოლი უფრო აძლიერებს ბრძოლას, ილაშქრებს ახალი ომის გამჩალებლების, ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი იმპერიალისტების წინააღმდეგ. იგი ერთ-ერთი პირველი დგება მშვიდობის მომხრეთა მოწინავე რიგებში, ხდება მშვიდობის მომხრეთა საფრანგეთის ეროვნული ორგანიზაციის უცვლელი ხელმძღვანელი, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონგრესებში, იბრძვის ფრანგი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, დანამცირებელი აგრესიული კავშირებიდან საფრანგეთის გამოსვლისა და მშვიდობისპოყვარე სახელმწიფოებთან თანამშრომლობის დამყარებისათვის.

1948 წელს მწერალი აქვეყნებს წიგნს „ჰიტლერის ომი გრძელდება“, რომელშიც ამელავენებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთსა და ჩინეთში. წიგნი დაწერილია „ციგომზე“, რომელიც წარმოებს ამერიკასა და ინგლისს შორის აღმოსავლეთში ნავთობის მოპოვების საკითხებზე. ამავე დროს მწერალი დიდი სიყვარულით წერს საბჭოთა კავშირზე — მშვიდობის დიდ ბურჯზე, რომელიც მთელ მსოფლიოში მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს.

1952 წელს ივ ფარეი მიემგზავრება კორეასა და ჩინეთში, სადაც მონაწილეობს იმ კომისიაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტები კორეელი და ჩინელი ხალხების წინა-

აღძდეგ. მწერალი ესაუბრება იმ ადამიანებს, რომლებმაც უშუალოდ გამოცადეს ბაქტერიოლოგიური ომის შედეგები. საფრანგეთში დაბრუნებისას ნიჭიერი ჟურნალისტი წერს წიგნს: „სიმათლე ჩინეთისა და კორეის შესახებ“, რომელშიც დამაჯერებლად აგვიწერს ბაქტერიოლოგიური ომის საშინელებას, ათასობით წამებული კორეელი და ჩინელი პატრიოტის ტანჯულ ცხოვრებას. „მოწმეთა ჩვენება, რომელიც ჩემს წიგნშია მოყვანილი,—მოგვითხრობს ფარეი,—უნდა წაიკითხოს ყველამ, ვინც აპირებს ბოლომდე შეინარჩუნოს ადამიანობა: მათ უნდა ეუთხრათ: აი, რა არის ომი, აი როგორ წარმოებს ომი ქვეყნის ერთ ნაწილში, აი, რას გვიქადის ომი“.

ივ ფარეი პირველი პუბლიცისტი. რომელმაც გამოაშუქა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ამერიკელი ომის გამჩალებლები, იგი თავის სტატიებსა და ნარკვევებში აფრთხილებს ფრანგ ხალხს არ გახდეს ამერიკის აგრესიის მსხვერპლი, მიჰბაძოს კორეელი ხალხის მაგალითს, იბრძოლოს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

ივ ფარეი მშვიდობის მსოფლიო კონგრესების აქტიური მონაწილეა.

1952 წლის დეკემბერში ხალხთა მშვიდობის ვენის კონგრესზე გაისმა მისი მოწოდების ხმა: „ყოველი ქვეყნის უშიჰროება დამოკიდებულია მის მისწრაფებაზე თავისუფლებისაკებ, ამ თავისუფლების ძირითადი ელემენტებია ახლანდელი ომების შეწყვეტა, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკება და უარის თქმა გერმანიისა და იაპონიის შეიარაღებაზე“.

მგზნებარე მებრძოლის ამ მოწოდებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა არა მარტო თავის თანამემამულეებს შორის, არამედ იმ ადამიანებს შორისაც, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ, რელიგიურ რწმენას აღიარებენ. ეს იყო ხმა სამშობლოს ნამდვილი პატრიოტისა, მშვიდობის ერთგული ჯარისკაცისა.

1952 წლის 20 დეკემბერს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ივ ფარეს პრემია მიენიჭა. პრემიის მინიჭების ამბავი მწერალმა გაიგო გზაში, როდესაც ხალხთა მშვიდობის ვენის კონგრესიდან პარიზს ბრუნდებოდა, უმაღლესი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა ივ ფარემ „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „მადლობას ვუძღვნი „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო პრემიების კომიტეტს, მადლობას ვუძღვნი მთელ საბჭოთა ხალხს, რომელმაც ასეთი მაღალი შეფასება მისცა ფრანგი ხალხის ბრძოლას მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. დიდი მადლიერი ვარ იმ კეთილი გრძნობებისათვის, რომელიც გამოხატა აკადემიკოსმა სკობელცინმა საფრანგეთში მშვიდობის მოძრაობასთან დაკავშირებით. დღეს მსოფლიოს ხალხთა შორის არსებობს ღრმა და ძლიერი სოლიდარობა“.

1953 წლის მარტში ფარეი თავია მეუღლესთან ერთად პრემიის მისაღებად მოსკოვში ჩამოდის. იგი საერთაშორისო პრემიის მიღების დღეს ამბობდა: „ამ მომენტში ვფიქრობ მშვიდობის ფრანგ მომხრეებზე, როგორც ყველაზე პატარა, ისე ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეებზე, რომლებიც საწარმოებში, დაწესებულებებში,

უნივერსიტეტებში, სოფლებსა და ქალაქის უბნებში, მშვიდობის ჩვენს კომიტეტებში მზად არიან გაიღონ დიდი მსხვერპლი, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ სიცრუესა და სიძულვილს“.

ეს სიტყვები ნათლად მოწმობს იმას, რომ ივ ფარეს უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქვეყანა, ფრანგი ხალხი.

ივ ფარეი მეუღლესთან ერთად 1953 წლის მარტის ბოლო რიცხვებში საქართველოში ჩაპოვიდა, სურდა გასცნობოდა ჩვენი სამშობლოს მიღწევებს, დაეწერა წიგნი საბჭოთა საქართველოზე, მაგრამ ტრაგიკულად დაიღუპა. იგი გარდაიცვალა 1953 წლის 30 მარტს თბილისში.

კლოდ რუა მოგვითხრობს ფარეის მოგზაურობაზე ჩინეთში. მაშინ ფარემა თავის მეგობარ გამოჩენილ ჩინელ პოეტს დუნ ლინ-ჩუანს უთხრა: „როდესაც ჩვენთან პარიზში სტუმრად ჩამოხვალთ... წაგიყვანთ ლუერში და სანაპიროებზე“.

სამწუხაროდ, ასეთი შეხვედრა მოხდა სამგლოვიარო ვითარებაში. 1953 წლის 5 აპრილს ღამით ბურჯის აეროდრომზე დაეშვნენ ფარეის მეგობარი ჩინელი პოეტები ლი ი-მანი და დუნ ლინ-ჩუანი. ივ ფარეის უხსოვნას ლი ი-მანმა მიუძღვნა ლექსი, რომელიც წაიკითხა მწერლის დაკრძალვაზე:

პარიზში ახლა გახაფხულია,  
ბუნების ზეიმს გავცქერით ირგვლივ,  
გული კი სევდით გათანგულია,  
რადგან ჩვენს შორის აღარ გვყავს იგი.

პარიზო, გნახე და შემიყვარდი,  
ამ გაზაფხულზე, ღრუბლიან დარში,  
მოესულვარ შენთან მშვიდობის ვარდით,  
სადა გყავს შვილი-მგზნებარე ფარეი?

(თარგმანი გ. კალანდაძისა)

ფარეი მიაბარეს საფრანგეთის მიწას პერ-ლაშეზის  
სასაფლაოზე.

საბჭოთა ადამიანები ივ ფარეს იცნობენ როგორც  
თავიანთ საუკეთესო მეგობარს, როგორც საფრანგეთ  
საბჭოთა კავშირის მეგობრობისათვის გულწრფელ მებრ-  
ძოლს. მშვიდობისათვის ბრძოლა საფრანგეთში გრძელ-  
დება. იგი დღითიდღე ძლიერდება, მშვიდობის ბანაკს  
ასიათასობით ადამიანი ემატება. ამ ბრძოლების ორგა-  
ნიზატორი და სულისჩამდგმელია კომპარტია ამხანაგ  
მორის ტორეზის ხელმძღვანელობით. მშვიდობის ძალები  
დაამარცხებენ ომისა და რეაქციის ძალებს.



## ს ა რ ჩ ე ვ ი

|                    |         |     |
|--------------------|---------|-----|
| წინასიტყვა         | ,       | 5   |
| შესავალი           | .       | 6   |
| ღუი არაგონი        | -----   | 29  |
| ელზა ტრიოლე        |         | 78  |
| პოლ ვაიან-კუტიურიე |         | 119 |
| როჟე ვაიანი        |         | 150 |
| ჟან ლაფიტი         | -----   | 184 |
| ჟან ფრევილი        | . . .   | 212 |
| ივ ფარჟი           | . . . . | 226 |



Сергей Эрнстович Турнава

Французские писатели XX века

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцeralи“

19 Тбилиси 62

\* \*

რედაქტორი მ. მამულაშვილი  
გამ-ბის რედაქტორი თ. კოპლატაძე  
მბატვარი ვ გიორგობიანი  
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი  
ტექნორედაქტორი ნ. მაძალუა  
კორექტორი ც. ქაროსანიძე

\* \*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4|IV, 1962 წ.,  
ანაწყოების ზომა 5X7,25, ფიზიკურ ფ. რაოდენობა 14,75, პირობით ფ. რაოდენობა 7,8,  
ტირაჟი 3.000, შეკვეთის № 8, უე 03677

\* \*

გამ-ბა „საბკოთა მწერალის“ სტამბა,  
თბილისი, პლехანოვის, 181

Типография изд-ва „Сабчота Мцeralი“,

Плехановский, 181

ფასი 46 კაპ.



